აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და სპორტის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება-საარქივო სამმართველო

Sub-department of Ministry of Education and Sport of Ajara Autonomous Republic – Archives Administration

სამხრეთ-დასავლეთი საქართველო: ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია

საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები

South-West Georgia: history, archaeology, ethnology

International Scientific Conference materials

ISSN 2298-0776

XII

თბილისი – 2026 – **Tbilisi**

სარედაქციო საბჭო:
ბესიკ ბაუჩაძე – აჭარის საარქივო სამმართველოს უფროსი, **სარედაქციო საბჭოს თავმჯდომარე;**
თამაზ ფუტკარაძე – საზღვარგარეთთან, საზოგადოებასთან, მასმედიასთან ურთიერთობისა და დოკუმენტების პუბლიკაციისა და გამოყენების სამსახურის უფროსი, **რედაქტორი.**
სარედაქციო საბჭო: რამაზ ბოლქვაძე – აჭარის საარქივო სამმართველოს უფროსის მოადგილე, **ანზორ თხილაიშვილი** – აჭარის საარქივო სამმართველოს უფროსის მოადგილე, **ასლან ლორთქიფანიძე -** აჭარის საარქივო სამმართველოს უფროსის მოადგილე, **ელგუჯა გოგიბერიძე** – ცენტრალური სახელმწიფო არქივის სამსახურის უფროსი; **მაია რურუა** – დაცვის, აღრიცხვის და სამეცნიერო – საცნობარო განყოფილების უფროსი, **ფრიდონ ქარდავა** – საზღვარგარეთთან, საზოგადოებასთან, მასმედიასთან ურთიერთობისა და დოკუმენტების პუბლიკაციისა და გამოყენების სამსახურის უფროსი სპეციალისტი; **ნატო ქიქავა** – საზღვარგარეთთან, საზოგადოებასთან, მასმედიასთან ურთიერთობისა და დოკუმენტების პუბლიკაციისა და გამოყენების სამსახურის უფროსი სპეციალისტი; **ოთარ გოგოლიშვილი** – შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, **მერაბ მეგრელიშვილი,** ბსკი, ისტორიის დოქტორი.

Editorial Board:
Besik Bauchadze – head of Sub-department of Ajara Autonomuous Republic Government – Archives Administration, chairman of editorial board;
Tamaz Putkaradze – head of foreign, public, media relations and documents publication and utilization department, **editor;**
Editorial Board: Ramaz Bolkvadze – Deputy chief of Ajara AR – Archives Administration; **Anzor Tkhilaishvili** – Deputy chief of Ajara AR – Archives Administration; **Aslan Lordkipanidze** - Deputy chief of Ajara AR – Archives Administration; **Elguja Gogiberidze** – head of service of Central State Archives; **Maia Rurua** – Archives Administration, Head of preservation, registration and scientific-informational department; **Fridon Kardava** – Archives Administration, senior specialist of foreign, public, media relations and documents publication and utilization service; **Nato Kikava** – Archives Administration, senior specialist of foreign, public, media relations and documents publication and utilization service; **Otar Gogolishvili** – professor of Shota Rustaveli State University; Merab Megrelishvili-doctor of history

სარედაქციო საბჭო შეიძლება ყოველთვის არ ეთანხმებოდეს ავტორების მოსაზრებებს. ავტორთა სტილი დაცულია.

Editorial board may not always agree with authors opinions.
Authors style is retained.

© **აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება-საარქივო სამმართველო, 2026**

გამომცემლობა „უნივერსალი", 2026
თბილისი, 0186, ა. ჯოლიბაოვსაიას 4 ☎: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E-mail: gamomcemlobauniversali@gmail.com; universal505@ymail.com

ლევან ჯიქია
LEVAN JIKIA

აკადემიკოს სიმონ ჯანაშიას გამოუქვეყნებელი ნაშრომი „Грузинка в эпоху Руставели“
ACADEMICIAN SIMON JANASHIA'S UNPUBLISHED WORK „A GEORGIAN WOMAN IN THE ERA OF RUSTAVELI“ („Грузинка в эпоху Руставели“)

Abstract. Simon Janashia's Personal Fund of the Historical Central Archive of the National Archive of Georgia preserves the unpublished manuscript „A Georgian woman in the Rustaveli Era“ („Грузинка в эпоху Руставели“) written in Russian by Academician Simon Janashia. The fund includes both the original handwritten and typewritten versions of the work. The typewritten copy bears the following note in Georgian by Simon Janashia: „I wrote it during the days of Rustaveli's anniversary at the request of the newspaper „Izvestia“ („Известия“), but it was not considered worthy of printing. S. J.“ According to this note, it can be concluded that S. Janashia wrote the work in 1937, the year that marked the widespread celebration of the 750th anniversary of Shota Rustaveli in Georgia. While the reasons for the newspaper's editorial office rejection of S. Janashia's work remain unknown, the historian's frustration is obvious in the following phrase in the note: „They did not consider it worthy of printing“.

The typewritten version of the work consists of 18 pages, with the last words of the previous paragraph and the last line written in pen. The handwritten version consists of 16 pages, which are occasionally corrected or deleted.

In the work, S. Janashia provides a detailed analysis of the legal status and rights of women in Georgian society during the era of Shota

Rustaveli. According to S. Janashia's observations, Georgian surnames end in „dze", an indicator of the prevailing meaning of son (boy) and the dominant importance of male descendants in the sphere of paternal relations. However, with the growing importance of women, particularly mothers, such surnames became insufficient to encompass new social, property, and legal realities. Consequently, the term „dze" evolved to take on the more inclusive, gender-neutral meaning of „shvili" (child) in general, leading to the emergence of the „shvili" suffix in Georgian surnames.

Janashia further speaks about the prominent Georgian female monarchs (Tamar, Rusudan), as well as queens who held significant public and political influence both domestically (such as Queen Gurandukht and others) and internationally (such as Queen Mariam), who played an important role in the socio-political arena of the time.

Keywords: Simon Janashia, Shota Rustaveli, King Tamar, King Rusudan, Queen Gurandukht, Lasha-Giorgi.

აბსტრაქტი. საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივის სიმონ ჯანაშიას პირად ფონდში დაცულია აკადემიკოს სიმონ ჯანაშიას რუსულ ენაზე შესრულებული გამოუქვეყნებელი ნაშრომი „Грузинка в эпоху Руставели". ფონდში დაცულია ნაშრომის როგორც ხელნაწერი, ისე მანქანაზე ნაბეჭდი ვერსიები. მანქანაზე ნაბეჭდ ვერსიას აქვს სიმონ ჯანაშიას მიერ ქართულ ენაზე გაკეთებული შემდეგი მინაწერი: „დავწერე რუსთაველის იუბილეს დღეებში გაზ. „Известия"-ს დაკვეთით, მაგრამ დაბეჭდვის ღირსად არ სცნეს. ს. ჯ.". აღნიშნული მინაწერიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ ს. ჯანაშიამ ნაშრომი 1937 წელს დაწერა, რადგან აღნიშნულ წელს ფართოდ აღინიშნა საქართველოში შოთა რუსთაველის 750 წლის იუბილე. რატომ დაიწუნა გაზეთის რედაქციამ ს. ჯანაშიას აღნიშნული ნაშრომი, ჩვენთვის უცნობია, თუმცა ამ გარემოებას ისტორიკოსი საკმაოდ

გაუნაწყენებია, რაზეც მიგვანიშნებს მინაწერის შემდეგი ფრაზა: „დაბეჭდვის ღირსად არ სცნეს“.

ნაშრომის მანქანაზე ნაბეჭდი ვერსია 8 გვერდს მოიცავს, რომლის ბოლოს წინა აბზაცის ბოლო სიტყვები და ბოლო აბზაცი კალმით არის შესრულებული. ხელნაწერი ვერსია 16 გვერდს მოიცავს, რომელიც ალაგ-ალაგ ჩასწორებული ან გადაშლილია.

ნაშრომში ს. ჯანაშია დეტალურად საუბრობს შოთა რუსთაველის ეპოქის ქართულ საზოგადოებაში ქალის უფლებრივ მდგომარეობაზე. ს. ჯანაშიას დაკვირვებით, ქართულ გვარსახელებს აქვთ დაბოლოება „ძე“, რომელიც საადგილმამულო ურთიერთობების სფეროში ძის (ბიჭის) გაბატონებული მნიშვნელობის მაჩვენებელია. თუმცა, ქალის, დედის მნიშვნელობის ზრდასთან ერთად, მსგავსი გვარები აშკარად ვეღარ იტევს ახალ საზოგადოებრივ, ქონებრივ და სამართლებრივ შინაარსს და, შესაბამისად, სიტყვა „ძე“-ს მიეცა ზოგადად „შვილის“ მნიშვნელობა. ასე გაჩნდა ქართულ გვარსახელებში დაბოლოება „შვილი“.

ს. ჯანაშია საუბრობს როგორც ქართველ მეფე ქალებზე (თამარი, რუსუდანი), ასევე ქართველ დედოფლებზე როგორც ქვეყნის შიგნით (დედოფალი გურანდუხტი და სხვები), ისე ქვეყნის ფარგლებს გარეთ (დედოფალი მარიამი), რომლებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ასპარეზზე.

საკვანძო სიტყვები: სიმონ ჯანაშია, შოთა რუსთაველი, თამარ მეფე, რუსუდან მეფე, გურანდუხტ დედოფალი, ლაშა-გიორგი.

საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივის სიმონ ჯანაშიას პირად ფონდში[1] ინახება აკადემიკოს სიმონ ჯანაშიას რუსულ ენაზე შესრულებული გამოუქვეყნებელი ნაშრომი „Грузинка в эпоху Руставели“. ფონდში ინახება ნაშრომის როგორც ხელნაწერი, ისე მანქანაზე ნაბეჭდი ვერსიები. მან-

[1] ფონდი 2119, ანაწერი 1, საქმე 325, ფურცლები 1-16.

ქანაზე ნაბეჭდ ვერსიას აქვს სიმონ ჯანაშიას მიერ ქართულ ენაზე გაკეთებული შემდეგი მინაწერი: „დავწერე რუსთაველის იუბილეს დღეებში გაზ. „Известия-ს“ დაკვეთით, მაგრამ დაბეჭდვის ღირსად არ სცნეს. ს. ჯ.“. აღნიშნული მინაწერიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ ს. ჯანაშიამ ნაშრომი 1937 წელს დაწერა, რადგან აღნიშნულ წელს ფართოდ აღინიშნა საქართველოში შოთა რუსთაველის 750 წლის იუბილე. რატომ დაიწუნა გაზეთის რედაქციამ ს. ჯანაშიას აღნიშნული ნაშრომი, ჩვენთვის უცნობია, თუმცა ამ გარემოებას ისტორიკოსი საკმაოდ გაუნაწყენებია, რაზეც მიგვანიშნებს მინაწერის შემდეგი ფრაზა: „დაბეჭდვის ღირსად არ სცნეს“.

ნაშრომის მანქანაზე ნაბეჭდი ვერსია 8 გვერდს მოიცავს, რომლის ბოლოს წინა აბზაცის ბოლო სიტყვები და ბოლო აბზაცი კალმითაა დაწერილი, ხელნაწერი ვერსია კი მოიცავს მცირე ფორმატის 18 გვერდს, რომელიც ალაგ-ალაგ ჩასწორებული და გადაშლილია.

აკადემიკოსი სიმონ ჯანაშია თხრობას იწყებს ბაგრატიონების სამეფო ოჯახში ქალების როლზე საუბრით, კერძოდ, გურანდუხტ დედოფალი, რომელიც იყო გაერთიანებული საქართველოს პირველი მონარქის, ბაგრატ III-ის (978-1014) დედა, ბაგრატის მეფობის პირველ წლებში მის თანამმართველად გვევლინება. ქვრივი დედოფალი მარიამი, ბაგრატ IV-ის დედა, პირადად გაემგზავრა კონსტანტინოპოლში და კეისრისგან მშვიდობა და პატივი მოიპოვა ქვეყნისა და შვილისთვის. ბაგრატ IV-ის და, გურანდუხტი, „დედაკაცი სრული და უმსგავსო“ (ყოვლად უბადლო), გახდა რეგენტი-მმართველი, როდესაც მისი ძმა იძულებული იყო დაეტოვებინა სამეფო და კაპიტულაცია გამოეცხადებინა დიდებულების წინაშე. მეფის დაბრუნებას ხელისუფლებაში მემატიანე განიხილავს, როგორც სწორედ გურანდუხტის ინიციატივის ნაყოფად. ბაგრატ IV-ის ასული, მართა, ბიზანტიაში მარიამად წოდებული, იმპერატორ მიხეილ VII-ის მეუღლე, რომლის შესახებაც ანა კომნენოსი (ბიზანტიელი პრინცესა-მწერალი) აღტა-

ცებით ამბობს, რომ „მისი მსგავსი სილამაზის ღმერთს არავინ შეუქმნია...“ XI საუკუნის ბოლოს დიდ როლს თამაშობდა ბიზანტიის პოლიტიკურ ცხოვრებაში.

თამარ მეფის მამიდა, რუსუდანი, როგორც ჩანს, თამარის მეფობის საწყის ეტაპზე სამეფო კარზე მნიშვნელოვანი გავლენით სარგებლობდა. თამარი თვითმპყრობელობის ნიშნად მეფის ტიტულს („მეფე“) ატარებდა და არა დედოფლისას („დედოფალი“), წელზე ხმალი ჰქონდა შემორტყმული, როგორც მთავარსარდალს. თამარი თავის პერსონაში აერთიანებდა უძლიერესი სახელმწიფოს მეთაურსა და უბადლო სილამაზის ქალს, რომელიც ფეოდალური საზოგადოების თაყვანისცემის ობიექტად იქცა. თამარი შემკული იყო ისეთი ეპითეტებით, როგორიცაა „ღმრთივ-სწორი“, „მეოთხე პირი წმიდისა სამებისა“ და ა. შ. თამარის მემატიანე აღფრთოვანებული პოეტური ჰიპერბოლით საუბრობს, რომ დედოფლის სიცოცხლეში „ბაგენი საქართველოსანი წარმოთქვამდნენ მხოლოდ - „თამარს“. სახლებზე აკროსტიხის ფორმით წერდნენ თამარის ოდებს, და მის საქებრად ხაზავდნენ პერანგებზე, და ამკობდნენ დანებსა და კვერთხებს, აწერდნენ მათზე თამარის განმადიდებელ სიტყვებს. ჭაბუკები ხნულის გაყვანისას თამარის საქებარ ლექსებს ამბობდნენ. ფრანგი და რომაელი (ბიზანტიელი) მეზღვაურები ქარის დროს თამარს განადიდებდნენ. ამდენად, თამარისადმი თაყვანისცემა ფართოდ გასცდა საქართველოს საზღვრებს.

როგორც ს. ჯანაშია აღნიშნავს, ბიზანტიაში არსებობდა პოემა (რომელმაც ძველ რუსულ თარგმანში მოაღწია) დედოფალ დინარაზე, რომელშიც ადვილად იკითხება თამარ მეფე, ხოლო ივანე მრისხანე, ალყაშემორტყმული ყაზანის კედლებთან, თავის ჯარისკაცებს ივერიის დედოფალ თამარის დიდებული საქმეების შეხსენებით ამხნევებდა.

ს. ჯანაშიას მიაჩნია, რომ სწორედ თამარის სახემ შთააგონა შოთა რუსთაველი, როდესაც ის თავის ქალ პერსონაჟებს ძერწავდა.

ს. ჯანაშია საუბრობს, ასევე, თამარის ასულ რუსუდანზე (1222-1244), რომელიც მონღოლების მიერ საქართველოს დაპყრობის დროს მეფობდა. ს. ჯანაშიას მიაჩნია, რომ რუსუდანის ბიოგრაფიას გარკვეულწილად სკანდალური ელფერი მოგვიანო პერიოდის, ჭორებისკენ მიდრეკილმა მემატიანეებმა შესძინეს.

ფეოდალური საქართველოს ისტორიის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან მომენტში, როდესაც სახელმწიფო წყობილების ძირეული რეფორმის საკითხი წყდებოდა, რაც გულისხმობდა მეფის ხელისუფლების შეზღუდვას და საკანონმდებლო ორგანოს - პარლამენტის დაარსებას, ქვეყანაში სიტუაცია დაძაბა, რადგან შეიარაღებული ამბოხებულები სამეფო კარს მიადგნენ მათი პოლიტიკური პარტიის დაპატიმრებული ბელადის გათავისუფლების მოთხოვნით, ასეთ დროს თამარ მეფემ მოსალაპარაკებლად „ორი საპატიო მანდილოსანი“ გააგზავნა, რომლებმაც ოსტატურად შეასრულეს თამარის დავალება.

ს. ჯანაშიას ქართველი ქალის ემანსიპაციის (ფეოდალურ ჩარჩოებში) მიზეზად შემდეგი გარემოებები აქვს დასახელებული:

ა) ფეოდალური ურთიერთობების შემდგომი განვითარება, რაც ქალს ათავისუფლებდა მონათმფლობელური საზოგადოების ურთიერთობებისა და ჩაგვრისგან;

ბ) მატრიარქალური წყობილების ტრადიციების სიცოცხლისუნარიანობა, რომლებიც ქართულმა ტომებმა განვითარების უმაღლეს საფეხურამდე აიყვანეს; ეს ტრადიციები, ფორმალური გადმონაშთების სახით, ძლიერ გავლენას ახდენდნენ ფეოდალურ ურთიერთობებზე;

გ) ახალი ელემენტები, რომლებიც თავს იჩენდნენ ფეოდალური ურთიერთობების რღვევისას.

მართალია წყაროები მწირ ინფორმაციას იძლევიან, მაგრამ, ს. ჯანაშიას აზრით, არსებობს არაერთი ფაქტი, რომელიც ადასტურებს სქესთა შორის ურთიერთობების სულ უფრო მეტად განთავისუფლების პროცესს რელიგიური მარწუხებისა და

საზოგადოებრივი კონსერვატიზმის მეურვეობისგან. რელიგიური ხასიათის ლიტერატურულ ნაწარმოებებშიც კი ჟონავს ცნობები „თავისუფალი“ რომანების შესახებ. მაგალითად, აშოტ კურაპალატი (IX ს. დასაწყისი), რომელმაც ერთი „მეძავი“ „ზომაზე მეტად“ შეიყვარა, და იყო რა „ვნებით დამონებული თავმოყვარეობის დაკარგვამდე“, ხოლო მისი დაკარგვის შემდეგ (მას საყვარელი ბერებმა წაართვეს) მან გულისტკივილით წამოიძახა: „ნეტარ მას კაცსა, ვინც ცოცხალ არღარ არს“.

კირილა, ადარნასე კურაპალატის მეუღლე მონაზვნად აღიკვეცა, რადგან ქმარმა სხვა ქალი შეიყვარა, ის კი სახლიდან გააძევა; მიუხედავად ასეთი შეურაცხყოფისა, მძიმედ დაავადებულ ქმარს, რომელიც მისგან შენდობას ითხოვდა, მან შემოუთვალა: „ვფიცავ ქრისტეს, არასოდეს ჩემი ბაგეებიდან წყევლის სიტყვა არ გამოსულა და არც ის დამიწყევლიაო“.

მსხვილ ფეოდალ ჩორჩანელს (IX ს.), რომელმაც ადრეულ ასაკში დაკარგა მეუღლე, სიცოცხლის ბოლომდე არ განუზრახავს სხვა ცოლის შერთვა.

იაკობმა, ცნობილი ქართველი საეკლესიო მოღვაწის, გიორგი ათონელის მამამ შემთხვევით ერთ ოჯახში ნახა და მოიხიბლა მასპინძლის ასულის სილამაზითა და ქალურობით, რომელიც, თავისუფლად შევიდა იმ ოთახში, სადაც სრულიად უცხო სტუმარი იმყოფებოდა; იაკობმა ის ცოლად შეირთო და იქვე დასახლდა.

კიდევ უფრო საინტერესოა თამარის ვაჟის, ლაშა-გიორგი ისტორია: თვითმპყრობელ მეფეს გონების დაკარგვამდე შეუყვარდა აზნაურის ცოლი, რომელიც წაართვა კიდეც მას. სამეფო დარბაზმა ეს ქორწინება უკანონოდ ცნო და ისინი ერთმანეთს დააშორა. მეფე გიორგი სამუდამოდ თავისი სიყვარულის ერთგული დარჩა და სხვა ქალი არ შეურთავს.

ქალისა და კაცის თანასწორობის შესახებ იდეამ ადრიდანვე შეაღწია რელიგიურ ლიტერატურაშიც. მაგალითად, IX საუკუნ-

ის ერთი ლიტერატურული ძეგლი ქადაგებს: „არა მამაკაცი და არა დედაკაცი, არამედ ყოველნი თქუენ ერთ ხართ“*.

„თანასწორობა“, ფეოდალური გაგებით, ცხოვრების ზოგიერთ სფეროში გადავიდა კიდეც ქალის უპირატეს უფლებასა და გავლენაში, რაც, რა თქმა უნდა, უმთავრესად მორალური ხასიათის იყო. საილუსტრაციოდ ს. ჯანაშია უთითებს ცნობილი არაბი ისტორიკოსის, იბნ ალ-ასირის მონათხრობს: 1162 წელს ქართველებმა დვინიდან სამშობლოში მრავალი მუსლიმი ტყვე წამოიყვანეს და, შესარცხვენად, სრულიად გააშიშვლეს ისინი, მაგრამ ქართველმა ქალებმა ეს გააპროტესტეს და ისინი სირცხვილისგან იხსნეს. ყოველივე აქედან ჩანს, რომ XII საუკუნის საქართველოში ქალი თავს ბევრად უფრო თავისუფლად გრძნობდა, ვიდრე ბევრ სხვა ფეოდალურ ქვეყანაში (მუსლიმურ ქვეყნებზე რომ აღარაფერი ვთქვათ).

რუსთაველის ეპოქის ქართველ ქალთა ამ მდგომარეობას თავისი ეკონომიკური საფუძველიც ჰქონდა: მართალია ფეოდალური მიწათმფლობელობის სამართალი ქალს უფრო მეტად ზღუდავდა მიწაზე უფლების თვალსაზრისით, ვიდრე მამაკაცს, მაგრამ საქართველოში მაინც ქალი არ იყო სრულად მოკლებული თავის ქონებას, კერძოდ, უძრავი ქონების - მიწის ძირითად კატეგორიასთან - „მამულთან“ (მამისეულთან) ერთად, არსებობდა აგრეთვე „დედულის“ მიწები, სიტყვასიტყვით — „დედისგან მიღებული“, რომლებიც მემკვიდრეობით გადადიოდა ქალის ხაზით, უმთავრესად მზითვის სახით. მზითვად მიღებული მიწები, „მზითვები“, განსაკუთრებით პრივილეგირებულ მდგომარეობაში იყო და მფლობელთა მხრიდან ბევრად უფრო თავისუფალი განკარგვის ობიექტს წარმოადგენდა, ვიდრე წმინდა ფეოდალური მიწები.

ქალის ქონებრივი და საზოგადოებრივი უფლებების მნიშვნელოვანი ზრდის მაჩვენებელია ერთი მეტად საინტერესო მოვლენა, რომელიც შეიმჩნევა პატრონიმიკის (გვარსახელების) სფეროში: უძველეს გვარსახელებს აქვთ ფორმა, რომელიც აღნიშ-

ნავს თემურ-საგვარეულო და კორპორაციულ ჯგუფებს (დაბოლოებები: -იანი//-ოვანი, -ნი, -თი, -ური და სხვ.); ფეოდალური ურთიერთობების განვითარებასთან ერთად ჩნდება გვარსახელების ახალი ფორმები, რომლებიც იწარმოება სიტყვის ბოლოში „ძე“-ს დართვით, რასაც ძველ ქართულში მხოლოდ „ვაჟის“ მნიშვნელობა აქვს, - რაც მამაკაცის, მამის სამართლის, კერძოდ კი საადგილმამულო ურთიერთობების სფეროში, გაბატონებული მნიშვნელობის აშკარა შედეგია. თუმცა, ქალის, დედის მნიშვნელობის ზრდასთან ერთად, მსგავსი გვარები აშკარად ვეღარ იტევს ახალ საზოგადოებრივ და ქონებრივ-სამართლებრივ შინაარსს: შეიმჩნევა ძალიან საინტერესო მცდელობა, რომ სიტყვა „ძე“-ს მიეცეს ზოგადად „შვილის“ მნიშვნელობა, საკუთარი შვილის (ასეა, კერძოდ, რუსთაველთანაც), რაც სრულიად უჩვეულოა ძველი ქართული ენის სემანტიკის თვალსაზრისით, მაგრამ ამ მცდელობის წარუმატებლობის გამო (ენის საერთო განვითარების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ), გვარსახელებში „ძე“ იცვლება სიტყვით „შვილი“, რაც როგორც ქართულში, ისე (სხვა ქართველურ ენებში თავისი პარალელების სახით) ყოველთვის ნიშნავდა სწორედ „ბავშვს“, „ნაშიერს“. ამგვარად, ქართული გვარსახელების განვითარების ისტორია ასახავს ფეოდალურ საქართველოში სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობების განვითარების ისტორიას.

ს. ჯანაშიას აზრით, მის მიერ სქემატურად აღწერილი საზოგადოებრივი ურთიერთობები შოთა რუსთაველის უკვდავი „ვეფხისტყაოსნისთვის“ ერთგვარ წინაპირობად იქცა, როდესაც იგი ვასალის ფეოდალურ მოვალეობას შეყვარებულის საყოველთაო-საკაცობრიო მოვალეობას უმორჩილებს.

ამდენად, შეგვიძლია დასკვნის სახით ვთქვათ, რომ აკადემიკოსმა სიმონ ჯანაშიამ რუსულ ენაზე შესრულებული ნაშრომი „Грузинка в эпоху Руставели“ 1937 წელს, შოთა რუსთაველის 750 წლის იუბილესთან დაკავშირებით, შეკვეთით გაზეთ „Известия“-სთვის დაწერა, თუმცა, ჩვენთვის უცნობი მიზეზების გამო, ის არ

დაიბეჭდა. აქედან გამომდინარე, ს. ჯანაშიას აღნიშნული ნაშრომი ფართო განსჯის საგანი პირველად ხდება.

გამოყენებული წყარო:

საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, სიმონ ჯანაშიას პირადი ფონდი 2119, ანაწერი 1, საქმე 325, ფურცლები 1-16.

თამაზ ფუტკარაძე
ნატო ქიქავა
ციცი ცინცაძე

„ოზეთის“ საქმიანობა საბჭოთა საქართველოში და აჭარაში 1930–იან წლებში: სოციალურ–ეკონომიკური ტრანსფორმაცია, აგრარიზაცია და იდეოლოგიური მობილიზაცია

აბსტრაქტი. სტატიაში აჭარის საარქივო სამმართველოს ფონდ რ-№117-ის პირველწყაროებზე დაყრდნობით გაანალიზებულია „მშრომელი ებრაელების მიწაზე მოწყობის საზოგადოებისა“ („ოზეთი“) და მისი რესპუბლიკური ორგანიზაციის — „გრუზოზეტის“ (მათ შორის, ადგილობრივი განყოფილების „აჭარ-ოზეთის“) საქმიანობა 1930-იანი წლების განმავლობაში. ნაშრომში კომპლექსურად არის განხილული ებრაული მოსახლეობის აგრარიზაციის, კოლექტივიზაციისა და მცირე ინდუსტრიალიზაციის პროცესები, ორგანიზაციის ადმინისტრაციულ-ფინანსური სტრუქტურა, იდეოლოგიური კამპანიები (მათ შორის „ბირობიჯანის პროექტი“), 1934–1935 წლების შიდაორგანიზაციული და აგრარული კრიზისი, ხოლო შემდგომ — 1936 წლის მასობრივი რეორგანიზაცია და მრავალეთნიკური მობილიზაცია.

1930-იანი წლების პირველ ნახევარში საბჭოთა ხელისუფლება განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა ებრაული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ ინტეგრაციასა და მათ ე.წ. „პროლეტარიზაციას“. ბოლშევიკური ხელისუფლების მიერ კერძო ვაჭრობის აკრძალვამ და ეკონომიკურმა გარდაქმნებმა ებრაელი მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი უმუშევარი და საარსებო წყაროს გარეშე დატოვა [კუპატაძე, 2018: 112–115]. ამ პრობლემის გადასაჭრელად, მათი მიწათმოქმედებად თუ ინდუსტრიულ მუშახელად ქცევის მიზნით, სსრკ ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან (ЦИК) 1924 წლის 29 აგვისტოს შეიქმნა „კომზეტი“ // „მემკი“ (*მშრომელ ებრაელთა მიწათმწყობი კომიტეტი* / Комитет по земельному устройству трудящихся евреев), ხოლო 1925 წლის 17 იანვარს ჩამოყალიბდა საზოგადოებრივი ორგანიზაცია „ოზეტი“ // „მემსი“ (*მშრომელ ებრაელთა მიწათმწყობი საზოგადოება* / Общество по земельному устройству трудящихся евреев в СССР). მისი ამ-

ოცანა იყო მოსახლეობის მობილიზება, ფინანსური სახსრების შეგროვება (მათ შორის საზღვარგარეთული ორგანიზაციებიდან) და მიწათმოწყობის პროცესის ხელშეწყობა.

ცენტრალური ორგანიზაციის შექმნის შემდეგ დაიწყო მისი ფილიალებისა და განყოფილებების გახსნა მოკავშირე რესპუბლიკებსა და რეგიონებში. 1927 წლის 25 დეკემბერს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით შეიქმნა საკავშირო „მემსის“ ქართული განყოფილება — „საქმემსი“ („გრუზ-ოზეტი“) და შესაბამისი კომიტეტი „მემკი“. „საქმემსი“ აქტიურად საქმიანობდა ქართველი ებრაელებით მჭიდროდ დასახლებულ ცენტრებსა და რეგიონებში (მაგალითად: კულაშში, ონში, ცხინვალში, ქუთაისში, ახალციხეში, ახალქალაქსა და ბათუმში). ორგანიზაციის ხელშეწყობით შეიქმნა კოლმეურნეობები, სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობები და სარეწაო არტელები (მაგალითად, კულაშში: არტელები „პირველი მაისი“, „საბჭოთა კულაში“, „შრომის გმირი“ და სხვა (ასს ცსა, ფ. რ-117, ან. 1, ს. 1, ფ. 1).

1930-იანი წლების დასაწყისის ქართულ ოფიციალურ დოკუმენტაციაში რუსული აბრევიატურის - ОЗЕТ-ის ქართულ ექვივალენტად გამოიყენებოდა აბრევიატურა „მემსი“ -მშრომელ ებრაელთა მიწათმომწყობი საზოგადოება (ასს ცსა, ფ. 117, ან. 1, ს. 1, ფ. 14).

აღნიშნული ინსტიტუციების საქმიანობის შესწავლა განსაკუთრებით ღირებულია აჭარის საარქივო სამმართველოში დაცული ფონდი №117-ის მასალების საფუძველზე. ფონდი აერთიანებს 58 საქმეთა ერთეულს, ქრონოლოგიური ჩარჩო კი მოიცავს 1929–1938 წლებს. ეს დოკუმენტები კომპლექსურად წარმოაჩენს როგორც ორგანიზაციულ, ისე სოციალურ, ეკონომიკურ, ფინანსურ და იდეოლოგიურ პროცესებს საქართველოსა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში. საარქივო მასალების ანალიზი საშუალებას იძლევა სიღრმისეულად შეფასდეს 1930-იან წლებში მიწაზე მშრომელი ებრაელების დამხმარე საზოგადოების აჭარის საოლქო ორგანიზაციის („აჭარ-ოზეთის“) საქმიანობის მრავალმხრივი სპეციფიკა. საარქივო დოკუმენტები აშკარად წარმოაჩენს ორგანიზაციის ფუნქციურ ევოლუციას, რომელიც იდეოლოგიური და მიგრაციული ინიციატივებიდან დაიწყო და ადგილობრივი აგრარული, ინფრასტრუქტურული და სოციალური პროექტების რეალიზაციით გაგრძელდა (ასს ცსა, ფ. 117, ან. 1, ან. 1, ს. 43).

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ორგანიზაციული სტრუქტურა, მართვის მოდელი და საკადრო პრობლემები. 30-იანი წლების დასაწყისში „სრულიად საკავშირო ებრაელი მშრომელების მიწათმოწყობის საზოგადოება“ (ОЗЕТ) წარმოადგენდა საბჭოთა სახელმწიფოს მიერ მართულ ეთნო-სოციალურ ინსტიტუციას, რომლის საქმიანობა უმაღლეს სახელმწიფო დონეზე იყო მხარდაჭერილი (ასს ცსა, ფ. 117, ან. 1, საქმ. 1, ფ. 6), რასაც ადასტურებს საქართველოსა და აჭარის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის (ცაკ-ის) თავმჯდომარეების: ფილიპე მახარაძისა და ზაქარია ლორთქიფანიძის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტები (ასს ცსა, ფ. 117, ან. 1, ს. 1, ფ. 14). ეს ადასტურებს, რომ ხელისუფლების პირველი პირები პირდაპირ იყვნენ ჩართულნი „მემსი/ოზეთის“ საფინანსო-პროპაგანდისტულ კამპანიებში.

საარქივო დოკუმენტების ანალიზი აჩვენებს, რომ „გრუზოზეტი“ მკაცრად ცენტრალიზებული სისტემით იმართებოდა. ხელმძღვანელ ორგანოს წარმოადგენდა ცენტრალური საბჭო, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ თავმჯდომარის მოადგილე ლენსკი, საქმეთა მმართველი ჭელიძე და საორგანიზაციო სექტორის ხელმძღვანელი თაფლიშვილი. მათ მიერ გამოცემული ცირკულარები და ინსტრუქციები სავალდებულო შესასრულებელი იყო ადგილობრივი განყოფილებებისთვის, მათ შორის ბათუმისა და აჭარის ორგანიზაციისთვის, რომელსაც ა. თაფლიშვილი და ი. გრიგოროვი ხელმძღვანელობდნენ (ასს ცსა, ფ. 117, ან. 1, ს. 11, ფ. 1–4). „გრუზ-ოზეთის“ საბალანსო კომისიას (თბილისი) 1937–1938 წლებში ხელმძღვანელობდა კაკიტელაშვილი (ჩიბუხჩიანი — მდივანი; კელბაქიანი, როზენფელდი, ხაზანი — წევრები) (ასს ცსა, ფ. 117, ან. 1, ს. 58, ფ. 60, 64).

საარქივო წყაროები საშუალებას იძლევა აღდგეს ბათუმის ურბანული ისტორიის დეტალები და ორგანიზაციის ადგილობრივი ხელმძღვანელი შემადგენლობა. ორგანიზაციის ადმინისტრაციული ცენტრი მდებარეობდა ქ. ბათუმში, ორჯონიკიძის ქუჩა №33-ში, ხოლო სამართლებრივი დავები ბათუმის სახელმწიფო არბიტრაჟს ექვემდებარებოდა (ასს ცსა, ფ. 117, ან. 1, ს. 58, ფ. 216). უშუალოდ „აჭარ-ოზეტს“ ხელმძღვანელობდა პრეზიდიუმის ორი თავმჯდომარე - ლენსკი (ასს ცსა, ფ. 117, ან. 1, ს. 58, ფ. 9) და ფელდმანი (ასს ცსა, ფ. 117, ან. 1, ს. 58, ფ. 40); თავმჯდომარის მოადგილე იყო ფენსკი (ასს ცსა, ფ. 117, ან. 1, ს. 58, ფ. 7), მთავარი ბუღალტრები - კუშაკოვი (ასს ცსა, ფ. 117, ან. 1, ს. 58, ფ.

9, 60) და ნოსნიკოვი (ასს ცსა, ფ. 117, ან. 1, ს. 58, ფ. 7, 9), ბუღალტერი - გუბერტი (ასს ცსა, ფ. 117, ან. 1, ს. 58, ფ. 2); ეკონომისტი - შავიშვილი (ფ. 117, ან. 1, ს. 58, ფ. 40).

აჭაროზეთის სტრუქტურა ორ ძირითად რეგიონულ ერთეულს ეფუძნებოდა:

1. ბათუმის განყოფილება - სადაც თავმოყრილი იყო გადამამუშავებელი და დამხმარე საწარმოო სიმძლავრეები: ნიკელირების საამქრო, ქაღალდის ჭრის წარმოება, დაფასოების ხაზი და სავაჭრო ჯიხურები (ასს ცსა, ფ. 117, ან. 1, ს. 58, ფურც. 60, 62);
2. ქობულეთის განყოფილება - რომელიც პასუხისმგებელი იყო აგრარული ნედლეულის მიღებასა და პირველად დამუშავებაზე (ასს ცსა, ფ. 117, ან. 1, ს. 58, ფურც. 60, 61).

„აჭაროზეტი“ პირდაპირ ექვემდებარებოდა „გრუზოზეტის“ ცენტრალურ ხელმძღვანელობას. დაწესებული იყო ყოველთვიური ანგარიშგების წარდგენა (ყოველი თვის 5 რიცხვამდე), რაც ემსახურებოდა რეგიონული სტრუქტურის სრულ ოპერატიულ დაქვემდებარებას (ასს ცსა, ფ. 117, ან. 1, ს. 43, ფ. 152). პრეზიდიუმის გადაწყვეტილებები მიიღებოდა რესპუბლიკური ცენტრიდან მიღებული დირექტივებისა და ტელეგრამების საფუძველზე. 1932 წლის 16 აგვისტოს სხდომაზე, სსრკ სახელმწიფო ბანკთან ფინანსური ანგარიშვალდებულების გამკაცრების მიზნით, ფინანსურ დოკუმენტებზე პასუხისმგებელ პირად ოფიციალურად დამტკიცდა ბუღნიკი, რაც საბჭოთა ფინანსური კონტროლის სისტემის გაძლიერებაზე მიუთითებს (ასს ცსა, ფ. 117, ან. 1, ს. 11, ფურც. 5–7).

1930-იანი წლების დასაწყისში ხელისუფლება ატარებდა ე.წ. „კორენიზაციის“ (ადგილობრივ ბაზისზე მორგების) პოლიტიკას. საკავშირო ცენტრალური კომიტეტის მიერ გამოგზავნილი ინსტრუქციები დაუყოვნებლივ უნდა თარგმნილიყო ქართულ ენაზე. იგი დაიბეჭდებოდა და დაეგზავნებოდა საქართველოს რეგიონულ და ადგილობრივ ორგანიზაციებს. ცენტრალური დირექტივების ეფექტური გატარებისთვის აუცილებელი იყო ადგილობრივი ენობრივი კონტექსტის გათვალისწინება (ასს ცსა, ფ. 117, ან. 1, ს. 1, ფურც. 14).

საკონტროლო ციფრების შესრულება პირდაპირ უკავშირდებოდა „ლენინურ-სტალინურ ეროვნულ პოლიტიკას“. ეს მიუთითებს, რომ 1936 წლისთვის „ოზეტი“ უკვე სრულად იყო ინტეგრირებული საბჭოთა

პარტიულ-სახელმწიფოებრივ აპარატში და მისი საქმიანობა წმინდა სოციალურ-ეკონომიკური დახმარებიდან გადასული იყო იდეოლოგიურ-პოლიტიკურ მობილიზაციაზე (ასს ცსა, ფ. 117, ან. 1, ს. 43, ფურც. 152).

საბჭოთა ხელისუფლება „ოზეთს“ იყენებდა ორმაგი მიზნით: ა. სოციალ-ეკონომიკური: ებრაული მოსახლეობის ჩაბმა სოციალისტურ სექტორში (სოფლის მეურნეობასა (კოლმეურნეობები) ინდუსტრიულ არტელებში) და ბ. იდეოლოგიური: ბრძოლა ანტისემიტიზმთან, „ბურჟუაზიულ ნაციონალიზმთან“ და მშრომელთა ინტერნაციონალური აღზრდისათვის [მამულია, 2015: 88–92].

„აჭარ-ოზეტი“ ცდილობდა არა მხოლოდ ფიზიკურ პირთა, არამედ მთელი სახელმწიფო დაწესებულებებისა და საწარმოების ჩართვას („იურიდიული წევრობა“). ამისთვის საჭირო ხდებოდა მასობრივი აგიტაცია ქართულ, რუსულ და ებრაულ ენებზე გამოცემული წიგნებითა და პლაკატებით (ასს ცსა, ფ. 117, ან. 1, ს. 43, ფურც. 7).

დოკუმენტებში განსაკუთრებული ადგილი ეთმობა საწევრო პოლიტიკასა და შიდა დისციპლინას. პირველადი უჯრედები იქმნებოდა საწარმოებში, კოლმეურნეობებსა და სახელმწიფო დაწესებულებებში. თითოეულ უჯრედს ჰყავდა თავმჯდომარე, მდივანი და საწევრო შენატანების შემგროვებელი. საწევრო შენატანი წელიწადში 1 მანეთსა და 20 კაპიკს შეადგენდა, ხოლო მიღებული თანხების მნიშვნელოვანი ნაწილი ცენტრალურ საბჭოს ეგზავნებოდა. „ოზეტის“ დაფინანსების მთავარი წყარო იყო არა მხოლოდ სახელმწიფო სუბსიდიები, არამედ იურიდიული წევრების (საწარმოების, დაწესებულებების) შენატანები და საწევროები. ამ სფეროში არსებული „ქაოსური მდგომარეობა“ საფრთხეს უქმნიდა ორგანიზაციის მიერ დაგეგმილ აგრარულ და კულტურულ პროექტებს (ასს ცსა, ფ. 117, ან. 1, ს. 43, ფურც. 152).

ადმინისტრაციული კონტროლი: 1933 წლის პრეზიდიუმის ოქმებიდან ირკვევა, რომ სამკერვალო ფაბრიკისა და 41-ე ბატარეის უჯრედების მუშაობა არადამაკმაყოფილებლად შეფასდა, რის გამოც პასუხისმგებელი პირების მიმართ გამოყენებულ იქნა დისციპლინური ზომები, მათ შორის საქმის სამხედრო კომისარიატსა და პარტიულ ორგანოებში გადაცემა (ასს ცსა, ფ. 117, ან. 1, ს. 14, ფ. 4–5).

ორგანიზაციული საქმიანობისა და კოლექტივიზაციის პროექტების დასაფინანსებლად „ოზეტი“ აქტიურად იყენებდა მასობრივ საფი-

ნანსო კამპანიებს, კერძოდ სრულიად საკავშირო ლატარიებს. 1932 წელს ჩატარებული IV ოზეთ-ლატარია ეფუძნებოდა მკაცრ სახელშეკრულებო და ბიუროკრატიულ სისტემას. ცენტრალური „ლოტკომი“ დებდა ოფიციალურ ხელშეკრულებებს ადგილობრივ უჯრედებთან, სადაც გაწერილი იყო ბილეთების მიღებისა (1932 წლის 15 აგვისტო) და სრული ფინანსური ანგარიშსწორების მკაცრი ვადები (15 ნოემბერი). გეგმის გადაჭარბებით შესრულებისთვის უჯრედებს ეძლეოდათ 5%-იანი ფინანსური წახალისება. კამპანიაში ჩართული იყვნენ ფაბრიკა-ქარხნების ადგილობრივი კომიტეტები, პიონერული ორგანიზაციები და სკოლები (ასს ცსა, ფ. 117, ან. 1, ს. 1, ფურც. 6).

1934–1936 წლების ანგარიშები (ასს ცსა, ფ. 117, ან. 1, ს. 44, ფურც. 1–10) ასახავს 1930-იანი წლების საბჭოთა „ინტერნაციონალურ“ და ეთნო-სოციალურ ინჟინერიას. „ოზეტი“ ფორმალურად ებრაელთა მიწათმოწყობისა და ბირობიჯანის ავტონომიის მხარდასაჭერად შექმნილი სტრუქტურა იყო, თუმცა აჭარაში მისი წევრების უმრავლესობას არაებრაელი მოსახლეობა შეადგენდა, რაც ხაზს უსვამდა ორგანიზაციის მასობრივ-პოლიტიზებულ ხასიათს. 1936 წლის მონაცემებით, ორგანიზაციის 65 უჯრედში 5,031 წევრი იყო გაერთიანებული. მათგან უმრავლესობა - 3,199 მოსამსახურე იყო, ხოლო კოლმეურნე — მხოლოდ 32. უმრავლესობას (3,852) ქალები შეადგენდნენ. ეთნიკური თვალსაზრისით, საკუთრივ ებრაელები უმცირესობაში იყვნენ (ქართველი ებრაელი - 188, რუსი ებრაელი - 417), ხოლო დანარჩენს შეადგენდნენ ქართველები (1,143), სომხები (701), რუსები (1,412) და ა.შ. საინტერესოა, რომ დოკუმენტში აჭარლები (9,808 სული) მოხსენებულია ცალკე ეთნიკური კატეგორიის სახით რუსების, სომხებისა და ქართველების კონტექსტში (ასს ცსა, ფ. 117, ან. 1, ს. 44, ფურც. 1–10).

ებრაული მოსახლეობის აგრარიზაცია და კოლექტივიზაცია. საბჭოთა ხელისუფლების ერთ-ერთ მთავარ ეკონომიკურ ამოცანას წარმოადგენდა ებრაული მოსახლეობის ტრადიციული სავაჭრო-ხელოსნური საქმიანობიდან სოფლის მეურნეობაში გადაყვანა. საქართველოს „გრუზოზეტის“ IV ყრილობის მასალები (1934 წ.) ცხადყოფს, რომ 1931–1934 წლებში საქართველოში მოქმედ ებრაულ კოლმეურნეობებში მოსახლეობის რაოდენობა 1,428-დან 2,314 ადამიანამდე გაიზარდა, ხოლო შესრულებული შრომადღეების რაოდენობა თითქმის გაორმაგდა. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა ტირიფონის (გორის რაიონი),

ქუთაისის, წითელგორასა და ქობულეთის კოლმეურნეობების განვითარებას (ასს ცსა, ფ. 117, ან. 1, ს. 21, ფურც. 14).

აგრარული პოლიტიკა მხოლოდ მიწის განაწილებით არ შემოიფარგლებოდა. „გრუზოზეტი“ მნიშვნელოვან ფინანსურ დახმარებას უწევდა კოლმეურნეებს: ტირიფონში, სურამში, ქუთაისსა და ახალციხეში სასოფლო-სამეურნეო განვითარების მიზნით 126 ათას მანეთზე მეტი ოდენობის სესხი გაიცა (ასს ცსა, ფ. 117, ან. 1, ს. 21, ფურც. 4–14).

დასავლეთ საქართველოში ებრაელთა აგრარიზაციის ერთ-ერთ უმსხვილეს ცენტრად (1937–1942 წწ.) ჩამოყალიბდა ხობის კოლმეურნეობა, რომლის ფართობი იყო 720 ჰა. კოლმეურნეობაში ცხოვრობდა 107 კომლი (250 შრომისუნარიანი ადამიანი) (ასს ცსა, ფ. 117, ან. 1, ს. 43, ფურც. 67). ხობის ებრაულ კოლმეურნეობაში განხორციელდა მნიშვნელოვანი კაპიტალდაბანდება: დაჭაობებული მიწების მელიორაცია, სამელიორაციო არხების გაყვანა და კრამიტით დახურული სტანდარტული საცხოვრებელი სახლების მშენებლობა, რაც პროექტის სტრატეგიულ მნიშვნელობაზე მიუთითებს (ასს ცსა, ფ. 117, ან. 1, ს. 43, ფურც. 67, 68).

აჭარის რეგიონში ებრაული კოლმეურნეობის ძირითად აგრარულ მიმართულებას ჩაის კულტურის მოვლა-მოყვანა და ბოსტნეული მეურნეობა შეადგენდა. 1935 წლის გაზაფხულის ანგარიშებში ხაზგასმულია საგაზაფხულო თესვისა და ჩაის პლანტაციების დამუშავების (გასხვლა, სასუქის შეტანა) გეგმური მიმდინარეობა. აჭარისა და ახალციხის რეგიონებში (ასს ცსა,) აქტიურად ფინანსდებოდა სოფლის მეურნეობა: ხურმის პლანტაციების გაშენება (4 ჰექტარზე), გამწევი ძალის (ცხენების) შესყიდვა და მუშახელის მობილიზება (მაგალითად, კულაშიდან) (ფ. 117, ან. 1, ს. 30, ფ. 64, 69). ახალციხის ებრაული კოლმეურნეობის შემთხვევაში დასტურდება მოსავლიანობის მკვეთრი ზრდა (260%-ით) (ასს ცსა, ფ. 117, ან. 1, ს. 30, ფურც. 69), რაც მოითხოვდა ლოჯისტიკური არეალის გაფართოებას.

ჩაის კულტურის გაშენებასთან დაკავშირებით 1934–1936 წლების ანგარიშში მთავარი აქცენტი ახალი, ყამირი მიწების ათვისებასა და უკრაინიდან ებრაელი მოსახლეობის ჩამოყვანაზე კეთდებოდა (ასს ცსა, ფ. 117, ან. 1, ს. 44, ფ. 1–10). „ოზეტი“ შემადგენლობით მრავალეთნიკური იყო. 1935 წლის 5 მარტის აჭაროზეტის სხდომის ოქმის მიხედვით ფიგურირებს სხვადასხვა ეთნიკური წარმომავლობის გვარები: დავა-

რაშვილი, ზლატოპოლსკი, ბრონშტეინი, ვლასენკო, ბოროვოი, ვარშავსკი, დადაშაძე, ლოკატელუკი, გილერი. ეს ნათლად ასახავს კოლმეურნეობის სპეციფიკას, სადაც ადგილობრივი და გადმოსახლებული მოსახლეობა ერთობლივად საქმიანობდა (ასს ცსა, ფ. 117, ან. 1, ს. 29, ფ. 62). მოთხოვნილი ინვენტარი (ჩაის ფორმირების დანა, 30 კალათა, სადგამი ჩაისთვის) მიუთითებს, რომ კოლმეურნეობა აქტიურად იყო ჩართული აჭარის რეგიონისთვის პრიორიტეტულ სექტორში — ჩაის წარმოებაში (ასს ცსა, ფ. 117, ან. 1, ს. 29, ფურც. 62).

უკრაინიდან (ოდესა) ჩამოსახლებული ებრაელების მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობები საკმაოდ მძიმე იყო. ეს ჩანს კოლმეურნე ჩესნოვეცკის განცხადებიდანაც (ასს ცსა, ფურც. 117, ან. 1, ს. 25, ფ. 18–23). თვალსაჩინოა ბათუმის ებრაულ კოლმეურნეობებში არსებული მატერიალური კოლმეურნეობის თავმჯდომარე ზაიდულინის ბინის გაძარცვა (სადაც პირად ნივთებთან ერთად კოლმეურნეობის დოკუმენტაციაც დაიკარგა) და „აჭარ-ოზეტის“ მიერ ქობულეთის კოლმეურნეებისთვის 2 500 მანეთის გადაუდებელი სუბსიდია აჩვენებს, რომ კოლმეურნეები შრომადღეებით მინიმალურ საარსებო მინიმუმსაც ვერ გამომუშავებდნენ (რის გამოც საჭირო გახდა ფიქსირებული 5-მანეთიანი დღიური ტარიფის შემოღება) (ასს ცსა, ფ. 117, ან. 1, ს. 43, ფურც. 21, 22, 23, 32). ილია ელგუდაშვილის განცხადება თვალსაჩინოდ ასახავს იმ პერიოდის რეალურ ყოველდღიურობას. 1930-იანი წლების ინდუსტრიალიზაციისა და სოციალური გარდაქმნების პარალელურად, ახალგაზრდობა და მოსახლეობის ნაწილი ელემენტარული საარსებო საშუალებისა და საკვების მწვავე დეფიციტს განიცდიდა, ხოლო „ოზეტი“ ითავსებდა სოციალური მზრუნველობის ფუნქციასაც (ასს ცსა, ფ. 117, ან. 1, ს. 43, ფურც. 19).

„აჭარ-ოზეტის“ სამეურნეო-ინდუსტრიული საქმიანობა და საკავშირო კავშირები. საარქივო დოკუმენტები მოწმობს, რომ „ოზეთი“ არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ აგრარული სექტორით. ორგანიზაცია აქტიურად ავითარებდა მცირე ინდუსტრიასა და კომერციულ საქმიანობას. გამოიკვეთა ებრაული მოსახლეობის (განსაკუთრებით ღარიბი ფენის) პროფესიულ მომზადებასა და საწარმოო საქმიანობაში (ზეინკლობა, მესაათეობა, კოლმეურნეობები) ჩართვის მცდელობა (ასს ცსა, ფ. 117, ან. 1, ს. 32, ფურც. 1, 2, 4, 5). „აჭაროზეტს“ ჰქონდა მრავალპროფილური (დივერსიფიცირებული) მცირე/საშუალო ინდუსტრიული ბაზა

ბათუმსა და აჭარის რეგიონში, საკუთრივ: დაფასოების საამქრო (დაფასოებული სახამებელი, სოდა, ქაღალდის შეფუთვები), ქიმიური წარმოება (ასფალტის ლაქი, საპოხი ზეთი/ცხიმი), შტამპვისა და ნიკელირების საამქროები, ხე-ხერხვის საამქრო. ამზადებდნენ აგრეთვე: ტრიკოტაჟს, პარკეტს, სააფთიაქო პროდუქციას, მანდარინის ყუთების ტარას.

ხე-ხერხვის საამქროს მთავარ პროდუქციას შეადგენდა 82.5 ათასი მანდარინის ყუთის ტარა და 140 ათასი სახამებლის ყუთი. ეს პირდაპირ უკავშირდებოდა აჭარის რეგიონის მთავარ სპეციალიზაციას - ციტრუსების მოსავლის აღებას, შეფუთვასა და სსრკ-ის სხვა რეგიონებში ტრანსპორტირებას (ასს ცსა, ფ. 117, ან. 1, ს. 56, ფურც. 1, 2, 3). ეს ადასტურებს, რომ აჭარა მხოლოდ ჩაისა და ციტრუსის ბაზა კი არ იყო, არამედ აქტიურად ვითარდებოდა ადგილობრივი ნარჩენების გადამამუშავებელი მცირე ინდუსტრიაც.

1930-იანი წლების საბჭოთა ინდუსტრიალიზაციის ერთ-ერთი მთავარი დევიზი იყო საწარმოო ნარჩენების მაქსიმალური გამოყენება. „აჭაროზეთმა“ კაპიტალდაბანდებების გარეშე, შიდა რესურსებით მოაწყო ნარჩენების ხელმეორედ გამოყენებასა და გადამუშავებაზე დაფუძნებული ნიკელირებისა და საცობების საამქროები. საცობების საამქროში ნედლეულად გამოიყენეს მუყაოს ქაღალდის ნარჩენები, ფანერისა და მუხის ნარჩენებისგან მზადდებოდა მარაოები (ასს ცსა, ფ. 117, ან. 1, ს. 56, ფურც. 27), მუხის ანათალისგან - პარკეტი და ტარის კომპლექტი. ყოველივე ეს თვითღირებულებას მინიმუმამდე ამცირებდა და საწარმოს მარჟას ზრდიდა (ასს ცსა, ფ. 117, ან. 1, ს. 52, ფ. 177; ს. 56, ფურც. 27).

„აჭარ-ოზეტის“ არ იყო მხოლოდ ლოკალური ორგანიზაცია. საწარმოს პროდუქცია გადიოდა საკავშირო ბაზარზე. ორგანიზაციას მჭიდრო ეკონომიკური კავშირი ჰქონდა დნეპროპეტროვსკის საოლქო ბაზა „ოპტობაკალეასთან“, სადაც აგზავნიდა დაფნის ღეროსა და ფოთოლს (ასს ცსა, ფ. 117, ან. 1, ს. 58, ფ. 7). 1937 წლის 29 ოქტომბრის №22 სავაჭრო ხელშეკრულებით, „აჭარ-ოზეთმა“ იკისრა ვალდებულება სევასტოპოლის საქალაქო ვაჭრობისთვის („სევგორტორგი“) მიეწოდებინა ექვსწახნაგა და მოხატული „მარაოს ჯოხები“ (ასს ცსა, ფ. 117, ან. 1, ს. 58, ფურც. 216). ოზეტი აწარმოებდა ატურალური ღვინის ექსპორტაც: „გრუზოზეტის“ შვილობილი მეურნეობის — „ახალი გზისს“ მიერ წარმოებული ნატურალური ღვინო იგზავნებოდა რუსეთის ქალაქებში (ნო-

გინსკი, რიაზანი, პავლოვ-პოსადი, ლენინგრადი) (ასს ცსა, ფ. 117, ან. 1, ს. 21, ფ. 24; ს. 22, ფურც. 1–სახამებლის შესასყიდად ხელშეკრულება გაფორმებული ჰქონდათ ბაქოს არტელთან, რაც სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკებს (აზერბაიჯანსა და საქართველოს) შორის არსებული საწარმოო კოოპერაციის ნათელი მაგალითია (ასს ცსა, ფ. 117, ან. 1, ს. 46, ფურც. 1–3).

ორგანიზაცია აქტიურად იყენებდა ბათუმის საბაჟოზე კონფისკებული ან შეძენილი საათების მექანიზმებს და ნაწილებს (3,402 მანეთის ოდენობით), რომლებიც ბათუმის სექტორის მიერ ადგილობრივი სახელოსნოებისა და წვრილი წარმოების განვითარებისათვის გამოიყენებოდა (ასს ცსა, ფ. 117, ან. 1, ს. 21, ფ. 23).

მნიშვნელოვანი იყო აგრარული სექტორის სუბსიდირება. საწარმოო მოგებიდან გამოყოფილი თანხები ადგილობრივი ებრაული კოლმეურნეობისთვის მუშა პირუტყვის შესაძენად გამოიყენებოდა. ეს ფაქტი ადასტურებს, რომ ინდუსტრიული შემოსავლები პირდაპირ ხმარდებოდა აგრარული სექტორის განმტკიცებას (ასს ცსა, ფ. 117, ან. 1, ს. 24, ფურც. 22–23).

ყურადღებას იქცევს საბჭოთა ეკონომიკური სისტემის დაგეგმვის მეთოდოლოგიის ტექნოლოგიური ინოვაციების და სტრუქტურული კრიზისების ამსახველი დოკუმენტები (ასს ცსა, ფ. 117, ან. 1, ს. 45, ფურც. 1, 4). დოკუმენტებში წარმოდგენილი ცხრილები და განმარტებითი ბარათები ასახავს გეგმური ეკონომიკის კლასიკურ სტრუქტურას. საწარმო ადგენდა დეტალურ ცხრილებს (ფორმები №1-დან №9-მდე), სადაც გაწერილი იყო პროდუქციის ფაქტობრივი და დაგეგმილი მოცულობა (ნატურითა და ფულით), ნედლეულის ხარჯი, შრომის ნაყოფიერება, სახელფასო ფონდი, თვითღირებულება და მოგების მარჟა.

საბჭოთა სახელმწიფო დეტალურად აკონტროლებდა არტელებისა და სამრეწველო კოოპერაციის საქმიანობას. თათბირებზე წყდებოდა ისეთი წვრილმანი საკითხებიც კი, როგორიცაა მარაოს, ქუდის, მოსწავლის ჩანთისა თუ სახამებლის ფასი და ხარისხი. ნიშანდობლივია ეკონომიკაში ძალოვანი სტრუქტურების მონაწილეობაც: შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს ჰქონდა საკუთარი კომერციულ-საწარმოო ინფრასტრუქტურა -ინდივიდუალური შეკერვის სახელოსნოები და სხვა (ასს ცსა, ფ. 117, ან. 1, ს. 41, ფურც. 1, 9).

წარმოების მოცულობა გამოითვლებოდა როგორც ნატურალურ გამოსახულებაში (ცალობით), ისე ღირებულებითში (მანეთებში). მასში დეტალურად იყო გაწერილი არა მხოლოდ საბოლოო პროდუქცია, არამედ დამხმარე ხარჯებიც (სარემონტო საამქრო, ტრანსპორტი, ადმინისტრაციული ხარჯები). ეს მიუთითებდა საწარმოში თვითღირებულების დათვლისა და კონტროლის მკაცრ სისტემაზე (ასს ცსა, ფ. 117, ან. 1, ს. 51, ფურც. 3). 1933–1937 წლების მეორე ხუთწლიანი გეგმა წარმოდგენილი იყო კვარტლებად და თვეებად, "გეგმის გადაჭარბებით შესრულების" მონიტორინგის მიზნით (ასს ცსა, ფ. 117, ან. 1, ს. 51, ფურც. 3).

„აჭაროზეტის“ ეკონომიკური საქმიანობის მთავარ საყრდენს დასავლეთ საქართველოში დამზადებული დაფნის (დაფნის ღეროსა და ფოთლის) გადამუშავება წარმოადგენდა (ასს ცსა, ასს ცსა, ფ. 117, ან. 1, ს. 58, ფურც. 38, 68). უმნიშვნელოვანეს ამოცანად რჩებოდა სუბტროპიკული მეურნეობის ტექნოლოგიური გადაიარაღება. 1938 წლისათვის დაინერგა ტექნოლოგიური ინოვაცია - დაფნის ღეროს (ნარჩენის) გადამუშავება სპეციალური თვითმჭრელი აპარატით, რამაც საწარმოს საშუალება მისცა ნედლეულის თვითღირებულება 4 რუბლიდან 1.90 რუბლამდე შეემცირებინა (ასს ცსა, ფ. 117, ან. 1, ს. 56, ფურც. 34). ამ ინოვაციამ და სარეალიზაციო ხელშეკრულებების ეფექტურმა მართვამ 1938 წლის I კვარტალში მკვეთრი ნახტომი უზრუნველყო. საწარმოო გეგმა 149.2%-ით შესრულდა, ხოლო წარმოების მოცულობა 2.5-ჯერ გაიზარდა (ასს ცსა, ფ. 117, ან. 1, ს. 56, ფურც. 38). ხელით შრომიდან მექანიზებულზე გადასვლა (ბათუმში შეძენილი ელექტროძრავებით) პროდუქტიულობას ორჯერ ზრდიდა (ასს ცსა, ფ. 117, ან. 1, ს. 52, ფურც. 1, 2, 22–24).

წარმოების მოცულობის ზრდამ (1938 წლის გეგმის 1 მილიონ მანეთამდე გაზრდა) გამოიწვია მმართველი აპარატის გაფართოება (ასს ცსა, ფ. 117, ან. 1, ს. 56, ფ. 30). საშტატო განრიგში დაემატა ახალი ერთეულები: საცობების საამქროს პერსონალი (4 კაცი), დარაჯები და დამლაგებლები, მთავარი ბუღალტრის მოადგილე. სტალინური ეკონომიკური მოდელის პირობებში ბუღალტერიის როლის გაძლიერება პირდაპირ უკავშირდებოდა მატერიალურ-ფინანსური აღრიცხვის მკაცრ სახელმწიფო კონტროლს, სადაც აღრიცხვის უზუსტობა ან დაგვიანება სისხლის სამართლის დანაშაულად ითვლებოდა (ასს ცსა, ფ. 117, ან. 1, ს. 56, ფურც. 30). ამასთანავე, ზემდგომი ორგანოები („გრუზოზეტი“,

„გრუზსნაბობშჩესტვო“) მკაცრად აკონტროლებდნენ მასალების და საწვავის ლიმიტებს (ასს ცსა, ფ. 117, ან. 1, ს. 56, ფურც. 1, 4, 6).

საარქივო დოკუმენტები წარმოაჩენს სისტემურ გამოწვევებსა და კრიზისულ მოვლენებსაც. უპირატესად ეს გამოიხატებოდა ნედლეულის სეზონურობასა და კრედიტების დეფიციტში: დაფნის შეგროვება სეზონური ხასიათისა იყო და მაისში სრულდებოდა. 1938 წლის გეგმით გათვალისწინებული 100 ტონა დაფნის ფოთლის გამოსაშვებად, საწარმოს მაისშივე უნდა მოეხდინა უზარმაზარი ფინანსური რესურსის (280 ათასი მანეთი) მობილიზება (ასს ცსა, ფ. 117, ან. 1, ს. 58, ფურც. 68). საბრუნავი საშუალებების ქრონიკული დეფიციტი და საბანკო კრედიტებზე შეზღუდული წვდომა იწვევდა საწარმოო ციკლის შეფერხებას. საბანკო კრედიტების შეფერხებამ 1937 წელს გამოიწვია მძიმე კრიზისი - წარმოების შეჩერება, შრომის ნაყოფიერების დაცემა და ფინანსური დარღვევები - შრომის ანაზღაურების ფონდის 11.2%-იანი გადახარჯვა (ასს ცსა, ფ. 117, ან. 1, ს. 56, ფ. 34; ს. 58, ფურც. 7, 68).

ხარვეზები იყო ცენტრალიზებული მომარაგების სისტემაშიც. ქიმიური და დაფასოების სექტორი ვერ მუშაობდა სრული დატვირთვით ნედლეულის არარსებობის გამო, ხოლო შესყიდვების დიდი ნაწილი ხორციელდებოდა არაგეგმიურად (ასს ცსა, ფ. 117, ან. 1, ს. 37, ფურც. 54, 55). აჭაროზეტი ერთდროულად ცდილობდა საათების შეკეთებას, ხის ხერხვას, ფეხსაცმლის შეკეთებასა და ლითონის დამუშავებას. ამიტომაც საწარმოთა უმეტესობა დაიხურა გახსნიდან რამდენიმე თვეში (ასს ცსა, ფურც. 117, ან. 1, ს. 38, ფურც. 2–5). საწარმოები მთლიანად დამოკიდებული იყვნენ მსხვილ სახელმწიფო ქარხნებზე. მაგალითად, თბილისიდან თავს მოხვეული პროექტი (16–19 ათასი მანეთის კაპიტალდაბანდებით) სრული კოლაფსით დასრულდა, რადგან ადგილზე არ არსებობდა არც ნედლეული და არც ბაზარი (ასს ცსა, ფურც. 117, ან. 1, ს. 38, ფ. 2–5, 50).

პრობლემას ქმნიდა **ბიუროკრატიული რეგლამენტაცია და შრომის მკაცრი ნორმირება.** ნებისმიერი შტატისა თუ ხელფასის ფონდის გაზრდა მოითხოვდა სახკომფინის ოფიციალურ სანქცირებას (ასს ცსა, ფ. 117, ან. 1, ს. 37, ფურც. 55). 1936 წლის ბოლოს „გრუზ-ოზეტი“ გადადის საწარმოთა მართვის მკაცრად რეგლამენტირებულ, ცენტრალიზებულ სისტემაზე. „ზოგადი დებულება“ სამართლებრივ საფუძველს უქმნიდა ორგანიზაციის დაქვემდებარებაში მყოფ ყველა საწარმოს,

სძენდა მათ იურიდიული პირის სტატუსს და ავალდებულებდა სამეურნეო ანგარიშზე მუშაობას (ასს ცსა, ფ. 117, ან. 1, ს. 35, ფურც. 5–8).

სისტემურ გამოწვევას წარმოადგენდა პრობლემები შრომითი დისციპლინის სფეროში. საერთო კრების ოქმები ააშკარავებს შიდაორგანიზაციულ სირთულეებს - შრომითი დისციპლინის დარღვევებს, დაჯარიმებებსა და ჯარიმების ამნისტირებას პირობის დადების სანაცვლოდ. თითოეული ადამიანის შრომა ექვემდებარებოდა მკაცრ ნორმირებას; საოფისე/ტექნიკური პერსონალის (მბეჭდავების) შრომაც კი დეტალურად იყო ნორმირებული ნიშნების, სტრიქონების, ქაღალდის ტიპისა და შრიფტის მიხედვით (ასს ცსა, ფ. 117, ან. 1, ს. 31, ფურც. 1–6). დოკუმენტებში მკაფიოდ ჩანს ეპოქის იდეოლოგიური შტამპი (სტალინის ლოზუნგი „უზრუნველყოფილი ცხოვრების“ შესახებ) (ასს ცსა, ფ. 117, ან. 1, ს. 25, ფურც. 20).

„აჭაროზეტი“ საკუთარი საბიუჯეტო მექანიზმებით ახორციელებდა მნიშვნელოვან სოციალურ ღონისძიებებს. 1932 წლის ივლისის პრეზიდიუმის ოქმის მიხედვით, ორგანიზაციამ დააფინანსა 10-ბინიანი საცხოვრებელი სახლისა და საზოგადოებრივი აბანოს მშენებლობა (საერთო ღირებულება: 20 178,03 მანეთი), ხოლო საცხოვრებელი ფონდის გაუმჯობესებისთვის დამატებით 18 800 მანეთი გამოყო (ასს ცსა, ფ. 117, ან. 1, ს. 11, ფურც. 1–4). დასახლებებში შენდებოდა წყალსადენები, საბოსლეები და ტარდებოდა ანტიმალარიული ღონისძიებები (ქინაქინით მომარაგება) (ასს ცსა, ფ. 117, ან. 1, ს. 21, ფურც. 4–14).

კოლმეურნეობა გამოყოფდა სახსრებს არა მხოლოდ სამეურნეო საჭიროებებისთვის, არამედ წევრთა სოციალური მხარდაჭერისთვის (მაგ., ვარშავსკის ქორწინებასთან დაკავშირებით 100-მანეთიანი დახმარება) და ბავშვების სკოლაში ორგანიზებული ტრანსპორტირებისთვის. სტუდენტ იოსებ აბელევიჩის განცხადება ადასტურებს, რომ ორგანიზაცია აქტიურად ეხმარებოდა უპოვარ და ობოლ ახალგაზრდებს თბილისის უმაღლეს და საშუალო სასწავლებლებში სწავლის გაგრძელებასა და სტიპენდიით უზრუნველყოფაში (ასს ცსა, ფ. 117, ან. 1, ს. 43, ფურც. 23).

სოციალური ღონისძიებების განხორციელების მიუხედავად, არსებობდა გარკვეული ბიუროკრატიული ბარიერები. ამას ადასტურებს ორსული მუშა ქალის - უსოლცევას შემთხვევა. დეკრეტული ანაზღაურების მიღება დაკავშირებული იყო ბიუროკრატიულ წინაღობებთან და

ადგილობრივი მოხელეების სუბიექტურ განწყობებთან (ასს ცსა, ფ. 117, ან. 1, ს. 49, ფურც. 44, 45).

ორგანიზაცია გარკვეულწილად უწყობდა ხელს კადრების მომზადებას და განათლებას. „აჭარ-ოზეტის“ თანამშრომელთა სწავლა მაქსიმ გორკის სახელობის მუშათა უნივერსიტეტში ფინანსდებოდა ორგანიზაციის 1932 წლის მოგებიდან გამოყოფილი სტიპენდიური ფონდით, რაც განხორციელდა აჭარის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1932 წლის 17 დეკემბრის №5 დადგენილების საფუძველზე (ასს ცსა, ფ. 117, ან. 1, ს. 11, ფურც. 5–7).

„ბირობიჯანის პროექტი“ და იდეოლოგიური მობილიზაცია. 1930-იანი წლების შუა პერიოდში შორეულ აღმოსავლეთში ებრაული ავტონომიური ოლქის (ბირობიჯანი) შექმნამ დიდი გამოძახილი პოვა აჭარის ებრაულ მოსახლეობაშიც. დოკუმენტები მოწმობს, რომ ადგილობრივი სტრუქტურა („აჭაროზეტი“) აქტიურად აგროვებდა განაცხადებს და ცენტრისგან ითხოვდა ზუსტ რეგლამენტს (ასს ცსა, ფ. 117, ან. 1, ს. 43, ფურც. 5–7).

„გრუზოზეტმა“ „ბირობიჯანის პროექტთან“ დაკავშირებით, პროფკავშირებთან მჭიდრო თანამშრომლობით მასშტაბური პროპაგანდისტული კამპანია წამოიწყო, რაც რამდენიმე ძირითადი მიმართულებით განხორციელდა. უპირატესად ეს ეხებოდა პრესის გავრცელებას. პროფკავშირებს დაევალათ ჟურნალ „ტრიბუნასა“ და გაზეთ „ებრაელი კოლმეურნის“ („დერ ემეს“) ორგანიზებული გავრცელება. დელეგაციების მობილიზების მიზნით თბილისის მსხვილი საწარმოებიდან (მათ შორის, კალინინის სახელობის ქარხნიდან და რკინიგზის დეპოდან) ბირობიჯანში გაიგზავნა მუშა-კოლმეურნეთა ინტერნაციონალური დელეგაციები. ბირობიჯანის მშენებლობის დასახმარებლად გამოყოფილი იქნა ლატარიებიდან მიღებული სახსრები და 35 000 მანეთის ოდენობის პირდაპირი საბიუჯეტო ასიგნებები (ასს ცსა, ფ. 117, ან. 1, ს. 21, ფურც. 18, 25).

საბჭოთა ხელისუფლება „ოზეთს“ იყენებდა, როგორც ინსტრუმენტს შორეულ აღმოსავლეთში ებრაული ავტონომიური წარმონაქმნის ასაშენებლად. შემუშავებულ იქნა შეფობის დებულება, რომელიც ავალდებულებდა რეგიონულ ორგანიზაციებს (მათ შორის, „აჭაროზეტს“), რომ ადგილობრივი რესურსები, კადრები და ფინანსები მიემართათ ბირობიჯანისკენ ასს ცსა, ფ. 117, ან. 1, ს. 43, ფურც. 132–134).

საარქივო დოკუმენტებში ნათლადაა გამოკვეთილი პროპაგანდისტული და სამხედრო-სტრატეგიული ნარატივი. ფიჩხაძის მიმოხილვაში (ასს ცსა, ფ. 117, ან. 1, ს. 43, ფურც. 135–136) მკაფიოდ ჩანს ეპოქის იდეოლოგიური რიტორიკა. ბირობიჯანი წარმოჩენილია არა მხოლოდ ებრაელთა სოციალისტური მშენებლობის კერად, არამედ „წითელი არმიის ფორპოსტად“ იაპონიის საზღვართან.

ადგილობრივი პროფკავშირები მჭიდროდ თანამშრომლობდნენ „ოზეთთან“. ამის ნათელი მაგალითია ბათუმში გასტროლებზე მყოფი თეატრალური დასების ჩართვა ბირობიჯანის მხარდამჭერ კამპანიაში, რაც წარმოადგენდა საბჭოთა იდეოლოგიური აგიტაციისა და ფინანსური მობილიზაციის სტანდარტულ მექანიზმს (ასს ცსა, ფ. 117, ან. 1, ს. 43, ფურც. 32).

საარქივო მასალებში ყურადღებას იპყრობს იუდაიზმზე გადასული პირების სტატუსის განსაზღვრის საკითხი (ასს ცსა, ფ. 117, ან. 1, ს. 43, ფურც. 6). აღნიშნული დეტალი ასახავს საბჭოთა ბიუროკრატიული აპარატის სიძნელეებს გადასახლების სიების შედგენისას ეთნიკურ, რელიგიურ და იდეოლოგიურ კატეგორიებს შორის ზღვრის დადგენაში.

საარქივო დოკუმენტები ნათელ წარმოდგენას გვაძლევს ფინანსური მენეჯმენტის, ორგანიზაციული კრიზისისა და რეორგანიზაციის (1934–1936 წწ.) პრობლემატიკაზე. 1934 წლის წლიური ანგარიშები საშუალებას იძლევა შეფასდეს „აჭაროზეტის“ ადმინისტრაციულ-სამეურნეო მენეჯმენტი. საწარმოო ფრთის ადმინისტრაციულ მართვაზე დამტკიცებული იყო 18 764 მანეთი, ხოლო ფაქტობრივმა ხარჯმა 18 619,39 მანეთი შეადგინა. შენობების იჯარაზე ხარჯი გაიზარდა 63.0%-ით, ხოლო საფოსტო-სატელეფონო მომსახურებაზე - 40.4%-ით, რაც ახალი საწარმოო ობიექტების შექმნასა და ქსელის გაფართოებას უკავშირდებოდა. ეს ხდებოდა ხელფასების ეკონომიის პარალელურად. ხელფასზე დაფიქსირდა 1 688 მანეთის ეკონომია (-13.8%), რაც კადრების დეფიციტსა და შტატების არასრულ დაკომპლექტებაზე მიუთითებს (ასს ცსა, ფ. 117, ან. 1, ს. 27, ფურც. 7; ს. 28)

„აჭარ-ოზეთის“ 1934 წლის 11 თვის ფინანსური შემოწმების შედეგების საფუძველზე გამოცემული დადგენილების მიხედვით, საპარსავ/ტანინის საწარმოსა და ტყავის წარმოებაში მოგებამ (გასაყიდი ფასის თვითღირებულებასთან შეფარდებით) შეადგინა: სახამებელზე - 20%-მდე, საპონზე - 30%-მდე, ხოლო ტანინის წარმოებაზე - 17%-მდე.

წმინდა მოგებამ ფასების ხელოვნური გაბერვის ხარჯზე 1934 წლის სამ კვარტალში 50 724 მანეთი შეადგინა.

აშკარაა პროდუქციის მაღალი ფასები და მოსახლეობის დაბალი მსყიდველობითუნარიანობა. კომისია თითქმის ყველა პუნქტში უთითებს, რომ ფასები (ქუდებზე, ტრუსებზე, კიტელებზე, ზურგჩანთებზე) მაღალია და მოითხოვს მათ „ხელოვნურ“ შემცირებას. ამავე დროს გამოკვეთილია ხარისხობრივი დეფექტები - სარჩულის შეუსაბამობა ქსოვილთან („ცისკრა“), არასწორი ეტიკეტირება („შვეინიკი“) და ნაკეთობების მასობრივი წუნი (ასს ცსა, ფ. 117, ან. 1, ს. 41, ფურც. 2, 9). საბჭოთა კონტროლისა და საგამოძიებო ორგანოები ცდილობდნენ ამ დარღვევების გამოსწორებას პასუხისმგებელი პირების იდენტიფიცირებით, მკაცრი ფინანსური დაგეგმვითა და პირადი პასუხისმგებლობის შემოღებით (ასს ცსა, ფ. 117, ან. 1, ს. 29, ფ. 13). 1934 წლისათვის საწარმოო ჭარბ ფასნამატებთან დაკავშირებით ფასების ინსპექციამ დამნაშავეებს სამართლებრივი პასუხისმგებლობა დააკისრა (ასს ცსა, ფ. 117, ან. 1, ს. 29, ფურც. 13).

წლის განმავლობაში პროდუქტების მიხედვით ბრუნვის გადასახადის დინამიკამ წარმოაჩინა „ჭარბმოგებიანი“ დარგების - სახამებლისა და ტყავის წარმოების დომინანტური წილი (ასს ცსა, ფ. 117, ან. 1, ს. 29, ფურც. 2). ამასთან, გამოიკვეთა ადმინისტრაციული ხარჯების ზრდა დაგეგმილზე 2%-ით, რაც ხაზს უსვამს ფინანსური დისციპლინის სერიოზულ პრობლემებს (ასს ცსა, ფ. 117, ან. 1, ს. 29, ფურც. 3).

ავტორიტარულ-რეპრესიული პოლიტიკის მიუხედავად, ხშირი იყო დარღვევები საფინანსო დისციპლინის სფეროში. დაბალი იყო შიდა საბუღალტრო აღრიცხვის დონე, ადგილი ჰქონდა სალაროს ორდერების პოსტ-ფაქტუმ გამოწერას, ხელფასის გაცემას სათანადოდ დამოწმებული ტაბელებისა და უწყისების გარეშე და ბუღალტრის მიერ პირველადი დოკუმენტების თვითნებურ შედგენას. ყოველივე ეს მიუთითებს ფინანსური კონტროლის მოშლასა და საბიუჯეტო სახსრების არამიზნობრივი ხარჯვის მაღალ რისკზე. ზემდგომი ორგანოს მკაცრი გაფრთხილება იმის შესახებ, რომ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ გამოყოფილი 3 375 მანეთი იყო არა ადმინისტრაციის, არამედ მხოლოდ მუშების კუთვნილება, აჩვენებს ადმინისტრაციული აპარატის მხრიდან საწარმოო ფონდების მითვისების ან არამიზნობრივი ხარჯვის მცდელობებსზე (ასს ცსა, ფ. 117, ან. 1, ს. 38, ფურც. 93–95).

სისტემური ბუღალტრული ქაოსი მცირე საწარმოებში ააშკარავებს 1930-იანი წლების საბჭოთა მცირე კოოპერაციულ/საზოგადოებრივ სექტორში არსებულ კლასიკურ ბიუროკრატიულ პრობლემებს: სალაროს წიგნების არასათანადო წარმოებას, არალიკვიდური ნაშთების ბალანსზე ხელოვნურად შენარჩუნებას (რეალური ზარალის დაფარვის მიზნით) და შიდა კონტროლისა თუ ინვენტარიზაციის ფორმალურობას (ასს ცსა, ფ. 117, ან. 1, ს. 38, ფურც. 93–95).

1930-იანი წლების შუა ხანებში „აჭაროზეტის“ კრედიტორული დავალიანება 200%-ით გაიზარდა (8,76 ათას მანეთამდე). შესაბამისად, ორგანიზაციას 1935 წლის ბოლოსათვის შეექმნა ლიკვიდურობის სერიოზული პრობლემა. საბანკო ანგარიშებზე ნაღდი ფულის ნაკლებობამ გამოიწვია მომწოდებლებთან ანგარიშსწორების შეჩერება. ბალანსზე წლების განმავლობაში (1933 წლიდან) ირიცხებოდა ფიზიკური პირებისა და უკვე ლიკვიდირებული ორგანიზაციების დავალიანებები. საბუღალტრო აპარატი დროულად არ ახდენდა ამ თანხების სასამართლო/საარბიტრაჟო წესით ამოღებას ან ბალანსიდან ჩამოწერას. დოკუმენტებში დაფიქსირებული უზუსტობები ცენტრალურ ორგანოსთან ურთიერთანგარიშსწორებაში მიუთითებს იმაზე, რომ თბილისის მიერ გადმოცემული ქონება და სესხები ადგილზე არასათანადოდ აღირიცხებოდა, რაც იწვევდა ბალანსების აცდენას (ასს ცსა, ფ. 117, ან. 1, ს. 38, ფურც. 96–98).

1930-იანი წლების დასაწყისში სსრკ-ში გატარდა საბანკო რეფორმა. გაუქმდა კომერციული და ვექსელური კრედიტები და მოხდა გადასვლა პირდაპირ გეგმურ დაკრედიტებაზე სახელმწიფო ბანკის მეშვეობით. წარმოდგენილი დოკუმენტები მკაფიოდ ასახავს ამ მექანიზმს: საწარმო ვერ მიიღებდა საბრუნავ საშუალებებსა და სესხს, თუ წინასწარ არ წარადგენდა დეტალურად გაწერილ საკრედიტო განაცხადს (ასს ცსა, ფ. 117, ან. 1, ს. 45, ფურც. 47, 99). სახელმწიფო ბანკი არ იყო უბრალოდ ფულის გამცემი დაწესებულება; იგი ევლინებოდა საწარმოთა საქმიანობის მთავარ მეთვალყურედ, რომელიც ამოწმებდა პროდუქციის თვითღირებულებას, ნედლეულის მარაგებსა და სეზონურ ხარჯებს (ასს ცსა, ფ. 117, ან. 1, ს. 45, ფურც. 47, 99).

საბჭოთა გეგმურ სისტემაშიც კი არსებობდა სეზონურობის ფაქტორი. მაგალითად, ზამთარში მარაოებზე მოთხოვნა ვარდებოდა, თუმცა სახელშეკრულებო ვალდებულებების (30 000 ცალი) გამო წარმო-

ება ვერ ჩერდებოდა (ასს ცსა, ფ. 117, ან. 1, ს. 52, ფურც. 187). ზოგჯერ გამოიყენებოდა ჯვარედინი სუბსიდირების მოდელი: მაღალრენტაბელური საამქროები (საფასოებელი, ხე-ტყის) მოგებით ფარავდნენ სეზონურად ზარალიანი საამქროს დანაკარგს, ისე რომ საწარმო მთლიანობაში ინარჩუნებდა მაღალ მოგებას (ასს ცსა, ფ. 117, ან. 1, ს. 52, ფურც. 187).

მონაცემები ასახავს დასაქმებულთა ხელფასების მკვეთრ სტრატიფიკაციასა და საერთო გათანაბრებით პოლიტიკას. პერსონალის უმრავლესობა იღებდა 100 მანეთზე ნაკლებს და თავისუფლდებოდა გადასახადისგან. მხოლოდ ერთეულების (1–2 კაცი) ანაზღაურება აღემატებოდა 500 მანეთს. ეს სტრუქტურა აჩვენებს დაბალ, გათანაბრებულ სახელფასო სისტემას მცირერიცხოვან კოლექტივში (ასს ცსა, ფ. 117, ან. 1, ს. 29, ფურც. 5). 1936 წლის დოკუმენტებში ღიად არის აღნიშნული, რომ ხელფასი იყო დაბალი, რადგან შტატში აჰყავდათ მოსწავლეები, რომლებიც გამოცდილი ოსტატების მეთვალყურეობით ცვლიდნენ კვალიფიციურ მუშახელს. ეს იყო იმ პერიოდის ინდუსტრიალიზაციისთვის დამახასიათებელი იაფი სამუშაო ძალის მომზადების და გამოყენების პრაქტიკა (ასს ცსა, ფ. 117, ან. 1, ს. 45, ფურც. 1, 4).

გამოიკვეთა შრომის ანაზღაურების მკვეთრი ასიმეტრია საამქროების მიხედვით. დაფასოების საამქროში მუშა-მოსწავლის საშუალო დღიური ანაზღაურება სულ 1.70 რუბლს შეადგენდა (რადგან ძირითადად დაბალკვალიფიციური ან მოსწავლეთა შრომა გამოიყენებოდა), მაშინ როდესაც ქიმიურ საამქროში დღიური გამომუშავება 10.10 რუბლს აღწევდა. ეს ასახავს 1930-იანი წლების საბჭოთა სანარდო-პროგრესული ანაზღაურების სისტემას, სადაც მავნე ან მაღალკვალიფიციური შრომა უფრო მეტად ფასდებოდა. მუშები ხშირად მუშაობდნენ ფიქსირებული ნორმებისა და ტარიფების გარეშე (ასს ცსა, ფ. 117, ან. 1, ს. 46, ფურც. 1–3).

მაღალი იყო ადმინისტრაციული ხარჯებიც. მცირე გაერთიანებისთვის კანტორისა და ადმინისტრაციის სახელფასო ფონდი (5 610 რუბლი) საკმაოდ მაღალ წილს შეადგენდა (საერთო სახელფასო ფონდის თითქმის 23%), რაც დამახასიათებელი იყო იმ პერიოდის ბიუროკრატიზებული მართვის აპარატისთვის (ასს ცსა, ფ. 117, ან. 1, ს. 46, ფურც. 1–3).

საწარმოო გეგმა ყოველთვის ვერ სრულდებოდა. ჩავარდა 1935 წლის გეგმაც, რაც ადასტურებს დოკუმენტებში დაფიქსირებულ „საწარ-

მოო გეგმის არარსებობისა“ და მართვის კრიზისის პრობლემას. საწარმო ვერ ასრულებდა დაგეგმილ მოცულობებს, მიუხედავად შედარებით სტაბილური საკადრო შემადგენლობისა (ასს ცსა, ფ. 117, ან. 1, ს. 29). ცალკეულ საწარმოებში (მუყაოსა და ელექტრო-მექანიკური წარმოება) დაფიქსირდა მაღალი ზარალი, ტექნიკის კატასტროფული ცვეთა (20%-დან 90%-მდე) და პროდუქციის მასობრივი წუნი („ბრაკი“) (ასს ცსა, ფ. 117, ან. 1, ს. 30, ფურც. 67, 68).

გეგმის შეუსრულებლობა მჭიდროდ უკავშირდებოდა არარეალურ დაგეგმარებას. ამის დასტურია „აჭაროზეტის“ პრეზიდიუმის თავმჯდომარის დიკერმანისა და შავიშვილის მიერ „გრუზოზეტისადმი“ გაგზავნილი მკვეთრი პასუხი: *„თქვენი გეგმა არის არარეალური, დეზორგანიზაცია შეაქვს და უარს ვამბობთ ხელმოწერაზე“* (ასს ცსა, ფ. 117, ან. 1, ს. 52, ფურც. 46). ასეთი პოზიცია 1937 წლისთვის პიროვნული სიმამაცის ტოლფასი იყო. სტალინური ტერორის პერიოდში ზემდგომი ორგანოს დირექტივაზე უარის თქმა ან მისი დადანაშაულება „წარმოების დეზორგანიზაციაში“ შესაძლოა კვალიფიცირებულიყო, როგორც საბოტაჟი ან მავნებლობა. ეს გვიჩვენებს, თუ რამდენად დიდ რისკზე მიდიოდნენ ადგილობრივი მენეჯერები საწარმოს ინტერესებისა და რეალური ციფრების დასაცავად.

საბჭოთა გეგმური ეკონომიკის უდიდეს მანკიერებას წარმოადგენდა საამქროებისათვის ნედლეულის მიწოდებაში არსებული პრობლემები. ამის გამო ხდებოდა „კერძო ბაზარზე“ მასალების შესყიდვა (მაგ., ნიკელირების საამქროში), ეს კი ხელს უწყობდა იმპროვიზებული, არალეგალური ან ნახევრად ლეგალური ფინანსური სქემების წარმოშობას (ასს ცსა, ფ. 117, ან. 1, ს. 49, ფურც. 44, 45), წარმოების თვითღირებულების კატასტროფულ ზრდასა და სახელფასო ფონდის გადახარჯვას (ასს ცსა, ფ. 117, ან. 1, ს. 52, ფურც. 1, 2, 22–24).

„აჭაროზეტის“ ხელმძღვანელობა (ლენსკი, ზოლოტარევი) ცდილობდა გაკოტრებისაგან გადაერჩინა ორგანიზაცია არარენტაბელური დარგების დახურვით (ხე-ხერხვის, თუნუქის, ნიკელირებისა და დაფასოების საამქროების ლიკვიდაცია ან ქონების ნაწილ-ნაწილ გაყიდვა) და მხოლოდ რენტაბელურზე კონცენტრაციით (მაგ., მარაოს საამქრო), შტატების მკვეთრი შემცირებითა და სწრაფი ლიკვიდურობით - ავტომანქანის, საწყობის ნარჩენებისა და დაზგების სასწრაფო რეალიზაცი-

ით ხელფასების დავალიანების (25 000 მანეთი) დასაფარად (ასს ცსა, ფურც. 117, ან. 1, ს. 49, ფ. 44, 45).

საყურადღებოა, რომ ხელმძღვანელობა ეკონომიკურ წარუმატებლობას ხშირად „მავნებლობას“ მიაწერდა (ასს ცსა, ფ. 117, ან. 1, ს. 30, ფურც. 67), რაც ტიპური იყო 1930-იანი წლების საბჭოთა რეპრესიული ნარატივისათვის.

მნიშვნელოვანი დოკუმენტური წყაროა III ხუთწლედის პერსპექტიული გეგმა (1938–1942 წწ.). 1942 წლისთვის „აჭარ-ოზეთის“ წლიური წარმოების მოცულობა 1 500.0 ათას მანეთამდე უნდა გაზრდილიყო (1937 წლის გეგმურ 817.0 ათას მანეთთან შედარებით — 183.6%-იანი ზრდა), (ასს ცსა, ფ. 117, ან. 1, ს. 56, ფ. 27, 59) (თუმცა ხუთწლედის დასაწყისშივე ოზეტი გაუქმდა). გეგმით გათვალისწინებული იყო წარმოების პროცესების მექანიზაცია, შრომის ნაყოფიერების 135%-ით გაზრდა და მუშა-მოსამსახურეთა საშუალო დღიური ხელფასის გაზრდა 8.75-დან 10 რუბლამდე (ასს ცსა, არქივი, ფ. 117, ან. 1, ს. 56, ფურც. 60). ამ ამოცანების შესასრულებლად დაგეგმილი იყო 200 ათასი მანეთის კაპიტალდაბანდება (ასს ცსა, ფ. 117, ან. 1, ს. 56, ფურც. 62).

„აჭარ-ოზეტის“ მაგალითი თვალსაჩინოდ აჩვენებს 1930-იანი წლების საბჭოთა ადგილობრივი მრეწველობის ორმაგ ბუნებას: ერთი მხრივ, საწარმო იჩენდა მაღალ ადაპტაციურობასა და ტექნოლოგიურ მოქნილობას (ნარჩენების ხელმეორედ გამოყენება, იაფი პროდუქციის წარმოება დეფიციტის პირობებში) (ასს ცსა, ფ. 117, ან. 1, ს. 56, ფურც. 27, 34), ხოლო მეორე მხრივ, სრულად იყო დამოკიდებული ცენტრალიზებულ საბანკო კრედიტებსა და ბიუროკრატიულ-ადმინისტრაციულ რეგულირებაზე, რაც ხშირად იწვევდა წარმოების შეჩერებასა და კადრების დენადობას (ასს ცსა, ფ. 117, ან. 1, ს. 56).

1934–1936 და შემდგომი წლების ანგარიშებში მკაფიოდ ჩანს ეკონომიკური და საკადრო პრობლემები, კოლმეურნეობებსა და საწარმოებში არსებული მართვის დაბალი დონე, ფინანსური დარღვევები („თავმჯდომარე პავლოვსკის მიერ 14 000 მანეთის გაფლანგვა“) და კადრების ხშირი ცვლა. ამ პრობლემების გადასაფარად გამოყენებულია სტანდარტული იდეოლოგიური კლიშეები („კლასობრივი მტრის აგენტი“, „სტახანოური მოძრაობა“, ლავრენტი ბერიას მოხსენებაზე მითითება) (ასს ცსა, ფ. 117, ან. 1, ს. 44, ფ. 1–10).

მიუხედავად ცალკეული საამქროების მძიმე ზარალისა, „აჭაროზეტის“ საწარმოო სექტორმა 1935 წელი დაასრულა 25 421.90 მანეთის მოგებით. ეს მიღწეულ იქნა ძირითადად ორი მიმართულებით: დაფასოების საამქროს სტაბილური შემოსავლითა და ახლად გახსნილი სახერხი წარმოების მაღალი რენტაბელობით (ასს ცსა, ფ. 117, ან. 1, ს. 38, ფურც. 2–5).

ყურადღებას იპყრობს საბჭოთა ფინანსური სისტემის შინაგანი პარადოქსულობა, ე.წ. „გეგმური აბსურდი“. „აჭაროზეტი“ წარმოადგენდა ზე-რენტაბელურ საწარმოს. მიუხედავად ამისა, სახელმწიფო ბანკის ფორმალური ინსტრუქციის გამო (ნორმაზე მეტი ნედლეულის შეძენის მიზეზით), საწარმოს გადაუჭრეს კრედიტები. შედეგად, წარმატებული საწარმო იძულებული გახდა წარმოების გეგმა 42%-მდე შეემცირებინა (ასს ცსა, ფ. 117, ან. 1, ს. 52, ფურც. 33, 34). თუ საბაზრო ეკონომიკაში მომგებიან საწარმოს ინვესტიციები გაეზრდებოდა, საბჭოთა ბიუროკრატიულ ეკონომიკაში ის დასაჯეს „გეგმით გაუთვალისწინებელი“ მარაგების დაგროვების გამო.

აღინიშნებოდა ცალკეული წარმატებებიც მცირე საწარმოთა საქმიანობაში, როდესაც შიდა რაციონალიზაციისა და ხარჯების ოპტიმიზაციის ხარჯზე საწარმომ შეძლო პროდუქციის (ბრინჯის სახამებლისა და სასმელი სოდის) თვითღირებულების დაწევა და სარეალიზაციო ფასის 15–17%-ით შემცირება (ასს ცსა, ფ. 117, ან. 1, ს. 40, ფურც. 22, 33). „აჭაროზეტი“ აქტიურად იყენებდა ოფიციალურ ცირკულარულ შეტყობინებებს (სარეკლამო-კომერციულ შეთავაზებებს) სახელმწიფო და კოოპერატიული სექტორის მოსაზიდად.

ხშირი იყო ცენტრალურ და ადგილობრივ ბიუროკრატიას შორის დაპირისპირება. ადგილობრივი ინიციატივა აწყდებოდა წინააღმდეგობებს ცენტრის ბიუროკრატიისგან. „აჭარ-ოზეტი“ ცალკეულ შემთხვევებში ავლენდა მაღალ სამეურნეო მოქნილობას - ადგილობრივი ნარჩენებისგან ქმნიდა ახალ საამქროებს (თუნუქი, ნიკელირება, დაფნის ღერო). შესაბამისად, 1937 წლის წლიური გეგმა ვადაზე ადრე შეასრულა 124%-ით (ასს ცსა, ფ. 117, ან. 1, ს. 52, ფ. 46, 48, 59, 71). ხოლო „გრუზოზეტი“ (თბილისი) ცდილობდა „აჭაროზეტის“ შეკავებას, დაბალი ლიმიტების დაწესებას და პროცესის ბიუროკრატიული ფორმებით გაკონტროლებას (ასს ცსა, ფ. 117, ან. 1, ს. 52, ფ. 46, 48, 59, 71).

საწარმო ღიად აცხადებდა თავისი წლიური სიმძლავრეებისა და საწყობში არსებული მზა პროდუქციის მარაგების შესახებ (ასს ცსა, ფ. 117, ან. 1, ს. 40, ფურც. 22, 33). ოფიციალურ რეკვიზიტებში მითითებული მისამართი - *ბათუმი, ორჯონიკიძის ქუჩა №23* — წარმოადგენს მნიშვნელოვან ლოკალურ-ისტორიულ მონაცემს 1930-იანი წლების აჭარაში „ოზეთის“ ადმინისტრაციულ-საწარმოო ცენტრის ზუსტი ადგილმდებარეობის იდენტიფიცირებისთვის.

საბჭოთა სამეურნეო სისტემისთვის დამახასიათებელი იყო ფინანსური გადაცდომებისა და ადმინისტრაციული ხარვეზების კრიმინალიზაცია. „აჭაროზეტში“ შექმნილი საფინანსო კრიზისი მკაფიოდ იკვეთება თბილისის ცენტრალური ორგანოს - „გრუზოზეტის“ საბალანსო კომისიის 1938 წლის 12 აპრილის №14 ოქმში (ასს ცსა, ფ. 117, ან. 1, ს. 58, ფურც. 60). რევიზიამ ორგანიზაციის 1937 წლის წლიური ანგარიში ოფიციალურად ცნო „არარეალურად“ (ასს ცსა, ფ. 117, ან. 1, ს. 58, ფ. 61) და უარყო იგი მთელი რიგი დარღვევების გამო, კერძოდ: ინვენტარიზაციის შედარებითი უწყისების არარსებობა და ბალანსის ხელოვნური კორექტირება (ასს ცსა, ფ. 117, ან. 1, ს. 58, ფურც. 60); დებიტორული დავალიანებების არასწორი აღრიცხვა და უიმედო ვალების დაფარვის მცდელობა (ასს ცსა, ფ. 117, ან. 1, ს. 58, ფურც. 61, 64); წარმოების დანახარჯებისა და სავაჭრო ჯიხურების ხარჯების არასწორი კლასიფიკაცია (ასს ცსა, ფ. 117, ან. 1, ს. 58, ფურც. 60, 62).

აღნიშნულმა საბალანსო ჩავარდნამ და ბუღალტერიის 4-თვიანმა ჩამორჩენამ გამოიწვია ის, რომ ყოფილი მთავარი ბუღალტრის (კუშაკოვის) საქმე დაუყოვნებლივ გადაეცა პროკურატურას (ასს ცსა, ფ. 117, ან. 1, ს. 58, ფურც. 9). ეს ფაქტი ნათლად აჩვენებს, თუ როგორ ტრანსფორმირდებოდა მართვის ეკონომიკური შეცდომები საბჭოთა რეპრესიული სისტემის ქვემდებარე სისხლის სამართლის საქმეებად.

33-ე საქმეში დაცული დოკუმენტები ასახავს მსხვილ სამეურნეო-სამართლებრივ დავას „აჭაროზეტსა“ და ცენტრალურ საწარმოებს/პასუხისმგებელ პირებს (კრასევიჩი, გორელოვი) შორის. საქმე ეხება უხარისხო პროდუქციის (საპოხი მასალების) მოწოდებასა და ორგანიზაციისთვის დიდი ზარალის (16 381.91 მანეთი) მიყენებას. 1930-იანი წლების საბჭოთა ინდუსტრიალიზაციის პერიოდში უხარისხო პროდუქციის გამოშვება (განსაკუთრებით ისეთი სტრატეგიული მასალისა, როგორიცაა საპოხი ზეთი ქარხნებისთვის) უბრალო სამეურნეო შეცდომად არ ით-

ვლებოდა. 1930-იანი წლების მეორე ნახევარში ნებისმიერ სამეურნეო ან საფინანსო ჩავარდნას, ეკონომიკურ უგუნურობას თუ უბრალო მართვის შეცდომას უმალვე ეძლეოდა „მავნებლობის“ ან „საბოტაჟის“ კვალიფიკაცია (ასს ცსა, ფ. 117, ან. 1, ს. 49, ფურც. 44, 45). ამის ნათელი მაგალითია 1938 წლის 23 მაისის „ოზეტის“ სხდომის ოქმი, რომლის მიხედვით ოსეპოვიჩმა საწარმო მიიყვანა „სრულ რღვევამდე“ და ცენტრალური ორგანოს აკრძალვის მიუხედავად, მაინც დახარჯა ათობით ათასი მანეთი დაფნის ღეროს შესყიდვაზე. მისი საქმის პროკურატურისთვის გადაცემა 1938 წლის კონტექსტში პრაქტიკულად სისხლისსამართლებრივ დევნასა და მკაცრ სასჯელს ნიშნავდა (ასს ცსა, ფ. 117, ან. 1, ს. 49, ფურც. 44, 45). მსგავს შემთხვევებს აკვალიფიცირებდნენ, როგორც დანაშაულებრივ გულგრილობას ან მავნებლობას. ხელმძღვანელები (ფელდმანი, შავიშვილი, ელიგულაშვილი) ყოველი ციფრისა და ვადის გადაცდომის გაფორმებისას ცდილობდნენ პასუხისმგებლობის ზემდგომ/ქვემდგომ ორგანოებზე გადატანას (ასს ცსა, ფ. 117, ან. 1, ს. 52, ფურც. 33, 34).

1930-იანი წლების ბოლოს საბჭოთა სამეურნეო-ადმინისტრაციულ მოდელში გამოიკვეთა სტრუქტურული კრიზისი, შრომითი ურთიერთობებისა და რეპრესიული მექანიზმების ინტეგრაცია ყოველდღიურ მართვაში. 1937–1938 წლების „აჭაროზეტის“ პრეზიდიუმის სხდომის ოქმები ნათლად ირეკლავს პერიოდის მთავარ დინამიკას: საზოგადოებრივ-დისციპლინარულ კონტროლსა და ეკონომიკურ-საწარმოო კოლაფსს (ასს ცსა, ფ. 117, ან. 1, ს. 49, ფურც. 44, 45).

სამართლებრივ პროცესში ჩართული იყო როგორც სახელმწიფო არბიტრაჟი (არბიტრაჟი უდმურტეთის ასსრ-იდან), ისე სისხლის სამართლის საგამოძიებო ორგანოები (პროკურატურა, გამომძიებელი ჩიჩუა). გამოიყენებოდა სისხლის სამართლის საპროცესო ინსტრუმენტები - სისხლის სამართლის საქმის ფარგლებში სამოქალაქო სარჩელის აღძვრა დაზარალებული ორგანიზაციის მატერიალური ინტერესების დასაცავად. „სოიუზნეფტის“ ქიმიური ლაბორატორიის დასკვნა (ქვიშისა და წყლის აღმოჩენა) გახდა მთავარი ნივთმტკიცება, რის საფუძველზეც „აჭაროზეტის“ ხელმძღვანელობამ (დიკერმანმა) ბრალი ოფიციალურად წაუყენა ყოფილ მენეჯერს - რომან კრასევიჩს (ასს ცსა, ფ. 117, ან. 1, ს. 33, ფურც. 6–12).

საბჭოთა მართვის სტილისთვის დამახასიათებელი იყო პრობლემის მოგვარება არა მატერიალური სტიმულირებით, არამედ პერსონალური მატერიალური პასუხისმგებლობის, ჯარიმებისა (50%) და ადმინისტრაციული დირექტივების შემოღებით (ასს ცსა, ფ. 117, ან. 1, ს. 33, ფ. 33–36). საქართველოს სახკომსაბჭოს 1935 წლის 28 ივნისის დადგენილებით, ფინანსური დისციპლინის დარღვევა ითვლებოდა პერსონალურ დანაშაულად. საწარმოს ხელმძღვანელსა და მთავარ ბუღალტერს პირდაპირი ადმინისტრაციული (და ხშირად სისხლისსამართლებრივი) პასუხისმგებლობა ეკისრებოდათ ანგარიშგების დაგვიანების გამო (ასს ცსა,ფ. 117, ან. 1, ს. 45, ფურც. 47, 99).

ანალოგიურია 1937 წლის 1 დეკემბრის N 523/602 ბრძანება (ასს ცსა, ფ. 117, ან. 1, ს. 33, ფურც. 34–36), რომელიც ასახავს ცენტრალური ხელისუფლების მცდელობას, ებრძოლა უსაფუძვლო დანაკარგებსთან. ამას ემსახურებოდა ე.წ. საკრედიტო ბლოკადა - ყველაზე მკაცრი სანქცია, რაც იწვევდა საწარმოს დაკრედიტების შეჩერებას. ეს ფაქტობრივად ნიშნავდა საწარმოს პარალიზებას, რადგან მას აღარ ექნებოდა რესურსი ნედლეულის შესასყიდად და ხელფასების გასაცემად (ასს ცსა, ფ. 117, ან. 1, ს. 45, ფურც. 47, 99). ეს არის 1930-იანი წლების საბჭოთა საბანკო-საფინანსო მექანიზმის კლასიკური ნიმუში - თუ როგორ ახორციელებდა სსრკ სახელმწიფო ბანკი საქართველოს სსრ-ში შემავალი საწარმოების მკაცრ ფინანსურ კონტროლს „პრომფინპლანებისა“ და საკრედიტო განაცხადების სისტემის მეშვეობით.

საბჭოთა ფისკალური სისტემის მთავარ წყაროს წარმოადგენდა საქონელბრუნვის გადასახადი. იგი პირდაპირ იყო ჩაშენებული პროდუქციის საბითუმო ფასში (მაგალითად, სახამებელზე, სოდაზე), რაც სახელმწიფოს საშუალებას აძლევდა საწარმოო სექტორიდან ცენტრალიზებულ ბიუჯეტში მოეხდინა კაპიტალის აკუმულირება (ასს ცსა, ფ. 117, ან. 1, ს. 46, ფურც. 1–3). დოკუმენტები ნათელყოფენ, თუ როგორ ხდებოდა ზარალის კალკულაცია — მასში შესული იყო არა მხოლოდ საქონლის თვითღირებულება, არამედ ტარის შეკეთების, დატვირთვისა და ბათუმიდან ტრანსპორტირების ყველა თანმდევი ხარჯი (ასს ცსა,ფ. 117, ან. 1, ს. 33, ფურც. 12). „ოზეტის“ ადგილობრივი სტრუქტურები ცდილობდნენ ჩართულიყვნენ ფართო მოხმარების კვების პროდუქტების (სანელებლები, სახამებელი...) დაფასოებასა და რეალიზაცი-

აში, რათა ორგანიზაციას გაეზარდა საკუთარი შემოსავლები (ასს ცსა, ფ. 117, ან. 1, ს. 33, ფურც. 38).

„აჭარ-ოზეტი“ აწყდებოდა საქმის შეწყვეტის/შეჩერების ფაქტს საგამოძიებო ორგანოების მხრიდან და აქტიურად ითხოვდა ოფიციალურ განმარტებებსა და დადგენილების ასლებს, რათა არ დაკარგოდა მიყენებული მატერიალური ზიანის ანაზღაურების უფლება. ერთ-ერთ დოკუმენტში წარმოდგენილია გამომძიებლის დასკვნა, რომლის მიხედვით ხელშეკრულებაში არ იყო ზუსტად გაწერილი პროდუქციის ტექნიკური პარამეტრები, რის გამოც ქარხანას ან პასუხისმგებელ პირებს სისხლისსამართლებრივი ბრალი ვერ დაუდასტურდათ და საქმე ოფიციალურად შეწყდა (ასს ცსა, ფ. 117, ან. 1, ს. 33, ფურც. 56).

საარქივო ფონდები ადასტურებენ „აჭარ-ოზეტის“ ეკონომიკურ კავშირებსა და სამეურნეო დავების ფართო გეოგრაფიულ არეალს დონეცკის ოლქიდან (ენაკიევოს კოოპერატივი „ზარია“) უდმურტეთამდე („იჟსტალზავოდი“) (ასს ცსა, ფ. 117, ან. 1, ს. 33, ფურც. 77, 90). აშკარაა ხელშეკრულების პირობების მკაცრი დაცვის მოთხოვნა - პროდუქციის ნაწილობრივ მიწოდებისა და ვადების დარღვევის გამო ორგანიზაცია ითხოვდა პირგასამტეხლოს დაკისრებას (ასს ცსა, არქივი, ფ. 117, ან. 1, ს. 33, ფურც. 77, 90). საბჭოთა გეგმური სისტემის დამკვიდრების ამსახველი დოკუმენტები ასახავს 1930-იანი წლების შუა პერიოდის საბჭოთა ბიუროკრატიულ სტანდარტს - სტიქიური საქმიანობიდან მკაცრად გაწერილ „პრომფინპლანზე“ გადასვლას, სადაც დეტალურადაა გაანგარიშებული პროდუქციის ერთეულის თვითღირებულება, შრომის ნორმები და სახელფასო ფონდები (ასს ცსა, ფ. 117, ან. 1, ს. 34, ფურც. 2).

ამრიგად, საარქივო მასალების ანალიზი ავლენს „აჭარ-ოზეთის“ საწარმოთა საქმიანობის ორ მთავარ ასპექტს: ერთი მხრივ, პროდუქციის (განსაკუთრებით სახამებელი, საპონი, ტანინი-ტყავი) ფასების ხელოვნური გაბერვის ხარჯზე შექმნილ „ჭარბ მოგებას“, ხოლო მეორე მხრივ — ადმინისტრაციული ხარჯების გადაჭარბებას, დაბალ სახელფასო ფონდსა და საწარმოო გეგმების მკვეთრ ჩამორჩენას (28–35%-ის დონეზე).

შიდაორგანიზაციული კრიზისი. 1935 წლის მიწურულის დოკუმენტები აშკარად ასახავს საბჭოთა ბიუროკრატიისათვის დამახასიათებელ სტრუქტურულ კრიზისს. ცენტრის მხრიდან არასაკმარისი ყურადღებისა და ადგილობრივი პასიურობის გამო, აჭარაში პირველადი უჯ-

რედების მნიშვნელოვანი ნაწილი ფაქტობრივად დაიშალა. მოშლილი იყო ფინანსური აღრიცხვიანობა, დაბალი იყო კადრების კვალიფიკაცია (ასს ცსა, ფ. 117, ან. 1, ს. 32, ფურც. 1, 2, 4, 5). ქობულეთის ებრაულ კოლმეურნეობაში დაფიქსირდა ქონების გაფლანგვის, მიწების უკანონო გასხვისებისა და საწარმოო გეგმების ჩაშლის შემთხვევები (ასს ცსა, ფ. 117, ან. 1, ს. 23, ფურც. 6).

1936 წლის გაზაფხულზე ქობულეთისა და ბათუმის ებრაულ კოლმეურნეობებში მძიმე მატერიალური სიდუხჭირე სუფევდა (ასს ცსა, ფ. 117, ან. 1, ს. 43, ფურც. 21, 22). კოლმეურნეობის თავმჯდომარე ზაიდულინის ბინის გაძარცვის ფაქტი, სადაც პირად ქონებასთან ერთად კოლმეურნეობის დოკუმენტაციაც დაიკარგა (ასს ცსა, ფ. 117, ან. 1, ს. 43, ფურც. 21), აგრეთვე „აჭარ-ოზეთის“ მიერ ქობულეთის კოლმეურნეობისთვის გამოყოფილი 2 500-მანეთიანი გადაუდებელი სუბსიდია მოწმობს, რომ გლეხები შრომადღეებით მინიმალურ საარსებო მინიმუმსაც ვერ გამომუშავებდნენ (ასს ცსა, ფ. 117, ან. 1, ს. 43, ფურც. 22). ამის გამო საჭირო გახდა ფიქსირებული 5-მანეთიანი დღიური ტარიფის შემოღება (ასს ცსა, ფ. 117, ან. 1, ს. 43, ფურც. 22).

აშკარაა ადგილებზე არსებული მძიმე ბიუროკრატიული და მართვითი კრიზისი. ქობულეთის ებრაული კოლმეურნეობა ფაქტობრივად წყვეტდა კავშირს ზემდგომ ორგანოსთან („გრუზოზეტთან“), არ აწვდიდა სტატისტიკურ მონაცემებს ჩაისა და დათესილი ფართობების შესახებ, რაც მიუთითებს კოლმეურნეობაში არსებულ შიდა ორგანიზაციულ არეულობასა და ცენტრისადმი ნიჰილისტურ დამოკიდებულებაზე (ასს ცსა, ფ. 117, ან. 1, ს. 43, ფურც. 138).

კრიზისის დასაძლევად გამგეობამ გაატარა საგანგებო ღონისძიებები: წევრთა საყოველთაო ხელახალი აღრიცხვა, ორენოვანი (ქართულ-რუსული) საწევრო წიგნაკების შემოღება და სოციალისტური შეჯიბრებების ორგანიზება ქუთაისისა და ფოთის განყოფილებებთან (ასს ცსა, ფ. 117, ან. 1, ს. 21, ფ. 26, 46; ს. 23, ფურც. 6).

საორგანიზაციო ქსელის გაფართოება, ინტერნაციონალური შემადგენლობა და ლიკვიდაცია (1936–1938 წწ.). 1936 წლის IV კვარტლის მონაცემები მოწმობს, რომ გატარებული რეორგანიზაციის შედეგად „აჭარ-ოზეთმა“ შეძლო ფართო საორგანიზაციო ქსელის გაშლა. შეიქმნა 50-ზე მეტი პირველადი უჯრედი, რომლებშიც ათასობით წევრი გაერთიანდა (მათ შორის უმსხვილესი: სამკერვალო ფაბრიკაში — 700 კა-

ცი, ნავთობქარხანაში, სკოლებში). უჯრედები მოქმედებდა ბათუმის ნავთობგადამამუშავებელ ქარხნებში (БНЗ), შსსკ-ის (НКВД) საზღვაო ბაზაზე, საბაჟოზე, „ირანსოვტრანსში“, აჭარის ცაკ-სა და სახელმწიფო ბანკში (ასს ცსა, ფ. 117, ან. 1, ს. 26, ფურც. 1–2). უჯრედების შემადგენლობა აჩვენებს, რომ ორგანიზაცია გასცდა წმინდა ეთნიკურ ჩარჩოებს. ებრაელებთან ერთად (ბერდიჩევსკი, ხანინი, ბერკოვიჩი, იანკილევიჩი, ფრენკელი, შტერნბერგი) მდივნებად მუშაობდნენ ქართველები (ძნელაძე, ჯანაშვილი, დანელია, თოვართქილაძე, გორგლაძე, რუხაძე, გეორგაძე), სომხები (კეკედჯანი, პალიკიანი, სარდარიანი, გალუსტოვი), რუსები და აფხაზები (არშბა, ბელოვი, გრეკოვა). ეს ადასტურებს, რომ „ოზეთში“ გაწევრიანება ატარებდა მასობრივ, პროფკავშირულ-საბჭოთა ხასიათს. მრავალეთნიკურობის შესაბამისად, ოფიციალური ტიტულოვანი ბლანკი 1930-იანი წლების დასაწყისში ოთხენოვანი იყო: ქართული (ასომთავრული/მხედრული ინიციალებით), რუსული, ფრანგული და თურქული (ასს ცსა, ფ. 117, ან. 1, ს. 1, ფურც. 14).

1930-იანი წლების ბოლოს საბჭოთა კავშირში განხორციელებული ტოტალიტარული ცენტრალიზაციის პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი გახდა ეთნიკური და ავტონომიური საზოგადოებრივი გაერთიანებების გაუქმება. აღნიშნულ პროცესს პირდაპირ ასახავს სსრკ სახალხო კომისართა საბჭოს (СНК) 1938 წლის 11 მაისის დადგენილება, რომლის საფუძველზეც დაიწყო „ებრაელი მშრომელების მიწათმოწყობის სრულიად საკავშირო საზოგადოების“ (ОЗЕТ) და მისი ადგილობრივი სტრუქტურების, მათ შორის „აჭარ-ოზეტის“ ლიკვიდაცია (ასს ცსა, ფ. 117, ან. 1, ს. 58, ფურც. 2). „აჭარ-ოზეტი“ საბოლოოდ გაუქმდა 1938 წლის 7 სექტემბრის საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს №1564 დადგენილებით. მის დაქვემდებარებაში არსებული საწარმოები და ქონება „სარეწაო საბჭოსა“ და სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატს გადაეცა.

სალიკვიდაციო პროცესი მოიცავდა წარმოების სრულ შეჩერებას, ქონების ჩამოწერასა და საბოლოო სალიკვიდაციო ბალანსის მომზადებას, რომლის ვადადაც 1938 წლის 1 ოქტომბერი განისაზღვრა (ასს ცსა, ფ. 117, ან. 1, ს. 58, ფურც. 2). ეს პროცესი არ იყო მხოლოდ ადმინისტრაციული ღონისძიება; იგი წარმოადგენდა სტალინური რეპრესიული აპარატის მიერ სამოქალაქო და ეთნიკური თვითორგანიზების ნებისმიერი ფორმის აღმოფხვრის პოლიტიკის ნაწილს.

ამრიგად, საქართველოს ეროვნული არქივის ფონდ №117-ის მასალების ანალიზი ცხადყოფს, რომ „გრუზოზეტი“ და მისი რეგიონული სტრუქტურა „აჭარ-ოზეთი“ 1930-იან წლებში წარმოადგენდა მრავალფუნქციურ ინსტიტუტს, რომელიც ერთდროულად ასრულებდა სოციალურ, აგრარულ, ინდუსტრიულ, ფინანსურ და იდეოლოგიურ ფუნქციებს. საარქივო წყაროები (ასს ცსა, ფ. 117, ან. 1, ს. 30, ფურც. 64, 67–69) აჩვენებს კომპლექსურ სურათს: ერთი მხრივ, სახელმწიფო ცდილობდა ებრაული მოსახლეობის აგრარულ-ინდუსტრიულ ინტეგრაციას, ხოლო მეორე მხრივ, აღნიშნული პროცესი მიმდინარეობდა მძიმე ფინანსური დეფიციტის, მართვის დაბალი ეფექტიანობისა და მკაცრი საბჭოთა ბუღალტერიულ-ადმინისტრაციული კონტროლის პირობებში.

საარქივო წყაროები ადასტურებს, რომ „ოზეთი“ იყო საბჭოთა სახელმწიფო და ეროვნული პოლიტიკის პრაქტიკული განმახორციელებელი ინსტრუმენტი, რომელიც უზრუნველყოფდა ებრაული მოსახლეობის აგრარიზაციასა და კოლექტივიზაციას. იგი ფუნქციონირებდა როგორც ადგილობრივი სამეურნეო სტრუქტურა, რომელიც ფლობდა საკუთარ მცირე ინდუსტრიულ საწარმოებს, ახორციელებდა ბინათმშენებლობას, ჯანდაცვისა და კულტურულ-საგანმანათლებლო პროექტებს. 1934–1935 წლების შიდა კრიზისის მიუხედავად, 1936 წლისთვის ორგანიზაციამ შეძლო მასობრივი მობილიზაციის მიღწევა და გარდაიქმნა მრავალეთნიკურ საბჭოთა საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ქსელად რეგიონის სტრატეგიულ საწარმოებსა და დაწესებულებებში.

განხილული საარქივო წყაროები (ასს ცსა, ფ. 117, ან. 1, ს. 44; ს. 49, ფურც. 1–4, 44, 45) კომპლექსურად ასახავს 1930-იანი წლების ბოლოს საბჭოთა ყოველდღიურობასა და მართვის კრიზისს. 1937 წლის მასალები გვიჩვენებს, თუ როგორ ეჯახებოდა ერთმანეთს საბჭოთა საბანკო-საფინანსო დისციპლინის მკაცრი ბიუროკრატია და პარტიული პრესის მიერ თავსმოხვეული პოპულისტური დისციპლინარული კონტროლი. ხოლო 1938 წლის დოკუმენტაცია წარმოადგენს ეკონომიკური უსუსურობის, დეფიციტისა და საწარმოთა მასობრივი ზარალიანობის ილუსტრაციას, სადაც პრობლემების გადაჭრის მთავარ ინსტრუმენტად სტალინური რეპრესიული აპარატის (პროკურატურის) ჩართვა გვევლინებოდა.

აჭარის საარქივო სამმართველოს ფონდ №117-ის მასალები წარმოადგენს კომპლექსურ ისტორიულ წყაროს, რომელიც 1930-იანი წლე-

ბის მიწურულის აჭარის მაგალითზე თვალსაჩინოდ აჩვენებს ტოტალიტარული სახელმწიფოს მოქმედების მექანიზმს: ეთნიკური ორგანიზაციების პოლიტიკურ ლიკვიდაციას, გეგმური ეკონომიკის შინაგანი წინააღმდეგობებით (სეზონურობა, კრედიტების დეფიციტი) გამოწვეულ კრიზისებს და სამეურნეო ჩავარდნების სისხლისსამართლებრივ კრიმინალიზაციას.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები

საარქივო წყაროები:

აჭარის საარქივო სამმართველოს ცენტრალური სახელმწიფო არქივი (ასს ცსა): ფონდი რ-№117, ან. 1. (საქართველოს მშრომელ ებრაელთა მიწათმომწყობი საზოგადოება - „საქ.მემსი“):

1. საქმე 1, ფურც. 14.
2. საქმე 21, ფურც. 18, 25, 26, 46.
3. საქმე 23, ფურც. 6.
4. საქმე 25, ფურც. 20.
5. საქმე 26, ფურც. 1–2.
6. საქმე 27, ფურც. 7.
7. საქმე 28.
8. საქმე 29, ფურც. 2, 3, 5, 13.
9. საქმე 30, ფურც. 64, 67, 68, 69.
10. საქმე 32, ფურც. 1, 2, 4, 5.
11. საქმე 33, ფურც. 6–12, 33–36, 38, 56, 77, 90.
12. საქმე 34, ფურც. 2.
13. საქმე 38, ფურც. 2–5, 93–98.
14. საქმე 40, ფურც. 22, 33.
15. საქმე 41, ფურც. 2, 9.
16. საქმე 43, ფურც. 6, 21, 22, 32, 132–136, 138.
17. საქმე 44, ფურც. 1–10.
18. საქმე 45, ფურც. 1, 4, 47, 99.
19. საქმე 46, ფურც. 1–3.
20. საქმე 49, ფურც. 1–4, 44, 45.
21. საქმე 52, ფურც. 1, 2, 22–24, 33, 34, 46, 48, 59, 71, 187.
22. საქმე 56, ფურც. 27, 34, 59, 60, 62.

23. საქმე 58, ფურც. 2, 9, 60, 61, 64.

სამეცნიერო ლიტერატურა:

1. კუპატაძე, ბ. (2018). *საბჭოთა ეროვნული პოლიტიკა და ეთნიკური უმცირესობები საქართველოში (1920–1930-იანი წლები)*. თბილისი;

2. მამულია, გ. (2015). *სოციალური ინჟინერია და კოლექტივიზაცია საბჭოთა კავკასიაში*. პარიზი-თბილისი;

3. ნათანონი, ე. (2012). ებრაული დასახლებები და სოციალური გარდაქმნები სსრკ-ში (1924–1938). იერუსალიმი. ებრაული უნივერსიტეტის გამომცემლობა.

ოთარ გოგოლიშვილი
OTAR GOGOLISHVILI

ბათუმის ოლქის ადმინისტრაციული მოწყობა და მმართველობის სისტემა (1902-1913 წ.წ.)

THE ADMINISTRATIVE ORGANIZATION AND GOVERNANCE SYSTEM OF THE BATUMI DISTRICT (1902–1913).

Abstract. The administrative organization and governance structure of the Batumi district between 1902 and 1913 were volatile and strictly controlled. The authorities sought to ensure control over ordinary citizens in order to solve social and economic problems, which often became the cause of protests. The governance of that time protected the interests of the Russian Empire, yet it failed to achieve full political and social stability.

1902-1913 წლებში ბათუმის ოლქი შედიოდა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში და ემორჩილებოდა იმპერიის ცენტრალურ ადმინისტრაციულ მმართველობას. ადმინისტრაციული მოწყობის თვალსაზრისით, ოლქი წარმოადგენდა ცალკე ადმინისტრაციულ ერთეულს და ექვემდებარებოდა მეფისნაცვლის იურისდიქციას, რომელიც კავკასიაში რუსეთის იმპერიის უმაღლესი ადმინისტრაციული წარმომადგენელი იყო.

ბათუმი, როგორც რუსეთის იმპერიის კავკასიის ნაწილი, მნიშვნელოვან სტრატეგიულ და ეკონომიკურ ცენტრს წარმოადგენდა. ეს იყო არა მხოლოდ ვაჭრობის და ნავთობგადაზიდვის აქტიური წერტილი, არამედ იმპერიის შემადგენელი ნაწილის ადმინისტრაციული და მმართველობითი ცენტრი, რომლის მეშვეობითაც რუსეთის ხელისუფლება კავკასიის რეგიონში საკუთარ პოზიციებს ამყარებდა.

ბათუმის ოლქი, მიუხედავად თავისი მცირე ზომისა, განსაკუთრებული სტრატეგიული და პოლიტიკური მნიშვნელობით გა-

მოირჩეოდა. ეს განპირობებული იყო მისი გეოგრაფიული მდებარეობითა და შავი ზღვის პორტის ფუნქციით. რუსეთის ხელისუფლებას მიზნად ჰქონდა დაქვემდებარებული მოსახლეობის კონტროლი და რეგიონში იმპერიული ინტერესების დაცვა. სწორედ ამიტომ ოლქში იმპერიული მმართველობის ორგანოები, როგორიც იყო ოლქის უფროსი, პოლიციური სტრუქტურები და სხვადასხვა ადმინისტრაციული სამსახურები, აქტიურად ფუნქციონირებდნენ (საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 234, აღწერა, 1, საქმე 115, ფურცელი 24-27)

ბათუმის ოლქი შედგებოდა ქალაქის გარდა სხვა პატარა დაბებისა და სოფლებისგან, რომლებსაც ასევე ჰქონდათ მმართველობა. ოლქს ჰყავდა ხელმძღვანელი, რომელსაც უშუალოდ შიდა საქმეთა სამინისტრო მართავდა. ქალაქში და მის ოლქში ხელისუფლება ზუსტად იმგვარად იყო გადანაწილებული, როგორც ეს რუსეთის იმპერიის სხვა რეგიონებში იყო.

მთავარი ადმინისტრაციული ორგანოები:

შინაგან საქმეთა სამინისტრო- შინაგან საქმეთა სამინისტროს ემორჩილებოდა მთელი ოლქი. მისი ძირითადი ფუნქცია იყო სამოქალაქო ადმინისტრაციის წარმართვა, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა, მოსახლეობის გადანაწილება და სხვა მრავალ საკითხზე ზედამხედველობა.

გუბერნატორი - ბათუმის ოლქის ხელმძღვანელი გუბერნატორი იყო, რომელიც რუსული ადმინისტრაციის მაღალჩინოსანი იყო. გუბერნატორის მთავარი მოვალეობა იყო ოლქში სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელება, კანონების შესრულება და ადგილობრივი ხელისუფლების მუშაობის ზედამხედველობა. გუბერნატორი გამოირჩეოდა კოორდინაციის უნარით, რადგან მას ევალებოდა არა მხოლოდ ადგილობრივი, არამედ ფართო რეგიონალური საკითხების მოგვარება (საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 234, აღწერა, 1, საქმე 115, ფურცელი 65-71).

ქალაქის თავი - ბათუმის ქალაქი განიცდიდა დამოუკიდებელ მმართველობას. ქალაქის თავი იყო ხელმძღვანელი, რომელიც პასუხისმგებელი იყო ქალაქის შიდა მმართველობასა და სოციალურ საკითხებზე. ქალაქის თავი და გუბერნატორი ხშირად მუშაობდნენ შეთანხმებით, რათა შეესრულებინათ რუსეთის იმპერიის ცენტრალური ხელისუფლების მითითებები.

სახალახო სასამართლო - ადგილობრივი სასამართლო სისტემა მუშაობდა, რათა მოემზადებინა საქმეები საჯარო წესრიგის დარღვევების შესახებ, მათ შორის მშრომელთა პროტესტებისა და გაფიცვების შემთხვევაში.

იმპერიამ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო ბათუმის ადმინისტრაციული სისტემის ჩამოყალიბებას და მისი მართვის მექანიზმების გამყარებას, რათა რეგიონი მტკიცედ შეენარჩუნებინა რუსეთის სახელმწიფოს გავლენის ქვეშ (ბათუმი და მისი შემოგარენი, 1906:34).

ოლქის მმართველობის სისტემა მოიცავდა როგორც ცივილურ, ისე სამხედრო სტრუქტურებს. ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობა მმართველობაში პრაქტიკულად არ არსებობდა. იმპერიული ადმინისტრაციის პოლიტიკა მიმართული იყო ძირითადად ცენტრალური ხელისუფლების ბრძანებების შესრულებაზე და კონტროლის გამკაცრებაზე.

მნიშვნელოვანი იყო ასევე სოფლის მოსახლეობის თვითმმართველობის საერო და სარწმუნოებრივი თემების როლი, თუმცა ისინი მკაცრად კონტროლდებოდნენ იმპერიის წარმომადგენლების მიერ.

მართვის სტრუქტურა ითვალისწინებდა პაექრობას საზოგადოებრივ ელიტასთანაც, რაც ხშირად იწვევდა უკმაყოფილებას და წინააღმდეგობებს (სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტომი III,2008:125)

რუსეთის იმპერია კავკასიის რეგიონში მუდმივი სამხედრო და პოლიციური კონტროლის ქვეშ ამყოფებდა ბათუმს. ქალაქში განთავსებული იყო მნიშვნელოვანი სამხედრო დანაყოფები,

რომლებიც არამხოლოდ საქართველოს, არამედ მთელი კავკასიის რეგიონში იმპერიის პოლიტიკურ და ეკონომიკურ ინტერესებს იცავდნენ.

ისტორიკოსი გურამ თოფურია აღნიშნავს, რომ ბათუმის ადმინისტრაციულ მმართველობაში მკვეთრად შეიმჩნეოდა რუსეთის იმპერიის სპეციფიკური დამოკიდებულება კავკასიის ხალხების მიმართ. ერთი მხრივ, ოლქი იყო იმპერიისთვის ეკონომიკურად მნიშვნელოვანი ცენტრი, ხოლო მეორე მხრივ პოლიტიკურად საშიში, რამაც განაპირობა მკაცრი კონტროლის და დაქვემდებარებული მმართველობის დამკვიდრება(თოფურია,1998:61).

ამ პოლიტიკის ფარგლებში ადმინისტრაციის ძალისხმევა მიმართული იყო როგორც ეკონომიკური რესურსების მაქსიმალურ ათვისებაზე, ასევე ადგილობრივი მოსახლეობის პოლიტიკური აქტიურობის შეზღუდვაზე. სახელმწიფო სამსახურში უპირატესობა ენიჭებოდა იმპერიის წარმომადგენლებს, რაც ხელს უშლიდა ადგილობრივთა სამოქალაქო უფლებების რეალიზებას და აძლიერებდა დაპირისპირებას ცენტრსა და რეგიონს შორის.

1902-1913 წლებში ბათუმის ოლქში მმართველობის ეფექტიანობა ძირითადად დამოკიდებული იყო იმპერიის მიერ დანიშნულ ოლქის უფროსებზე, რომლებიც პირდაპირ ემორჩილებოდნენ კავკასიის მეფისნაცვალს. არსებული მონაცემებით, აღნიშნულ პერიოდში ოლქის უფროსის თანამდებობაზე მსახურობდნენ პიროვნებები, რომლებიც პოლიტიკურად ახლოს იყვნენ იმპერიის ადმინისტრაციასთან და ძირითადად სამხედრო წრეებიდან მოდიოდნენ. მათი მთავარი ამოცანა იყო წესრიგის შენარჩუნება, ინფორმაციის მოწოდება ცენტრისთვის და ადგილობრივი მოსახლეობის კონტროლი.

იმპერიამ ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ ოლქის მმართველები აქტიურად მონაწილეობდნენ რევოლუციური მოძრაობების ჩახშობაში და პოლიციური კონტროლის გაძლიერებაში, განსაკუთრებით 1905 წლის რევოლუციის შემდეგ

მიუხედავად იმპერიის მცდელობისა, ადგილობრივი მოსახლეობის მიმართ მმართველობის სისტემა ხშირად იწვევდა უკმაყოფილებას და გაუცხოებას. მოსახლეობაში არსებულმა ეროვნულმა და სოციალურმა დაპირისპირებებმა გააძლიერა საზოგადოებრივი პროტესტის ტალღა, რაც მმართველობითი სისტემის სუსტ მხარეებზე მიუთითებდა.

ბათუმი იყო კავკასიის სამხრეთ-დასავლეთის მთავარი პორტი. მისი სამეურნეო აქტივობები იზრდებოდა, განსაკუთრებით ნავთობის გადაზიდვისა და ხორბლის ექსპორტის სფეროში. ქალაქის მმართველობა მიზნად ისახავდა ინფრასტრუქტურისა და სატრანსპორტო სისტემის განვითარებას, რათა შეენარჩუნებინა ქალაქის სტატუსი როგორც სტრატეგიული პორტი (ჩხეიძე, 1982:17)

ბათუმში 1902 წლისთვის უკვე არსებობდა ცენტრალური რკინიგზა,რომელიც დაკავშირებული იყო რუსეთის სხვადასხვა რეგიონთან და სხვა კავკასიურ ქვეყნებთან. რკინიგზა თამაშობდა მნიშვნელოვან როლს ქალაქის ეკონომიკურ განვითარებაში.

ბათუმის ოლქში მოსახლეობა მრავალფეროვანი იყო: რუსები, ქართველები, სომხები, ბერძნები და სხვა ეთნიკური ჯგუფები. თუმცა, მმართველობის სტრუქტურაში შიდაეთნიკური ურთიერთობები ყოველთვის ერთ-ერთი გამოწვევა იყო. ქალაქის მთავრობამ შეიმუშავა გარკვეული წესები და რეგულაციები, რათა დაემკვიდრებინა ჯანსაღი ურთიერთობები სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფებს შორის.

ბათუმის ოლქის ადმინისტრაციული მოწყობა და მმართველობის სტრუქტურა 1902-1913 წლებში იყო ცვალებადი და მკაცრად გაკონტროლებული. ხელისუფლება ცდილობდა უზრუნველყო რიგით მოქალაქეებზე კონტროლი, რათა გადაეჭრა სოციალური და ეკონომიკური პრობლემები, რაც ხშირად პროტესტების მიზეზი ხდებოდა. იმდროინდელი მმართველობა იცავდა რუსეთის იმპერიის ინტერესებს, თუმცა არ გაუმართლა სრულფასოვანი პოლიტიკური და სოციალური სტაბილურობის მიღწევა.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

1. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 234, აღწერა, 1, საქმე 115
2. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტომი III, ბათუმი, 2008
3. ბათუმი და მისი შემოგარენი, ბათუმი, 1906
4. ჩხეიძე ჯ., ბათუმი (ისტორიული ნარკვევი, ბათუმი, 1982

ცირა მესხიშვილი, დავით ხასიდი
TSIRA MESKHISHVILI, DAVIT CHASID

ჯვაროსნული ციხესიმაგრეები ლევანტში, როგორც სოციალურ–პოლიტიკური და ადმინისტრაციული კონტროლის ცენტრები (XII–XIII საუკუნეები)"

"CRUSADER CASTLES OF THE LEVANT AS CENTRES OF SOCIO-POLITICAL AND ADMINISTRATIVE CONTROL (12th–13th Centuries)"

Abstract. This article examines the geopolitical, strategic, and socio-cultural dimensions of Crusader fortifications in the Levant during the 11th–13th centuries. The objective of the study is to demonstrate the functional diversity of these fortresses, highlighting them not merely as military defenses but as central hubs for regional administration and economic control over the local population. Utilizing comparative and structural-functional methodologies, the research analyzes how geographical landscapes shaped architectural typologies across Israel, Syria, and Lebanon. Special attention is dedicated to the synthesis of Western European (Romanesque) engineering traditions with local Byzantine and Islamic techniques, an intersection that forged a distinctive "Crusader Romanesque style." Through specific historical case studies, the paper reconstructs the dynamic trajectories of Belvoir and Safed castles in the post-Hattin period, tracking their physical and institutional transformations under Ayyubid and Mamluk rule. The study concludes that the acquisition, structural adaptation, or systematic dismantling of these fortifications directly mirrored the shifting balance of power and demographic realities in the Holy Land.
Keywords: *Crusader States, Fortifications, Levant, Templars, Hospitallers, Safed, Belvoir, Military Ethnography.*

აბსტრაქტი. წინამდებარე სტატიაში განხილულია XII-XIII საუკუნეების ლევანტის ჯვაროსნული ციხესიმაგრეების გეოპოლ-იტიკური, სტრატეგიული და სოციო-კულტურული ასპექტები. ნაშ-

რომის მიზანს წარმოადგენს ფორტიფიკაციების, როგორც არა მხოლოდ სამხედრო-თავდაცვითი ობიექტების, არამედ რეგიონული ადმინისტრაციული და ეკონომიკური მართვის ცენტრების ფუნქციური მრავალფეროვნების ჩვენება. კვლევის პროცესში გამოყენებულია კომპარატივისტული (შედარებითი) და სტრუქტურულ-ფუნქციური მეთოდოლოგია, რომლის საფუძველზეც გაანალიზებულია გეოგრაფიული ლანდშაფტის გავლენა თავდაცვითი ნაგებობების არქიტექტურულ ტიპოლოგიაზე ისრაელის, სირიისა და ლიბანის რეგიონებში. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ევროპული (რომანული) საინჟინრო ტრადიციებისა და ადგილობრივი (ბიზანტიური და მუსლიმური) გამოცდილების სინთეზს, რაც საფუძვლად დაედო უნიკალური „ჯვაროსნული რომანული სტილის“ ჩამოყალიბებას. ნაშრომში, კონკრეტული ქეისების (Case studies) სახით, შესწავლილია ბელვუარისა და საფედის ციხესიმაგრეების დინამიკური ისტორია, მათი როლი ჰიტინის ბრძოლის შემდგომ პერიოდში და დინასტიური ტრანსფორმაციის პროცესი აიუბიდებისა და მამლუქების დაპყრობების კონტექსტში. ნაჩვენებია, თუ როგორ ასახავდა აღნიშნული საფორტიფიკაციო ინფრასტრუქტურის ხელიდან ხელში გადასვლა ან მიზანმიმართული დემონტაჟი წმინდა მიწაზე არსებულ სამხედრო-პოლიტიკურ ბალანსს.

საკვანძო სიტყვები: *ჯვაროსნული სახელმწიფოები, ფორტიფიკაცია, ლევანტი, ტამპლიერები, ჰოსპიტალიერები, საფედი, ბელვუარი, სამხედრო ეთნოგრაფია.*

VLADYLENA SOKYRSKA

UKRAINE AND RUSSIA IN THE 1920s: INTERSTATE RELATIONS, POLITICAL PRACTICE, AND IMPERIAL LEGACY

Abstract. The article examines Ukrainian-Russian relations in the 1920s through the prism of the formal legal status of the Ukrainian Socialist Soviet Republic (Ukrainian SSR), the functioning of the Soviet political system in practice, and the transformation of imperial models of governance. Particular attention is paid to the treaty relations between the Ukrainian SSR and the Russian Socialist Federative Soviet Republic (RSFSR), the establishment of the USSR, the mechanisms of party-state centralization, and the policy of Ukrainization. The broader post-imperial context, which is important for understanding the Sovietization of national republics, particularly Ukraine and Georgia, is also outlined. It is argued that the Soviet model was not a mechanical continuation of the Russian Empire; however, certain practices of centralized governance and the restriction of the political agency of national territories were transformed and adapted within it.

Keywords: Ukraine, Russia, Ukrainian SSR, RSFSR, USSR, Ukrainian-Russian relations, Ukrainization, indigenization, centralization, Sovietization, imperial legacy, political agency.

აბსტრაქტი. სტატიაში განხილულია უკრაინულ-რუსული ურთიერთობები 1920-იან წლებში უკრაინის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის (უკრაინის სსრ) ფორმალური იურიდიული სტატუსის, საბჭოთა პოლიტიკური სისტემის პრაქტიკაში ფუნქციონირებისა და მმართველობის საიმპერიო მოდელების ტრანსფორმაციის პრიზმაში. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა უკრაინის სსრ-სა და რუსეთის საბჭოთა ფედერაციულ სოციალისტურ რესპუბლიკას (რსფსრ) შორის სახელშეკრულებო ურთიერთობებს, სსრკ-ს შექმნას, პარტიულ-სახელმწიფო ცენტრალიზაციის მექანიზმებსა და უკრაინიზაციის პოლიტიკას. აგრეთვე, გამოკვეთილია ფართო პოსტიმპერიული კონტექსტი.

კვლევიდან ჩანს,რომ საბჭოთა მოდელი არ ყოფილა რუსეთის იმპერიის მექანიკური გაგრძელება; თუმცა, მასში გარკვეული სახით ტრანსფორმირდა და ადაპტირდა ცენტრალიზებული მმართველობის პრაქტიკა და ეროვნული ტერიტორიების პოლიტიკური სუბიექტურობის შეზღუდვა.

საკვანძო სიტყვები: უკრაინა, რუსეთი, უკრაინის სსრ, რსფსრ, სსრკ, უკრაინულ-რუსული ურთიერთობები, უკრაინიზაცია, კორეიზაცია (მკვიდრი მოსახლეობის დაწინაურება), ცენტრალიზაცია.

Introduction

The 1920s were a decisive stage in the formation of a new system of relations between Ukraine and Russia following the end of the Ukrainian Revolution of 1917–1921. The defeat of Ukrainian state-building projects and the establishment of Bolshevik control over most Ukrainian territories did not mean the complete disappearance of Ukrainian statehood as a political and legal form. The Ukrainian SSR continued to exist as a separate Soviet republic with its own authorities, territory, and formal attributes of statehood. At the same time, actual political practice was increasingly determined by a centralized system of Bolshevik party rule.

The examination of this process is important not only for the history of Ukraine and Ukrainian-Russian relations but also for a broader understanding of the transformation of the former Russian imperial space after 1917. Such an approach is particularly relevant in the Georgian context. The Sovietization of Georgia following the establishment of Bolshevik rule in 1921 likewise raised the question of the relationship between formal republican statehood and actual political control exercised by the Bolshevik center. The Ukrainian and Georgian cases were not identical, as they differed in their political, social, and military circumstances; nevertheless, both demonstrate a contradiction characteristic of the early Soviet system between the national-republican form and the centralized practice of governance.

In this context, the Ukrainian experience of the 1920s makes it possible to trace the mechanisms by which the former imperial space was adapted to the new Soviet political model. The concept of "imperial legacy" in this study does not imply a direct equivalence between the Russian Empire and the USSR. Rather, it refers to the continuity of certain models of interaction between the center and the periphery: the concentration of political resources at the center, restrictions on the political autonomy of national territories, administrative and economic integration, and the aspiration to maintain different regions within a unified political space.

The aim of the study is to analyze Ukrainian-Russian relations in the 1920s in three interrelated dimensions: the formal legal relations between the Ukrainian SSR and Soviet Russia, the functioning of the Soviet political system in practice, and the transformation of the imperial legacy under the conditions of the establishment of the USSR.

1. The Ukrainian SSR and Soviet Russia: From Treaty Relations to Political Dependence

Following the establishment of Bolshevik control over Ukraine, relations between the Ukrainian SSR and the RSFSR received formal treaty-based regulation [1, pp. 345–347]. Of particular importance was the Treaty on the Military and Economic Union between the RSFSR and the Ukrainian SSR of December 28, 1920. The document provided for the consolidation of a number of people's commissariats and the coordination of activities in the military and economic spheres [2, p. 76].

At the formal legal level, this treaty can be regarded as an agreement between two Soviet republics [3, p. 120]. However, its practical consequences contributed to a gradual narrowing of the sphere of independent functioning of Ukrainian state institutions. Of particular importance was the fact that, alongside the system of state bodies, there existed a centralized party structure that ensured the political unity of the Soviet republics.

It was the party mechanism that largely determined the actual configuration of power. The formal existence of republican authorities

did not imply the ability to independently determine the political course. Key decisions were made under conditions in which the Communist Party of Ukraine was subordinated to the all-Union party leadership. Thus, as early as the beginning of the 1920s, a gap emerged between the legal form of republican statehood and actual political dependence.

2. The Establishment of the USSR and the Transformation of Ukrainian Sovereignty

The beginning of the establishment of the Union of Soviet Socialist Republics in 1922 and its legal formalization in July 1923 marked a new stage in the development of Ukrainian-Russian relations [4]. Declaratively, the new state was founded on the principles of voluntary association and equality of the Soviet republics. The Ukrainian SSR formally retained the status of a union republic, while Union legislation provided for a division of powers between the Union center and the republics.

However, the practical implementation of this model was considerably more complex. As modern historiography demonstrates, the early Soviet system combined the national-territorial organization of the state with political centralization. Harvard University Professor Terry Martin characterizes this phenomenon as a distinctive "affirmative action empire," in which the Soviet authorities simultaneously promoted the institutional development of national republics and sought to preserve the territorial and political integrity of the former imperial space [5]. In the case of Ukraine, this contradiction was particularly pronounced. On the one hand, the Ukrainian SSR existed with its own authorities, constitutional framework, and national territory. On the other hand, key political and economic mechanisms were increasingly integrated into the all-Union system.

Therefore, the establishment of the USSR should be viewed not merely as a formal act of state unification but as a process of the gradual transformation of Ukrainian political agency. The sovereignty of the Ukrainian SSR increasingly acquired a formal character, while

the actual levers of strategic decision-making were concentrated at the Union and party levels.

3. Ukrainization: National Form and Centralized Political Content

One of the most controversial components of Soviet policy in Ukraine was Ukrainization. Its active phase occurred in the 1920s and constituted part of the broader policy of indigenization, aimed at strengthening Soviet power among non-Russian peoples.

Ukrainization involved expanding the use of the Ukrainian language in administration, education, and culture; recruiting Ukrainian personnel into state administration; and developing national cultural institutions. It contributed to the formation of a new Ukrainian intellectual and administrative environment [6].

At the same time, Ukrainization did not imply Ukraine's political autonomy. It was implemented within a one-party system and subordinated to the general logic of Soviet state-building. Soviet national policy in Ukraine was connected not only with cultural policy but also with the task of legitimizing Soviet power and transforming the republic socially [7].

Thus, Ukrainization had a dual character. On the one hand, it created favorable conditions for the development of the Ukrainian language and culture; on the other hand, it remained an instrument of Soviet policy. This contradiction became one of the principal features of Ukrainian political and cultural development in the 1920s.

4. Imperial Legacy and Soviet Governance Practices

The issue of imperial legacy requires a cautious approach. The Soviet Union was not simply a renamed Russian Empire. The Bolshevik authorities rejected the monarchical model, proclaimed the principles of socialist internationalism, and created a new system of political institutions.

However, a revolutionary change in political form did not mean the complete disappearance of earlier models of territorial governance. A significant part of the territory of the former empire was preserved within a unified state system. At the same time, the principles of territorial integration were reformulated: instead of the imperial administrative model, Union and republican institutions were employed, while communist ideology and party organization replaced monarchical legitimation.

For this reason, the Soviet system should be regarded as a new political construction that simultaneously inherited and transformed certain practices of imperial governance. In the case of Ukraine, this was manifested in the central authorities' aspiration to control the political, military, and economic resources of the republic despite the formal existence of Ukrainian state institutions.

In this respect, the Ukrainian experience can be examined within the broader context of Soviet policy toward national republics. Georgia represents a particularly important case for such a comparison. Following the Sovietization of Georgia in 1921, its formal status as a Soviet republic was likewise combined with its incorporation into a centralized political system. Modern studies of Soviet Georgia emphasize the contradictory nature of the Soviet model, which could simultaneously create space for the institutional development of national identity while remaining an imperial-type system in terms of relations between the center and the periphery [8].

In this sense, the Ukrainian and Georgian experiences reveal a common problem of early Soviet statehood: a national republic could acquire formal attributes of statehood while remaining politically constrained within a centralized party system.

5. The Strengthening of Centralization in the Late 1920s

By the end of the 1920s, the contradiction between the republican form and the centralized political substance was becoming increasingly pronounced. Opportunities for the autonomous

development of Ukrainian political and intellectual circles were gradually narrowed. The party leadership increasingly regarded manifestations of Ukrainian political independence as a potential threat to the unity of the Soviet state.

The conflict surrounding so-called Ukrainian national communism acquired particular significance. Representatives of the Ukrainian party and intellectual elite, including Mykola Khvylovy, Oleksandr Shumsky, Mykhailo Volobuiev, and Mykola Skrypnyk, raised questions concerning greater autonomy in Ukraine's cultural and economic development. George Liber's research demonstrates that these tendencies were connected with the emergence of a new Ukrainian intelligentsia and administrative cadres who increasingly demanded more equal relations between Ukraine and the Union center [7].

Thus, Ukrainization itself generated a certain paradox: the policy designed to strengthen the Soviet system in Ukraine by involving national cadres and promoting the use of the Ukrainian language simultaneously contributed to the development of the Ukrainian cultural and intellectual environment. For this reason, by the end of the 1920s, strengthening control over Ukrainian society became one of the priorities of the Union leadership.

Conclusions

Ukrainian-Russian relations in the 1920s developed under conditions of a gradual transition from formally treaty-based interaction between Soviet republics to a centralized system of political dependence. The 1920 treaty and the subsequent establishment of the USSR legally consolidated the special status of the Ukrainian SSR while simultaneously creating mechanisms for integrating Ukraine into the all-Union political and economic space.

The party system played a key role in this process. Centralized party leadership largely eliminated the possibility of genuine republican autonomy. As a result, the formal statehood of the Ukrainian SSR coexisted with limited political agency.

The policy of Ukrainization demonstrated the complexity of early Soviet national policy. It contributed to the development of the Ukrainian language, culture, and education and to the formation of new national cadres, while at the same time remaining an instrument of Soviet legitimation and being implemented within a one-party system.

Comparison with the Georgian context makes it possible to view the Ukrainian case as part of a broader process of transformation of the former imperial space. Ukraine and Georgia had different historical experiences; nevertheless, in both cases the Soviet system combined the formal recognition of republican specificity with centralized political control.

Thus, the imperial legacy in the 1920s manifested itself not through a simple reproduction of the institutions of the Russian Empire, but through the transformation of certain models of center-periphery relations within the new Soviet system. It was precisely the combination of a national-republican form, Soviet modernization, and centralized political control that became a defining feature of Ukraine's position in the 1920s.

REFERENCES

On State Relations between the Ukrainian SSR and the RSFSR (Resolution). *Collection of Laws and Orders of the Workers' and Peasants' Government of Ukraine and Authorized Representatives of the RSFSR*. 1920. June 7–10. Part 13. P. 345–347.

Kulchytskyi, S. V. *Communism in Ukraine: The First Decade (1919–1928).* Kyiv: Osnovy, 1996. 396 p.

Sokyrska, V. V. *Relations between the RSFSR and the Ukrainian SSR (1919–1929): Political-Economic and Administrative-Territorial Discourse.* Doctoral dissertation in History, specialty 07.00.02 – World History. Uman; Ternopil, 2018. 648 p.

Constitutions and Constitutional Acts of the USSR (1922–1936): Collection of Documents. Edited by I. P. Traynin. Moscow:

Publishing House of the *Bulletin of the Supreme Soviet of the USSR*, 1940. 206 pp.

Martin, Terry. *The Affirmative Action Empire: Nations and Nationalism in the Soviet Union, 1923–1939.* Ithaca; London: Cornell University Press, 2001. 528 p.

"Ukrainization" of the 1920s–1930s: Prerequisites, Achievements, Lessons. Edited by V. A. Smolii. Kyiv: Institute of the History of Ukraine, National Academy of Sciences of Ukraine, 2003. 392 pp.

Liber, George O. *Soviet Nationality Policy, Urban Growth, and Identity Change in the Ukrainian SSR, 1923–1934.* Cambridge: Cambridge University Press, 2002. 289 p.

Jones, Stephen F. *Socialism in Georgian Colors: The European Road to Social Democracy, 1883–1917.* Cambridge, MA: Harvard University Press, 2005. 385 p.

მაია რურუა

საბჭოთა საგარეო-სავაჭრო სატრანსპორტო -ექსპედიტორული ინფრასტრუქტურა ბათუმში (1934–1955 წწ.)

(აჭარის საარქივო სამმართველოში დაცული მასალების მიხედვით)

სსრ კავშირის საგარეო-სავაჭრო პოლიტიკის განხორციელებასა და საერთაშორისო სატრანზიტო ნაკადების მართვაში მნიშვნელოვანი როლი ენიჭებოდა შავი და კასპიის ზღვის აუზის პორტებს. საზღვარგარეთის ქვეყნებთან სავაჭრო ურთიერთობების უზრუნველყოფის, ექსპორტ-იმპორტული ტვირთების დამუშავებისა და მათი ეფექტიანი ლოგისტიკის მიზნით, XX საუკუნის 30–50-იან წლებში სსრკ საგარეო ვაჭრობის უწყებრივ სტრუქტურაში მრავალი რეორგანიზაცია განხორციელდა.

წინამდებარე კვლევაში, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ცენტრალური სახელმწიფო არქივის (აარ ცსა) ფონდ რ-425-ის პირველწყაროებზე დაყრდნობით, გაანალიზებულია საკავშირო სატრანსპორტო გაერთიანებების („ვნეშტორგტრანსი“, „ბიუროპერსი“/„ირანსოვტრანსი“, „სოვირანთურქტორგი“, „ვოსტოკინტორგი“ და „სოიუზვნეშტრანსი“) ბათუმის სააგენტოსა და კანტორის ინსტიტუციური ტრანსფორმაციის, საშტატო დინამიკის, ფუნქციური დატვირთვისა და ლოგისტიკური მნიშვნელობის ისტორია 1934–1955 წლებში.

საკავშირო გაერთიანება „ვნეშტორგტრანსის“ ბათუმის სააგენტოს დაფუძნება (1934 წ.). სსრკ საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის დაქვემდებარებაში 1934 წელს შეიქმნა საკავშირო გაერთიანება „ვნეშტორგტრანსი“. იმავე წლის 29 ოქტომბრის ბრძანებით, 1 ნოემბრიდან დაინიშნა გაერთიანების ამიერკავკასიის სამხარეო კანტორის (ადმინისტრაციული ცენტრით ქ. ბაქოში) მმართველი, ინსპექტორი, ბუღალტერი და მდი-

ვანი (რომელიც ამავდროულად საიდუმლო ნაწილის გამგე იყო) (ასს ცსა, ფ. რ-425, აღწ. 1, საქ. 1, ფურც. 1).

ამიერკავკასიის ტერიტორიაზე შეიქმნა ადგილობრივი სააგენტოები, მათ შორის — ბათუმის სააგენტო. საარქივო დოკუმენტაციით, კერძოდ, 1934 წლის 1 ოქტომბრიდან 31 დეკემბრამდე შედგენილი ანგარიშით დასტურდება, რომ ბათუმის სააგენტოს დაფუძნების სავარაუდო თარიღია 1934 წლის 1 ოქტომბერი (ასს, ცსა, ფ. რ-425, აღწ. 1, საქ. 2, ფურც. 5).

ბათუმის სააგენტოს ფინანსურ დაქვემდებარებაში გადაეცა მარკარასა და ლენინაკანის სააგენტოები, ხოლო ოპერატიულ-ფინანსური ხარჯების რეგულირებისთვის (გადიდება/შემცირება) ბათუმის სააგენტო უშუალოდ „ვნეშტორგტრანსის“ მოსკოვის გამგეობას მიმართავდა (ასს ცსა, ფ. რ-425, აღწ. 1, საქ. 1, ფურც. 1–2).

1934 წლის 1 ნოემბრის მდგომარეობით, ბათუმის სააგენტოს 6-კაციანი საშტატო ერთეული შემდეგნაირად იყო გადანაწილებული (ასს ცსა, ფ. რ-425, აღწ. 1, საქ. 1, ფურც. 4):

მმართველი, მმართველის მოადგილე (ამავდროულად სპეცჯგუფის განყოფილების გამგე), ინსპექტორი, მთავარი ბუღალტერი, მდივან-მემანქანე (უცხო ენების ცოდნით), კურიერ-დამლაგებელი.


სატრანზიტო ტვირთების მომსახურებისთვის გამოიყო სპეციალური ჯგუფები, რომლებიც ერთდროულად ექვემდებარებოდნენ როგორც „ვნეშტორგტრანსს“, ისე „ბიუროპერსს“ (ასს ცსა, ფ. რ-425, აღწ. 1, საქ. 1, ფურც. 5).

სატრანსპორტო სისტემის რეორგანიზაცია და „ირანსოვტრანსის“ ჩამოყალიბება (1935 წ.). სსრკ საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის 1935 წლის 28 იანვრის №61 ბრძანების („საგარეო ვაჭრობის სისტემაში სატრანსპორტო მუშაობის რეორგანიზაციის შესახებ“) საფუძველზე, განხორციელდა საკავშირო გაერთიანება „ვნეშტორგტრანსის“ ლიკვიდაცია (ასს ცსა, ფ. რ-425, აღწ. 1, საქ. 4, ფურც. 2–5). სატრანზიტო ტვირთების სატ-

რანსპორტო-ექსპედიტორული მომსახურებისთვის შეიქმნა სპეციალიზებული კანტორები: „ლენვნეშტრანსი“ (ჩრდილოეთისა და ბალტიის ზღვის აუზი), „იუჟვნეშტრანსი“ (შავი ზღვის აუზი, გამგეობა ქ. ოდესაში), „დალვნეშტრანსი“ და „ინოტრანსი“ (სახმელეთო საზღვრების ოპერაციები, ცენტრები ქ. მოსკოვში).

კასპიის ზღვის აუზში მცურავი გემების ტვირთბრუნვის მომსახურება დაევალა სააქციო საზოგადოება „ბიუროპერსს“ (გამგეობა გადაიტანეს ბაქოში). „იუჟვნეშტრანსის“ შემადგენლობაში განყოფილებების სახით შევიდნენ ნოვოროსიისკის, ფოთის, სოხუმისა და ბათუმის სააგენტოები. ამავე ბრძანებაში 1935 წლის 21 მარტს შეტანილი ცვლილებით, ბათუმის, სოვჯულფისა და აშხაბადის ფილიალები 1 აპრილიდან „იუჟვნეშტრანსის“ დაქვემდებარებიდან „ბიუროპერსის“ შემადგენლობაში გადავიდნენ (ასს ცსა, ფ. რ-425, აღწ. 1, საქ. 4, ფურც. 9), ხოლო ლენინაკანისა და მარკარას ფილიალები „ზაკგოსტორგს“ დაექვემდებარა. ბათუმიდან სატრანზიტო და ექსპორტული ტვირთების წესების დაცვით გატანის უზრუნველსაყოფად „იუჟვნეშტრანსს“ უფლება მიეცა ბათუმში საკუთარი აგენტი ჰყოლოდა.

1935 წლის 25 მარტს, სააქციო საზოგადოება „ბიუროპერსის“ მთავარი კანტორის ხელმძღვანელობის (ადგილმდებარეობა - ქ. თეირანი) ბრძანებით — ირანის სახელმწიფოს ოფიციალური ცირკულიარის საფუძველზე („პერსიის“ ნაცვლად „ირანის“ წოდებასთან დაკავშირებით) — ორგანოს ეწოდა **სააქციო საზოგადოება „ირან-საბჭოთა ტრანსპორტის“ მთავარი კანტორა „ირანსოვტრანსი“** (ასს ცსა, ფ. რ-425, აღწ. 1, საქ. 4, ფურც. 10). შესაბამისად, ბათუმის სააგენტოს ეწოდა **სს „ირანსოვტრანსის“ ბათუმის სააგენტო**.



Копия

ПРИКАЗ № 33

ПО ГЛАВНОЙ КОНТОРЕ А/О "БОРОПЕРС"

гор.Тегеран 25 Марта 1935 года.

§ 1.-

В связи с переименованием государства Персии в Иран и на основе распоряжения Наркома Внешней Торговли, Главная Контора А/О "БОРОПЕРС" переименовывается в Главную Контору А/О "ИРАНО-СОВЕТСКИХ ТРАНСПОРТОВ" "ИРАНСОВТРАНС".

§ 2.-

С получением настоящего приказа Конторам и Агентствам предлагается изменить наименование "БОРОПЕРС" в ИРАНСОВТРАНС".

§ 3.-

Предлагаю с сегодняшнего дня всю исходящую корреспонденцию оформлять по вышеуказанным наименованию, известить наших заграничных и советских корреспондентов, а также опубликовать в иранпечати.

Зарегистрировав переименование Бороперс"а на "ИРАНСОВТРАНС" в Регистрационном Управлении.

ДИРЕКТОР-РАСПОРЯДИТЕЛЬ:

(Матвеев)

Верно:

სტრუქტურული რეორგანიზაციის შედეგად, ბათუმის სააგენტოს შტატი 8 ერთეულამდე გაიზარდა (ასს ცსა, ფ. რ-425, აღწ. 1, საქ. 4, ფურც. 19): მმართველი, ოპერატიული განყოფილების (სპეცჯგუფის) გამგე, ინსპექტორი (2 შტატი), ბუღალტერი (2 შტატი), მდივან-მემანქანე (უცხო ენების სპეციალისტი), საქმისმწარმოებელი, კურიერ-დამლაგებელი, იურისკონსულტანტი.

ინფრასტრუქტურული გამოწვევები და ბათუმის კანტორის გაფართოება. 1935 წელს ბათუმის სააგენტო მდებარეობდა

შმიდტის ქუჩა №1-ში (ამჟამინდელი ი. გოგებაშვილის ქუჩა). საარქივო მასალები მოწმობს, რომ სააგენტო მძიმე მატერიალურ-ტექნიკურ პირობებში საქმიანობდა. 1935 წლის 29 ივნისის ერთობლივ თათბირზე აღინიშნა, რომ სააგენტოს თანამშრომლები შეხიზნული იყვნენ „ზაკგოსტორგის“ კუთვნილ 35 კვ.მ ფართობის ოთახში, ამავე ორგანიზაციის 13 თანამშრომელთან ერთად. ოქმის თანახმად: *„იმის გათვალისწინებით, რომ „ირანსოვტრანსის“ სააგენტოს კლიენტურა არის ისეთი უცხოური ფირმები, როგორიცაა „სტანდარტ ოილი“ (Standard Oil), „დოიჩე ლევანტე ლინიე“ (Deutsche Levante Linie), „ლოიდ ტრიესტინო“ (Lloyd Triestino), აგრეთვე საზღვარგარეთული გემების კაპიტნები, სააგენტოს მიერ დაკავებული შენობა და ინვენტარი არ შეესაბამება მის დანიშნულებას“* (ასს ცსა, ფ. რ-425, აღწ. 1, საქ. 4, ფურც. 37; იხ. აგრეთვე საქ. 2, ფურც. 5).

დასმული საკითხები დაკმაყოფილდა: 1935 წლის 1 ნოემბრისთვის თანამშრომელთა რაოდენობა 22-მდე გაიზარდა (14 ადმინისტრაციულ-მმართველობით აპარატში, 8 - პორტის საწყობებში) (ასს ცსა, ფ. რ-425, აღწ. 1, საქ. 4, ფურც. 52).

„ირანსოვტრანსის“ ბათუმის კანტორის მმართველის 1935 წლის 21 ნოემბრის №63 ბრძანებით, ტვირთბრუნვის ზრდის გამო, სააგენტოს მიენიჭა **„ირანსოვტრანსის“ ბათუმის კანტორის** სტატუსი (ასს ცსა, ფ. რ-425, აღწ. 1, საქ. 4, ფურც. 56), ხოლო 1937 წლისთვის მისამართმა გადაინაცვლა შმიდტის ქუჩა №3-ში (ასს ცსა, ფ. რ-425, აღწ. 1, საქ. 15, ფურც. 4).

სსრკ სახალხო კომისართა საბჭოს 1936 წლის 10 მარტის №477 დადგენილებით, სააქციონერო საზოგადოება გარდაიქმნა **საკავშირო გაერთიანება „ირანსოვტრანსად“** (ასს ცსა, ფ. რ-425, აღწ. 1, საქ. 7, ფურც. 14). იმავე წლის 1 მაისიდან გამგეობა ბაქოდან მოსკოვში გადავიდა.

ფუნქციური პროფილი, საკადრო პოლიტიკა და სახელწოდებათა ცვლილებები (1936–1950 წწ.). ბათუმის კანტორის ძირითად დანიშნულებას წარმოადგენდა ბათუმის საზღვაო პორ-

ტის გავლით სატრანზიტო, ექსპორტულ-იმპორტული ტვირთების გადატვირთვა, შემოსავლისა და საწყობების ოპერატიული აღრიცხვა, სატრანსპორტო დოკუმენტაციის მოწესრიგება და ფინანსური ანგარიშსწორება პორტთან, რკინიგზასა და სახელმწიფო ბანკთან (ასს ცსა, ფ. რ-425, აღწ. 1, საქ. 19, ფურც. 7).

საშტატო ერთეულებისადმი დაწესებული იყო მაღალი საკვალიფიკაციო მოთხოვნები, განსაკუთრებით - უცხო ენების ცოდნის კუთხით. კანტორაში მოქმედებდა ინგლისური ენის შემსწავლელი კურსები. სსრკ საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ბრძანებით, უცხო ენის ცოდნისთვის დაწესებული იყო სახელფასო დანამატი: 20% ერთი ენისთვის და 10% ყოველი მომდევნო ენისთვის (ასს ცსა, ფ. რ-425, აღწ. 1, საქ. 7, ფურც. 25, 33). დანამატი გაიცემოდა ინგლისური, ფრანგული, იტალიური, გერმანული, ესპანური, თურქული, იაპონური, მონღოლური, ჩინური, ირანული, შვედური, ჰოლანდიური, ჩეხური და ტუვინური ენების ფლობისას.

გეოპოლიტიკური და ადმინისტრაციული ცვლილებების შესაბამისად, საკავშირო გაერთიანებამ რამდენჯერმე შეიცვალა სახელწოდება:

1937 წელი: ირანთან და თურქეთთან ექსპორტ-იმპორტ ვაჭრობის საკავშირო გაერთიანება **„სოვირანთურქტორგი“** (*Всесоюзное экспорт-импортное объединение по торговле с Ираном и Турцией „Совирантурктторг“*) (ასს ცსა, ფ. რ-425, აღწ. 1, საქ. 8, ფურც. 58);

1939 წლის 1 აგვისტო: ეწოდა საკავშირო გაერთიანება **„ვოსტოკინტორგი“**, ხოლო ადგილობრივ ორგანოს — საკავშირო გაერთიანება „ვოსტოკინტორგის“ ბათუმის კანტორა (ასს ცსა, ფ. რ-425, აღწ. 1, საქ. 21, ფურც. 1; საქ. 22, ფურც. 8–11).

1940–1951 წლები: ორგანიზაცია კვლავ საკავშირო გაერთიანება **„ირანსოვტრანსის“ სახელწოდებით** განაგრძობდა ფუნქციონირებას.

მიუხედავად აბრევიატურული ტრანსფორმაციებისა, ბათუმის კანტორა ინარჩუნებდა აღმოსავლეთ-დასავლეთისა და ევროპა-აზიის სატრანზიტო დერეფნის საკვანძო გადასატვირთი პუნქტის სტატუსს. პირდაპირი საზღვაო რეისების არარსებობის გამო, ტვირთნაკადები სტამბოლის, ხმელთაშუა და ადრიატიკის ზღვის პორტებისკენ (მარსელი, გენუა, ბეირუთი, ჰაიფა, ალექსანდრია) სწორედ ბათუმისა და ოდესის/ნოვოროსიისკის პორტების გავლით მუშავდებოდა (ასს ცსა, ფ. რ-425, აღწ. 1, საქ. 12, ფურც. 22).

„სოიუზვნეშტრანსის“ ეპოქა და ლიკვიდაცია (1951–1955 წწ.). სსრკ მინისტრთა საბჭოს 1951 წლის 12 ივნისის განკარგულებისა და საგარეო ვაჭრობის მინისტრის 1951 წლის 15 ივნისის №421 ბრძანების საფუძველზე, „ირანსოვტრანსი“ და „ლენვნეშტრანსი“ გაერთიანდა ერთიან **საგარეო ვაჭრობის ტვირთბრუნვის სატრანსპორტო-ექსპედიტორულ საკავშირო გაერთიანება „სოიუზვნეშტრანსად“** (*Союзвнештранс*). ბათუმის კანტორას ოფიციალურად ეწოდა **საკავშირო გაერთიანება „სოიუზვნეშტრანსის“ კანტორა ქ. ბათუმში** (ასს ცსა, ფ. რ-425, აღწ. 1, საქ. 36, ფურც. 14, 17, 25–26).

პარალელურად იცვლებოდა უწყებრივი დაქვემდებარებაც:

1946 წელი: სახალხო კომისარიატების სამინისტროებად გარდაქმნის შედეგად დაექვემდებარა სსრკ საგარეო ვაჭრობის სამინისტროს (ასსცსა, ფ. რ-425, აღწ. 1, საქ. 34, ფურც. 1).

1953 წლის ივნისი: შევიდა საგარეო და საშინაო ვაჭრობის გაერთიანებული სამინისტროს სისტემაში (ასს ცსა, ფ. რ-425, აღწ. 1, საქ. 36, ფურც. 46).

1953 წლის 24 აგვისტო: სსრკ უმაღლესი საბჭოს ბრძანებულებით ხელახლა გამოყოფილ სსრკ საგარეო ვაჭრობის სამინისტროს დაუბრუნდა (ასს ცსა, ფ. რ-425, აღწ. 1, საქ. 36, ფურც. 49–50).

სსრკ მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 1 მარტის დადგენილებისა და საგარეო ვაჭრობის სამინისტროს 12 მარტის №113 ბრძა-

ნების საფუძველზე, ბათუმში მოქმედი „სოიუზვნეშტრანსისა“ და „სოიუზნეფტექსპორტის“ კანტორები გაერთიანდა ერთ სტრუქტურად - **საკავშირო გაერთიანება „სოიუზნეფტექსპორტის“ კანტორად ქ. ბათუმში** (ასს ცსა, ფ. რ-425, პირადი საქმე, ფურც. 4–5). ამ გადაწყვეტილებით „სოიუზვნეშტრანსის“ ბათუმის კანტორამ დამოუკიდებელი ფუნქციონირება შეწყვიტა.

აღსანიშნავია, რომ იურიდიული მისამართი ორგანიზაციას არსებითად არ შეუცვლია: იგი მდებარეობდა სანაპიროს ქუჩა №5-ში (სხვადასხვა დროს ატარებდა შმიდტისა და ბერიას სახელებს; ამჟამინდელი ი. გოგებაშვილის ქუჩა) (ასს ცსა, ფ. რ-425, აღწ. 1, საქ. 4, ფურც. 42; საქ. 36, ფურც. 13; საქ. 51, ფურც. 1).

ამრიგად, საკავშირო სატრანსპორტო-ექსპედიტორული გაერთიანებების („ვნეშტორგტრანსი“, „ირანსოვტრანსი“, „სოვირანთურქტორგი“, „ვოსტოკინტორგი“, „სოიუზვნეშტრანსი“) ბათუმის სააგენტოსა და კანტორის 1934–1955 წლების ისტორია ნათლად ასახავს საბჭოთა საგარეო ვაჭრობის ცენტრალიზებულ და დინამიკურ ხასიათს. 20-წლიანი არსებობის მანძილზე, მუდმივი სტრუქტურული რეორგანიზაციებისა და უწყებრივი ცვლილებების მიუხედავად, ბათუმის კანტორა წარმოადგენდა სტრატეგიულ საყრდენ ლოგისტიკურ კვანძს ევროპასა და აზიას შორის, რომელიც უზრუნველყოფდა შავი ზღვის აუზისა და ახლო აღმოსავლეთის მიმართულებით სატრანზიტო, ექსპორტ-იმპორტული ტვირთბრუნვის შეუფერხებელ მომსახურებას. 1955 წელს მისი შერწყმა „სოიუზნეფტექსპორტთან“ გამოწვეული იყო ბათუმის პორტის პროფილურ სპეციალიზაციაში ნავთობისა და ნავთობპროდუქტების ექსპორტის პრიორიტეტულობის ზრდით.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

ასს ცსა — აჭარის საარქივო სამმართველოს ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი რ-425 (*საკავშირო გაერთიანება*

„ირანსოვტრანსის“, შემდგომში „სოიუზვნეშტრანსის“ ბათუმის კანტორა):

ფონდი რ-425, აღწერა 1:

საქმე 1, ფურცლები: 1, 1–2, 4, 5.
საქმე 2, ფურცელი: 5.
საქმე 4, ფურცლები: 2–5, 9, 10, 19, 37, 42, 52, 56.
საქმე 7, ფურცლები: 14, 16, 25, 33.
საქმე 8, ფურცელი: 58.
საქმე 12, ფურცლები: 12, 22.
საქმე 15, ფურცელი: 4.
საქმე 19, ფურცელი: 7.
საქმე 21, ფურცელი: 1.
საქმე 22, ფურცლები: 8–11.
საქმე 34, ფურცელი: 1.
საქმე 36, ფურცლები: 13, 14, 17, 25–26, 46, 49, 50.
საქმე 51, ფურცელი: 1.

უჩა ოქროპირიძე

ანთიმოზ ივერიელის ცხოვრება და მოღვაწეობა საქართველოსა და რუმინეთში

თუ როგორ აფასებს რუმინელი ხალხი ანთიმოზ ივერიელის ღვაწლს თავისი ქვეყნისადმი ამას მოწმობს ის ფაქტი, რომ საქართველოში ანთიმოზ ივერიელის ტაძ-რის ასაშენებლად რუმინეთიდან ჩამობრძანდა ქ-ნი ალექსანდრინა სერბინა, რომელმაც სამშობლოში სახლი გაყიდა და საქართველოს ეწვია ამ მისიის აღსასრულებლად. აღარაფერს ვამბობ ანთიმოზ ივერიელის ხსოვნის აღსანიშნავად რუმინეთსა და საქარ-თველოში გამართულ არა ერთ ღონისძიებასა და საერთაშორისო სამეცნიერო კონფე-რენციაზე. მის შესახებ მეტად საინტერესოდ მოგვითხრობს ანთიმოზ ივერიელის ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი მიძღვნილი არაერთი საერთაშორისო კონფერენ-ციის ერთ-ერთი ორგანიზატორი და აქედან გამომდინარე, გამოცემული დიდტანიანი კრებულების ავტორთა ჯგუფის ხელმძღვანელი, ქართველი პროფესორი ანასტასია ზაქარიაძე. ამიტომაც, რუმინეთში მოღვაწე ამ დიდ ქართველ შემოქმედზე საუბარს ანასტასია ზაქარიაძის მიერ გამოცემული ანთიმოზ ივერიელისადმი მიძღვნილი მოკლე ისტორიული ექსკურსით დავიწყებთ:

„ანთიმოზ ივერიელი (რუმინულად Anthim Iverianul), ერისკაცობაში ანდრია ხურციძე, (1650-1716 წ. წ.) - ადრინდელი მოდერნის ეპოქის საქართველოს და ევროპის ერთ-ერთი თვალსაჩინო მოღვაწე, დიდი განმანათლებელი და ჰუმანისტი, ღვთისმეტ-ყველი, ფილოსოფოსი, თანამედროვე რუმინული ენის ერთერთი ფუძემდებელი, პოლიგლოტი, აღიარებული რიტორი, ფილანტროპი, პოეტი, მწერალი და მთარგმნე-ლი, ბილინგვური ტექსტების შემქმნელი, სასტამბო საქმის ოსტატი და საგამომცემლო საქმიანობის ორგანიზატორი, გამორჩეული მხატვრული უნარებით დაჯილდოებული კალიგრაფი, ქსილოგრაფი და გრა-

ვიორი, ხატმწერი და ხუროთმოძღვარი, ბუქარეს-ტის მიტროპოლიტი 1708-1716 წლებში“, - გვიამბობს ქ-ნი ანასტ. ზაქარიაძე და იქვე განაგრძობს, - „ იგი დაიბადა მესხეთის სოფელ უდეში, იოანე და მარიამ ხურციძეების ოჯახში. საქართველოდან გატაცებული გამოისყიდა იერუსალიმის პატრიარქმა დოსი-თეოს ნოტარამ; იერუსალიმში აღკვეცეს ბერად, აკურთხეს მღვდლად და მაცხოვრის საფლავის ტაძრის ეკონომოსად დანიშნეს. 1689 წლიდან იგი იერუსალიმის პატრიარქის კურთხევით ვლახეთშია. ამ წელს მღვდელ-მონაზონი ანთიმოზი ხდება მონასტერ ჩიტეცუას წინამძღვარი, სადაც ეუფლება მესტამბეობის ხელოვნებას. 1690 წელს იგი ბუქარესტში აარსებს სტამბას, სადაც პირველად იბეჭდება რუმინულ ენოვანი წიგნები. 1694 წელს ანთიმოზი, როგორც სნაგოვის მონასტრის წინამძღვარი აარსებს სტამბას და მესტამბეობის სკოლას. მისი მთავარი დამხმარე და უერთგულესი მოწაფეა თბილისში პირველი სტამბის გამმართველი მიხაი იშტვანოვიჩი. 1701 წელს ანთიმოზი იწყებს პირველ არაბულ ენოვან სტამბას, სადაც ანტიოქიელი (და ალეპოელი - ავტ.) მართლმადიდებლებისათვის იბეჭდება ბილინგვური საღვთისმეტყველო ტექსტები.

1708 წელს ანთიმოზ ივერიელს აკურთხებენ უნგრო-ვლახეთის მიტროპოლიტად. იმავე წელს ქ. ტრიგოვიშტეში აარსებს კიდევ ერთ სტამბას. 1709 წელს ბუქარესტში აწყობს ქართული შრიფტის მქონე სტამბასაც, სადაც ბეჭდავს ქართულენოვან ოდიკებს და მიხაი იშტვანოვიჩის ხელით, სტამბის მოწყობილობასთან ერთად აგზავნის საქართველოში. იმავე წელს ქართულენოვანი სტამბა იწყებს ფუნქციონირებას თბილისში. მიხაი იშტვანოვიჩი ბეჭდავს 10 წიგნს, საიდანაც 9 სახეზეა (დღესაც - ავტ.), ერთის ადგილმდებარეობა კი დღემდე უცნობია. 26 წლის განმავლობაში ანთიმოზ ივერიელმა გამოსცა 68 წიგნი. აქედან 4 თვითონ მის მიერაა დაწერილი, 10 წიგნისთვის მან დაწერა წინასიტყვაობა, 6 წიგნს დაურთო შენიშვნები და კომენტარები, 5 წიგნის-

თვის შეთხზა ლექსები, 6 წიგნი კი, თარგმნა ბერძნულიდან რუმინულად.

ანთიმოზ ივერიელის, როგორც რუმინეთის მართლმადიდებლური ეკლესიისა და სახელმწიფოებრივი გამოუკიდებლობისათვის მებრძოლის როლს ვერ ეგუებოდა, ერთის მხრივ, კონსტანტინეპოლის საპატრიარქო, მეორეს მხრივ კი, ვლახეთში პრო-ოსმალური ხელისუფლება და ოსმალეთის სულთნის კარი. პრეოსმალური ორიენ-ტაციის მთავრის, ნიკოლო მავროკორდატის დასმენით 1716 წელს მას სასულიერო ხარისხიდან განკვეთავენ და სინას მთაზე წმ. ეკატერინეს სახელობის მონასტერში სამუდამო გადასახლების განაჩენს გამოუტანენ. გზაში, იმჟამინდელი ბულგარეთის ტერიტორიაზე, თურქი ჯარისკაცები მოწამეობრივად აღასრულებენ ანთიმოზ ივერიელს და მის ცხედარს მდინარე ტუნჯიას (დულჩიას - უ. ო.) გააყოლებენ.

1966 წელს კონსტანტინეპოლის მსოფლიო საპატრიარქოს მიერ უქმდება უნგრო-ვლახეთის მიტროპოლიტის ანთიმოზის განკვეთის აქტი... 1992 წლის 27 სექტემბერს რუმინეთის ეკლესიის წმიდა სინოდმა ანთიმოზ ივერიელი მღვდელმოწამის სახელით წმინდანად შერაცხა, - მისი ხსენების თარიღად რუმინეთში დაწესდა 27 სექტემბერი . საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია მის ხსენებას აღასრულებს 13/26 ივნისს.

ასე მოკლედ ცდილობს ქართველი მკვლევარი ან. ზაქარიაძე, გადმოსცეს წმ. მღვდელმთავრის ანთიმოზ ივერიელის სასახელო, ამასთან ტკივილიანი ისტორია. ის არსად შეფასებას არ აძლევს მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიაში კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს მიერ შესრულებული ამ საძრახის როლს, რომელიც ოსმალთა იმპერიისა და მისი მარიონეტების ხელში მათი დაკვეთის ჩვეულებრივ აღმსრულებლად წარმოჩნდა. მან, რადგანაც რუმინეთის მართლმადიდებლური ეკლესიის დამოუკიდებლობის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში თავისი მიზნები ოსმალების პოლიტიკურ მიზნებს დაამთხვია, ყოველგვარი დაფიქრების გარეშე, რუმინული სამღვდელოების აზრის უკითხა-

ვად (თუმცა, როგორც სჩვევიათ და მოსალოდნელიც იყო, აქაც ბევრი მოწინააღმდეგე და დამსმენი ეყოლებოდათ ოსმალეთის სახელმწიფოს ინტერესების გამტარებელი - უ. ო.), ანათემას გადასცა და სასტიკი განაჩენი გამოუტანა მრავალმხრივ ნაღვაწსა და საკუთარი სამწყსოს უერთგულეს მსახურს, ხოლო მისი ამ სიმრუდისა და, ყველა გაგებით, მტრული და უსამართლო განაჩენისაგან ანთიმოზ ივერიელის რეაბილიტაციისათვის 250 წელი დარჩა საჭირო... „ქრისტეს მსახურთა“ ასეთი ქმედება ძალიან არაქრისტიანულად ფიქსირდება და ამაზე ახლაც მართებთ დაფიქრება მარადიული სიკეთის მსახურებაზე პრეტენზიის მქონეთ...მაგრამ, ამის და მიუხედავად, ავტორი აღწევს ანთიმოზ ივერიელის სრული და შთამბეჭდავი სახის ჩვენთვის წარმოჩენას, შემდეგ კი იქვე გვეუბნება: „ანთიმოზ ივერიელი, როგორც ღვთისმეტყველი, აღმოსავლეთის ეკლესიის საღმრთო გადმოცემის, ანუ წმინდა წერილის და წმინდა მამათა რელიგიური გამოცდილების განმმარტებელი და მათი მემკვიდრეობის გამგრძელებელია. ანთიმოზის მსოფლმხედველობრივი და რელიგიური პოზიცია შეიძლება განვიხილოთ, როგორც „სინანულის თეოლოგია“... აქ რელიგიის სოციალური ფუნქცია, რომელიც დასავლურ ქრისტიანობაშია წინ წამოწეული, ორგანულად ერწყმის აღმოსავლური ქრისტიანობის მისტიციზმს“ - ამბობს ავტორი და ჩვენ გვესმის, რომ ეს ყველაფერი ანთიმოზ ივერიელის აზროვნებაში გადახარშული კრიტიკული მიმართებების შედეგია.

ანთიმოზ ივერიელი არსებითად იღებს ქრისტიანობის ამოსავალ პრინციპულ დებულებას ტახტისა და საკურთხევლის უფლებამოსილებათა გამიჯვნის შესახებ. მისი პოლიტიკური თეოლოგიის ქვაკუთხედი დებულებაა, რომლის თანახმადაც პოლიტიკური ხელისუფლება გამოყოფილია საეკლესიო ხელისუფლებისაგან... ეს საკითხი გაშლილია მის არა ერთ თხზულებაში. მას ანთიმოზი ქადაგებასაც უძღვნის . ამ თემას იგი უკავშირებს ქტიტორულ ტიპიკონს, გამორჩეულ ტექსტს - „მიტრპოლიტ ანთიმოზ ივერიელი ყოველთა წმიდათა მონასტრისადმი“, ე. წ. ან-

დერძს (1713 წ.). 32 მუხლში ჩამოყალიბებული მმართველობის წესების განმსაზღვრელი წერილობითი ძეგლი შეიძლება ჩაითვალოს კონსტიტუციური სამართლის ტიპის პირველ დოკუმენტად ბალკანურ ევროპაში; კონსტიტუციური სამართლის შექმნის პირველი პრეცენდენტი. ის ყველა ნიშნით შეიძლება შევადაროთ ამერიკული დამოუკიდებლობის დეკლარაციას. ანთიმოზ ივერიელის ანდერძის ამოსავალი პოსტულატია „მონასტრის სრული ხელშეუხებლობა“, - უბატონობა. რისი საფუძველიც დასავლეთ ევროპის ფილოსოფიაში გახდა ადამიანის ხელშეუვალი ბუნებითი უფლებები: თავისუფლება, სიცოცხლის უფლება და საკუთრება (რაც ფრენსის ბეკონის პოლიტიკურ ტრაქტატებშია ფორმულირებული).

„ანთიმოზ ივერიელი ტიპიკონში მონასტერს უმორჩილებს ღმერთს, იესო ქრისტეს. იგია ყოველთა მბრძანებელი და სხვა არავინ“: არც პატრირქს, არც თავადის ხელისუფლებას არა აქვს მონასტრის ავტონომიის ხელყოფის უფლება. იმის დასტურად, რომ ღმერთისგან მონიჭებული რწმუნებულება შესაბამისობაშია პოლიტიკური ხელისუფლების მიზანთან - აღასრულოს სამართლიანობა, „გაასწოროს გამრუდებული სამართალი“ - პასუხისმგებლობისა და ლეგიტიმაციის წყაროდ ანთიმოზი იმოწმებს ფილოსოფოსს, რომელსაც ჰკითხეს: „რა არის ყველაზე მნიშვნელოვანი ხელმწიფისათვის, რათა მისმა ქვეშევრდომებმა იცხოვრონ ყველაფრით უზრუნველყოფილებმა“, ბრძენმა ფილოსოფოსმა უპასუხა: „იგი უნდა იყოს განურჩევლად ყველასათვის სამართლიანი“...ხელისუფლებას ეკისრება პასუხისმგებლობა ერის ... კეთილდღეობაზე. „როგორც ხორციელ და წარმავალ, ასევე სულიერ და მარადიულ საკითხებში“. ანთიმოზის ტრაქტატი „პოლიტიკური ტრაქტატი ქრისტიანს“ ათენურ-იერუსალიმური პარადიგმის გადალახვის მცდელობაა. თამამად შეიძლება აღვნიშნოთ, რომ მას სურს სოკრატულ-პლატონური იდეალური სახელმწიფოს მოდელის ქრისტიანულ-თეოლოგიურ დისკურსში განხილვა. იგი ახდენს ანტიკური ფილოსოფიის პარადიგმულობის, შუა საუკუნეებ-

ის თეოლოგიური დისკურსის და ახალი დროის ფილოსოფიის ნააზრევთა კონცეპტუალურ გადააზრებას საღვთისმეტყველო, პოლიტიკურ-თეოლოგიურ თუ დოგმატურ ჭრილში, რომელსაც ოქროს კვეთად გასდევს თეოლოგიურ-პოლიტიკურ აზრთა სიმფონია“... [ზაქარიაძე, http://enciklopedia.ge/ka/print/186;(3-4)],

ანთიმოზ ივერიელის შემოქმედება და მოღვაწეობა ძალიან მნიშვნელოვანია ქართული სასულიერო აზროვნების განვითარებისათვის. მან შეძლო განმანათლებლობის ხანაში განევითარებინა ქართული ტრადიციული რელიგიური ცნობიერება და აღედგინა კავშირი ევროპულ თეოლოგიურ იდეებთან. მან მოახერხა ქართული თეოლოგიური აზროვნების ზოგად განვითარებაში ხუთსაუკუნოვანი ხარვეზის შევსება და ევროპულ თეოლოგიურ, კულტურულ და საგანმანათლებლო სფეროებთან საღვთისმეტყველო კულტურული დიალოგის ხელახლა გახსნა [ზაქარიაძე, http://enciklopedia (3-4)]. ამასთან, ჩვენ ვფიქრობთ, რომ ანთიმოზის ასეთი უდიდესი ძალისხმევა სხვადასხვა ქვეყნებში (თვით რუმინეთში რამდენიმე სტამბისა და საგანმანათლებლო ცენტრების ჩამოყალიბება) სტამბების გახსნა და მათი ნაწარმით მაშინდელი ქრისტიანულ მართლმადიდებლური ცენტრების საჭირო ლიტერატურით უანგარო მომარაგება, შეგნებული და კარგად გააზრებული ქმედება იყო და შორს მიმავალ სამომავლო მიზანს ემსახურებოდა, - ოსმალური მოძალადეობა-მპყრობელობის პირობებში, ევროპული განმანათლებლური მისიის აღორძინებასა და ამისათვის აუცილებელი ახალი სააზროვნო სივრცისათვის წიგნების, ანუ ცოდნის გავრცელების საშუალებით, ნიადაგის შემზადებას ემსახურებოდა. რამაც შემდგომში ევროპის ფეოდალური არისტოკრატიულ ფენებს მხარში ამოუყენა განათლების გადემოკრატიულობით (მისი ხელმისაწვდომობის გაზრდით), ამოძრავებული საშუალო და დაბალი ფენები. ამ ფორმით განათლების გადემოკრატიულობამ გზა გაუხსნა და ააღორძინა შუა საუკუნეთა სიბნელეში ჩაკარგული აზროვნების დემოკრატიული საწყისები, რასაც შედეგად მოყვა ევროპაში საზოგადოებრივი

აზრისა და იდეოლოგიის შემდგომი დემოკრატიზაცია და სოციალურ-პოლიტიკური გარდაქმნები. ყველაფერ ამას, თუმცა უმტკივნეულოდ არ ჩაუვლია, მაგრამ საკმაოდ ძლიერი სოციალ-ეკონომიკური და პოლიტიკური კატაკლიზმების შედეგად, იშვა თანამედროვე ევროპისა და საერთოდ, დასავლეთის დემოკრატიული ცივილიზაციები.

ამიტომ, შეიძლება ითქვას, ანთიმოზ ივერიელი თავისი საქმიანობით ამ დიდი ისტორიული პროცესების განვითარების საწყისებთანაც იდგა (აღმოსავლეთ ევროპასა და მის მიმდებარე რეგიონებში მაინც - უ. ო.) და თავისი საქმიანობით საკუთარი წვლილი შეჰქონდა ევროპული აზროვნების დემოკრატიული საწყისების ჩამოყალიბებაში; ამიტომაც შევეცდებით ახლებურად, თანამედროვეობის შესაბამისად, კიდევ ერთხელ გადავავლოთ თვალი ანთიმოზ ივერიელის მრავალმხრივ საინტერესო ცხოვრებისა და მოღვაწეობის ისტორიას.

რუმინელი ისტორიკოსი წერს: „რამდენჯერაც დახედავს მზე რუმინეთის მიწას, იმდენჯერ გაიხსენებს რუმინელი ხალხი სიყვარულითა და პატივისცემით ანთიმ ივერიელს, რომელმაც ჩადო საძირკვლის ქვა რუმინული კულტურის ბალავარში და უკანასკნელ ამოსუნთქვამდე იბრძოდა მისი თავისუფლებისათვის [https: //kvirispalitra.ge/].

იქვე ნათვამია: „თუმცა ძვირი დაუფასა თურქმა (ოსმალომ - უ. ო.), მღვდელმთავარმა (დოსითეოსი, იერუსალიმის პატრიარქი - უ. ო.) მაინც იყიდა მისგან ქართველი მონა“ [https: //kvirispalitra.ge/].

ეს ისტორიული პასაჟი მთლად დამაჯერებლად ვერ გამოიყურება. ჩვენ ანთიმოზ ივერიელის ცხოვრების ღრმად გაცნობამ გვაფიქრებინა, რომ მართებული შეიძლება იყოს იმ მკვლევართა თვალსაზრისი, რომლებიც უშვებენ ანთიმოზის თავისი მიზნისაკენ გეგმაზომიერ სწრაფვას. იგი თავისი მიზნისაკენ მთელი თავისი შეგნებით მიდიოდა და მისი საქართველოდან გატაცების ვერსია მცდარი შეიძლება იყოს.

ჩვენი აზრით, იგი ნებაყოფლობით უნდა წასულიყო თავისი სამშობლოდან, რადგან აქ თავისი ნიჭისათვის ასპარეზს ვერ ხედავდა, და როგორც დღეს ბევრი ქართველი, იძულებული გახდა უცხოეთში ეძებნა თავისი ბედი საკუთარი შესაძლებლობების სარეალიზაციოდ, - ისიც ასე მოიქცა, - გამოიყენა მთელი თავისი ნიჭი და გენიალური საშუალებანი მიზნის მისაღწევად. ამის დასტურია მის მიერ განვლილი მთელი ცხოვრების გზა, სადაც ის, შემუშავებული გეგმის მიხედვით მიისწრაფის თავისი მიზნისაკენ და საკუთარ სიკვდილსაც თავისი ნებისაებრ განკარგავს. ასეთ პიროვნებას, სურვილის შემთხვევაში, თავისუფლად შეეძლო სამშობლოში დაბრუნება, მაგრამ მან კარგად იცოდა რაც სურდა და მიზანსაც მიაღწია, - უკვდავებას ეზიარა! (თორემ უწიგნური ოსმალო ასკერებისათვის თავისი მოკვლის ბრძანების გაცხადება, რომელიც შეიძლება არც ყოფილა და წერილში სულ სხვა რამ ეწერა, - რა აუცილებლობას წარმოადგენდა?!

თავისი ნებაყოფლობითი „ექსორიის“ დროს მან ყველა მიმართულებით სრულყო თავისი ცოდნა და გამოცდილება, რის შესახებაც სიამაყის გრძნობით აღნიშნავს მისი თანამედროვე... – „ თავისი დაუღალავი შრომით ყოველდღიურად იფართოებდა თავისი საქმიანობის ასპარეზს და საკუთარი ხელით სჭედდა საკუთარ პერსპექტიულ მომავალს“.

მისი საგანმანათლებლო საქმიანობა მიმართულია რუმინული საზოგადოების თვითგანვითარებისა და აღორძინებისაკენ, მასში წმინდა ეროვნული საწყისების ჩანერგვისა და გამოცოცხლებისაკენ.

როგორც ჩანს, იერუსალიმის საპატრიარქოს კარზე მოხვედრილ ანთიმოზს სრუ-ლუყვია თავისი განათლება და ოსტატობა. მისი თანამედროვე წერს: „ბრწყინვალედ ფლობდა ხელოვნების ყველა დარგს, განსაკუთრებით მხატვრობას , მოჩუქურთმებას, ქსილოგრაფიას, იყო შესანიშნავი კალიგრაფი, ნიჭიერი მოქანდაკე, ჰქონდა ენციკლოპედიური ცოდნა; ბრწყინვალედ იცოდა

საღვთო წერილი, მამათა სწავლებანი, კლასიკური ლიტერატურა.

მეტად მნიშვნელოვანია ანთიმოზ ივერიელის მიერ გაწეული ღვაწლი არაბულ სამყაროში ქრისტიანული დისკურსის გამოცოცხლებისა და აღორძინების საქმეში, რასაც ემსახურებოდა მის მიერ შექმნილი არაბული შრიფტი (1701 წ.) და არაბულ ენაზე დაბეჭდილი სალიტურგიო წიგნები. ვლახეთში არაბულ, ბერძნულ ენებზე „კონდაკისა“ და „ჟამნის“ დაბეჭდვა, სირიის ქალაქ ალეპოში (ალაბში - უ. ო.) პირველი სტამბის გამართვა არაბეთში.

ამ დროს ვლახეთში ერთადერთი სტამბა იყო წმიდა ანთიმოზის მეცადინეობით კი ოთხი ახალი სტამბა გაიმართა, სადაც იბეჭდებოდა წიგნები რუმინულ, ბერძნულ, არაბულ და თურქულ ენებზე. გარდა სასულიეროსი სტამბებში იბეჭდებოდა სასკოლო სახელმძღვანელოები მეცნიერების სხვადასხვა დარგში.

იმ დროინდელ ვლახეთში ბერძნულმა ენამ, თითქმის გააძევა რუმინული ეკლესია-მონასტრებიდან, ამიტომაც წმ. ანთიმოზი ბუქარესტში ბეჭდავს სახარებას ბერძნულ და რუმინულ ენებზე. ამით მან ყველას დაანახვა, რომ რუმინულ ენას შეეძლო მთელი სიზუსტით და სილამაზით გადმოეცა უცხოენოვანი ტექსტი. 1694 წელს ბეჭდავს პირველ წიგნს რუმინულ ენაზე, - ესაა „დავითიანი“. ამავე წელს ბუქარესტიდან გადადის სნაგოვოს მონასტერში წინამძღვრად. აქაც გამოსცემს წმ. სახარებას რუმინულ ენაზე, რომლის ტექსტის ბოლოში ერთობ საგულისხმო მინაწერია: „ვითარცა უცხო მხარეში დიდხანს მყოფ ადამიანს სურს სამშობლოს ხილვა, ხოლო ქარიშხლისაგან ტანჯულნი ღმერთს ევედებიან მყუდროებას, ასევე მბეჭდავს სურს და ახარებს წიგნის გასრულება“... ამ სიტყვებში, ჩენი აზრით, სამშობლოს დიდი მონატრებაც იგრძნობა...

1698 წელს ვლახეთს ეწვია ანტიოქიის პატრიარქი და მის მთავარს დახმარება სთხოვა არაბულ და ბერძნულ ენებზე სალიტურგიო წიგნების გამოცამაში. კონსტანტინემ ეს საქმე ანთიმოზ ივერიელს დაავალა. მანაც ჩვეული გულმოდგინებით დაამზადა

არაბული შრიფტი და 1701 წელს დაბეჭდა არაბული და ბერძნული სალიტურ-გიო წიგნები. ანტიოქიის პატრიარქი წმინდა ანთიმოზის ღვაწლზე ამბობდა: „რა შეგ-ვიძლია მივცეთ მას ასეთი დიდი წყალობის ნაცვლად, როგორ დავაფასოთ სათანადოდ მისი ამაგი ჩვენ ღარიბ-ღატაკებმა, როგორ მივუზღოთ სამაგიერო ასეთი განძისათვის?“ ვლახეთში არაბულ-ბერძნულ ენებზე „კონდაკისა“ და „ჟამნის დაბეჭდვის შემდეგ სირ-იის ქალაქ ალაბში (ალეპოში - უ. ო.) გაიმართა პირველი არაბული სტამბა არაბეთში.

1705 წელს რიმნიკის ეპისკოპოსად არჩევის შემდეგ სნაგოვოდან იქ ჩატანილ სტამბაში ანთიმოზ ივერიელმა გამოსცა 640 გვერდიანი „სადღესასწაულო“, რომელიც სპეციალისტების მიერ ბეჭდვითი ხელოვნების უბრწყინვალეს ნიმუშად შეირაცხა... 1708 წლის 21 თებერვალს ანთიმოზის უნგრო-ვლახეთის მიტროპოლიტად არჩევის შემდეგ ერთ-ერთი მონასტრის წინამძღვარი ამბობს: „მოვიდა დიდ ადამიანი ვლახეთის მიწაზე, მოიტანა სინათლე ღვთაებრივმა ანთიმოზმა უნგრო-ვლახეთის იერარქმა, შვილმა ბრძენ ივერთა მოდგმისა“[[https: //kvirispalitra.ge/].

უმნიშვნელოვანესია, რომ უნგრო-ვალახეთის მიტროპოლიტად გახდომისთანავე წმ. ანთიმმა ბრძანა ეკლესია-მონასტრებში ლოცვა მხოლოდ რუმინულ ენაზე აღესრულებინათ[https: //kvirispalitra.ge/], რითაც საფუძველი ჩაუყარა რუმინული სალიტერატურო ენის აღორძინებას, შემდგომში ეროვნულ, ავტოკეფალური ეკლესიის ჩამოყალიბება-განვითარებას.

როგორც მღვდელმთავარს, მიეცა ხელმწიფება ეკლესია-მონასტრებში მხოლოდ რუმინულ ენაზე ლოცვა ებრძანებინა...

მისი პრინციპული პოზიციის გამო მის მიერ ბუქარესტში 1713-1715 წლებში აშენებულ „ყოველთა წმიდათა მონასტერს“ სრული დამოუკიდებლობა მიენიჭა...მანვე მოამზადა აღნიშნული მონასტრის მთავარი ხატი და მისივე ნახელავია აღნიშნული მონასტრის მთავარი კარი; ანთიმოზმა შეადგინა აგრეთვე ოქროთი

მოპირკეთებული ქართულო ორნამენტებით შემკული ტყავის ყდაში ჩასმული ტიპიკონი.

უდიდესია მისი ღვაწლი თბილისის სტამბის დაარსებაშიც...

„მკვლევარები ხშირად მიუთითებენ, რომ ანთიმოზ ივერიელი იზრდებოდა კონსტანტინეპოლში და თითქოს იქ დაეუფლა მხატვრობას და ხუროთმოძღვრებას. ისმება კითხვა: როგორ შესძლო ბიზანტიური ხელოვნების ტრადიციებზე აღზრდილმა ანთიმოზმა რუმინულ ხელოვნებაში შეეტანა ქართული ხელოვნებისათვის დამახასიათებელი მოტივები? ბიზანტიურ და ქართულ ხელოვნებას შორის არსებობს კარდინალური განსხვავება; როგორც აკადემიკოსი გიორგი ჩუბინაშვილი აღნიშნავს, „მისი (ბიზანტიის - უ. ო.) ხელოვნება განსხვავდება ქართული ხელოვნებისაგან“. ამის გამო ყოველგვარი ლაპარაკი იმის შესახებ, რომ ქართული ხელოვნება წარმოადგენს ბიზანტიური ხელოვნების შტოს, ერთხელ და სამუდამოდ უნდა მოისპოს. ყველაფერზე უკეთ, რასაკვირველია, ამას ცხადყოფს თვით ძეგლების სხვაობა“ [ჩუბი-ნაშვილი, 1936: 81]

აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ანთიმოზ ივერიელს, როგორც ხე-ლოვანს ქართული ხელოვნების ცოდნა საქართველოში უნდა მიეღო, რაც ეჭვქვეშ აყენებს გავრცელებულ შეხედულებას იმის შესახებ, თითქოსდა იგი საქართველოდან გაიტაცეს ადრეულ ასაკში. შემდგომმა კვლევებმა შესაძლებელია ნათელი მოფინოს ამ საკითხს [ბრაჭული, 2016: 81].

ჩვენი აზრით, ანთიმოზ ივერიელის (ერისკაცობაში ანდრია ხურციძის) ცხოვრების ღრმა-შინაარსეული გაცნობა იმ მიმართულებით გვიბიძგებს, რომ იგი საქართველოდან სრულებითაც არ გაუტაცნიათ და უცხოეთშიც საკუთარი ნებით მოხდა, რადგან თავის სამშობლოში ვერ ხედავდა ვერავითარ პერსპექტივას საკუთარი დიდი მიზნების განსახორციელებლად... იგი იყო უდიდესი გენიოსი, რომელმაც გეგმაზომიერად გაიარა მთელი თავისი

ცხოვრების გზა და თავისი სიკვდილიც კი ამ გეგმის (საკუთარი ნების) განხორციელებას ამსახურა!

ლიტერატურა და წყაროები:

ზაქარიაძე ან., ანთიმოზ ივერიელი, 1 - ცხოვრება და მოღვაწეობა, http://enciklopedia.ge/ka/print/186;(3-4).

https://kvirispalitra.ge/artikle12780-qartveli-mona-rumineli-khalck-sulieri-mwyemsi](qarTveli mona, rumineli xalxis sulieri mwyemsi, 2012, 25 ivnisi).

ჩუბინაშვილი გ. ქართული ხელოვნების ისტორია, ტ. 1, 1936:

ბრაჭული ი., ზაქარიაძე ა., რამიშვილი ვ., ქშუტაშვილი ა., ჯალაღონია დ., ანმთიმოზ ივერიელი - ქართულ-ევროპული დიალოგი, თბილისი, 2016.

ფრიდონ დავითაძე
FRIDON DAVITADZE

ფისკალური მმართველობა და ადგილობრივი ძალაუფლება ოსმალურ აჭარაში: იმპერიული კონტროლის მექანიზმები XVIII საუკუნის ბოლოსა და XIX საუკუნის პირველ მეოთხედში

FISCAL GOVERNANCE AND LOCAL POWER IN OTTOMAN ADJARA: MECHANISMS OF IMPERIAL CONTROL FROM THE LATE EIGHTEENTH CENTURY TO THE FIRST QUARTER OF THE NINETEENTH CENTURY

Abstract. In the late eighteenth century and the first quarter of the nineteenth century, Adjara formed an important part of the Ottoman Empire's northeastern frontier zone. The region's geographic conditions, internal territorial fragmentation, proximity to the Black Sea coast, and close connections with other historical regions of southwestern Georgia complicated the direct exercise of central administrative control. Under these circumstances, fiscal governance acquired particular importance, as the assessment, collection, and transfer of taxes and other obligations into state revenues functioned not only as an economic mechanism but also as an indicator of the practical reach of imperial authority.

This article examines the relationship between Ottoman fiscal administration and local power in Adjara during the late eighteenth and early nineteenth centuries. Rather than treating taxation as the straightforward implementation of centrally prescribed fiscal regulations, the study approaches it as the outcome of interaction among the imperial center, provincial authorities, and influential local forces. Particular attention is paid to the role of local ruling families, whose participation was essential to the functioning of governance in a mountainous and frontier region. From this perspective, fiscal authority is interpreted both as an instrument of imperial integration and as a

means through which local political power was preserved and strengthened.

The study is based on published Ottoman fiscal registers concerning Adjara and the Çıldır administrative area, other Ottoman documentary materials, and relevant Georgian and international scholarship. Given the chronological differences among the available sources, earlier fiscal registers are used not as direct evidence for conditions in the late eighteenth and early nineteenth centuries, but as a basis for reconstructing the administrative and fiscal structures whose transformation continued into the period under study.

The article argues that Ottoman rule in Adjara was neither fully centralized nor merely nominal. It operated through a multi-level system in which imperial demands, provincial administration, and local authority were mutually dependent. Fiscal relations therefore provide a particularly useful framework for understanding how political control was exercised in practice and how taxation, military obligations, and local authority became interconnected in the governance of Ottoman Adjara.

Keywords: Adjara; Ottoman Empire; fiscal governance; taxation; local power; Çıldır Eyalet; Khimshiashvili family

აბსტრაქტი. XVIII საუკუნის ბოლოსა და XIX საუკუნის პირველ მეოთხედში აჭარა ოსმალეთის იმპერიის ჩრდილო-აღმოსავლეთ სასაზღვრო სივრცის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენდა. რეგიონის გეოგრაფიული გარემო, შიდა ტერიტორიული დანაწილება, შავი ზღვის სანაპიროსთან სიახლოვე და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სხვა ისტორიულ მხარეებთან არსებული კავშირები აქ ცენტრალური ხელისუფლების უშუალო ადმინისტრაციული კონტროლის განხორციელებას ართულებდა. ასეთ პირობებში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენდა ფისკალური მმართველობა, რადგან გადასახადებისა და სხვა ვალდებულებების განსაზღვრა, აკრეფა და სახელმწიფო შემოსავლებში მოქცევა ერთდროულად წარმოადგენდა ეკონომიკურ

მექანიზმს და იმპერიული ხელისუფლების რეალური მოქმედების მაჩვენებელს.

სტატიაში შესწავლილია ოსმალური ფისკალური მმართველობისა და ადგილობრივი ძალაუფლების ურთიერთმიმართება აჭარაში XVIII საუკუნის ბოლოსა და XIX საუკუნის პირველ მეოთხედში. საკითხი განიხილება არა როგორც ცენტრალური ადმინისტრაციის მიერ წინასწარ განსაზღვრული საგადასახადო წესების ადგილობრივ დონეზე ავტომატური განხორციელება, არამედ როგორც ცენტრის, პროვინციული ხელისუფლებისა და ადგილობრივი გავლენიანი ძალების ურთიერთქმედების შედეგი. კვლევისას განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა იმ გარემოებას, რომ აჭარის მსგავსი სასაზღვრო და მთიანი მხარის მართვა იმპერიისაგან ადგილობრივ საზოგადოებაში დამკვიდრებული გავლენის მქონე მმართველი ოჯახების შესაძლებლობების გამოყენებას მოითხოვდა. ამ თვალსაზრისით ფისკალური უფლებამოსილება შესაძლოა განხილულ იქნეს როგორც იმპერიული დაქვემდებარების, ასევე ადგილობრივი პოლიტიკური ძალაუფლების შენარჩუნებისა და განმტკიცების ერთ-ერთი საშუალება.

კვლევა ეფუძნება აჭარისა და ჩილდირის ადმინისტრაციულ-ფისკალური ისტორიის ამსახველი ოსმალური დავთრების ქართულ სამეცნიერო გამოცემებს, სხვა გამოქვეყნებულ ოსმალურ წყაროებსა და ქართულ და უცხოურ სპეციალურ ლიტერატურას. წყაროთა ქრონოლოგიური განსხვავების გათვალისწინებით, ადრეული დავთრები გამოყენებულია არა XVIII საუკუნის მიწურულისა და XIX საუკუნის დასაწყისის მდგომარეობის პირდაპირ ანალოგად, არამედ იმ ადმინისტრაციულ-ფისკალური საფუძვლის გამოსავლენად, რომლის შემდგომი ტრანსფორმაციაც განსახილველ პერიოდში მიმდინარეობდა.

საკვანძო სიტყვები: აჭარა, ოსმალეთის იმპერია, ფისკალური მმართველობა, გადასახადები, ადგილობრივი ძალაუფლება, ჩილდირის ეიალეთი, ხიმშიაშვილები.

***

სტატიაში შესწავლილია ოსმალური ფისკალური მმართველობისა და ადგილობრივი ძალაუფლების ურთიერთმიმართება აჭარაში XVIII საუკუნის ბოლოსა და XIX საუკუნის პირველ მეოთხედში.

კვლევა ეფუძნება ისტორიულ-შედარებით, ისტორიული განვითარების, პრობლემურ-ქრონოლოგიურ და წყაროთა კრიტიკული ანალიზის მეთოდებს. აღნიშნული მეთოდების ერთობლივი გამოყენება შესაძლებლობას იძლევა, აჭარაში ოსმალური ფისკალური მმართველობა განხილულ იქნეს არა როგორც იზოლირებული საგადასახადო სისტემა, არამედ როგორც რეგიონის პოლიტიკური, ადმინისტრაციული და სოციალური განვითარების შემადგენელი ნაწილი. შესაბამისად, შესაძლებელი ხდება აჭარის ოსმალური მმართველობის შეფასება როგორც ცენტრალური, პროვინციული და ადგილობრივი ხელისუფლების ურთიერთქმედებაზე დაფუძნებული მრავალდონიანი სისტემა, რომელშიც ფისკალური, სამხედრო და პოლიტიკური ფუნქციები ერთმანეთთან მჭიდროდ იყო დაკავშირებული.

მსჯელობა. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ოსმალეთის სახელმწიფოს პოლიტიკურ და ადმინისტრაციულ სივრცეში თანდათანობით მოქცევამ მნიშვნელოვნად შეცვალა რეგიონის არა მხოლოდ პოლიტიკური მდგომარეობა, არამედ მიწათმფლობელობის, საგადასახადო ვალდებულებებისა და ადგილობრივი მმართველობის ფორმებიც. ქართული ისტორიოგრაფიისათვის ამ პროცესების შესწავლის უმნიშვნელოვანეს წყაროთმცოდნეობით საფუძველს წარმოადგენს სერგი ჯიქიას მიერ გამოცემული „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“, ცისანა აბულაძის მიერ მომზადებული ჩილდირის ვილაიეთის ჯაბა დავთარი, მიხეილ სვანიძის გამოკვლევები და ზაზა შაშიკაძისა და მირიან მახარაძის მიერ გამოცემული აჭარის ლივის ვრცელი და მოკლე დავთრები. ამ გამოცემებმა შესაძლებელი გახადა ოს-

მალური მმართველობის შეფასება არა მხოლოდ სამხედრო დაპყრობისა და ადმინისტრაციული საზღვრების ცვლილების მიხედვით, არამედ იმ კონკრეტული ეკონომიკური და ფისკალური მექანიზმების გათვალისწინებითაც, რომელთა მეშვეობითაც სახელმწიფო დაპყრობილ ტერიტორიას საკუთარ სისტემაში რთავდა (Abuladze, 1979; Jikia, 1941–1958; Shashikadze ; Makharadze, 2011).

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ოსმალური დავთარი მხოლოდ მოსახლეობისა და გადასახადების სტატისტიკურ ჩამონათვალს არ წარმოადგენს. მასში ასახული დასახლებები, სამეურნეო რესურსები, გადასახადის სახეები და ფისკალური ერთეულები გვიჩვენებს, თუ როგორ აღიქვამდა სახელმწიფო კონკრეტულ ტერიტორიას ეკონომიკური შესაძლებლობებისა და ადმინისტრაციული მართვის თვალსაზრისით. ამიტომ დავთრების მნიშვნელობა გაცილებით ფართოა, ვიდრე მათი უშუალო ფისკალური დანიშნულება. ისინი შესაძლებლობას იძლევა, ერთმანეთთან დავაკავშიროთ ტერიტორია, მოსახლეობა, მიწათსარგებლობა, სახელმწიფო შემოსავალი და მმართველობითი ორგანიზაცია. სწორედ ამ მიმართულებით შეისწავლა მიხეილ სვანიძემ ახალციხის საფაშოს კანუნ-ნამეები, მიწათმფლობელობის ფორმები და ჩილდირის ადმინისტრაციულ-ფისკალური სისტემის თავისებურებები (Svanidze, 1964, 1968, 1976).

აჭარის ლივის ვრცელი და მოკლე დავთრების გამოცემა ამ მხრივ განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, რადგან უშუალოდ აჭარის ისტორიული სივრცისათვის გვიჩვენებს ოსმალური ხელისუფლების მიერ ტერიტორიის აღწერისა და მისი ფისკალური შესაძლებლობების აღრიცხვის პრაქტიკას (Shashikadze; Makharadze, 2011). თუმცა ამ წყაროს გამოყენებისას აუცილებელია ქრონოლოგიური სიფრთხილე. დავთრებში ასახული სისტემა უფრო ადრეული პერიოდის მდგომარეობას გვიჩვენებს და მისი მონაცემების XVIII საუკუნის მიწურულსა და XIX საუკუნის პირველ მეოთხედზე პირდაპირ გადატანა მეთოდოლოგიურად გაუმ-

ართლებელი იქნებოდა. მათი მნიშვნელობა სხვა რამეში მდგომარეობს: ისინი საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ ის ადმინისტრაციული და ფისკალური საფუძველი, რომელიც ოსმალეთის ხანგრძლივი მმართველობის პროცესში ჩამოყალიბდა და რომლის შეცვლილი ფორმები მოგვიანებითაც ინარჩუნებდა მნიშვნელობას.

ასეთივე მიდგომას მოითხოვს 1694–1732 წლების ჩილდირის ჯაბა დავთარიც. ცისანა აბულაძის მიერ გამოცემული ტექსტი და მიხეილ სვანიძის გამოკვლევა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ფისკალური და მიწათმფლობელობითი ურთიერთობების შესწავლისათვის უმნიშვნელოვანესი წყაროა (Abuladze, 1979). თუმცა მისი გამოყენების მთავარი ღირებულება ჩვენს შემთხვევაში არა XIX საუკუნის დასაწყისის საგადასახადო პრაქტიკის პირდაპირ აღდგენაში, არამედ იმაშია, რომ წყარო გვიჩვენებს ჩილდირის პროვინციულ სივრცეში სახელმწიფოსა და ადგილობრივ მმართველობით სტრუქტურებს შორის ჩამოყალიბებული ურთიერთობის წინარე ფორმებს. ამ საფუძვლის გარეშე რთული იქნებოდა იმის გარკვევა, თუ რატომ ინარჩუნებდნენ ადგილობრივი მმართველი ოჯახები მოგვიანებითაც ასეთ მნიშვნელოვან ადგილს აჭარის პოლიტიკურ ცხოვრებაში.

აქ ჩნდება საკითხის ძირითადი პრობლემა. თუ ოსმალური სახელმწიფო რეგიონში არსებობდა როგორც სუვერენული ხელისუფლება და მოსახლეობაზე ფისკალურ ვალდებულებებს აწესებდა, რატომ რჩებოდა გადასახადის ამოღების, სამხედრო ძალის მობილიზებისა და ადგილობრივი წესრიგის დაცვის მნიშვნელოვანი ნაწილი ადგილობრივი გავლენიანი ოჯახების ხელში? ამ კითხვაზე პასუხი მხოლოდ „ცენტრალური ხელისუფლების სისუსტით“ ვერ შემოიფარგლება. მსგავსი ახსნა ზედმეტად ამარტივებს ოსმალური პროვინციული მმართველობის ბუნებას. ცენტრალური ხელისუფლებისათვის ადგილობრივი ძალაუფლების გამოყენება ხშირად არა იძულებითი დათმობა, არამედ კონკრეტული ტერიტორიის მართვის პრაქტიკული საშუალებაც იყო.

სწორედ აქ უახლოვდება ქართული წყაროების მონაცემები თანამედროვე ოსმალისტიკის ზოგიერთ ძირითად დასკვნას. ოსმალეთის იმპერიის პროვინციული მართვის კვლევებმა აჩვენა, რომ ცენტრსა და ადგილობრივ საზოგადოებას შორის ურთიერთობა ყოველთვის პირდაპირ ადმინისტრაციულ დაქვემდებარებაზე არ იდგა. სახელმწიფო სხვადასხვა რეგიონში იყენებდა უკვე არსებულ სოციალურ და პოლიტიკურ კავშირებს, ადგილობრივი ძალაუფლების მატარებლებს და მათ შესაძლებლობებს, თუ ეს იმპერიის ფისკალურ და სამხედრო ინტერესებს ემსახურებოდა (Barkey, 2008; Quataert, 2005). თუმცა აჭარის შემთხვევაში ამ ზოგადი მოდელის მექანიკური გადმოტანა ასევე დაუშვებელია. ადგილობრივი ვითარება უნდა განისაზღვროს უშუალოდ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს წყაროებით.

ფისკალური ურთიერთობების შესწავლა სწორედ ამის შესაძლებლობას გვაძლევს. გადასახადი სახელმწიფოსთვის მხოლოდ ხაზინის შევსების წყარო არ იყო. მის განსაზღვრასა და აკრეფაში ვლინდებოდა ხელისუფლების პრაქტიკული მოცულობა: შეეძლო თუ არა ცენტრს მოსახლეობის აღრიცხვა; რამდენად ახერხებდა დაკისრებული ვალდებულების ამოღებას; ვის ანდობდა ამ ფუნქციის შესრულებას და რამდენად იყო დამოკიდებული ადგილობრივ ძალებზე. ამიტომ ფისკალური მმართველობის შესწავლა საბოლოოდ პოლიტიკური ძალაუფლების შესწავლადაც იქცევა.

ოსმალური ფინანსური სისტემის ისტორიის მკვლევრები მიუთითებენ, რომ სახელმწიფო შემოსავლის სტაბილურობა იმპერიული მმართველობის ერთ-ერთ ძირითად ინტერესს წარმოადგენდა (Darling, 1996; Genç, 2000). აჭარის მსგავსი სასაზღვრო რეგიონის შემთხვევაში კი ეკონომიკური ინტერესი სამხედრო უსაფრთხოებასაც უკავშირდებოდა. XVIII საუკუნის მიწურულსა და XIX საუკუნის პირველ მეოთხედში რუსეთის იმპერიის სამხრეთ კავკასიაში გაძლიერებამ და რუსეთ-ოსმალეთის დაპირისპირების გამწვავებამ ოსმალეთის ჩრდილო-აღმოსავლეთი პროვინ-

ციების სტრატეგიული მნიშვნელობა კიდევ უფრო გაზარდა (Aksan, 2007). ასეთ ვითარებაში ადგილობრივი მმართველის ფუნქცია გადასახადის აკრეფით აღარ შემოიფარგლებოდა: ფისკალური, სამხედრო და პოლიტიკური პასუხისმგებლობები ერთმანეთთან მჭიდროდ იკვეთებოდა.

ამ გარემოების გათვალისწინებით, აჭარის XVIII საუკუნის ბოლოსა და XIX საუკუნის პირველი მეოთხედის ისტორიის კვლევისას განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ადგილობრივი მმართველი ოჯახების, მათ შორის ხიმშიაშვილების, როლის შეფასება. მათი მდგომარეობა ვერ აიხსნება მხოლოდ ოსმალური თანამდებობრივი იერარქიით. ადგილობრივი გავლენის საფუძველი იყო მიწის ფლობა, სამხედრო შესაძლებლობა, ნათესაური და სათემო კავშირები, ისტორიულად ჩამოყალიბებული ავტორიტეტი და კონკრეტული ტერიტორიის კონტროლის პრაქტიკული შესაძლებლობა. ამავე დროს, მათი პოლიტიკური ძალა ოსმალური სახელმწიფოს გარეთაც არ არსებობდა: თანამდებობა, ლეგიტიმაცია და უფრო ფართო რეგიონულ პოლიტიკაში მონაწილეობა მნიშვნელოვანწილად იმპერიულ სისტემასთან კავშირზე იყო დამოკიდებული.

ამრიგად, საქმე გვაქვს არა ცენტრისა და ადგილობრივი ხელისუფლების მარტივ დაპირისპირებასთან, არამედ ურთიერთდამოკიდებულ მმართველობით სისტემასთან. სახელმწიფოს სჭირდებოდა ადგილობრივი მმართველი, რათა ფისკალური და სამხედრო ვალდებულებები პრაქტიკულად შესრულებულიყო; ადგილობრივ მმართველს კი სჭირდებოდა სახელმწიფოს მიერ აღიარებული მდგომარეობა, რომელიც მის ძალაუფლებას უფრო ფართო პოლიტიკურ საფუძველს აძლევდა. სწორედ ამ ურთიერთკავშირში უნდა ვეძებოთ აჭარაში ოსმალური მმართველობის რეალური თავისებურება.

წინამდებარე სტატიის მიზანია გამოიკვლიოს, როგორ ხორციელდებოდა ოსმალური ფისკალური მმართველობა აჭარაში XVIII საუკუნის ბოლოსა და XIX საუკუნის პირველ მეოთხედ-

ში და რა ადგილი ეკავა ამ პროცესში ადგილობრივ ძალაუფლებას. საკითხის განხილვისას ერთმანეთისგან გამოიყოფა ფორმალურად განსაზღვრული ფისკალური ვალდებულებები და მათი პრაქტიკული შესრულების მექანიზმები. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა იმასაც, რამდენად წარმოადგენდა ადგილობრივი მმართველების მონაწილეობა ცენტრალური ხელისუფლების სისუსტის შედეგს და რამდენად იყო იგი იმპერიული პროვინციული მმართველობის შეგნებულად გამოყენებული ფორმა.

სტატიის ძირითადი მოსაზრებაა, რომ განსახილველ პერიოდში აჭარაზე ოსმალური კონტროლი არც სრულად ცენტრალიზებული იყო და არც ნომინალური. სახელმწიფო ინარჩუნებდა სუვერენული ხელისუფლების ძირითად ნიშნებს — განსაზღვრავდა ადმინისტრაციულ დაქვემდებარებას, ფისკალურ ვალდებულებებსა და სამხედრო მოთხოვნებს — მაგრამ მათი პრაქტიკული განხორციელება მნიშვნელოვანწილად ადგილობრივი ძალაუფლების მონაწილეობით ხდებოდა. ამიტომ აჭარის ოსმალური პერიოდის ისტორიის გასააზრებლად უმთავრესი კითხვა მხოლოდ ის კი არ არის, თუ ვის ეკუთვნოდა ტერიტორია ადმინისტრაციულად, არამედ ისიც, ვინ ახორციელებდა ხელისუფლებას ყოველდღიურ პრაქტიკაში, ვინ უზრუნველყოფდა სახელმწიფო შემოსავლის მიღებას და როგორ ნაწილდებოდა ამ პროცესში ძალაუფლება იმპერიულ ცენტრს, პროვინციულ ადმინისტრაციასა და ადგილობრივ მმართველებს შორის.

ფისკალური მმართველობა და ადგილობრივი ძალაუფლების პრაქტიკული მექანიზმები

აჭარაში ოსმალური ფისკალური მმართველობის შეფასებისას პირველ რიგში ერთმანეთისგან უნდა განვასხვავოთ სახელმწიფოს მიერ ტერიტორიის ფორმალური ფისკალური აღრიცხვა და ამ სისტემის პრაქტიკული ფუნქციონირება. დავთარში დასახლების, მეურნეობისა და გადასახადის შეტანა ადასტურებს ტერიტორიის ჩართვას იმპერიულ ფისკალურ სივრცეში, მაგრამ თავისთავად ჯერ კიდევ არ გვიჩვენებს, რამდენად უშუ-

ალოდ აღწევდა ცენტრალური ადმინისტრაციის ძალაუფლება თითოეულ სოფელსა და ხეობამდე.

სწორედ აქ იძენს განსაკუთრებულ მნიშვნელობას შაშიკაძისა და მახარაძის მიერ გამოცემული აჭარის დავთრების მონაცემები. მათში წარმოდგენილი ფისკალური ორგანიზაცია აჩვენებს, რომ ოსმალური ადმინისტრაციისათვის აჭარის ტერიტორია ეკონომიკურად აღრიცხვადი და საგადასახადო ვალდებულებებით დაკავშირებული სივრცე იყო (Shashikadze & Makharadze, 2011). მაგრამ ამ ფაქტიდან არ გამომდინარეობს, რომ გადასახადის ამოღების მთელი პროცესი ცენტრალური მოხელის უშუალო მონაწილეობით მიმდინარეობდა. პირიქით, რეგიონის გეოგრაფიული პირობები და ადგილობრივი სოციალური ორგანიზაცია გვაიძულებს ვივარაუდოთ, რომ ფორმალურად განსაზღვრულ ფისკალურ მოთხოვნასა და მის რეალურ შესრულებას შორის არსებობდა ადგილობრივი შუამავალი რგოლი.

ასეთი დასკვნა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან იგი ცვლის საკითხის დასმის ტრადიციულ ფორმას. პრობლემა აღარ არის მხოლოდ ის, რა გადასახადს იხდიდა მოსახლეობა, არამედ — ვის მეშვეობით აღწევდა ეს გადასახადი სახელმწიფომდე და რა პოლიტიკური ძალაუფლება წარმოიქმნებოდა ამ შუამავლობის საფუძველზე. სწორედ ამ მეორე კითხვით იძენს ფისკალური ისტორია პოლიტიკური ისტორიის მნიშვნელობას.

ჩილდირის ადმინისტრაციული სივრცის შესახებ მიხეილ სვანიძის გამოკვლევები აჩვენებს, რომ მიწათმფლობელობა, ფისკალური უფლებები და სამხედრო ვალდებულებები ერთმანეთისგან იზოლირებულ სფეროებს არ წარმოადგენდა (Svanidze, 1968, 1976). შესაბამისად, ადგილობრივი მმართველის ხელში საგადასახადო ფუნქციის არსებობა მხოლოდ ტექნიკური ადმინისტრაციული დავალება ვერ იქნებოდა. იგი ქმნიდა მატერიალურ საფუძველს სამხედრო ძალის შენარჩუნებისთვის, ადგილობრივი დამოკიდებულებების განმტკიცებისა და ცენტრალურ ხე-

ლისუფლებასთან პოლიტიკური მოლაპარაკების შესაძლებლობისათვის.

აქედან გამომდინარე, XVIII საუკუნის ბოლოსა და XIX საუკუნის პირველ მეოთხედში ადგილობრივი მმართველი სახლების გაძლიერება მხოლოდ ოსმალური სახელმწიფოს დასუსტების მაჩვენებლად არ უნდა შეფასდეს. უფრო დასაბუთებული ჩანს მოსაზრება, რომ იმპერია გარკვეულ პირობებში თავად იყენებდა ადგილობრივი ძალაუფლების რესურსს საკუთარი მმართველობის შესანარჩუნებლად. წინააღმდეგობა ჩნდებოდა მაშინ, როდესაც ადგილობრივი მმართველის ხელში თავმოყრილი ფისკალური და სამხედრო შესაძლებლობა სცდებოდა იმ ფარგლებს, რომელთა კონტროლსაც ცენტრალური ხელისუფლება მისაღებად მიიჩნევდა. სწორედ ეს წინააღმდეგობა, თანამშრომლობასა და კონტროლს შორის ქმნიდა აჭარის პოლიტიკური ცხოვრების ერთ-ერთ მთავარ თავისებურებას განსახილველ პერიოდში.

ამრიგად:

1. XVIII საუკუნის ბოლოსა და XIX საუკუნის პირველ მეოთხედში აჭარაში ოსმალური ფისკალური მმართველობა არ წარმოადგენდა ცენტრალური საგადასახადო წესების უშუალო და ერთგვაროვან განხორციელებას. რეგიონის გეოგრაფიული და სოციალური თავისებურებები ადგილობრივი მმართველობითი რგოლების მნიშვნელოვან მონაწილეობას განაპირობებდა. ამიტომ აჭარის ფისკალური ინტეგრაცია უნდა შეფასდეს არა მხოლოდ გადასახადების არსებობის, არამედ მათი ამოღებისა და ადმინისტრირების რეალური მექანიზმების მიხედვით.

2. აჭარისა და ჩილდირის ფისკალური დოკუმენტები აჩვენებს, რომ ეკონომიკური რესურსების აღრიცხვა და საგადასახადო ვალდებულებების განსაზღვრა ოსმალური მმართველობის ერთ-ერთ საფუძველს წარმოადგენდა. ადრეული დავთრები განსახილველი პერიოდის პირდაპირ ანალოგად ვერ გამოდგება, თუმცა მათი საშუალებით შესაძლებელია იმ ადმინისტრაციულ-

ფისკალური საფუძვლის გამოვლენა, რომლის გარდაქმნაც მოგვიანებით მიმდინარეობდა.

3. ადგილობრივი მმართველი საგვარეულოების, მათ შორის ხიმშიაშვილების, როლი მხოლოდ ცენტრალური ხელისუფლების სისუსტით ვერ აიხსნება. მათი ძალაუფლება ადგილობრივ სოციალურ, ეკონომიკურ და სამხედრო რესურსებს ეყრდნობოდა, ხოლო ოსმალური ხელისუფლება ამ შესაძლებლობებს პროვინციული მმართველობის პრაქტიკულ მექანიზმად იყენებდა. შესაბამისად, მათი მონაწილეობა იმპერიული და ადგილობრივი ძალაუფლების ურთიერთდამოკიდებულების გამოხატულება იყო.

4. რუსეთის სამხრეთ კავკასიაში გაძლიერებამ აჭარისა და ჩილდირის სივრცის სამხედრო და ფისკალური მნიშვნელობა გაზარდა. გადასახადის აკრეფა, სამხედრო ძალის მობილიზება და სტრატეგიული პუნქტების დაცვა ერთიან მმართველობით სისტემაში მოექცა, ხოლო ფისკალური უფლებამოსილება ადგილობრივი მმართველისთვის ეკონომიკურ რესურსთან ერთად პოლიტიკური და სამხედრო ძალის წყაროდ იქცა.

დასკვნა. XVIII საუკუნის ბოლოსა და XIX საუკუნის პირველ მეოთხედში აჭარის ფისკალური მმართველობა მხოლოდ საგადასახადო ურთიერთობების ფარგლებში ვერ განიხილება. იგი უშუალოდ უკავშირდებოდა ძალაუფლების განაწილებას იმპერიულ ცენტრს, პროვინციულ ადმინისტრაციასა და ადგილობრივ მმართველებს შორის. ფისკალური დოკუმენტები ადასტურებს, რომ აჭარა ოსმალურ ეკონომიკურ და ადმინისტრაციულ სივრცეში იყო ჩართული, თუმცა ეს ცენტრალური ხელისუფლების სრულ და უშუალო კონტროლს არ ნიშნავდა.

ადგილობრივი გავლენიანი საგვარეულოების, განსაკუთრებით ხიმშიაშვილების, მდგომარეობა ეფუძნებოდა როგორც ადგილობრივ სოციალურ და სამხედრო შესაძლებლობებს, ისე ოსმალური სახელმწიფოს მიერ აღიარებულ უფლებამოსილებებს. ამიტომ მათი გაძლიერება უფრო სწორად უნდა შეფასდეს არა

მხოლოდ დეცენტრალიზაციის შედეგად, არამედ იმპერიული მმართველობის პრაქტიკული ფორმის ნაწილად.

რუსეთის სამხრეთ კავკასიაში გაფართოებამ ამ ურთიერთობების მნიშვნელობა კიდევ უფრო გაზარდა. ფისკალური რესურსები, სამხედრო მობილიზება და სასაზღვრო უსაფრთხოება ერთმანეთთან მჭიდროდ გადაიკვეთა. შესაბამისად, აჭარაზე ოსმალური ხელისუფლება ამ პერიოდში შეიძლება შეფასდეს როგორც მრავალდონიანი და ურთიერთდამოკიდებული მმართველობითი სისტემა, რომელიც ცენტრალური ხელისუფლების, პროვინციული ადმინისტრაციისა და ადგილობრივი ძალების თანამშრომლობასა და ურთიერთკონტროლს ეფუძნებოდა.

გამოყენებული ლიტერატურა:

Aksan, V. H. (2007). *Ottoman wars, 1700–1870: An empire besieged*. Longman/Pearson.

Barkey, K. (2008). *Empire of difference: The Ottomans in comparative perspective*. Cambridge University Press.

Darling, L. T. (1996). *Revenue-raising and legitimacy: Tax collection and finance administration in the Ottoman Empire, 1560–1660*. E. J. Brill.

Genç, M. (2000). *Osmanlı İmparatorluğunda devlet ve ekonomi*. Ötüken Neşriyat.

Quataert, D. (2005). *The Ottoman Empire, 1700–1922* (2nd ed.). Cambridge University Press.

აბულაძე, ც. (რედ. და მთარგმნ.). (1979). *ჩილდირის ეიალეთის ჯაბა დავთარი: 1694–1732 წწ.* (მ. სვანიძე, გამოკვლევა). მეცნიერება.

შაშიკაძე, ზ., & მახარაძე, მ. (2011). *აჭარის ლივის ვრცელი და მოკლე დავთრები*. ORIENT.

სვანიძე, მ. (1964). ჩილდირის (ახალციხის) საფაშოს დაარსების ისტორიიდან. *მაცნე*, (3), 70–84.

სვანიძე, მ. (1968). ახალციხის ლივას „კანუნ-ნამეები“. In *მახლობელი აღმოსავლეთის სოციალურ-ეკონომიკური ისტორიის ნარკვევები* (გვ. 155–167). მეცნიერება.

სვანიძე, მ. (1976). მიწათმფლობელობის ისტორიიდან ახალციხის საფაშოში: იურთლუკები და ოჯაკლიკები. In *ძიებანი საქართველოსა და კავკასიის ისტორიიდან* (გვ. 219–225). მეცნიერება.

ჯიქია, ს. (რედ. და მთარგმნ.). (1941–1958). *გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი* (ტ. 1–3). საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.

გიორგი ბაციკაძე

ქართველი დეპუტატები რუსეთის იმპერიის მეოთხე სახელმწიფო სათათბიროში (1912–1917)

აბსტრაქტი. სტატიაში განხილულია მეოთხე მოწვევის სახელმწიფო სათათბიროში (1912–1917) ქართველ დეპუტატთა პოლიტიკური და საპარლამენტო საქმიანობა. კვლევის ძირითადი მიზანია ქართველი მენშევიკებისა და სოციალისტ-ფედერალისტების წარმომადგენელთა პოზიციების, მათი პოლიტიკური შეხედულებებისა და პრაქტიკული საქმიანობის ანალიზი. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მათ დამოკიდებულებას ეროვნული საკითხის, ადგილობრივი თვითმმართველობის, განათლებისა და მართლმსაჯულების, სოციალური და ეკონომიკური პრობლემების, აგრეთვე იმპერიული პოლიტიკის მიმართ.

კვლევა აჩვენებს, რომ პარტიული განსხვავებების მიუხედავად, ქართველ დეპუტატთა პოზიციებს არაერთ მნიშვნელოვან საკითხში თანხვედრა ახასიათებდა. ისინი სათათბიროს ტრიბუნას მოსახლეობის ინტერესების დასაცავად იყენებდნენ და აკრიტიკებდნენ იმპერიული მმართველობის პრაქტიკას და ადგილობრივი მოსახლეობის უფლებების შეზღუდვას. ამავე დროს, ეროვნული საკითხისადმი დამოკიდებულება მენშევიკებსა და სოციალისტ-ფედერალისტებს შორის არსებით განსხვავებად რჩებოდა, განსაკუთრებით საქართველოს პოლიტიკური ავტონომიის საკითხში.

სტატიაში ასევე ნაჩვენებია დეპუტატთა საქმიანობის პრაქტიკული მხარე, მოსახლეობასთან უშუალო კონტაქტი, ადგილობრივი პრობლემების შესწავლა და მათი სახელმწიფოებრივ დონეზე დაყენება. კვლევა ასკვნის, რომ მეოთხე სახელმწიფო სათათბიროში ქართველ დეპუტატთა საქმიანობა მნიშვნელოვანი იყო ქართული პოლიტიკური აზრის, წარმომადგენლობითი

კულტურისა და ეროვნული ინტერესების დაცვის განვითარების თვალსაზრისით.

საკვანძო სიტყვები: სოციალ-დემოკრატია, ფედერალისტები, სახელმწიფო სათათბირო

შესავალი.1905 წლის მეტად მძლავრი რევოლუციის ფონზე, რუსეთის იმპერიის ხელმძღვანელობამ საჭიროდ სცნო, რომ მოეწვია სახელმწიფო სათათბირო, რომელშიც შევიდოდნენ სახელისუფლებო და ოპოზიციური ძალების წარმომადგენლები. სახელმწიფო სათათბირო, იგივე დუმა, ერთი მხრივ ოპოზიციურ პარტიებს საზოგადოებრივი ველიდან გარკვეულწილად სათათბიროს ტრიბუნაზე გადაიყვანდა, მეორე მხრივ კი ხალხში შექმნიდა საზოგადოებრივი აზრის სახელმწიფოებრივ დონეზე გათვალისწინების იმედს, რაც საბოლოო ჯამში რევოლუციის აღმოფხვრას შეუწყობდა ხელს.

1905-1917 წლებში ჯამში შედგა ოთხი მოწვევის სახელმწიფო სათათბირო, რომლის ტრიბუნაც პოლიტიკურ ასპარეზად იქცა ქართველი პოლიტიკოსებისთვისაც, განსაკუთრებით კი მენშევიკი სოციალ-დემოკრატებისთვის. ეს უკანასკნელნი დიდი ენთუზიაზმით შეუდგნენ ახალი პოლიტიკური ასპარეზის ათვისებას და მოწინააღმდეგე პარტიებთან მიმართებით მნიშვნელოვან უპირატესობებსაც მიაღწიეს, რაც აისახა მათ მიერ ყველა მოწვევის სათათბიროში თავიანთი წარმომადგენლების გაყვანაში. სათათბიროსადმი სხვა ქართული პოლიტიკური ჯგუფების არაერთგვაროვანი და არასტაბილური დამოკიდებულება მენშევიკების შესაძლებლობებს კიდევ უფრო ზრდიდა.

თუმცა, 1912 წლისათვის, მეოთხე მოწვევის არჩევნებში მონაწილეობა მენშევიკების ერთ-ერთმა მთავარმა იდეოლოგიურმა მოწინააღმდეგეებმა, სოციალისტ-ფედერალისტებმაც გადაწყვიტეს. სოციალ დემოკრატები იგივე ენთუზიაზმითა და პრინციპულობით აგრძელებდნენ ბრძოლას. ხელისუფლების რეაქციამ და სათათბიროს მუშაობამ პოლიტიკური ცხოვრების ცენტრი სწორედ სათათბიროში გადაიტანა. ფედერალისტებისთვისაც ნათე-

ლი იყო, რომ ამ საშუალების ხელიდან გაშვება პოლიტიკურად კიდევ უფრო დასუსტებას გამოიწვევდა. ამასთანავე, მათი ტაქტიკის მთავარ შინაარსს სოციალ-დემოკრატებთან ეროვნულ საკითხზე აქცენტირებით ბრძოლა წარმოადგენდა. საარჩევნო ორთაბრძოლის მთავარ კერად დასავლეთ საქართველო იქცა. ეროვნულად შედარებით ჭრელ აღმოსავლეთში, ეროვნული ნიშით მებრძოლ პარტიას, გამობრძმედილი სოციალ-დემოკრატების დაჯაბნა გაუჭირდებოდა. ფედერალისტების გარშემო შედგა ყველა ეროვნული და ავტონომისტური ძალის კონსოლიდაცია. მათ კანდიდატებს უჭერდნენ მხარს ეროვნულ-დემოკრატიული მიმართულების გაზეთი „იმერეთი“ და ჟურნალი „კლდე“. ვასილ წერეთელი ქართველი ერის პოლიტიკური არსებობის შენარჩუნებისთვის აუცილებლად მიიჩნევდა სოციალისტ-ფედერალისტების კანდიდატის გამარჯვებას და ამომრჩეველს კიტა აბაშიძის არჩევისკენ მოუწოდებდა (იმერეთი N3, 1912: 2). „კლდე“ მიწასთან ასწორებდა სოციალ-დემოკრატ დეპუტატებს და ეროვნულ ნიჰილიზმში სდებდა ბრალს (კლდე N5, 1912: 3-4). ამასთანავე, ჟურნალი საარჩევნო კამპანიას ხატავდა როგორც ბრძოლას, ერთი მხრივ, სოციალ-დემოკრატიას, მეორე მხრივ კი, მთელ ერს შორის (კლდე N4, 1912: 1).

თავად სოციალ-დემოკრატებიც პოლემიკის იმავე კურსს მიჰყვებოდნენ, ისინი პროგრესისტთა კანდიდატ მიქელაძესა და ფედერალისტ აბაშიძეს თავადაზნაურობის სახედ წარმოაჩენდნენ, რომელსაც არჩევნებში უპირისპირდებოდა ხალხის ინტერესების წარმომადგენელი სოციალ-დემოკრატიის სახით (არჩევანი N2, 1912: 1-3). ორივე მხარე იდენტურ პროპაგანდას ეწეოდა თბილისის გუბერნიის დეპუტატობის კანდიდატ ჩხეიძესა და ანდრონიკაშვილთან დაკავშირებით (კლდე N4, 1912: 8-9). ამდენად, მემარჯვენე ეროვნულ-დემოკრატიული ძალები და მემარცხენეთა შორის ყველაზე მემარჯვენე ფედერალისტები ერთად დაჯგუფდნენ. ავტონომისტთა ძალების კონსოლიდაციამ შედეგი გამოიღო და ქუთაისში სოციალისტ-ფედერალისტი ვარლამ გე-

ლოვანი აირჩიეს, თბილისში მენშევიკი კარლო ჩხეიძე, ბათუმის, ყარსისა და სოხუმის მანდატი კი მენშევიკ აკაკი ჩხენკელს ერგო. მსგავსად მესამე სათათბიროს არჩევნებისა, ჩხეიძესთან ფინალურ საარჩევნო რბოლაში ამჯერადაც ლუარსაბ ანდრონიკაშვილი მოხვდა. მეტ-ნაკლებად თანაბარი ძალების მქონე კანდიდატების პირობებში არჩევნების ბედი სომეხმა ხმოსნებმა გადაწყვიტეს და მხარი ჩხეიძეს დაუჭირეს. გარდა იმისა, რომ სოციალ-დემოკრატიული პროპაგანდა ანდრონიკაშვილს ნაციონალისტად სახავდა, საარქივო დოკუმენტები სოციალ დემოკრატებსა და სომხებს შორის არჩევნებში გარკვეული გარიგებების არსებობაზე მიუთითებს, კერძოდ, პარტია სომხებს ჰპირდებოდა ელიზავეტოპოლში მათი კანდიდატის მხარდაჭერას. ამასთანავე, სოციალ-დემოკრატიული პარტიის რწმუნებულთა კანდიდატებში მრავლად იყვნენ წამოყენებული სომხები (კუპატაძე, 2005: 31-32). ამას თან ერთოდა სოციალისტ-ფედერალისტების შედარებით პასიური მოქმედებები თბილისში, პარტიის ძირითადი აქცენტი ქუთაისზე იყო გადატანილი. თავად პოლიტიკური ოპონირების მთავარი ასპექტი - ეროვნული საკითხიც, ეთნიკურად შედარებით ერთფეროვან დასავლეთში, მეტ გასაქანს აძლევდა ფედერალისტებს. 17 არჩევნებამდე ცოტა ხნით ადრე ფედერალისტებმა აბაშიძის ნაცვლად კანდიდატად წამოაყენეს ვარლამ გელოვანი (კუპატაძე, 2005: 41-43).

ძლიერი სომხური ბურჟუაზიის პირობებში კი თბილისში ეს ბერკეტი ინტერნაციონალისტური ტაქტიკის სოციალ-დემოკრატებს ეპყრათ. ფაქტობრივად, ეს შემთხვევაც ნათელი მაგალითია მენშევიკების ეროვნულ საკითხზე ტაქტიკური დამოკიდებულებისა. რამდენადაც პარტიის უპირველეს, ძირითად მიზანს სოციალიზმის გამარჯვება წარმოადგენდა და ეს საერთო სახალხო ერთობის საფუძველზე უნდა მომხდარიყო, მისი გონებრივი ღერძი დღის წესრიგში უმთავრეს ამოცანად სოციალ-დემოკრატიული რესურსის კონსოლიდაციას განიხილავდა და გამარჯვებამდე მისასვლელ ეტაპზე უარყოფდა სოციალისტურ ნიადაგზე გაერ-

თიანების ხელის შემშლელ ფაქტორებს, რომელთაგან ერთ-ერთად ისინი ეროვნული ნიშნით დაყოფას ხედავდნენ. აშკარაა, რომ მათ შორის არსებობდნენ ჭეშმარიტი ინტერნაციონალისტები, რომლებიც არათუ ამ ეტაპზე, არამედ ზოგადად უარყოფდნენ ეროვნულ საკითხს. თუმცა ქართული მენშევიზმის ლიდერთა პოზიციებიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ ეროვნული ავტონომიის უგულებელყოფა წარმოადგენდა ტაქტიკურ მიდგომას, რასაც პოლიტიკური აზრის ევოლუციაც მოწმობს, როდესაც ავტონომიის სრული უკუგდებიდან მოგვიანებით კულტურული ავტონომიის მოთხოვნამდე მივიდა (ჟორდანია, 1913: 18-39, 64-65).

მსჯელობა. მეოთხე სახელმწიფო სათათბიროში გასული სამი ქართველი დეპუტატი წარმოადგენდა საქართველოს ორ უმთავრეს იდეოლოგიურ ბანაკს, რომელთა დაახლოებაც ამ ეტაპზე კიდევ უფრო შეინიშნებოდა. მათთვის ხალხის სამსახურის ამომავალი მიზანი იგივე დარჩა, თვლიდნენ, რომ საკანონმდებლო ტრიბუნაც ხალხის საჭიროებებისთვის უნდა გამოეყენებინათ და თავად კანონებიც ხალხის ინტერესებს დაჰქვემდებარებოდა. კანონპროექტების განხილვისას დღის წესრიგში აყენებდნენ მშრომელთა უფლებებს, ახალგაზრდებს, ეროვნულ უმცირესობებს, სიტყვის თავისუფლებასა და სხვა დემოკრატიულ ფასეულობებს. ნიშანდობლივია, რომ განსხვავებით პირველი სათათბიროსგან, ამჯერად ორივე პარტიის დეპუტატების წარმომადგენლობითი პოზიცია ინტერნაციონალური იყო, ისინი საუბრობდნენ არა მხოლოდ მათი გუბერნიების, არამედ საზოგადო თუ სხვა ქვეყნების პრობლემებზეც. ამასთანავე, მეოთხე სათათბიროში ქართველების მუშაობა უფრო კონკრეტული საკითხების ჩარჩოებში მოექცა, მსჯელობა მეტწილად ვიწრო, პროცედურულ და პარტიულ დისკუსიებზე გადავიდა. ჩვეული სიმწვავით მიმდინარეობდა პოლიტიკური პოლემიკა. სტენოგრაფიულ ჩანაწერებში მოცემული უხვი მასალა გვაძლევს იმის საშუალებას, რომ სათათბიროში ქართველი მენშევიკებისა და სოციალისტ-ფედერალისტების პოზი-

ციები პირობითად თანმხვედრ და განსხვავებულ კატეგორიებად დავყოთ, რაც საზოგადოებრივ-პოლიტიკურ აზროვნებაში არსებულ კონტრასტებს უკეთ წარმოაჩენს. საერთო პოლიტიკური პოზიცია ეჭირათ ორივე პარტიის წარმომადგენლებს. აქტიურად მიმდინარეობდა ხელისუფლების საწინააღმდეგო რიტორიკა და მის პოლიტიკაზე მსჯელობა. რაშიც დიდი ადგილი ეჭირა შოვინისტური და კოლონიური მახასიათებლების ხაზგასმას. მაგალითად, ჩხენკელი ბრალს სდებდა სათათბიროს, რომ იგი მხოლოდ სლავების ინტერესებით ხელმძღვანელობდა, თითქოს იმპერიაში მხოლოდ რუსები ცხოვრობდნენ, ამგვარი მიდგომა კი სასარგებლო არავისთვის იქნებოდა და მთავრობას მოუწოდებდა ყველა ეროვნების პოზიციიდან ელაპარაკა (Отчеты XIV, 1913: 1074).

მორიგ ღრმა პრობლემას ახმაურებდა გელოვანიც, როდესაც დასძენდა, რომ ხელისუფლება თანამდებობებზე არ ნიშნავდა ადგილობრივებს, არამედ ისეთ ჩინოვნიკებს, რომლებიც ადგილობრივ სპეციფიკას არ იცნობდნენ და ამასთანავე, ბევრ უსამართლობას იჩენდნენ მოსახლეობისადმი, რაც მძიმე შედეგებს იწვევდა (Отчеты XVII, 1914: 41). ამას გარდა, კავკასიაში რეფორმების განხორციელების დაგვიანება, მმართველობის არაჰუმანური მეთოდებით წარმართვა და რუსეთის მიერ ერთა შორის დაპირისპირების მიზანმიმართული წახალისება გელოვანის გამოსვლებში განხილული პრობლემების არასრული ჩამონათვალია, რომელიც მემარჯვენეებით სავსე სათათბიროში გაისმოდა (Отчеты XIII, 1913: 1718-1724). იმავეზე მიუთითებდა ჩხეიძე, მისი აზრით მთავრობის მოქმედებები ახალისებდა ხალხისადმი ძალადობას და განუკითხაობას, საერთო ჯამში კი ყალიბდებოდა უსამართლობის სისტემა. ამასთანავე, თვლიდა, რომ პარლამენტი ხალხს უნდა ემართა (Отчеты XV, 1914: 260, 704-705). სათათბიროს ქართველი დეპუტატები რუსეთის ხელისუფლებას ამჯერადაც იმას უმეორებდნენ, რის თქმასაც ხალხი ცდილობდა 1905 წელს.

პარტიების წარმომადგენლები საზოგადოებრივი და სოციალ-ეკონომიკური მიდგომების მხრივაც მსგავს პოზიციებზე იდგენენ. სოციალ-დემოკრატი ჩხეიძე გმობდა რუსულ საგანმანათლებლო სისტემას და პირდაპირ ამბობდა, რომ მისი ღერძი შპიონაჟი და დასმენა იყო. პერიფერიებში, მათ შორის კავკასიაში, უარესი მდგომარეობა სუფევდა, დევნიდნენ და სკოლებიდან აძევებდნენ დამსახურებულ მასწავლებლებს, მათ ადგილას კი ნიშნავდნენ ისეთებს, ვინც რუსულის მეტი არაფერი იცოდა და ეს ხდებოდა ისეთ სოფლებშიც კი, სადაც მხოლოდ ქართულად საუბრობდნენ. მას მექრთამეობის, დევნისა და ამდაგვარი უმსგავსობების მაგალითები მოჰყავდა ქუთაისის გუბერნიის ადმინისტრაციისა და მილიციის საქმიანობიდანაც, რომლის წარმომადგენლებმაც ასევე არაფერი უწყოდნენ ადგილობრივთა ენაზე (Отчеты XII, 1913: 1425-1426, 1454-1456). იმავეს აჟღერებდა გელოვანი, მოჰყავდა კონკრეტული მაგალითები იმისა თუ პედაგოგობისთვის რამდენად შეუფერებელი პერსონალი მუშაობდა სკოლებში, განუკითხავი საგანმანათლებლო პოლიტიკის წყალობით (Отчеты XVIII, 1914: 1064-1066).

ადგილობრივი სასამართლოების საკითხზეც აბსოლუტურად იდენტურ აზრზე იყვნენ მენშევიკი ჩხენკელი და ფედერალისტი გელოვანი. კრიტიკულ გამოსვლებში აღნიშნავდნენ, რომ პერიფერიებში მართლმსაჯულება თეორიულადაც არ არსებობდა და ვერც იარსებებდა, ვინაიდან საქმე წარმოებდა ხალხისთვის გაუგებარ რუსულ ენაზე. ამას არათუ შველოდა თარჯიმნის ინსტიტუტი, არამედ დამატებით მექრთამეობისა და მიკერძოების შემთხვევებს ზრდიდა, რამაც სასამართლოსადმი სრული უნდობლობა ჩამოაყალიბა. ორივე მათგანი გამოსავლად ადგილობრივი მართლმსაჯულების ქართულ ენაზე წარმოებაში ხედავდა (Отчеты XIV, 1913: 153-157, 278-280). ბუნებრივია, ჩხენკელი აქტიურად იცავდა პროლეტარიატს. იმის ახსნის მცდელობა, რომ არა ოპოზიცია, არამედ ქარხნების აუტანელი პირობები, არაადამიანური მოპყრობის, შრომის უფლებებისა და უსაფრთხო-

ების დაუცველობის აუარებელი შემთხვევა იწვევდა არეულობებს, სინამდვილეს ჯიუტად დაპირისპირებული მეფის ბანაკისათვის ისევ გაუგებრად ჟღერდა (Отчеты XVI, 1914: 429-432). იგივე ბედს იზიარებდა გელოვანის მოწოდება ხელისუფლებისადმი, რომ ნაცვლად ძარცვისა, დაეცვა გლეხების ინტერესები და ეფიქრა მათი მდგომარეობის გაუმჯობესებაზე. მსგავსი საკითხები წვრილმანებად რჩებოდა იმპერიალისტური გეგმების პირობებში, გელოვანი ერთა შორის უკმაყოფილების მიზანმიმართულ წაქეზებას უკავშირებდა მემარჯვენეების პათოსს, რომ თითქოს პერიფერიები ფინანსურ ტვირთად აწვა სახელმწიფოს და ამას კონკრეტული მაგალითებით უარყოფდა (Отчеты XIII, 1913: 1332-1336).

ეროვნული მნიშვნელობის პოზიციების მხრივ მენშევიკებსა და ფედერალისტებს შორის ტრადიციული განსხვავებები მოცემულ პერიოდშიც გაგრძელდა. თუმცა ამ განსხვავებებმა უფრო სპეციფიკური ხასიათი მიიღო და პარტიული პოზიციების დაახლოების ნიშნებიც გამოიკვეთა. ისტორიკოსების ნაწილი ვარლამ გელოვანს მიიჩნევს ქართველ დეპუტატთა შორის ეროვნული პოზიციის ერთადერთ თუ არა ყველაზე მთავარ წარმომადგენლად (საითიძე, 2003). აღნიშნული მიდგომის არსი კი იმაში მდგომარეობს, რომ ვარლამ გელოვანმა მეოთხე სათათბიროს პირველი სესიის მსვლელობისას თავის გამოსვლაში ისაუბრა საქართველოს პოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომიკურ, კულტურულ ყოფაზე, იმხანად არსებულ ყოველმხრივ სავალალო მდგომარეობაზე და ეს პრობლემები რუსულ ბიუროკრატიას დაუკავშირა, რომელიც საქართველოს ასი წელი ქართველების ჩარევის გარეშე მართავდა და ქვეყანა დაღუპვამდე მიიყვანა, გამოსვლის ბოლოს კი ერის ფეხზე წამოდგომის, გადარჩენისა და ხალხის მისწრაფებების უზრუნველყოფისათვის საქართველოს პოლიტიკური ავტონომია მოითხოვა (Отчеты XII, 1913: 647-653).

სათათბიროს ტრიბუნიდან წარმოთქმული ეს სიტყვები ნამდვილად დიდი პოლიტიკური ნაბიჯი გახლდათ. თუმცა ჩვენ

გადაჭარბებულად მიგვაჩნია გელოვანის ამ გამოსვლისა თუ სათათბიროში მოღვაწეობის უმაღლეს ეროვნულ გამოხატულებად შეფასება. ფაქტობრივად, ჩხენკელი, ჩხეიძე და გელოვანი თანაბარმნიშვნელოვნად იბრძოდნენ ქართული ეროვნული ინტერესების დასაცავად. იმავე გამოსვლაში გელოვანი მოითხოვდა სკოლებში ქართულ ენაზე სწავლებას და უარყოფითად აფასებდა საქართველოში უცხოტომელთა ინტენსიური ჩასახლების პროცესს. ქართული ენის დაცვას ცდილობდა სხვა მოხსენებებშიც, გმობდა ხელისუფლების მცდელობას სკოლებიდან სრულად გამოეძევნა ქართული და მშობლიურ ენაზე სწავლის გაუქმებას სულის ამოგლეჯის ტოლფასად თვლიდა (Отчеты XVIII, 1914: 1062-1063). ასევე აქტიურობდა ჩხენკელიც, რომელიც მოითხოვდა ღვთისმსახურების მშობლიურ ენაზე შესრულებას, ყველა ენისთვის თანაბარი თავისუფლების მინიჭებასა და დევნის შეწყვეტას. დაუფარავად ამხელდა რუსულ ხელისუფლებას, რომელიც ენის შევიწროებაში კავკასიის არცერთ ხალხს ინდობდა, რუსიფიკაციის მიზნით ენას დევნიდნენ ეკლესიიდან, სასამართლოდან, განსაკუთრებით თავს ესხმოდნენ სკოლებს. შოვინიზმის მაგალითებზე ტრიბუნიდან გაჭრილად საუბრობდა ჩხეიძეც, გმობდა ქართული ენის სკოლებიდან გამოდევნის გეგმას და აქვე დასძენდა, რომ სოციალ-დემოკრატები პერიფერიების რუსიფიკაციის ყოველგვარი ფორმის წინააღმდეგ იბრძოლებდნენ (Отчеты XII, 1913: 1396-1398, 1419-1431, 1467-1468). ორივე მიმდინარეობა აქტიურად იბრძოდა ადგილობრივი თვითმმართველობის ჩამოყალიბებისათვის. გელოვანი მთავრობას სდებდა ბრალს იმაში, რომ მათ მიერ გაზრდილი გადასახადები ურთულებდა ხალხს ცხოვრებას და ერობის ჩამოყალიბების შესახებ გუბერნატორის დაპირებები მხოლოდ დაპირებებად რჩებოდა (Отчеты XV, 1914: 1406). საქართველოს რთულ ეკონომიკურ მდგომარეობას თვითმმართველობის უქონლობას უკავშირებდა ჩხენკელიც, მის განუხორციელებლობასა და ხელისუფლების პოზიციას კი იმით ხსნი-

და, რომ ეს მხარეები ე.წ. „ინოროდცებით“ იყო დასახლებული (Отчеты XX, 1915: 3588).

ისტორიული ობიექტურობის პრინციპი მოითხოვს, ითქვას, რომ გარკვეული კოსმოპოლიტური შტრიხები, რის გამოც სოციალ-დემოკრატებს ხშირად აკრიტიკებდნენ, მათ შორის სოციალისტ-ფედერალისტები, ახასიათებს ვარლამ გელოვანის ზემოთ ხსენებულ გამოსვლასაც. სანამ მან ავტონომიის იდეა გააჟღერა, კატეგორიულად უარყოფდა სეპარატიზმს, საქართველო რუსეთის იმპერიის ნაწილად მიაჩნდა და თვლიდა, რომ ასეც უნდა დარჩენილიყო არა მხოლოდ პოლიტიკური მიზეზების, არამედ რუსი ხალხისა და კულტურისადმი პატივისცემის გამო. ეროვნულ საკითხში ორი პარტიის ერთადერთი განმასხვავებელი ავტონომიის საკითხია. პოლიტიკური მოწყობის ნაწილში გეორგიევსკის ტრაქტატის ჩარჩოებს მეოთხე მოწვევის სათათბიროს ქართული წარმომადგენლობა არ გასცილებია. სათათბიროს მუშაობის მესამე წელს დაწყებულმა პირველმა მსოფლიო ომმა (1914-1918 წწ.) დღის წესრიგში მთავარი ადგილი დაიკავა და ხელისუფლებასთან ოპონირების ახალ პრიზმად იქცა.

ახალმა მოვლენამ გელოვანის პოზიციები გადააფასა და ეროვნული საკითხისადმი პერსონალური თუ პარტიული თვალთახედვის ანატომიაც ალბათ ყველაზე ნათლად წარმოაჩინა. პარლამენტარის რიტორიკაში ომმა გვერდზე ჩასწია ყველა პრობლემა, იგი ერთ-ერთ ინტერვიუში მიმოიხილავდა რუსეთ-საქართველოს წარსულ ურთიერთობებს და რუსეთის მიერ ტრაქტატის დარღვევას, მაგრამ იქვე დასძენდა: „თუმცა ეს საშინაო საქმეა და ახლა ყველა შეურაცხყოფისა და წყენინების გახსენების დრო არ არის. მომხდური მტერი სამშობლოს საზღვრებთან არის და ახლა რუსეთის ყველა მოქალაქის ვალია, განურჩევლად ეროვნებისა, წინ აღუდგეს მტერს. ამ გრძნობას უნდა დაუმორჩილდეს ყველაფერი. ახლა დრო არ არის ცალკეულ ეროვნებათა კერძო მოთხოვნებზე საუბრისა“ (საითიძე, 2003: 299). გელოვანისთვის იმპერიის დაცვა იმდენად მნიშვნელოვანი გახდა, რომ

ფედერალისტების ნიშად ქცეული ეროვნული დროშაც უკანა პლანზე გადავიდა. ეს მოცემულობა შესაძლოა იმ ფაქტორით აიხსნას, რომ ფედერალისტებისთვის საქართველოს ეროვნული ავტონომია რუსეთის განუყოფელ ნაწილად მოიაზრებოდა, ამიტომ თვლიდა გელოვანი ამ საკითხს შიდა პოლიტიკურ თემად.

ამასობაში, საერთაშორისო კონფლიქტი კონსოლიდაციის წინაპირობა არ გამხდარა სოციალ-დემოკრატებისთვის, ჩხეიძე რუსეთის იმპერიას მსოფლიო ომის ერთ-ერთ დამნაშავე მხარედ, ხოლო მის მთავრობას ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიკური და ფინანსური გახრწნის შემოქმედად ასახელებდა, საიდანაც გამოსავალს სრულ დემოკრატიზაციასა და განთავისუფლებაში ხედავდა და ბიუჯეტის განხილვისას მტკიცედ უპირისპირდებოდა ომის ხარჯებს. სოციალ დემოკრატიის დეკლარაცია მიუთითებდა ომის იმპერიულ არსზე, რომელშიც ბურჟუაზია ფეხქვეშ თელავდა მშრომელთა ინტერესებს და აცხადებდა, რომ მხოლოდ ხალხს შეეძლო ქვეყნის გადარჩენა, თუ ისინი ხელში აიღებდნენ მართვის სადავეებს (Отчеты XXI, 1916: 1273-1285). ეს იმ შემთხვევათაგანია, რომელშიც ქართული სოციალ-დემოკრატიის ეროვნული პრინციპები ფედერალისტებისაზე მაღლა დგას. თუ ფედერალისტი გელოვანისთვის იმპერიის მტრის შემოსევა შოვინისტ ხელისუფლებასთან ერთობას შესაძლებელს ხდიდა, სოციალ-დემოკრატებისთვის თანაბარი მტერი იყო გარე დამპყრობელიც და შიდა იმპერიალიზმიც. ფაქტობრივად, სათათბიროში ქართველ სოციალ-დემოკრატებს ფედერალისტებთან შედარებით მყარი პრინციპები ეჭირათ.

ყველაფერთან ერთად ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ მეოთხე სათათბიროს დეპუტატებისთვის მანდატი ისევ ხალხის სამსახურის შინაარსს ატარებდა, რაც უპირველესად საქმეში აისახებოდა. უპირველეს ყოვლისა, ისინი ხალხთან მჭიდრო კონტაქტის შენარჩუნებასა და მათი საჭიროებების გარკვევას ცდილობდნენ. ფაქტობრივად, დეპუტატები არჩევის შემდეგ უფრო აქტიურად თანამშრომლობდნენ მოსახლეობასთან. მაგალითად, 1913

წლის არდადეგების დროს აკაკი ჩხენკელი ინტენსიურად ხვდებოდა თავისი სამანდატო ოლქის მოსახლეობას, ივლის-აგვისტოში მან მოიარა ყარსის სოფლები, ოლთისი, არდაჰანი, ბათუმი, ასევე ქუთაისი და ტყიბული. მოსახლეობა უამბობდა თავის საყოფაცხოვრებო, სოციალურ თუ სხვა სახის საჭიროებებსა და პრობლემებზე, გადასცემდნენ სხვადასხვა სათხოვარს და ა.შ. ნიშანდობლივია, რომ თავად ხალხი დიდი ნდობით და იმედით ეკიდებოდა მათი დეპუტატის როლს, ეს კი იქიდანაც ჩანს, რომ თავად მასაც მრავალი აკითხავდა დახმარების სათხოვნელად ბათუმიდან, ყარსიდან და სოხუმიდან (საითიძე, 2003: 317 319).

რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ხალხთან მსგავსი შეხვედრები ერთმნიშვნელოვნად პრაქტიკული მიზნით იმართებოდა, რაზეც მეტყველებს დეპუტატების შუამდგომლობით ინიცირებული სხვადასხვა საკითხი, როგორიცაა: სასწავლებლის გახსნა ტყიბულში, სარწყავი სისტემის მოწყობა ქიზიყში, დატუსაღებული მუშების განთავისუფლება, ყარსის მიმართულებით რკინიგზის გაყვანა, თვითმმართველობისა თუ სხვა საკითხები (კუპატაძე, 2005: 113). ვარლამ გელოვანმა შემოიარა ქუთაისის გუბერნია და შეისწავლა გლეხების სავალალო მდგომარეობა, რომელთაც წლიდან წლამდე თავის გასატანად მოსავალი არ ჰყოფნიდათ, ამის შესახებ კი აცნობებდა ზედა ინსტანციებს, სათათბიროს მიმართავდა, რათა მხედველობაში მიეღოთ აღნიშნული მდგომარეობა და დახმარება გაეწიათ ხალხისთვის (Отчеты XV, 1914: 2021-2025). აკაკი ჩხენკელი სათათბიროს აცნობდა სამტრედიიდან, ქუთაისიდან და ოზურგეთიდან მიღებულ დეპეშებს, რომლებშიც მასწავლებლები გასამრჯელოს გაზრდა მოითხოვდნენ და მიმართავდა განათლების მინისტრს, რათა მხედველობაში მიეღო მასწავლებლების გასაჭირი (Отчеты XX, 1915: 3413).

1915 წელს ვარლამ გელოვანი გარდაიცვალა. ამას მოჰყვა კარლო ჩხეიძის ავადმყოფობა და სათათბიროში საქართველოს ეროვნული, პოლიტიკური თუ სხვა ინტერესების წარმომადგენლად აკაკი ჩხენკელი დარჩა. ზოგადად, მისი აქტიური მოღვაწე-

ობით სათათბიროში, ყველა დროის ქართველ დეპუტატებს შორის ერთ-ერთი შთამბეჭდავი ადგილი უჭირავს და მასში მთავარია ხალხის ინტერესებისთვის ბრძოლა.

ჩხენკელის სახელთანაა დაკავშირებული შევიწროებული აჭარლების ურყევი მხარდაჭერა. პირველი მსოფლიო ომის მსვლელობისას (1914-1918 წწ.) სამხრეთ დასავლეთ საქართველო ერთ-ერთ ძირითად ფრონტად იქცა, შესაბამისად გამძაფრდა მისი პოლიტიკური მნიშვნელობა, აქ მოსახლე მუსლიმი ქართველები კი სხვადასხვაგვარი იმპერიული მანიპულაციის მსხვერპლად იქცნენ. ოსმალეთის იმპერიასთან დაპირისპირებულმა რუსეთის იმპერიამ აჭარლები მოღალატეებად გამოაცხადა და მათი სიკვდილით ან გადასახლებით დასჯა გადაწყვიტა, ამის რეალური მიზეზი კი შესაძლოა ყოფილიყო იმპერიული შიში მუსლიმ მოსახლეობაში ოსმალეთის გავლენის მოპოვებისა, შესაძლოა ადგილების გამოთავისუფლება უცხოტომელი კოლონისტებისთვის, ან ორივე ერთად. ამას კი სანიმუშო პრინციპულობით დაუპირისპირდა ჩხენკელი. იგი გმობდა რუსულ შოვინიზმსა და ნაციონალიზმს, ხელისუფლებას მოუწოდებდა ამგვარი ჩანაფიქრების უკან წაღებისაკენ. მხურვალე გამოსვლაში იგი აღწერდა ყოველგვარ გულგრილობას, დაუდევრობასა თუ მიზანმიმართულ უსამართლობას, რასაც აჭარაში ჰქონდა ადგილი. ამავდროულად, აჭარლების სასამართლო პროცესებზე მოწმეებად სხვა ეროვნების ხალხი გამოჰყავდათ, რაც ერთა შორის ურთიერთობებს აფუჭებდა. რეალურად კი ვერაფრის დამტკიცება ვერ მოხერხდა და მოითხოვდა უდანაშაულოთა განთავისუფლებას (Отчеты XXI, 1916: 1472-1482). მოცემული გამოსვლით არ შეწყვეტილა მისი ბრძოლა აჭარლების პრობლემების მოსაგვარებლად. სათათბიროში დაისვა საკითხი ომის გამო ოსმალეთში გადასახლებული აჭარლების დაბრუნების შესახებ. ჩხენკელი თვლიდა, რომ ყველა წასულს დაბრუნების უფლება ჰქონდა და მათ ამაში ხელისუფლება უნდა დახმარებოდა. ამასთანავე, იგი წინ აღუდგა დატოვებული მიწებისა და ქონების უცხოტომელებზე გასხვისე-

ბის ფაქტს და გადასახლებულთა მიწების მათთვისვე შენახვას ცდილობდა (Отчеты XXII, 1916: 3939-3950). შეიძლება ითქვას, რომ ქართველი დეპუტატებისთვის სათათბიროს ტრიბუნა საზოგადოების ინტერესების დაცვის ასპარეზს წარმოადგენდა.

ამდენად, მეოთხე სათათბიროს არჩევნებამდე ეროვნულ-დემოკრატიული ძალების ფედერალისტების გარშემო დაჯგუფებამ მათ წარმატებას შეუწყო ხელი. სამივე ქართველი დეპუტატი თანაბარი შემართებით იბრძოდა ხალხის უფლებების, სოციალურ-ეკონომიკური ინტერესებისა და ეროვნული ფასეულობების დასაცავად. კვლევა აჩვენებს, რომ მათი პოლიტიკური პოზიციების განსხვავების მიუხედავად, პრაქტიკულ საკითხებში მათ შორის გაცილებით მეტი თანხვედრა არსებობდა. განსაკუთრებით მკაფიო იყო ხელისუფლების კოლონიური და შოვინისტური პოლიტიკის კრიტიკა, ადგილობრივი თვითმმართველობის, განათლების, მართლმსაჯულების, მშრომელთა და გლეხთა უფლებების დაცვა. ამ თვალსაზრისით, მენშევიკი კარლო ჩხეიძე და აკაკი ჩხენკელი, ისევე როგორც სოციალისტ-ფედერალისტი ვარლამ გელოვანი, სათათბიროს ტრიბუნას არა მხოლოდ პარტიული, არამედ ფართო საზოგადოებრივი ინტერესების დაცვის საშუალებად იყენებდნენ.

ეროვნული საკითხისადმი დამოკიდებულება ქართველ დეპუტატთა შორის მთავარი განმასხვავებელი ფაქტორი რჩებოდა, თუმცა ამ მიმართულებით არსებული დაპირისპირება ერთმნიშვნელოვანი არ ყოფილა. გელოვანის მიერ საქართველოს პოლიტიკური ავტონომიის მოთხოვნა ფედერალისტურ პოზიციას მკაფიოდ წარმოაჩენდა, მაშინ როდესაც მენშევიკები ავტონომიის საკითხს განსხვავებული პოლიტიკური პრიზმით განიხილავდნენ. ამასთან, მათი პრაქტიკული საქმიანობა ადასტურებს, რომ ქართული ენის, განათლების, ადგილობრივი თვითმმართველობისა და ეროვნული უფლებების დაცვა მხოლოდ ფედერალისტთა პოლიტიკურ დღის წესრიგს არ წარმოადგენდა. შესაბამისად, ქართველ დეპუტატთა საქმიანობის მხოლოდ „ეროვნულ“

და „ინტერნაციონალისტურ“ კატეგორიებად დაყოფა სრულ სურათს ვერ ასახავს.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ დეპუტატთა მოღვაწეობა სათათბიროს ტრიბუნით არ შემოიფარგლებოდა. მოსახლეობასთან უშუალო კონტაქტი, ადგილობრივი პრობლემების შესწავლა და მათი სახელმწიფოებრივ დონეზე დაყენება ცხადყოფს, რომ დეპუტატის მანდატი მათთვის პირველ რიგში ხალხის სამსახურს გულისხმობდა. სასწავლებლების, გზებისა და სარწყავი სისტემების საკითხებიდან დაწყებული, მუშათა, მასწავლებელთა და გლეხთა პრობლემებით დამთავრებული, მათი საქმიანობა კონკრეტული საზოგადოებრივი საჭიროებების პოლიტიკური წარმომადგენლობის ფორმას იღებდა.

ამრიგად, მეოთხე სახელმწიფო სათათბიროში ქართველ დეპუტატთა საქმიანობა შეიძლება შეფასდეს როგორც მნიშვნელოვანი ეტაპი ქართული პოლიტიკური აზრისა და წარმომადგენლობითი კულტურის განვითარებაში. პარტიული განსხვავებების მიუხედავად, მათი მოღვაწეობის საერთო საფუძველს ხელისუფლების თვითნებობის წინააღმდეგ ბრძოლა, დემოკრატიული პრინციპების დაცვა და საზოგადოების ინტერესების პოლიტიკური წარმომადგენლობა წარმოადგენდა. ამავე დროს, ეროვნული საკითხისადმი განსხვავებული მიდგომები ცხადყოფს, რომ 1912–1917 წლებში ქართული პოლიტიკური აზრი ჯერ კიდევ ეძებდა ეროვნული და სოციალური ინტერესების ურთიერთშეთავსების ოპტიმალურ ფორმას. სწორედ ამ წინააღმდეგობებისა და თანხვედრების ერთობლიობა ქმნის მეოთხე სათათბიროში ქართველ დეპუტატთა პოლიტიკური საქმიანობის ისტორიულ მნიშვნელობას.

გამოყენებული წყაოები და ლიტერატურა:

ჟურნალ-გაზეთები:

1. არჩევანი (ალმანახი) N2, სექტემბერი, 1912. *ორი თავადი*
2. იმერეთი N3, 28 სექტემბერი, 1912. *სამი კანდიდატი, ურო*
3. კლდე N5, 14 ღვინობისთვე (ოქტომბერი), 1912. *ვინ არ უნდა ავირჩიოთ?*

გამოქვეყნებული დოკუმენტები:

1. **Отчеты XII**: Государственная Дума, Стенографические Отчеты, Дума IV, Сессия I, Часть I (3. 1-30), С.-Петербург: Государственная типография, 1913
2. **Отчеты XIII**: Государственная Дума, Стенографические Отчеты, Дума IV, Сессия I, Часть II (3. 31-54), С.-Петербург: Государственная типография, 1913
3. **Отчеты XIV**: Государственная Дума, Стенографические Отчеты, Дума IV, Сессия I, Часть III (3. 55-81), С.-Петербург: Государственная типография, 1913
4. **Отчеты XV**: Государственная Дума, Стенографические Отчеты, Дума IV, Сессия II, Часть I (3. 1-28), С.-Петербург: Государственная типография, 1914
5. **Отчеты XVI**: Государственная Дума, Стенографические Отчеты, Дума IV, Сессия II, Часть II (3. 29-52), С.-Петербург: Государственная типография, 1914
6. **Отчеты XVII**: Государственная Дума, Стенографические Отчеты, Дума IV, Сессия II, Часть III (3. 53-75), С.-Петербург: Государственная типография, 1914
7. **Отчеты XVIII**: Государственная Дума, Стенографические Отчеты, Дума IV, Сессия II, Часть IV (3. 76-97), С.-Петербург: Государственная типография, 1914
8. **Отчеты XX**: Государственная Дума, Стенографические Отчеты, Дума IV, Сессия IV, Часть I (3. 1-16), С.-Петербург: Государственная типография, 1915

9. **Отчеты XXI**: Государственная Дума, Стенографические Отчеты, Дума IV, Сессия IV, Часть II (3. 17-37), Петроград: Государственная типография, 1916
10. **Отчеты XXII**: Государственная Дума, Стенографические Отчеты, Дума IV, Сессия IV, Часть III (3. 38-60), Петроград: Государственная типография, 1916

სამეცნიერო ლიტერატურა:

1. კუპატაძე ბონდო, „საქართველო და რუსეთის IV სახელმწიფო სათათბირო“, გამომცემლობა „არტანუჯი“, თბილისი. 2005
2. ჟორდანია ნოე, „ნაციონალური კითხვა ჩვენში“ (1913 წ.), სოციალ-დემოკრატიული ლიტერატურის ბიბლიოთეკა I (რედ. ზურაბ გაიპარაშვილი), თბილისი. 2022
3. საითიძე გიორგი, „ქართული პოლიტიკური აზრი და რუსეთის სახელმწიფო სათათბირო (1905-1917 წწ.)“ (დისერტაცია), თბილისი. 2003

ასლან ლორთქიფანიძე

საქართველო საერთაშორისო პოლიტიკურ სისტემაში

პასუხი კითხვაზე, თუ როგორ გადარჩა საქართველო დღემდე და როგორ უნდა ვიმოქმედეოთ საერთაშორისო პოლიტიკაში, ისე, რომ ჩვენი ქვეყანა განვითარდეს, გამთლიანდეს და გაძლიერდეს, იძლევა ახალგაზრდა მეცნიერების-გეოპოლიტიკის კარგად ცოდნა. გეოპოლიტიკა ბერძნული სიტყვაა. „გეო“ ნიშნავს მიწას, ხოლო „პოლიტიკა“, „polis“ - ქალაქ სახელმწიფოს ძველბერძნულად, თანამედროვე გაგებით კი - საზოგადოებრივ, სახელმწიფო საქმიანობას. გეოპოლიტიკა ეს არის მეცნიერება, რომელიც სწავლობს ქვეყნის საგარეო პოლიტიკაში გეოგრაფიული ფაქტორის როლს და მის გავლენას ქვეყნის ნაციონალური ინტერესების ჩამოყალიბებაზე, სახელმწიფოთა ან სახელმწიფოთაშორისი ორგანიზაციების მიერ ტერიტორიების გაყოფისა და გავლენის სფეროებად გადანაწილების კანონზომიერებებს. 1899 წელს ეს სიტყვა პირველად გამოიყენა შვედმა სახელმწიფოთმცოდნემ რუდოლფ ჩელენმა. გერმანელმა გეოგრაფმა ჯონ მაკინდერმა კი 1916 წელს გეოპოლიტიკურ მეცნიერებას საფუძველი დაუდო. გეპოლიტიკა უკვე ჩამოყალიბდა საკმაოდ პრაქტიკულ, დამოუკიდებელ, საინტერესო მეცნიერებად. ის დიდი ხანი ვითარდებოდა პოლიტიკური გეოგრაფიისა და პოლიტოლოგიის ჩარჩოებში. XX-XXI საუკუნეების გეოპოლიტიკის კლასიკოსები არიან ამერიკელი ზბიგნევ ბჟეზინსკი და რუსი ალექსანდრე დუგინი.

ნებისმიერი ქვეყნის გეოპოლიტიკურ სიმძლავრეებში ცენტრალური ადგილი ეკონომიკურ სიძლიერეს უკავია. 21-ე საუკუნეში მთავარი „ომები“ იწარმოება ბაზრების მოპოვების მიზნით. წარმატებული ქვეყნები სხვადასხვა საშუალებებით ახდენენ ექსპორტის წახალისებას, მის მხარდაჭერას. ეკონომიკა დიდ ზემოქმედებას ახდენს საერთაშორისო პოლიტიკურ ურთიერთობებზე.

ეკონომიკური უსაფრთხოებას ნებისმიერი ქვეყნის უსაფრთხოებაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. ვერცერთ წარმატებულ ქვეყანაში ვერ შეიტან იმ სახის პროდუქციას, რომელსაც თავადაც აწარმოებს და სრულად უზრუნველყოფს ადგილობრივ ბაზარს საკუთარი პროდუქციით. ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური უსაფრთხოებისთვის მნიშვნელოვანია ის, რომ მოახდინოს უცხოური ინვესტიციების დივერსიფიკაცია. თუ ერთ რომელიმე ქვეყნის მიერ მეორე ქვეყანაში დაბანდებული კაპიტალი დომინანტურია მას აქვს საშუალება მოახდინოს ეკონომიკური ანექსია.

ჩვენ სხვადასხვა მედიასაშუალებებით ხშირად გვესმის სიტყვა „ჰიბრიდული ომი“. ეს არის ომის ერთერთი სახეობა, როცა ერთი ქვეყანა მოწინააღმდეგე ქვეყანაში აწყობს მართვად ქაოსს. ამ არასტაბილურობის მთავარი გამომწვევი საშუალებები არის საინფორმაციო და კიბერშეტევა, ასევე ეკონომიკური, ენერგეტიკული ბერკეტები. მისი მიზანი მოწინააღმდეგე ქვეყნის დემორალიზება და დაშლაა. საბოლოო მიზანი კი მისი გავლენის ქვეშ მოქცევაა. ამგვარი ომის წარმატების შემთხვევაში, მოწინააღმდეგე ქვეყნის ხელისუფლებაში მოდის ლოიალურად განწყობილი ან კოლაბორაციონისტული ხელისუფლება. ჰიბრიდული ომის სპეციფიკურობა იმაში მდგომარეობს, რომ რთულია აგრესორის გამოვლენა, იდენტიფიცირება, დამამტკიცებელი ფაქტების მოძიება და არანაკლებ რთული მის წინააღმდეგ ბრძოლაა, რადგან ის ამ პროცესებზე პასუხისმგებლობას არ იღებს. რუსეთი 90-იანი წლების დასაწყისში, სწორედ, ამგვარ ომს აწარმოებდა საქართველოს წინააღმდეგ. ამჟამად კი, ჩვენ არაერთი ქვეყნის მიერ წარმოებული ფარული ომის სამიზნე ვართ.

საქართველოს ხელსაყრელი გეოპოლიტიკური და გეოსტრატეგიული მდებარეობა იყო და არის მისი ბედისწერა. ეს, არის ისტორიულად, ჩვენი, როგორც სიმდიდრის და ისე მრავალი უსიამოვნების სათავეც. თუ დავხედავთ მსოფლიო პოლიტიკურ რუკას იოლად შევნიშნავთ, რომ საქართველო არის დამაკავში-

რებელი ორი ზღვის: შავი და კასპიის ზღვების. ეს არის ერთერთი უმოკლესი გზა ევროპიდან აზიაში და პირიქით. ასევე ხელსაყრელი სატრანზიტო კვანძი ჩრდილოეთიდან სამხრეთით და პირიქით. ამგვარი მდებარეობა საქართველოს აქცევს როგორც რეგიონალური ისე მსოფლიო მოთამაშეების ინტერესების სფეროში. საქართველოს ისტორია მკაფიოდ გვკარნახობს იმას თუ როგორი ტიპის საგარეო პოლიტიკა უნდა ვაწარმოოთ. საქართველო, როგორც სახელმწიფო გადარჩა გეოპოლიტიკური წონასწორობით ანუ ჩვენი ქვეყნისადმი დაინტერესებული დიდი ქვეყნები ერთმანეთის გეოპოლიტიკურ სიმძლავრეებს საქართველოზე აბალანსებდნენ. ბიზანტია და სპარსეთი, ოსმალეთი და ირანი, მონღოლეთი რომელთაც, მოგვიანებით, მესამე მძლავრი მოთამაშე, რუსეთი შეურთდა აწონასწორებდნენ ერთმანეთს. ჩვენი მეფებიიც ყველა მოთამაშესთან აქტიურად ლავირებდნენ და სწორედ ამგვარმა პოლიტიკამ გადაგვარჩინა. მსგავსი საგარეო პოლიტიკის წარმოება თანამედროვე საქართველოს ერთადერთი, უალტერნატივო გზაა.

ქართული კულტურა დასავლური და აღმოსავლური ცივილიზაციების ურთიერთქმედების პროცესში ჩამოყალიბდა. ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაზე დღემდე აქტიურ ზეგავლენას ახდენს ორივე ცივილიზაცია. საქართველო იქნება ცივილიზაციების დამაკავშირებელი ხიდი, თუ, მათი დაპირისპირების გეოგრაფიული ადგილი, ეს, მნიშვნელოვნად დამოკიდებულია იმაზე თუ რამდენად წარმატებული, მოქნილი, ჭკვიანური იქნება ჩვენს მიერ წარმოებული საგარეო პოლიტიკა. ქართულ პოლიტიკიდან უნდა ამოვარდეს სიტყვა „პრო“ და „კურსი“. საქართველოს შეიძლება ქონდეს ერთადერთი ორიენტაცია და ერთადერთი პოლიტიკური კურსი - ყველა კანონიერი საშუალებით დაიცვას საკუთარი ნაციონალური ინტერესები, რისთვისაც მან უნდა აწარმოოს მაქსიმალურად დივერსიფიცირებული საგარეო პოლიტიკა. თანამედროვე საქართველოს უმთავრესი ფუნქცია მისი სატრანზიტო პოტენ-

ციალია, რომელიც მაქსიმალურად ძვირად უნდა „გავყიდოთ“ მსოფლიო პოლიტიკურ ბაზარზე.

ის, თუ, „რას ვესწრაფვით, რა გვინდა და რას ვეწინააღმდეგებით“ ამ საკითხებზე, სამწუხაროდ, ჩვენს საზოგადოებაში კონსესუსი არ არის. ერთადერთი, რაზეც მეტ-ნაკლებად ვთანხმდებით, ეს ჩვენი ევროპულ ოჯახში მჭიდრო ინტეგრაციაა. თუმცა, საქართველოს სუბკულტურა და მოსახლეობის უმრავლესობის მენტალობა თვითიზოლაციისკენ გვიბიძგებს. ჩვენი ე.წ. დასავლური არჩევანი რიგ შემთხვევებში აწყდება მენტალური სახის წინააღმდეგობებს. რატომღაც, ჩვენი თანამოქალაქეების ნაწილი ფიქრობს, რომ თუ ჩვენ გავხდებით ევროკავშირის წევრი ქვეყანა ავტომატურად საქართველოში დაკანონდება მაგალითად, ერთსქესიანთა ქორწინება, რომ თითქოს ერი გაირყვნება, დავკარგავთ ჩვენს იდენტობას, ჩვენს რელიგიას შეექმნება პრობლემები და ა.შ. სიმართლე ისაა, რომ ერთიანი ევროპული ღირებულებები მოიცავს დემოკრატიის, ადამიანის უფლებების ფუნდამენტალური პრინციპების დაცვას და მისი ჰარმონიზაცია ჩვენს სუბკულტურასთან შესაძლებელია. ევროკავშირი, ამ საერთო ღირებულებების გარდა, დგას მასში შემავალი ქვეყნების კულტურულ მრავალფეროვნებაზეც. ჩვენ არამარტო ვიქნებით ევროპული ღირებულებების მომხმარებელი არამედ შეგვიძლია მას მივაწოდო და გავამდიდროთ ის ჩვენი კულტურითაც. ევროპის მრავალფეროვნებაშიცაა მისი ხიბლი. ის აერთიანებს სხვადასხვა კულტურის მატარებელ ერებს და იცავს, თანაცხოვრების სათანადო პირობებს უქმნის მათ. ბუნებრივია გლობალიზაცია, რომელსაც ამერიკანიზაციასთან აიგივებენ, გარკვეულ ზემოქმედებას ახდენს ჩვენს კულტურაზე, ადათ-წესებზე. ის თუ რა ხარისხით შევინარჩუნებთ ჩვენს სუბკულტურას ეს დიდწილად ჩვენზეა დამოკიდებული. ასევე, ჩვენს ადათ-წესებში არის ისეთი ელემენტებიც, რომლის გადაფასებაც ცუდი არ იქნება. მაგალითად, უაზრო ღრეობა, სასაფლაობზე და ქელეხებზე გამოთვრომა, ცალკეული რელიგიური დოგმები, რომელიც ზღუდავს ადამიანის უფლებებს

და ა.შ. საქართველოს ევროპული ინტეგრაცია შეჩერებულია ევროკავშირის ხელმძღვანელობაში არსებული ფსევდოლიბერალური პოლიტიკური ძალების მიერ. მათ მიერ წარმოებული პოლიტიკის შედეგად, არამარტო შეჩერდა ევროკავშირის გაფართოება, არამედ ამ ორგანიზაციის წევრი ქვეყნების ეკონომიკა მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა და მისი წილი მსოფლიო ეკონომიკაში შემცირდა, გაძლიერდნენ რადიკალური მემარჯვენე პოლიტიკური ძალები, მიგრაცია გახდა არა ევროკავშირის გაძლიერების, არამედ მისი დასუსტების საშუალება, ყველა, მათგან განსხვავებულ აზრს აკერებენ რუსულ იარლიკს და შესაბამისად, პრობლემები ექმნება მოსაზრებების თავისუფლად გამოხატვის საშუალებებს, ევროკავშირის მიღმა აფინანსებენ ცალკეულ პოლიტიკურ თუ ინტერეს ჯგუფებს, რომლებიც ადრესატი ქვეყნების სუვერენიტეტებს უქმნის პრობლემებს და ა.შ. ევროკავშირის ეს მდგომარეობა დროებითია, რადგან ევროკავშირის წევრი ქვეყნების მოსახლეობის დაკვეთაა სახელმწიფოების სუვერენიტეტის პრიორიტეტი, მიგრაციის სამართლიანი რეგულაციები, მსოფლიოს დიდ ქვეყნებთან დაბალანსებული პოლიტიკის წარმოება და ა.შ. ეს მოთხოვნილებები ადრე თუ გვიან აისახება ევროკავშირის ხელმძღვანელობის ცვლილებებში.

ამჟამინდელი საერთაშორისო პოლიტიკური სისტემა უფრო ანარქიულია ვიდრე, იყო თუნდაც 5-10 წლის წინ. დარღვეულია და უგულებელყოფილია საერთაშორისო ურთიერთობების, სამართლის მე-2 მსოფლიო ომის შემდეგ ჩამოყალიბებული ერთერთი უმნიშვნელოვანესი პრინციპი - ქვეყნების საზღვრების ურღვეობა. კოსოვოს, აფხაზეთის, ცხინვალის რეგიონის და ყირიმის დამოუკიდებელ ქვეყნებად ცალკეული სახელმწიფოების მიერ აღიარებამ საერთაშორისო პოლიტიკური სისტემა გახადა მყიფე და საერთაშორისო პოლიტიკური ურთიერთობები რთულად პროგნოზირებადი. ქვეყნების მიერ მსოფლიო პოლიტიკურ „საჭადრაკო დაფაზე“ რეზულტატის მიღწევა მხოლოდ მრავალსვლიანი კომბინაციებით იქნება შესაძლებელი. საერთაშორისო

პოლიტიკაში უკვე გამოიკვეთა 2 მთავარი მოთამაშე: აშშ და რუსეთი. მათი ურთიერთქმედება ქმნის პოლიტიკურ ამინდს მსოფლიოში. ეს პროცესი როგორც ჩანს უახლოეს 10 წელიწადს მაინც გაგრძელდება.

საერთაშორისო პოლიტიკაში დიდი გეოპოლიტიკური შესაძლებლობების ქვეყნები ქმნიან პოლიტიკურ ამინდს. ასე იყო ისტორიულად და ასეა, ეხლაც. პატარა ქვეყნები იბრძვიან თავიანთი ინტერესების რეალიზაციისათვის, რომელიმე ძლიერ ქვეყანასთან ან ქვეყნებთან ერთად. თანამედროვე საერთაშორისო პოლიტიკა, ძირითადად, რუსეთ-დასავლეთის გეოპოლიტიკური კონკურენციას მოიცავს, რომელშიც ცენტრალური ადგილი აშშ-რუსეთის პოლიტიკურ კონკურენციას უკავია. ეს ჭიდილი, ეხლა, ყველაზე მწვავედ ირანსა და უკრაინაში ვლინდება. დასავლეთ-რუსეთის კონკურენცია ორივე გეოპოლიტიკურ პოლუსს დაასუსტებს და მომავალ მსოფლიო პოლიტიკაში მნიშვნელოვან როლს ჩინეთი ითამაშებს, რომელიც ეხლა პასიურ საგარეო პოლიტიკას ატარებს. ის ერთადერთი დიდი სახელმწიფოა მსოფლიოში, რომელსაც არც საგარეო და არც საშინაო ვალი არ აქვს. მისი ბიუჯეტი კი პროფიციტურია. ჩინეთის ეკონომიკა მსოფლიოში მეორეა და დაახლოებით 20 წელიწადში ერთიანი ეროვნული შიდა პროდუქტის მოცულობით გაუსწრებს აშშ-ს ანუ გახდება მსოფლიოში პირველი ეკონომიკა. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ეკონომიკა, მიუხედავად ეკონომიკური კრიზისისა, სხვა ქვეყნებთან შედარებით სწრაფად იზრდება. შესაბამისად იზრდება მისი გეოპოლიტიკური შესაძლებლობებიც. ამ ქვეყანასთან საქართველოს მჭიდრო ურთიერთობები ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან, ის, ხელს შეუწყობს საქართველოს ეკონომიკურ განვითარებას, მისი სატრანზიტო პოტენციალის ზრდას. ჩინეთი საქართველოსთვის იმ კუთხითაც საინტერესო ქვეყანაა, რომ ის არასდროს ერევა სუვერენული ქვეყნების საშინაო პოლიტიკაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ზ. ბზეჟინსკი, დიდი საჭადრაკი დაფა, ნიუ-იორკი, 1997;
2. ა. დუგინი, გეოპოლიტიკის საფუძვლები, მოსკოვი, 1997;
3. ა. რონდელი, საერთაშორისო ურთიერთობები, 2003;
4. ვლ.ჭანუყვაძე, პოლოტოლოგიური დიალოგი ანუ წიაღსვლა პოლიტიკის სამყაროში. თბილისი, 1998.

გურამ ჩხატარაშვილი

ობსიდიანის გამოყენება და გავრცელება ჭოროხის ხეობაში ნეოლითის ხანაში[2]

აბსტრაქტი. კავკასია თავისი ბუნებრივ-გეოგრაფიული მდებარეობით, ხელსაყრელი კლიმატური პირობებითა და ქვის იარაღების დასამზადებელი სანედლეულო ბაზის სიმრავლით, უძველესი დროიდანვე ექცევა პრეისტორიელ ადამიანთა ყურადღების ქვეშ. ამას ადასტურებს ის უახლესი აღმოჩენებიც, რომელიც გაკეთდა მახვილაურის ნეოლითური ხანის ნამოსახლარზე. მახვილაურის ქვის კოლექცია მრავალფეროვნებით გამოირჩევა, მათ შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ობსიდიანს. მართალია, ქვის ინვენტარში ობსიდიანის არტეფაქტები ცოტაა, თუმცა, მათ შორის შეიმჩნევა რამდენიმე განსხვავებული ტიპი, რომელიც სპეციალისტთა ვარაუდით, ობსიდიანის სხვადასხვა წყაროს უნდა უკავშირდებოდეს. სწორედ ამ საკითხის შესასწავლად, მისურის უნივერსიტეტის რეაქტორის კვლევის ცენტრის არქეომეტრიის ლაბორატორიაში ჩატარდა (XRF მეთოდი) ობსიდიანის გეოქიმიური ანალიზი, რამაც აჩვენა ობსიდიანის მომარაგების ხუთი განსხვავებული წყარო. აღმოჩნდა, რომ ობსიდიანის გავრცელება დაახლ. 170-350 კმ.ს შორის მერყეობს, რაც უმნიშვნელოვანეს ინფორმაციას იძლევა ნეოლითის ხანაში მდ. ჭოროხის ხეობაში უძველესი ადამიანის მობილურობისა და კონტაქტების შესასწავლად.

საკვანძო სიტყვები: ობსიდიანი, XRF, ნეოლითი, ჭოროხი, მახვილაური

[2] კვლევა შესრულდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით (შიფრი CS-I-23-027).

შესავალი. ობსიდიანს ქვის სხვა ჯიშების (კაჟი, ბაზალტი, არგილიტი, რიყის ქვა და სხვ.) მსგავსად, ადამიანი უძველესი დროიდან იყენებდა იარაღის (საფხეკი, საჭრისი, სახვრეტი, რეტუშირებული დანა, სატეხი, ისრისპირი და სხვ.) დასამზადებლად. ობსიდიანის გავრცელება დაკავშირებულია ვულკანური წარმოშობის მთებთან, ე.ი. ობსიდიანის წყაროები მდებარეობს ისეთ ადგილებში, რომლებიც რამდენიმე ათასი ან მილიონი წლის წინ ვულკანური მოქმედების შედეგად წარმოიქმნა. აღსანიშნავია, რომ ობსიდიანის თითოეულ წყაროს გააჩნია თავისი უნიკალური ე.წ. ,,გეოქიმიური პორტრეტი", რომლის შესწავლა და ქიმიურ ელემენტთა იდენტიფიცირება იძლევა უნიკალურ სურათს, თვალი გავადევნოთ უძველეს ადამიანთა მობილურობასა და კონტაქტებს.

არქეოლოგიურად ობსიდიანის გამოყენების ყველაზე ძველი ფაქტი დაკავშირებულია Homo-ს გვარის გაჩენასა და აფრიკული ოლდუვაის ეპოქასთან (**Piperno et. al., 2009**). უკვე, შუა პალეოლითის ხანაში, იმავე აფრიკის ტერიტორიაზე (კენია), ერთ-ერთ არქეოლოგიურ ძეგლზე დადასტურდა ობსიდიანი, რომელიც წყაროდან პირდაპირი ხაზით 166 კმ-ით არის დაშორებული (**Blegen, 2017: 1-19**).

ობსიდიანის ნედლეულის გამოყენების ისტორია კავკასიაშიც საინტერესოა (საქართველო, ყაბარდო-ბალყარეთი, სომხეთი, აზერბაიჯანი, აღმოსავლეთ თურქეთი) (**სურ. 1)** და იგი ქვის ხანას უკავშირდება**.** აჭარის ტერიტორიაზე, როგორც შავიზღვისპირა, ისე მთისწინა და მთიან ზოლში ქვის ხანით დათარიღებული რამდენიმე მნიშვნელოვანი ძეგლია გამოვლენილი, რომელთა კოლექციაში ობსიდიანის ინვენტარიც გვხვდება. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, უკანასკნელ პერიოდში, გამოქვეყნდა რამდენიმე მნიშვნელოვანი პუბლიკაცია (**Badalyan et al., 2004; Chkhatarashvili, Glascock 2022; Chkhatarashvili et. al., 2024; 2025a-b**).

წარმოდგენილი ნაშრომი ეხება მახვილაურის ნეოლითური ხანის ნამოსახლარზე აღმოჩენილ ობსიდიანის გეოქიმიური ან-

ალიზის შედეგებს, რაც იძლევა უმნიშვნელოვანეს ინფორმაციას დაახლ. 8-7 ათასი წლის წინ დასავლეთ ამიერკავკასიის ტერიტორიაზე უძველესი ადამიანის მობილურობასა და მიგრაციულ პროცესებზე.

მახვილაურის ნამოსახლარის გეოგრაფიული მდებარეობა და შესწავლის ისტორია. სოფ. მახვილაური მდებარეობს ბათუმიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით 8 კმ-ის დაშორებით, მდ. ჭოროხის სიახლოვეს (**სურ. 2**), საშუალო სიმაღლის ბორცვზე. ბორცვს ჩრდილოეთის მხრიდან მახვილაურისწყალი ჩამოუდის, ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთ მხრიდან კი მეჯინისწყალი. ბორცვის სიმაღლე მდინარის დონიდან 5-6 მეტრია. იგი მომრგვალო ფორმისაა, რომლის აღმოსავლეთ ნაწილი შედარებით დამრეცი ფერდია, ხოლო დასავლეთი და ჩრდილოეთი მხარე კი სწორი.

გეოგრაფიულად მახვილაური მოქცეულია კოლხეთის დაბლობში, რომელსაც შავი ზღვის უკიდურესი აღმოსავლეთი მხარე უჭირავს. აქ გაბატონებულია სუბტროპიკული ჰავა, სადაც ხარობს აღნიშნული გეოგრაფიული ზონისთვის დამახასიათებელი მცენარეები. აღსანიშნავია, რომ ჰოლოცენის დასაწყისში არსებული მცენარეული საფარი ფაქტობრივად არაა შეცვლილი, რადგან დღესაც გვხვდება მცენარეთა ისეთი სახეები, რომელიც 2025 წ. ნეოლითური ხანის კულტურული ფენებიდან აღებულ პალინოლოგიურ ნიმუშებში დაფიქსირდა. ესენია: მურყანი, თხილი, რცხილა, მუხა და სხვ. (**Chkhatarashvili et. al., 2026**). ამასთან ერთად, კოლხეთის დაბლობი საკმაოდ დაჭაობებულია, თუმცა, ზღვის დონესთან შედარებით, მაინც შემაღლებულია. დაბლობის ასეთი თავისებურებების გამო, აქ ნიადაგის ხასიათიც შესაბამისად შეცვლილია. კოლხეთის დაბლობის კლიმატის საშუალო ტემპერატურა მაღალი და მეტად მყარია. მისთვის განსაკუთრებით დამახასიათებელია ნალექების სიუხვე. სამწუხაროდ, სუბტროპიკულმა ჰავამ, ზომაზე მეტმა ნალექმა და ნიადაგის თავისებურებამ მნიშვნელოვანი პრობლემები შექმნა ძვლოვანი მასალის დაცულობის მხრივ. ამიტომ, აჭარის რეგიონში, ღია ტიპის

ნამოსახლარებზე ქვის არტეფაქტები ერთადერთი მტკიცებულებაა, რაც წარმოდგენას გვიქმნის უძველესი ადამიანის ცხოვრებაზე.

მახვილაურის ნამოსხლარის აღმოჩენა შემთხვევით მოხდა, როდესაც 1968 წელს სოფლის მკვიდრმა, ნ. წულუკიძემ, თავის საკარმიდამო ნაკვეთში საცხოვრებელი სახლის მშენებლობისთვის ფუნდამენტის გაჭრა დაიწყო. გამოვლინდა ქვის არტეფაქტები - კაჟის და ობსიდიანის იარაღები, გაპრიალებული ცული, თოხისებრი იარაღი, სათლელები, შურდულის ქვები და სხვ. არქეოლოგიური სამუშაოები უკვე მეორე წელს დაიწყო. თავდაპირველად, ნამოსახლარის მთლიან ტერიტორიაზე აიგო კვადრატები. აღებულ იქნა ზედა ჰუმუსოვანი ფენა, რომელშიც დიდი რაოდენობით აღმოჩნდა არქეოლოგიური მასალა. ფენის სიმძლავრე 30-40 სმ იყო. ამის შემდეგ იწყებოდა მოწითალო-მოყვითალო თიხნარი ფენა (40-60 სმ). მასში მცირე რაოდენობით ფიქსირდებოდა მასალა. შესასწავლ ტერიტორიაზე სულ გაკეთდა სამი საკონტროლო თხრილი. როგორც ჩანს, ნამოსახლარი მოგვიანებით სამაროვნად იყო გამოყენებული, რაც დადასტურდა კულტურულ ფენებში აღმოჩენილი რიყის ქვის ქვაყრილებით (სულ 17 ქვაყრილი დაფიქსირდა). ქვაყრილები ბრინჯაოს ხანის ორმოსამარხები იყო (**სურ. 3**), რომლებმაც, სამწუხაროდ, ჩაჭრა ნეოლითური ხანის კულტურული ფენა და იგი მთლიანად დაარღვია.

2001 და 2014-2015 წწ. საველე არქეოლოგიური გათხრები წარმოებდა მახვილაურის ნამოსახლარზე. სამწუხაროდ, მიწის ხშირი დამუშავების შედეგად უძრავი კულტურული ფენა დარღვეული აღმოჩნდა. გათხრები ძირითადად წარმოებდა ადრე შესწავლილი ფართობის სამხრეთ ნაწილში გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის სამარხების კვლევა-ძიების შესწავლის მიზნით (**კახიძე, სურმანიძე, ძნელაძე, თურმანიძე, 2012**).

2022-2024 წწ. სოფ. ქობულეთის არქეოლოგიური გათხრების პარალელურად შესაძლებლობა მოგვეცა გაგვეგრძელებინა სადაზვერვო-საძიებო სამუშაოები. გაივლო რამდენიმე საკონ-

ტროლო თხრილი, რომელთაგან მხოლოდ მესამეში აღმოჩნდა უძრავი კულტურული ფენა. შეგროვდა ქვის საინტერესო ინვენტარი, კერამიკის ფრაგმენტები, ხის დამწვარი ნახშირები და სხვ. შესწავლილ იქნა დაახლ. 14 მ. დაფიქსირდა შემდეგი სტრატიგრაფიული სურათი.

1 - კორდოვანი ფენა, 0 – 5 სმ

2 - ჰუმუსი, 5 – 20 სმ

3 - ღია-ყავისფერი ფენა, 20 – 50 სმ

4 - ყვითელი თიხნარი ფენა, 50 სმ და ქვემოთ

აღსანიშნავია, რომ ღია ყავისფერი ფენა წარმოადგენდა ნეოლითური ხანის კულტურულ ფენას, სადაც საკმაო რაოდენობით დაფიქსირდა კაჟის და ობსიდიანის იარაღ-ანატკეცები, რიყის და ბაზალტის ქვის იარაღები, კერამიკის ფრაგმენტები და სხვ. უძრავი კულტურული ფენიდან შეგროვდა ხის დამწვარი ნახშირები აბსოლუტური თარიღების მისაღებად.

არქეოლოგიური სამუშაოების შედეგად სულ აღმოჩნდა დაახლ. 3.000-მდე არტეფაქტი, რომელთაგან 552 ერთეულს კაჟი და ობსიდიანი (**იხ. სურ. 4; ცხრ. 1**) შეადგენდა. დანარჩენი იყო რიყის ქვები, კერამიკის ფრაგმენტები და სხვ. მონაპოვრები ძეგლის პირველშემსწავლელმა არქეოლოგმა სერგო გოგიტიძემ შეფარდებით-ტიპოლოგიური მეთოდის გამოყენებით გვიანი ნეოლითის ხანით დაათარიღა, რომელიც საქართველოს არქეოლოგიური პერიოდიზაციის თანახმად, ძვ.წ. VII-VI ათასწლეულებით განისაზღვრება. აღნიშნული თარიღები გამყარდა ჩვენს მიერ ნამოსახლარზე ჩატარებული ნახშირების რადიოკარბონული ანალიზითაც (C^{14} AMS) **Chkhatarashvili et. al., 2024**).

ცხრ. 1. მახვილაური. კაჟისა და ობსიდიანის ქვის კომპლექსი.

არტეფაქტი	საერთო რაოდენობა			პროცენტი	
ნუკლეუსი და წარმოების ნაშთი	კაჟი	ობსიდიანი	ჯამი	კაჟი	ობსიდიანი
ნუკლეუსი	18	0	18	3.65	0.00
ანატკეცი	114	3	117	23.12	5.08
ლამელა/მიკროლამელა	92	16	108	18.66	27.11
ანამტვრევი	150	15	165	30.42	25.42
იარაღები	**120**	**24**	**144**	**24.34**	**40.67**
საჭრისი	7	4	11	1.41	6.77
საფხეკი	24	10	34	4.89	16.94
რეტუშირებული ლამელა	20	5	25	4.05	8.47
გვერდამოღარული ლამელა	11	2	13	2.23	3.38
სახვრეტი	6	1	7	1.21	1.69
ისრისპირი	4	0	4	0.81	0.00
ტრაპეცია	27	3	30	5.47	5.08
სეგმენტი	7	0	7	1.41	0.00
ზურგათლილი ტრაპეცია	7	0	7	1.41	0.00
გვერდდაბლაგვებული მიკროლამელა	2	0	2	0.40	0.00
კომბინირებული იარაღი	4	0	4	0.40	0.00
ჯამი	**493**	**59**	**552**	**100 %**	**100 %**

ქვის ინვენტარის[3] ტექნო-ტიპოლოგიური ანალიზის მიხედვით ჩანს, რომ მახვილაურის ნამოსახლარზე ქვის დამუშავება

[3] ქვის კომპლექსის დეტალური აღწერა ვრცლად არის მოცემული არქეოლოგ ს. გოგიტიძის ნაშრომში: ,,სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ნეოლითური კულტურა“, თბილისი, 1978 წ.

ხდებოდა ხელისწნევითი ტექნიკის გამოყენებით. ამას ადასტურებს ქვის კოლექციაში წარმოდგენილი კონუსური ფორმის ნუკლეუსები (**სურ. 4, 1**). ყველა მათგანი დამზადებულია მოვარდისფრო-მოწითალო კაჟზე. ნუკლეუსთა უმრავლესობა ბოლომდეა უტილიზებული.

მახვილაურის ქვის ინვენტარი 144 ერთ. იარაღისგან შედგება. მათგან მეტად საინტერესო ჯგუფს ქმნის სხვადასხვა ფორმის და ზომის საფხეკები, რომელიც უმეტესად დამზადებულია ანატკეცებზე და ლამელებზე (**სურ. 4, 17-20**). საფხეკებში გამოიყოფა რამდენიმე ჯგუფი: ოვალურსამუშაოპირიანი, მრგვალი, მაღალი, გვერდულა და სხვ.

იარაღებს შორის მეორე ადგილს იკავებს რეტუშირებული და გვერდამოღარული ლამელები (**სურ. 4, 2-10**). იარაღები უმთავრესად შექმნილია ლამელების დისტალურ და პროქსიმალურ ნაწილებზე. რეტუშის ხასიათი უმეტესად ფაქიზი და წვრილია, რომელიც გაკეთებულია დორსალური მხრიდან. შედარებით იშვიათია ორივე ზედაპირიდან რეტუშირება. რაც შეეხება ამოღარულ ლამელებს, ამოღარვა ძირითადად გაკეთებულია ზურგის მხრიდან.

იარაღთა კოლექციაში საჭრისები (**სურ. 4, 11-16**). შედარებით მცირე რაოდენობითაა წარმოდგენილი. ტიპოლოგიურად არ გამოირჩევიან ფორმათა მრავალგვარობით. მათ დასამზადებლად ორ და სამფერდა ლამელებია გამოყენებული. უმეტესწილად, გვხვდება მარტივი ცალგვერდა საჭრისები. იშვიათია ორგვერდა საჭრისები. იარაღებს სასაჭრისე ჩამონატეხი ბოლომდე მიუყვება.

იარაღებს შორის მნიშვნელოვან და მრავალრიცხოვან ჯგუფს ქმნის ე.წ. გეომეტრიული მიკროლითები - ტრაპეციები, სეგმენტები და ზურგათლილი სწორკუთხედები. მათი საერთო რაოდენობა 54 ერთ. აღემატება. მათ დასამზადებლად გამოყენებულია ვიწრო და თხელი კაჟის/ობსიდიანის ლამელები.

ტრაპეციებში (**სურ. 4, 22-24**) გამოიყოფა 3 მთავარი ჯგუფი: ცალგვერდდამუშავებული, ორგვერდამუშავებული და სამგვერდდამშავებული ეგზემპლარები. თითქმის ყველა მათგანი ორ ან სამფერდა ვიწრო ლამელების მედიალურ ნაწილებზეა შექმნილი. რეტუში ფართო და ღრმაა, რომელიც გაკეთებულია დორსალური მხრიდან. სამუშაო პირი თხელია, მასზე კარგად შეინიშნება გამოყენების კვალი.

ზურგათლილი სწორკუთხედები დამზადებულია შედარებით დიდი ზომის ლამელებზე (**სურ. 4, 21, 25**). მათ მაღალი სწორკუთხედების ფორმა აქვს. იარაღთა ნაწილი ფაქიზი დამუშავებით გამოირჩევა. დორსალურ მხარეს კარგად ჩანს ათლის ტექნიკის გამოყენების ფაქტი. მსგავსი მიკროლითები კოლექციაში ცოტაა (7 ერთ.).

სეგმენტებიც, ტრაპეციების მსგავსად, დამზადებულია ორ ან სამფერდა ლამელებზე. ყველა მათგანი ზურგის მხრიდანაა დამუშავებული.

იარაღთა კოლექციაში მცირე რაოდენობითაა წარმოდგენილი სხვადასხვა სახის იარაღები: სახვრეტები, ისრისპირები, სახოკები და სხვ. კომბინირებული იარაღები (საჭრის-საფხეკი, საფხეკ-სახვრეტი და სხვ.) ცოტაა.

მახვილაურის ნამოსახლარის ქვის ინვენტარის ნაწილს შეადგენს დებიტაჟი - ანატკეც-ანამტვრევები და დაუმუშავებელი ლამელები. ამასთან ერთად, ობსიდიანის არტეფაქტები მახვილაურის ქვის კოლექციაში მცირე რაოდენობითაა წარმოდგენილი, თუმცა, მიუხედავად ამისა, გამოირჩევა სხვადასხვა ფერით და ხარისხით, რაც, ჩვენი აზრით, ობსიდიანის განსხვავებულ წყაროებს უნდა უკავშირდებოდეს. სწორედ ამ საკითხის გასარკვევად, ჩატარდა ობსიდიანის გეოქიმიური ანალიზი, რაზეც ვრცლად ქვემოთ გვექნება საუბარი.

მასალა და მეთოდები. უკანასკნელ პერიოდში, ქართველი და უცხოელი სპეციალისტების ნაყოფიერი თანამშრომლობის შედეგად მნიშვნელოვანი სამუშაოები ჩატარდა აჭარის რეგიონ-

ში ქვის ხანის ძეგლებზე აღმოჩენილი ობსიდიანის არტეფაქტების წარმომავლობის განსაზღვრასთან დაკავშირებით (**Chkhatarashvili et. al., 2024; 2025a-b**). ამასთან ერთად, 2023 წ. შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით დაიწყო მაშტაბური პროექტის განხორციელება, რაც დაკავშირებულია დასავლეთ ამიერკავკასიის ადრეჰოლოცენის ხანის (მეზოლითი, ნეოლითი) ძეგლებზე სხვადასხვა დროს წარმოებული საველე არქეოლოგიური სამუშაოების შედეგად მოპოვებული ობსიდიანის არტეფაქტების კვლევას მათი წარმომავლობისა და ქიმიური შემადგენლობის განსაზღვრის მიზნით. ზემოათაღნიშნული პროექტის ფარგლებში მახვილაურის ქვის კოლექციიდან შეგროვდა 23 ერთ. ობსიდიანის ანატკეც-ანამტვრევები. რომელიც შესასწავლად გაიგზავნა მისურის უნივერსიტეტის (აშშ) რეაქტორის კვლევის ცენტრის არქეომეტრიის ლაბორატორიაში.

ანალიზი ჩატარდა Thermo Quantx ARL ლაბორატორიული XRF სპექტრომეტრის გამოყენებით. ხელსაწყო აღჭურვილია როდიუმზე დაფუძნებული რენტგენის მილით, რომელსაც, როგორც წესი, ვამუშავებთ 35 kV ძაბვაზე, ხოლო დენის სიმძლავრე რეგულირდება ემიტირებული რენტგენის სხივების სილიციუმის დიოდური დეტექტორით გასაზომად. ხელსაწყოს კალიბრაცია სპეციალურად ობსიდიანისთვის განხორციელდა 40 კარგად დახასიათებული ობსიდიანის საბადოებიდან აღებული ნიმუშის ანალიზის საფუძველზე. აღნიშნული ნიმუშების მონაცემები მიღებული იყო ნეიტრონული აქტივაციის ანალიზის (NAA), ინდუქციურად შეწყვილებული პლაზმა-მას-სპექტრომეტრიის (ICP-MS) და რენტგენოფლუორესცენტული ანალიზის (XRF) მეთოდების გამოყენებით. ამ კალიბრაციის შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ Glascock-ის (**2020**) პუბლიკაცია.

არტეფაქტების ანალიზი ჩატარდა XRF მეთოდით, არადესტრუქციული გზით**.** თითოეული ნიმუშის გაზომვის ხანგრძლივობა ერთი წუთი იყო. განისაზღვრა შემდეგი ელემენტების შემცვე-

ლობა: K, Ca, Ti, Mn, Fe, Zn, As, Rb, Sr, Y, Zr, Nb და Th**.** თუმცა, არტეფაქტების ზომის, ფორმისა და სისქის განსხვავებების გამო, როგორც წესი, ყველაზე სანდო მონაცემების მიღება შესაძლებელია მხოლოდ Rb, Sr, Y, Zr და Nb ელემენტებისთვის. ნიმუშის ზომა და სისქე განსაკუთრებით პრობლემურია მცირე ზომის არტეფაქტების შემთხვევაში. ასეთ შემთხვევებში პრობლემის გადასაჭრელად, როგორც წესი, განვიხილავთ ელემენტთა შეფარდებებს (Sr/Rb, Rb/Zr და სხვ.), Hughes-ის (**2010**) რეკომენდაციის შესაბამისად.

შედეგები. ობსიდიანის XRF ანალიზის შედეგები შედარდა მისურის უნივერსიტეტის ლაბორატორიაში ობსიდიანის წყაროს ნიმუშების მონაცემთა ბაზას. დადგინდა, რომ მახვილაურის 23 ობსიდიანის არტეფაქტი ხუთ სხვადასხვა წყაროს მიეკუთვნება (იხ. სურ. 1). ესენია: ჭიქიანი**,** სარიყამიში**,** პასლინერი**,** პოკრ არტენი და დამატებით ერთი უცნობი წყარო, რომელიც აღნიშნულია როგორც „ახშტუს ტიპი“ (Akhtsu Type)**.**

ჭიქიანი - ვულკანური წარმოშობის მთაა, რომელიც მდებარეობს საქართველოში, ჯავახეთის რეგიონში, ფარავნის ტბის სიახლოვეს. იგი საქართველოში არსებული ერთადერთი ობსიდიანის წყაროა, რომელიც გამოირჩევა მაღალი ხარისხის ნედლეულით და როგორც ჩატარებული კვლევები ადასტურებს (**Badalyan et al., 2004; Biagi, P., Nisbet, R., 2018; Biagi et al., 2017; Gratuze and Rova, 2022**) იგი ობსიდიანით ამარაგებდა საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ ქვის, ქალკოლითის, ბრინჯაოს, რკინის და სხვ. პერიოდის არქეოლოგიურ ძეგლებს.

ჭიქიანი კავკასიაში ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდა ვულკანური წარმოშობის მთაა, რომლის ასაკი განისაზღვრება 2,6-2,3 მლნ. წლით (**Badalyan et. al., 2004: 443**). მახვილაურიდან პირდაპირი ხაზით ჭიქიანი დაახ. 130-150 კმ-ით არის დაშორებული.

სარიყამიში - თანამედროვე თურქეთის აღმოსავლეთ ტერიტორიაზე ყარსის პროვინციაში მდებარე პატარა ქალაქია. რეგიონი უმეტესწილად მთაგორიანია, რომელთაგან რამდენიმე

ვულკანური წარმოშობისაა და წარმოადგენს ობსიდიანის მდიდარ საბადოს. კვლევების თანახმად, სარიყამიშის ობსიდიანი ქვის ხანიდან აქტიურად გამოიყენებოდა იარაღის დასამზადებლად, რადგანაც ხასიათდება მაღალი ხარისხით. სპეციალისტები სარიყამიშის ობსიდიანში გამოყოფენ ე.წ. ,,ჩრდილოეთ“ და ,,სამხრეთ“ ჯგუფებს. სამხრეთის ჯგუფი მდებარეობს თანამედროვე ქალაქების მესჩიტლისა და სეჰიტემინის მიდამოებში. იგი ხასიათდება ბარიუმის მაღალი კონცეტრაციით და ცირკონის შედარებით მცირე მოცულობით (**Chataigner et al., 2014**). აღნიშნული ჯგუფის ასაკი 4.9-4.4 მლნ. წლებით არის განსაზღვრული (**Bigazzi et al., 1998**). რაც შეეხება ,,ჩრდილოეთის ჯგუფს“, იგი შედარებით ახალგაზრდაა - 3.8-3.5 მლნ წწ. (**Bigazzi et al., 1998**). ხასიათდება ცირკონის მაღალი კონცეტრაციითა და ბარიუმის მცირე მოცულობით. ჯგუფი ტერიტორიულად მდებარეობს თანამედროვე ქალაქების - კიზილ კილისა, ჰანდერესა და ჰამამლის მიდამოებში. მახვილაურიდან პირდაპირი ხაზით სარიყამიში დაახ. 150-170 კმ-ით არის დაშორებული.

ერზრუმი (პასინლერი) - მდებარეობს თანამედროვე ერზუმის პროვინციის აღმოსავლეთით 39 კმ-ის მოშორებით, ზღ.დ. 1740 მ. სიმაღლეზე. დევებოინუს ვულკანური მთისა და არასის დაბლობს შორის არსებულ ტერიტორიას უწოდებენ პასინს/ჰასანკალეს. პასინის დაბლობმა და მისმა მიმდებარე ტერიტორიამ თავისი გეომორფოლოგიური სახე მიიღო გვიან პლიოცენსა და პლეისტოცენის ხანაში მომხდარი ტექტონიკური მოძრაობების შედეგად. პასინის დაბლობი ორ ნაწილად იყოფა: ზემო და ქვემო. ქვემო პასინის დაბლობი გარშემორტყმულია მთებით. მის ფორმირებაში დიდი როლი ითამაშა მდ. არაქსმა. ჩვენთვის საინტერესო პასინლერის ტერიტორია წარმოადგენს ზემო პასინის დაბლობს. პასინლერში აღმოჩენილია დიდი რაოდენობით პიროკლასტური ნაკადები. შედარებით ცოტაა ლავური წარმონაქმნები. პასინლერის ვულკანის ასაკი დაახლ. 7,8 მლნ. წლით განისაზღვრება (**Keskin, 1996-1997: 61; Keskin, 1998: 143**).

Akhtu Type - წყარო, რომელსაც **„ახშტუს ტიპი“ (Akhtsu Type)** ეწოდება, წარმოადგენს ობსიდიანის ჯერჯერობით უცნობ წყაროს, რომელიც პირველად გამოვლინდა **ახშტუს** არქეოლოგიურ ძეგლზე, თანამედროვე სოჭის მიმდებარე ტერიტორიაზე (რუსეთის ფედერაცია).

ამ ტიპის არტეფაქტების შესახებ პირველად მკვლევარმა **ი.კუზმინმა** გამოაქვეყნა ინფორმაცია და გამოთქვა მოსაზრება, რომ აღნიშნული წყარო შესაძლოა ჩრდილოეთ კავკასიაში მდებარეობდეს (**Kuzmin et al., 2023**). შემადგენლობის თვალსაზრისით, წყარო განსხვავდება კავკასიაში ამჟამად ცნობილი ყველა სხვა ობსიდიანის წყაროსგან, მათ შორის ზაიუკოვოს (ბაქსანის) ობსიდიანის წყაროსგან, რომელიც ამ ეტაპზე ჩრდილოეთ კავკასიაში ობსიდიანის ერთადერთი ცნობილი საბადოა. მახვილაურიდან პირდაპირი ხაზით ობსიდიანის წყარო დაახ. 350 კმ-ით არის დაშორებული.

პოკრ არტენი - თანამედროვე სომხეთის ტერიტორიაზე მდებარე ერთ-ერთი მძლავრი ობსიდიანის წყაროა, რომელიც 2 ჯგუფისგან შედგება: მეტს-არტენი (,,დიდი“, H=2047 მ.) და პოკრ-არტენი (,,მცირე“, H=1953 მ.). კომპლექსი წარმოიშვა რიოლიტების ამოფრქვევის სერიის შედეგად და ორივე ცენტრმა მოგვცა საკმაოდ მაღალი ხარისხის ობსიდიანის და მასიური პერლოვიტის დანალექები (**Karapetian et al., 2001**). ობსიდიანის წყაროს ასაკი 1.2-0.1 და 1.4-0.2 მლნ. წლით განისაზღვრება (**Komarov et al.,1972;Wagner and Weiner, 1987; Oddone et al., 2000; Chernyshev et al., 2006**). როგორც სპეციალისტები აღნიშნავენ (Badalyan et. al., 2004: 447-448), პოკრ არტენის ობსიდიანი ერთ-ერთი უმნიშნელოვანესი წყარო იყო კავკასიის უძველესი მოსახლეობისთვის (**Frahm, 2014: 105-125**). მახვილაურიდან პირდაპირი ხაზით ობსიდიანის წყარო დაახლ. 220-250 კმ-ით არის დაშორებული.

დისკუსია. უკანასკნელი კვლევებით დგინდება, რომ დასავლეთ საქართველო კერძოდ, კი აჭარის რეგიონი, ადრე და შუა ჰოლოცენის განმავლობაში მიგრაციული პროცესების მხრივ აქ-

ტიურ რეგიონს წარმოადგენდა. ამას ადასტურებს როგორც ადრე ჰოლოცენის ხანაში ახლო აღმოსავლეთის (**Chkhatarashvili et al., 2020; Chkhatarashvili and Manko, 2020; Manko and Chkhatarashvili, 2023**) და მცირე აზიის (**Meshveliani et. al., 2007; Bar-Oz et. al., 2009**), ისე შუა ჰოლოცენის დასაწყისში (**Manko, Chkhatarashvili, 2022**) ქვის ინდუსტრიის ახალი ელემენტების გამოჩენა სამხრეთ კავკასიაში.

ამ მიმართულებით საინტერესო საგანს წარმოადგენს მახვილაურის ქვის კოლექციაში დაფიქსირებული ზურგათლილი ტრაპეციები, რომელიც ჩვენი აზრით, აჭარის ტერიტორიაზე შემოტანილი ინოვაციაა (სავარაუდოდ, მიგრაციის შედეგად). მსგავსი ტიპის იარაღების წარმოშობის ადგილად მიჩნეულია თანამედროვე სირიის ტერიტორიაზე არსებული - საბი-აბიადის ნეოლითური ნამოსახლარი (**Copeland and Ackermans, 1994; Copeland, 1996**), სადაც ძვ.წ. VII ათასწლეულის ბოლოს ჩნდება ზურგათლილი ტრაპეციები. როგორც კვლევები ადასტურებს, ზურგათლილი ტრაპეციები სირიის ტერიტორიიდან სწრაფად ვრცელდება (იხ. ცხრ. 2: 1-16) მცირე აზიაში (Taskıran et al. 2013; Taskıran et al. 2014; Taskıran et al. 2016), კავკასიაში (Nishiaki et al. 2015; Petrosyan et al. 2014), ჩრდილო-დასავლეთ შავიზღვისპირეთში (Sapozhnikov and

Sapozhnikova, 2011) და სხვ. ტერიტორიებზე.

ცხრილი 2. ზურგათლილი ტრაპეციებით ცნობილი არქეოლოგიური ძეგლები შესაბამისი აბსოლუტური თარიღებით.

№	(BP)	(BC)	ლაბ. ინდექსი	ნიმუში	ძეგლი	ლიტერატურა
1.	7240±50	6225-6018	GrN-24218	მარცვალი	საბი აბიადი	Akkermans et al. 2006
2.	7190±60	6221-5923	GrN-28244	მარცვალი	საბი აბიადი	Akkermans et al. 2006
3.	7190±55	6221-5924	GrN-28240	მარცვალი	საბი აბიადი	Akkermans et al. 2006
4.	7145±30	6069-5927	GrN-16805	ნახშირი	საბი აბიადი	Akkermans et al. 2006
5.	7100±60	6072-5843	GrN-24218	მარცვალი	საბი აბიადი	Akkermans et al. 2006
6.	7020±40	5991-5794	C2RMF72175	ნახშირი	სულუინი	Taskiran et. al., 2014

7.	7010±35	5985-5798	C2RMF72174	ნახშირი	სულუინი	Taskiran et. al., 2014
8.	6985± 35	5980-5757	C2RMF72178	მარცვალი	სულუინი	Taskiran et. al., 2014
9.	6640±40	5629-5482	Ly-2762	ძვალი	კმლო II	Petrosyan et al. 2014
10.	7070±32	6018-5851	FTMC-JU83-2	ნახშირი	მახვილაური	Chkhatarashvili et. al., 2024
11.	6890±30	5844-5716	IAAA-141127	ძვალი	ჰაჯი ელამქმან-ლი თეფე	Nishiaki et al. 2015
12.	6690±50	5714-5484	UGAMS-2820	ძვალი	აკნაშენი	Nishiaki et al. 2015
13.	7390±100	6433-6067	Ki-11240	ძვალი	გირჟევო	Manko, 2013
14.	7280±170	6463-5806	Ki-11241	კერამიკა	გირჟევო	Manko, 2013
15.	7200±220	6466-5666	Ki-11243	კერამიკა	გირჟევო	Manko, 2013
16.	7050±60	6058-5786	Le-1703	ძვალი	გირჟევო	Zaitseva et al., 2000

ჩვენი ვარაუდით, ძვ.წ. VI ათასწლეულის დასაწყისისთვის ზურგათლილი ტრაპეციების გამოჩენა აჭარის ტერიტორიაზე აქტიური მიგრაციული პროცესებისა და/თუ კონტაქტების შედეგად მოხდა. აჭარის ტერიტორიის გარდა, მსგავსი ტიპის იარაღები დასავლეთ საქართველოს სხვა თანადროულ ძეგლებზეც ფიქსირდება: ანასეული II (**ნებიერიძე, 1972**), პალური (**გრიგოლია, 1977**), გურიანთა (**ნებიერიძე, 1972**) და სხვ. სამწუხაროდ, მახვილაურის გარდა არც ერთ მათგანს აბსოლუტური თარიღი არ გააჩნია, მათი ასაკი მხოლოდ შეფარდებითი დათარიღების მეთოდით არის განსაზღვრული. არაა გამორიცხული, რომ სამომავლოდ კიდევ უფრო გაიზარდოს ჩვენი წარმოდგენა მიგრაციულ პროცესებზე, რაც ზურგათლილი ტრაპეციების ,,გადაადგილების“ სურათს ნათლად წარმოგვიდგენს.

ამდენად, ზურგათლილი ტრაპეციების აჭარის ტერიტორიაზე გამოჩენის საკითხს ნათლად ადასტურებს ჩვენს მიერ ობსიდიანის ნედლეულზე ჩატარებული კვლევებიც, რაც სრულ წარმოდგენას გვიქმნის შუა ჰოლოცენის ხანაში უძველესი ადამიანის მობილურობასა და გადაადგილებაზე.

დასკვნა. კვლევებმა ცხადყო, რომ მახვილაურში მცხოვრები ნეოლითელი ადამიანი ქვის იარაღების დასამზადებლად ერთ-ერთ უპირატესობას კაჟსა და ობსიდიანს აქცევდა. სამწუხა-

როდ, კაჟის წარმომავლობა დღემდევ არაა დადგენილი. რაც შეეხება ობსიდიანს, მახვილაურში ფიქსირდება ხუთი სხვადასხვა განსხვავებული წყაროდან მომარაგების ფაქტი, რომელიც დაახლ. 170-350 კმ.იან რადიუსს მოიცავდა.

ამდენად, მახვილაურის ნამოსახლარი იძლევა უნიკალურ ინფორმაციას ნათელი წარმოდგენა ვიქონიოთ აჭარის ტერიტორიაზე ძვ.წ. VI ათასწლეულში მიმდინარე მიგრაციულ პროცესებზე.

მადლობა. ნაშრომის ავტორი მადლობას უხდის მისურის უნივერსიტეტის რეაქტორის კვლევის ცენტრის არქეომეტრიის ლაბორატორიის მკვლევარ-სპეციალისტებს, პროფ. მ.დ. გლასკოკსა და დოქტ. ჯ.ა. დავენპორტს ობსიდიანზე ჩატარებული მნიშვნელოვანი გეოქიმიური ანალიზისა და სათანადო მეცნიერული ინტერპრეტაციისთვის.

ლიტერატურა:

გრიგოლია გ. 1977. ცენტრალური კოლხეთის ნეოლითი, თბილისი.

გოგიტიძე ს. 1978. სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ნეოლითური კულტურა, თბილისი.

კახიძე ა., ძნელაძე ნ., სურმანიძე ნ., თურმანიძე მ. 2017. მახვილაურის გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის სამაროვნის არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები. კრ. აჭარა: წარსული და თანამედროვეობა (რედ., პროფ. ა. კახიძე), ტ. III, ბათუმი, გვ. 85-112.

ნებიერიძე ლ. 1972. დასავლეთ ამიერკავკასიის ნეოლითი, თბილისი.

Akkermans P., Cappers R.T.J., Cavallo C., Nieuwenhuyse O.P., Nilham B., Otte I.N., 2006. Investigating of the Early Pottery Neolithic of Northern Syria: New Evidence from Tell Sabi Abyad. American Journal of Archaeology (110), 1-35.

Badalyan, R., Chataigner, C., Kohl, Ph., 2004. Trans-Caucasian obsidian: The exploitation of the sources and their distribution. Ancient Near East. Stud. (Supplement 12), 437–465. Peeters.

Bar-Oz, G., Belfer-Cohen, A., Meshveliani, T., Jakeli, J., Matskevich, Z., Bar-Yosef, O., 2009. Bear in mind: bear hunting in the Mesolithic of the southern Caucasus. Archaeol. Ethnol. Anthropol. Eurasia 37 (1), 15–24.

Biagi, P., Nisbet, R., 2018. The Georgian Caucasus and its resources: the exploitation of the mount Chikiani uplands during the metal ages. Antiquity 92 (362), 1–9.

Biagi, P., Nisbet, R., Gratuze, B., 2017. Discovery of obsidian mines on mount Chikiani in the lesser Caucasus of Georgia. Antiquity 91 (357), 1–8.

Bigazzi, G., Poupeau, G., Bellot-Gurlet, L., Yegingil, Z., 1998. Provenance studies of obsidian artefacts in Anatolia using the fission-track dating method: An overview. In: Cauvin, M.-C., Gourgaud, A., Gratuze, B., Arnaud, N., Poupeau, G., Poidevin, J.-L., Chataigner, C. (Eds.), L'obsidienne au Proche et Moyen Orient: du volcan `a l'outil. pp., BAR International Series 738, Archaeopress, Oxford, pp. 69–89.

Blegen N., 2017. The earliest long-distance obsidian transport: Evidence from the -200 ka middle stone age Sibilo School Road Site, Baringo, Kenya, Journal of Human Evolution, vol. 103, pp. 1-19

Bozkuş, C. 1993. Pasinler-Horasan (Erzurum) Havzası doğusunun stratigrafisi. *MTA* 115, 30-32.

Chataigner, C., Isikli, M., Gratuze, B., Çil, V., 2014. Obsidian sources in the regions of Erzurum and Kars (north-East Turkey): new data. Archaeometry 56 (3), 1–24

Chernyshev, I.V., Lebedev, V.A., Arakelyants, M.M., 2006. KeAr dating of Quaternary volcanics: methodology and interpretation of results. Petrology 14, 62e80

Chkhatarashvili G., Manko V., Kobuleti Site. The Evidence for Early Holocene Occupation in Western Georgia, Documenta Praehistorica, XLVII, pp. 28-35

Chkhatarashvili, G., Manko, V., Kakhidze, A., Esakiya, K., Chichinadze, M., Kulkova, M., Strelcov, M., 2020. South-East Black Sea coast in early Holocene period (according to interdisciplinary investigations in Kobuleti site*)*. Sprawozdania Archeologiczne 72 (2), 213–230.

Chkhatarashvili G., Glascock M. 2022. Obsidian at Kobuleti (Western Georgia): Evidence for early human contact in Western Transcaucasia during the early Holocene, Archaeological Research in Asia, vol. 29

Chkhatarashvili, G., Davenport, J.A., Glascock, M.D., Khalvashi, M., Zoidze, T., 2024. Reconstructing Neolithic obsidian procurement in Western Georgia through an obsidian characterization study. J. Archaeol. Sci. Rep. 57, 1-8

Chkhatarashvili, G., Tavamaishvili, G., Chichinadze, M., Kvavadze, E., Tskvitinidze, N., 2025a. Interdisciplinary insights into early Holocene life: recent archaeological discoveries at Khutsubani, Kintrishi Gorge. Studia Antiqua Archaeol. 31 (1), 5–21.

Chkhatarashvili G., Daveport J.A., Glascock M.D., Çalışkan-Akgül H. 2025b. Spread of obsidian and mobility pattern of humans in the South-Eastern Black Sea Coast, Revista Arheologică, serie nouă, vol. XXI, nr. 1, 226-237

Copeland L. Ackermans P., 1994. A Cache of 56 Flint Transverse Arrowheads from Tell Sabi Abyad, Balikh Valley, Siria // Eds. Gebel A., Kozlowski S. NeolithicChipped Stone Industries of the Fertile Crescent. Berlin: Ex-Oriente, p. 379-383.

Copeland L., 1996. The flint and obsidian industries // Tell Sabi Abyad – The Late Neolithic Settlement. Vol.1, 2. Ed. P.Ackermans. – Leiden/Istanbul: Nederlands Historisch- Archaeologisch Instituut, 566 pp.

Frahm E., 2014. Characterizing obsidian sources with portable XRF: accuracy, reproducibility, and field relationship in a case study from Armenia, *Journal of Archaeological Science*, 49, 105-125

Glascock, M.D., 2020. A systematic approach to geochemical sourcing of obsidian artifacts. Sci. Cult. 6 (2), 35–46. https://doi.org/10.5281/zendo.3734847.

Gratuze B., Rova E. 2022. New data on different patterns of obsidian procurement in Georgia (Southern Caucasus) during the Chalcolithic, Bronze and Iron Age Periods, Archaeological Research in Asia, 32, 1-17

Hughes, R. E. 2010. Determining the Geologic Provenance of Tiny Obsidian Flakes in Archaeology Using Nondestructive EDXRF. American Laboratory 42(7):27–31.

Karapetian Jr., S.G., bashian, R., Mnatsakanian, A.Kh, 2001. Late collision rhyolitic volcanism in the north-eastern part of the Armenian Highland. J. Volcanol. Geotherm. Res. 112, 189e220.

Keskin, M. 1996-1997. Pasinler platosundaki çarpışma-kökenli volkanik istifin volkano-stratigrafisi jeokimyası ve magma odası işlemlerinin petrolojik modellemesi: Erzurum-Kars platosu, Kd Anadolu. *İstanbul Yer Bilimleri Dergisi* 10/ 1-2, 59-77.

Keskin, M. 1998. Erzurum-Kars platosunun çarpışma kökenli volkanizmasının volkanostratigrafisi ve yeni k/ar yaş bulguları ışığında evrimi, Kuzeydoğu Anadolu. *MTA* 120, 135-157.

Komarov, A.N., Skovorodkin, N.V., Krapetyan, S.G., 1972. Opredeleniye vozrasta prirodnikh stekol po trekam oskolkov deleniya urana [*Determination of age of natural glasses according to trace of uranium fission fragments*]. Geokhimiya 6, 693–698 (in Russian).

Kuzmin, Y.V., Kulakov, S.A., Glascock, M.D., Budnitsky, S.Y., Grebennikov, A.V., 2023. Where is the source? In search of unknown primary obsidian locale in northern Caucasus. Poster

presented at the International Obsidian Conference (IOC), Engaru, Japan, 3-6, July

Manko V.O. 2013. Final Palaeolithic-Neolithic of Crimea, Kiyv (in Ukrainian).

Manko V., Chkhatarashvili G. 2022. Transcaucasia and Neolithic of South of Eastern Europe. Arheologia, № 2, 19-52

Manko V., Chkhatarashvili G. 2023. Trapezes with dorsal flat invasive retouching the indicator of Neolithic network formation, *Tyragetia*, serie noua, vol. XVII (XXXII), № 1, 103-111

Meshveliani, T., Bar-Oz, G., Bar-Yosef, O., Belfer-Cohen, A., Boaretto, E., Jakeli, N., Koridze, I., Matskevich, Z., 2007. Mesolithic hunters at Kotias Klde, Western Georgia: preliminary results. Paleoorient 33 (2), 47–58. https://doi.org/10.3406/paleo.2007.5220.

Nishiaki Y., Guliyev F., Kadowaki S., 2015. Chronological contexts of the earliest Pottery Neolithic in the Southern Caucasus: Radiocarbon dates for Göytepe and Hacı Elamxanlı Tepe, West Azerbaijan. American Journal of Archaeology, 119(3), 279-294.

Oddone, M., Bigazzi, G., Keheyan, Y., Meloni, S., 2000. Characterisation of Armenian Obsidians: implications for raw material supply for Prehistoric artifacts. J. Radioanal. Nucl. Chem. 243 (3), 673e682.

Piperno, M., Collina, C., Gallotti, R., Raynal, J.P., Kieffer, G., Le Bourdonnec, F.-X., Poupeau, G., Geraads, D., 2009. Obsidian exploitation and utilization during the Oldowan at Melka Kunture (Ethiopia). In: Hovers, E., Braun, D.R. (Eds.), Interdisciplinary Approaches to the Oldowan. Springer, Dordrecht, pp. 111-128.

Petrosyan A., Arimura M., Gasparyan B., Nahapetyan S. Chataigner C. 2014. Early Holocene Sites of the Republic of Armenia: Questions of Cultural Distribution and Chronology, Stone Age of Armenia, A Guide-book to the Stone Age Archaeology in the Republic of Armenia, p.p. 135-160

Sapozhnikov I.V., Sapozhnikova G.V. 2011. Stone Age of the Northwestern Black Sea region, Stratum plus 1, 15-149 (in Russian)

Taskiran et al. 2013: H. Taskıran, K. Ozçelik, M.B. Kosem, Y. Aydın, D. Yaman, M. Karakoc, 2012 Yılı Suluin Mağarası Kazısı. Kazı Sonuçları Toplantısı 35(1), 2013, 211-232.

Taskiran et al. 2014: H. Taşkıran, M.B. Kösem, K. Özçelik, Y. Aydın, E. Erbil, 2013 Yılı Suluin Mağarası Kazısı. Kazı Sonuçları Toplantısı 36(1), 2014, 555-572.

Taskiran et al. 2016: H. Taskıran, K. Ozçelik, M.B. Kosem, E. Erbil, Y. Aydın, 2014 Yılı Suluin Magarası kazıları. Kazı Sonuçları Toplantısı 37(1), 2016, 215-234.

Wagner, G.A., Weiner, K.L., 1987. Deutches Archaeologisches Institut Demircihoyuk. Die Ergebenisse des Ausgrabungen 1975e1978. In: Manfred Korfmann (Ed.), Naturwissenschaftliche Untersuchungen, Band II. Verlag Philipp von Zabern, Mainz, Germany, pp. 26e29


Zaitseva et al. 2000: G.I. Zaitseva, V.I. Timofeev, N.N. Zagorska, N.N. Kovaliukh, Radiocarbon dates of the Mesolithic sites of Eastern Europe. Radiocarbon and Archaeology I, 2000, 33-52.




სურ. 1. ობსიდიანის წყაროები კავკასიაში. 1 - სატანაკარი, სევკარი და ბეზენკი; 2 - ხორაფორი; 3 - კელბედზაარი; 4 - ერზრუმ პასინლერი; 5 - სარიყამიში; 6 - არტენი; 7 - გეგჰამი; 8 - გატანსარი და ჰატისი; 9 - ტსაგუნიანტსი; 10 - აშოტსკი; 11 - ჭიქიანი; 12 - მახვილაურის ნამოსახლარი; 13 - ზაიუკოვო (ბაქსანი); 14 - ახშტუს მღვიმე.



სურ. 2. მახვიალურის ნამოსახლარის მდებარეობა რუკაზე.



სურ. 3. 1969 წ. ჩატარებული გათხრების დროს ერთ-ერთ თხრილში დაფიქსირებული სტრატიგრაფია (**გოგიტიძე, 1978, სურ. XLII**).



სურ. 4. მახვილაური. კაჟისა და ობსიდიანის იარაღები (**გოგიტიძე, 1978, სურ. XLIV, XLV, XLVII, XLVIII**)

მარიამ მარჯანიშვილი
MARIAM MARJANISHVILI

პიროვნული და ეროვნული თავისუფლებისთვის მებრძოლი
FIGHTER FOR PERSONAL AND NATIONAL FREEDOM

Abstract. Konstantine Gamsakhurdia's tetralogy "David the Builder" is a novel written with great culture, knowledge and skill.

However, this book is more than a novel for Georgians, because the national epic, its history, the behavior of the heroic spirit are presented in the form of figures.

The modern writer Konstantine Gamsakhurdia was truly a seeker of the perspective of the era, a defender of the national spirit and an ideologist.

At the same time, it was also clear that in the Stalin era neither David the Builder could be an ideal nor his speech properly appreciated. Since at that time only five-year plans, a socialist village, competitions, a car and a tractor were communist ideals. And, therefore, naturally, the obligatory topics dictated by the government were the only important ones.

So, for the Stalin era, this outdated view or custom would only indicate a confusion of times. And, he - the life and work of "David the Builder" would remain only an anachronism.

Based on the above, he would not have been able to accept Russian criticism either. "David the Builder" was only needed by Georgia and the Georgian people to kindle the fire of national pride.

"David the Builder" was an anti-Turkish novel that fought against the Seljuks for Georgia's independence and territorial unification.

On the one hand, Stalin and Beria were helped by the fact that they were children of an ancient country and culture. And, Georgia had

not only the greatest poet Shota Rustaveli or the leader of the national liberation movement Ilia Chavchavadze, but also the greatest monarch David IV Bagrationi.

Since 1944, when World War II was already drawing to a close, Lavrenti Beria tried to restore the tarnished national dignity.

"David the Builder" as an anti-Turkish novel would prepare the reader for victory in a patriotic and heroic spirit during the war, because for centuries the Turkish threat had not been averted and the ancient provinces of the Georgian state were still in the hands of the Ottomans.

Just as David the Builder in the 12th century, so did Joseph Stalin in the 20th century fight to overthrow the Turkish darkness and restore the integrity of the homeland.

The Georgian political emigration looked with great hope to Konstantine Gamsakhurdia's work, as evidenced by Tamar Papava's letter from Argentina: "We are there with him in spirit and heart. On this day, we also congratulate him on the great victory of his gracious pen. The "right hand of Constantine" of our era also built a new Svetitskhoveli, old but alive."

Friends embrace him and will always remain with him...

***

კონსტანტინე გამსახურდიას ტეტრალოგია ,,დავით აღმაშენებელი" დიდი კულტურით, ცოდნითა და ოსტატობით დაწერილი რომანია.

თუმცა ეს წიგნი რომანზე მეტია ქართველებისათვის, რადგან ნაციონალური ეპოსი, მისი ისტორიის, ჰერიოკული სულის ქცევაა სახეებად წარმოჩენილი.

თანამედროვე მწერალი კონსტანტინე გამსახურდია, მართლაც ეპოქის პერსპექტივის მაძიებელი, ეროვნული სულის დამცველი და იდეოლოგი გახლდათ.

ამასთან ცხადი იყო ისიც, რომ სტალინის ეპოქაში ვერც დავით აღმაშენებელი იქნებოდა იდეალი და არც მისი მეხოტბე ჯეროვნად დაფასებული. ვინაიდან იმ დროისათვის მხოლოდ ხუთწლედები, სოციალისტური სოფელი, შეჯიბრებები, მანქანა და ტრაქტორი გახლდათ კომუნისტური იდეალები. და, აქედან გამომდინარე, ბუნებრივია ხელისუფლების მიერ ნაკარნახევი სავალდებულო თემები იყო მხოლოდ მნიშვნელოვანი.

ასე რომ, სტალინის ეპოქისათვის ეს მოძველებული შეხედულება თუ ჩვეულება დროთა აღრევას მოასწავებდა მხოლოდ. და, იგი - ,,დავით აღმაშენებლის“ ცხოვრება და მოღვაწეობა ანაქრონიზმად დარჩებოდა მხოლოდ.

ზემო თქმულიდან გამომდინარე მას ვერც რუსული კრიტიკა მიიღებდა. ,,დავით აღმაშენებელი“ მხოლოდ საქართველოს და ქართველ ხალხს სჭირდებოდა იმისათვის, რომ გაეღვივებინა ნაციონალური სიამაყის ცეცხლი.

,,დავით აღმაშენებელი“ ანტითურქული რომანი იყო, რომელიც ებრძოდა თურქ-სელჯუკებს საქართველოს დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული გამთლიანებისათვის.

ერთის მხრივ სტალინსა და ბერიას ხელს აძლევდა იმის ჩვენება, რომ ისინი უძველესი ქვეყნისა და კულტურის შვილები იყვნენ. და, საქარველოს ჰყავდა არა მხოლოდ უდიდესი პოეტი შოთა რუსთაველი ან ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერი ილია ჭავჭავაძე, არამედ უდიდესი მონარქიც დავით IV ბაგრატიონი.

თუ ივანე მრისხანე და პეტრე პირველი ახალი დროის ხელმწიფენი იყვნენ, დავითი აღმაშენებელი კი XI საუკუნეში იყო გამეფებული. ამიტომ მწერლისათვის რომანში წარმოდგენილი დამოუკიდებლობა, ტერიტორიული მთლიანობა და რელიგიურ-კულტურული ერთიანობა იყო მთავარი მიზანი.

1944 წლიდან, როცა უკვე მეორე მსოფლიო ომი დასასრულს უახლოვდებოდა ლავრენტი ბერია ცდილობდა შელახული ნაციონალური ღირსების აღდგენას.

,,დავით აღმაშენებელი“, როგორც ანტითურქული რომანი ომის დროს პატრიოტული და გმირული სულის მკითხველს გამარჯვებისათვის განაწყობდა, რადგან საუკუნეთა მანძილზე თურქული საფრთხე ისევ ვერ იქნა აცილებული და ქართული სახელმწიფოს უძველესი პროვინციები ისევ ოსმალთა ხელში იყო.

როგორც XII საუკუნეში დავით აღმაშენებელს, ასევე XX საუკუნეში იოსებ სტალინსაც უნდა ებრძოლა თურქული ბნელეთის დასამხობად და სამშობლოს მთლიანობა აღედგინა.

თუ ქართველი და რუსი მწერლები სტალინის მითითებით იბრძოდნენ კონსტანტინე გამსახურდიას ,,დავით აღმაშენებლის“ წინააღმდეგ, უცხოეთში გადახვეწილი ქართული პოლიტიკური ემიგრაცია სულმოუთქმელად ელოდა მწერლის შემდეგი ტომის გამოსვლას.

საერთოდ, სიტყვაკაზმული მწერლობის გამოკვეთილ ეროვნულ პოზიციას ოფიციალური იდეოლოგია თვლიდა სოციალიზმის მტრულ გამოვლინებად. ნაციონალიზმის აღორძინებად და ცდილობდა აღეკვეთა იგი მკაცრი რეპრესიებით.

რეპრესიებს შეეწირა 20-30-იანი წლების ლიტერატურისა და ხელოვნების მრავალი გამოჩენილი მოღვაწე. რეჟიმმა შეძლო ქართული მწერლობის ერთი ნაწილის აყოლიება, რაც კარგად ჩანს კონსტანტინე გამსახურდიას წინააღმდეგ მიმართულ ქართველ თუ რუს მწერალთა დაკვეთილ შეფასებებში.

ყველივე ამას კარგად გრძნობდნენ ევროპისა და ამერიკის სხვადასხვა ქვეყნებში მიმოფანტული ქართველი პოლიტიკური ემიგრანტები. ამ ფაქტის დასტურია თამარ პაპავას ეპისტოლური მემკვიდრეობიდან ერთი ასეთი ამონარიდი: ,,ჯერ არ მოგვსვლია ,,ლიტერატურული გაზეთი“, სადაც კონსტანტინეს იუბილეა აღნიშნული, ჩვენ სულით და გულით მანდ ვართ, მასთან. ამ დღეს ვულოცავთ ჩვენც მისი მადლიანი კალმის დიდ გამარჯვებას. ჩვენი ეპოქის ,,კონსტანტინეს მარჯვენამაც“ ხომ ააგო ახალი სვეტიცხოველი, ძველი, მაგრამ ცხოველი.“

მეგობრები მას ეხვევიან და მარად მასთან დარჩებიან“ (პაპავა ფონდი 28103/4).

ასევე მნიშვნელოვანია თამარ პაპავას შემდეგი პირადი წერილიც: თუ თქვენ მოახერხებთ და გვიშოვით კ. გამსახურდიას ,,დავით აღმაშენებლის“ მესამე წიგნს, დიდად დაგვავალებთ. ჩვენი მეგობარი კ. გამსახურდია სიყვარულით მოგვიკითხეთ და თუ წიგნი აქვს, გადმოგცემთ ჩვენთვის. ისედაც მედი გვაქვს, ძველი ქართველი მწერლები არ დაგვივიწყებენ და მათ უკანასკნელ ნაწარმოებებს მოგვაწვდიან. ჩემს ძმად ნაფიცს კონსტანტინეს დიდი მადლობა წიგნებისათვის, რომელიც მისგან ამასწინათ მივიღეთ“ (პაპავა ფონდი 28103/6).

დიდი ქართული საქმისათვის უცხოეთში გახიზნული მამულიშვილები, მათ შორის ლეგენდარული ძმები ლეო და გიორგი კერესელიძეები, ჯერ საქართველოს თავისუფლებისათვის, ხოლო შემდეგ კი ქართულ პოლიტიკურ ემიგრანტებთან ერთად დაკარგული დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ჩირაღდნებივით ენთნენ. ამ დიდ ნათებაში სანთლებივით იწვოდენენ მათი შვილებიც.

გიორგი კერესელიძის ვაჟს მათე კერესელიძეს ბავშვობიდანვე სულს უფორიაქებდა ემიგრაციაში ცხოვრება. იგი მოზღვავებულ კითხვებზე პასუხს მოითხოვდა: ,,რატომ არ ჰქონდა სამშობლო?... რატომ დაგვემართა ასე?... საქართველოს ბედი რისთვის ქანაობდა რაღაც უცნაურ საბედისწერო ,,საქანელაზე?“...

პატარაობიდანვე სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულს უნერგავდნენ გიორგი კერესელიძეს და მის ძმას მშობლები. სამშობლოს სიყვარულს უღვივებდა პატარა მათეს გერმანიაში მცხოვრები კონსტანტინე გამსახურდია.

,,მათე კალინინიდან გაგზავნილ უკანასკნელ წერილში მამიდას-ელენე გლურჯიძეს სთხოვდა: ,,სვიმონ ყაუხჩიშვილი თუ ნახო გადაეცი მოკითხვა. გამსახურდიას თუ ხვდები გადაეცი ჩემი პატივისცემა, მგონია არ დაავიწყდა თავისი მოწაფე“ (კერესელიძე მ, კალინინი, 3.09.57).

,,სტალინის განმარტებით ენა არის ერის ერთ-ერთი განმსაზღვრელი ნიშანი. კონსტანტინე ხედავდა, რომ დაპყრობილ ქვეყანას დაკარგული ჰქონდა სახელმწიფოებრივი ფუნქცია. ამიტომ ქართული სიტყვა, ამ ენაზე შექმნილი კულტურა, მითოსური და ისტორიული სახეებით შემოსალტული და ამეტყველებული, უნდა ქცეულიყო ციტადელად, რომელიც შეკრავდა და გააერთიანებდა უღმერთო ჟამს ქართველ ხალხს, საქართველოს კუთხეებს. ენაში მოქცეული ნაციონალური ცნობიერება თუ გადაარჩენდა სამშობლოს სოციალიზმის სახელით გარუსებისაგან.

ამიტომაც აქცევდა ესოდენ დიდ ყურადღებას ენის მისტერიას, სიწმინდესა და ჟღერადობას, ლექსიკურ სიმდიდრეს, დიალექტებს, ძველქართულ მეტყველებას, საერთაშორისო სიტყვებს, სიტყვათ წარმოქმნასა და სიტყვათწყობას, ექსპრესიასა და ასო ნიშანთა მოხაზულობას.

მაგრამ ბოლშევიკებს არ ეძინათ და კონსტანტინესაგან მოითხოვდნენ ამ ციტადელის დანგრევას, ოფიციალური ენისადმი მორჩილებას, რომლის გაგება მათ იოლად შეეძლოთ.

ამიტომ ებრძოდნენ ,,დავით აღმაშენებლის“ ნაციონალურ - პოლიტიკურ კონცეფციასა და ენობრივ მოდელს“ (სიგუა 2011: 314).

ქართულ პოლიტიკურ ემიგრანტებს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ყურადღების მიღმა არ რჩებოდათ კონსტანტინე გამსახურდიას ,,დავით აღმაშენებელი“.

,,ჩემო კარგო და საყვარელო ელენე, მივიღე კიდევ ორი წიგნი შენგან. უღრმესი მადლობა. შენ წერ შენს 21 თიბათვის წერილში, რომ აპირებ კიდევ გამომიგზავნო გამსახურდიას ,,დიდიოსტატის მარჯვენა“ და ,,დავით აღმაშენებელი“.

გამსახურდია იდეური პოეტია, ხოლო მაგისი რომანები, ჩემი აზრით დიდად გაჭიანურებული არიან, და ავტორს სურს გაგვაკვირვოს თავისი ლექსიკონით და ორიგინალობით. წავიკითხე (მათხოვეს) ,,ოსტატის მარჯვენა“. შინაარსით კარგია, ფორმით და მოთხრობის მანერით არ მომეწონა. წავიკითხე აგრეთვე პირ-

ველი ნაწილი მაგის ,,დავითისა“. ჩემზე უფრო ქრონიკის შთაბეჭდილება დასტოვა, ვიდრე მხატვრული ნაწარმოებისა და მოსაწყენად გაგრძელებულია სრულიად ზედმეტი ეპიზოდებით ან და აღწერა იმისა, რაც ერს არ ახასიათებს (ეს წიგნიც მათხოვეს). არ ვიცი თუ ამ რომანის სხვა ნაწილები უკეთ არიან დაწერილნი“ (კერესელიძე გ, ვეზინე, 20 მკათათვე, 1958).

ასე რომ, მეტად ყურადსაღებია კონსტანტინეს რომანების გამო გამართულ პოლემიკაზე კონსტანტინე გამსახურდიას დასკვნა: ,, თუ კი სისხლის მსმელი ჩინგის-ხანის შესახებ შეიძლება იწერებოდეს სქელტანიანი რომანი, დავით აღმაშენებელმა და ერეკლე მეორემ რა დააშავეს?“ ,,ვიღაც გაზეთის ქარხვეტია მჯღაბნელი, რომელსაც თავისი სიმბოლისტური ცოდვების მიჩქმალვა სწადია, მე მიწოდებს ,,ნაციონალისტს“, მხოლოდ იმიტომ, რომ მე ტალახი არ ვესროლე ქართულ სახელმწიფოს ფუძემდებელს - დავით აღმაშენებელს“ (სიგუა 2011:318).

ცხადია, მწერლის სიტყვაში ფოლადი წკრიალებდა და იგი ისევ ჰგავდა ხმალშემართულ მეომარს.

ბოლშევიკური რუსეთის მიერ დამოუკიდებელი საქართველოს ოკუპაციის შემდეგ მძიმე მდგომარეობა სუფევდა საქართველოში. პოლიტიკური საბოტაჟი განსაკუთრებით დააცხრა უნივერსიტეტის რექტორს ივანე ჯავახიშვილს.

,,დისპუტში“ გააკრიტიკეს ივანე ჯავახიშვილის ,,ქართველი ერის ისტორია“, ეგ არ არის მეცნიერულად დამუშავებული ისტორია. ის წარმოადგენს ისტორიული ფაქტების გროვას, გარდა ამისა ჯავახიშვილის მეთოდოლოგია არ არის მისაღები, რადგან ის არის ფორმალისტური - იდეალისტური. ჯავახიშვილის ისტორია გაჟღენთილია ნაციონალიზმით.

ასე რომ, ქართველი ბოლშევიკები ებრძოდნენ თავდადებულ მამულიშვილებს: ,,ივანე ჯავახიშვილმა ჯერ კიდევ 1917 წლის 26 ნოემბერს პროფესორთა საბჭოს პირველ წინასწარ სხდომაზე კონსტანტინე გამსახურდია დაასახელა, მათ შორის, რომელთა დატოვება სასურველი იქნებოდა საპროფესოროდ მო-

სამზადებლად.“ უარის მიღების შემდეგაც დიდ ივანეს ყურადღების მიღმა არ დარჩენია ის ფაქტი, რომ კონსტანტინე გამსახურდია მოეწვია უნივერსიტეტში სამუშაოდ. ამისათვის ყურადსაღებია ჯავახიშვილის დიდი მონდომება: 1923 წელს კვლავ დაისვა ეს საკითხი და უნივერსიტეტის რექტორს ივანე ჯავახიშვილს სათანადო შუამდგომლობა დაუწერია: ასე რომ, ერთი პერიოდი კონსტანტინეს ხიბლავდა ისტორიის პროფესორის კარიერა... იგი სკოლაში ასწავლიდა გერმანულს, უნივერსიტეტში ლექციებს კითხულობდა, მაგრამ წმინდა მეცნიერულ, კვლევით მუშაობას არ შედგომია.“

თავის მხრივ, კონსტანტინე გამსახურდიასაც ყურადღების მიღმა არ დარჩენია უნივერსიტეტის დამაარსებლის თავდადებული საქმიანობა, რომლის დასტურია შემდეგი ეპიზოდი: ,,კონსტანტინე გამსახურდია 1919 წლის ივლისში გერმანიიდან გემ ,,ქრისტინიას“ გამოჰყვა, რომელსაც 3700 ქართველი სამხედრო ტყვე მოჰყავდა და თან წიგნებიც მოჰქონდა ახლად გახსნილი თბილისის უნივერსიტეტისათვის.

,,30 აგვისტოს თბილისის უნივერსიტეტის გამგეობამ მოისმინა ივანე ჯავახიშვილის ინფორმაცია, კონსტანტინემ ევროპიდან წიგნები ჩამოიტანა და ახლა ფოთშიაო. გამგეობამ სთხოვა მწერალს, რომ წიგნები ფოთიდან თბილისში გამოეგზავნა“ (სიგუა 2011:65).

კონსტანტინემ უცხოეთში წასასვლელად კვლავ მიმართა სახკომსაბჭოს თავმჯდომარეს, რათა ლიტერატურული მუშაობისა და სწავლის გასაგრძელებლად ორი წლით გაეშვათ გერმანიაში, ბერლინში. შალვა ელიავამ განცხადებას მართალია დადებითი რეზოლუცია დაურთო, მაგრამ განათლების სახალხო კომისარმა არც სტიპენდია და არც ვიზა არ მისცა.

საქმეში ჩაერია უნივერსიტეტის რექტორი ივანე ჯავახიშვილი, მაგრამ მას განუმარტეს, რომ ცეკა არ იძლეოდა ნებართვას. კონსტანტინე მაინც არ ცხრებოდა და განცხადებას, განცხადებაზე წერდა. ,,ბოლოს გაჭრა საშა გეგეჭკორისა და ივანე ჯავახიშვი-

ლის მონდომებამ და განათლების კომისარმა აღძრა შუამდგომლობა საგარეო საქმეთა კომისარიატისადმი.

დიდი წვალების შემდეგ, ივნისში, კონსტანტინე გერმანიას გაემგზავრა. მივლინების თანხა - 900 გირვანქა სტერლინგი უნივერსიტეტმა მისცა, როგორც თავის თანამშრომელს“ (სიგუა 2011: 95).

საერთოდ, ივანე ჯავახიშვილისა და კონსტანტინე გამსახურდიას დიდსულოვნება სამშობლოს უზადო სიყვარულში გამოიხატებოდა. მათი სააზროვნო სისტემა ერთ განასერში იკვეთებოდა, რომლის მიზანს წარმოადგენდა საქართველოს დამოუკიდებლობა და თავისუფლება.

ჩეკას არ გამოპარვია კონსტანტინე გამსახურდიასა და უნივერსიტეტის რექტორის ერთმანეთისადმი გვერდით დგომა. ჩეკამ ხელზე დაიხვია კონსტანტინეს ,,დიონისეს ღიმილი“ და მისი პიროვნების ინტესიური შესწავლა დაიწყეს...

,,კონსტანტინეს ასევე ბრალდებოდა გერმანიის გენერალურ საკონსულოსთან კავშირი... ეს ფაქტი მწერალმა დაადასტურა, რადგან პროფესორი ვეზენდოკი მის მიმართ კეთილგანწყობილი იყო, რადგან ის გახლდათ ქართველოლოგი და აღმოსავლურ ხელოვნებას აღმერთებდა.

ჩეკაში კონსტანტინეს ურჩიეს ყველაფერი ივანე ჯავახიშვილისათვის დაებრალებინა, ხოლო მწერალთა ყრილობაზე კრიტიკული გამოსვლა აეხსნა მენშევიკების წაქეზებით. თუ ასე მოიქცეოდა გაანთავისუფლებდნენ. კონსტანტინემ ჩეკისტების წინადადება არ მიიღო და ციხეში ყოფნა ამჯობინა“ (სიგუა 2011:117).

ასე რომ, ივანე ჯავახიშვილის პიროვნებას ჭეშმარიტად მიესადაგებოდა შექსპირის სიტყვები: ,,ის კაცი იყო, ვით შეფერის კაცსა კაცობა“.

ამ აზრს კიდევ უფრო ამყარებდა ივანე ჯავახიშვილის ერთი ასეთი ღირსეული ქმედებაც: ,,კონსტანტინე გამსახურდიას მეშვეობით გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიუმართავს თბილისის უნივერსიტეტის რექტორისათვის- ივანე ჯავახიშვი-

ლისათვის რათა წარედგინათ კანდიდატურა ჰუმბოლდტის სტიპენდიის მისაღებად. რაც გამიზნული იყო სწავლის გასაგრძელებლად ან სამეცნიერო მუშაობისათვის.

ივანე ჯავახიშვილმა კონსტანტინეს კანდიდატურა წამოაყენა. ეს თურმე კონსპირაციულად მომხდარა. გარდა ამისა, განათლების კომისარიატი საზღვარგარეთ მივლინებას არ იძლეოდა. საზღვარი მტკიცედ იყო დაღშული საბჭოთა მოქალაქეებისათვის. ალბათ, ამიტომაც იწვევდა ეს ფაქტი ხელისუფალთა დაეჭვებას. ივანე პატივს სცემდა კონსტანტინეს ერუდიციას, რომელიც გამოიხატებოდა ერთ-ერთ გამოკვლევაში ზოგიერთი ტერმინის განმარტების გამო (სიგუა 2011:120).

შეიძლება თამამად ითქვას, რომ კონსტანტინე გამსახურდიას მთელი შემოქმედება იყო პიროვნული და ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლის მისტერია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გ. კერესელიძე. ეპისტოლეები, ვეზინე, 20 მკათათვე, 1958.
2. მ. კერესელიძე. ეპისტოლეები, კალინინი, 3.09.57.
3. თ. პაპავა. (1961). წერილები - ფ. 673. ს. 28103. თბილისი: გ. ლეონიძის სახელობის სახელმწიფო ლიტერატურის მუზეუმი.
4. ს. სიგუა. ,,მარტვილი და ალამდარი“ტ.1, თბილისი, 2011.

ფრიდონ ქარდავა

საკამათო ცნების გაგებისათვის ვეფხისტყაოსანში (ქვე მკრდამდე თუ მკერდამდე?)

PHRIDON KARDAVA

TO THE UNDERSTANDING OF A CONTROVERSIAL CONCEPT IN THE KNIGHT IN THE TIGER'S *SKIN*: "KVE MKKRDAMDIS" OR "MKERDAMDIS"?

Abstract. This paper examines the controversial term *"mkkrdamdis"* (*მკრდამდის*), a subject of long-standing debate within Rustvelology. For decades, scholars have debated which variant represents the author's original intention: *"kve mkkrdamdis"* (*ქვე მკრდამდის*) or *"mkerdamdis"* (*მკერდამდის*).

This study attempts to introduce a novel analytical perspective into this ongoing discussion. We argue that the authorial lexeme in both contexts is *"mkkrdamdis"*—specifically within the phrase *"kve mkkrdamdis"*. However, we propose that the term does not denote the anatomical chest (as a syncopated form of *mkerdi* / *მკერდი*), but rather a specific piece of military attire or equipment: a breastplate or chest guard (*mkerdsafari* / *მკერდსაფარი*).

This interpretation is supported by the occurrence of the exact same lexeme in Giorgi the Hagiorite's (George the Athonite) Old Testament translation, where it is used in two distinct passages specifically to describe an article of clothing—a breastplate or sacerdotal breastpiece. Consequently, the phrase *"kve mkkrdamdis"* is demonstrably Rustvelian and represents the original text. While we advocate for its interpretation as a component of protective armor or ceremonial vestment, it must be noted that outside of the aforementioned Old Testament passages, this specific lexical form has

not yet been attested in other medieval secular heroic epics (notably absent in *Amirandarejaniani*) or in *Kartlis Tskhovreba* (*The Georgian Chronicles*).

***

შოთა რუსთველის „ვეფხისტყაოსანში“ თითოეული სიტყვისა თუ ცნების კი არა, რიგ შემთხვევაში, ყოველი სასვენი ნიშნის მართლწერა და ავთენტურობა გამხდარა რუსთველოლოგთა თაობების დავის საგანი. იმიტომაცაა უკვდავი ეს დიდებულო პოემა რომ ის განუწყვეტლივ, მოუკლებლად შესწავლის ობიექტია საუკუნეების განმავლობაში და ეჭვიც არ გვეპარება, ასევე გაგრძელდება მომავალ ასწლეულებშიც.

ერთ-ერთ ასეთ საპოლემიკო სიტყვას თუ ცნებას წარმოადგენს პოემაში გამოყენებული ლექსემა „მკრდამდის“. რუსთველოლოგების დავის საგანია, რომელია ავტორისეული- „ქვე მკრდამდის“ თუ „მკერდამდის“?

ჩვენს ამ პატარა გამოკვლევაში შევეცადეთ ჩვენეული, ჩვენი აზრით, ახლებული შრე შეგვეტანა ამ ჯერაც გაუსრულებელ მსჯელობაში.

იმედია საინტერესო დარჩება ეს თვალსაზრისიც თუ რუსთველოლოგებისთვის არა, უბრალო მკითხველებისთვის, რუსთველის უკიდეგანოდ მოყვარულთათვის მაინც.

რაც შეეხება ლიტერატურათმცოდნეობაში ამ საკითხზე პაექრობას, აკადემიკოსმა აკაკი შანიძემ იმსჯელა დამაჯერებლად (თბილისი 1986; გვ. 249)[4] რომ სწორედ „ქვე მკრდამდე“ გახლავთ ავტორისეული 94-ე სტროფში (აქ და შემდეგშიც ვეფხისტყაოსანი დამოწმებულია საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ვებგვერდიდან, ვეფხისტყაოსნის სიმფონია) და „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენმა კომისიამაც ეს ვარიანტი გაიზიარა და ასევეა ძირითადად გამოცემებში.

თუმცა მას გამოუჩნდნენ კრიტიკოსები და, ასე ვთქვათ, საკმაოდ მკაცრადაც უარყოფდნენ ამ ფორმას იცავდნენ რა ქართველიშვილისეული გამოცემის „მკერდამდეს“.

[4] აკაკი შანიძე. თხზულებანი თორმეტ ტომად, ტომი V; თბილისი 1986; გვ. 249; იქვე გვ. 327: „მაგალითად, ზოგ ხელნაწერში იკითხება «ქვე მკრდამდის», ზოგში 40 — «მკერდამდის». ჩვენ მივიღეთ «ქვე მკრდამდის»: („ზოგსა გარდაჰკრის მათრახი «ქვე მკრდამდის» გასაპობელად“, 94), მაგრამ არა მიტომ, რომ ეგრე იკითხება ABC ხელნაწერებში, არამედ იმიტომ, რომ სავარაუდებელია, თავდაპირველად იყო «ქვე მკრდამდის» და იგი გადაკეთდა «მკერდამდის» ფორმად და არა პირუკუ. “

ბატონი მურმან თავდიშვილი განსხვავებული კუთხით მიუდგა საკითხს და პირველ შეთხვევში ამირანდარეჯანიანის ალუზიითა და დაბალი შაირის კანონზომიერებით სწორ ფორმად მიიჩნევს „მკერდამდის“ (თბილისი 1991, გვ.98) [5], ხოლო მეორე შემთხვევაში, 1073-ე სტროფში, ამტკიცებს რომ აუცილებელია და ავტირისეულია „ქვე მკრდამდის“ და საინტერსოდ ასაბუთებს ამას ასევე, დაბალი შაირის კანონზომიერებით, ენკლეზიის აუცილებლობით. (თბილისი 1991. გვ).

პოლემიკა განსაკუთრებით გამწვავდა გასული საუკუნის 90 წლებში, ალმანახ „კრიტიკის“, ჟურნალ „მაცნეს“, გაზეთ კომუნიზმისა და „ლიტერატურული საქართველოს“ ფურცლებზე; ერთის, მხრივ მკვლევარები უარყოფდნენ „ქვე მკრდამდის“ ფორმის მართებულობას (რევაზ მიშველაძე, მიხეილ ქვლივიძე, ლევან სანიკიძის, გრიგოლ ჯულუხიძე, მორის ფოცხშვილი, ლადო მრელაშვილი, მურმან ჯგუბურია...).

მეორეს მხრივ კი მათ ეწინააღმდეგებოდნენ მკვლევარები, რომლებიც მის მართებულობას იცავდნენ (თამაზ კვაჭანტირაძე, ცოტნე კიკვიძე... „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიის მთავარ რედაქციის წევრები).

ვეფხსიტყაოსანში შესიტყვება „ქვე მკრდამდის“ მოიპოვება ორჯერ, პირველად 94-ე სტროფში:

„ზოგსა გარდაჰკრის მათრახი ქვე მკრდამდის გასაპობელად.“ (94)

და მეორეგან, 1073-ე ში:

„მებაღე მირბის, იხარებს, ოფლნი ქვე მკრდამდის ჩადიან“. (1073)

რაც შეეხება სიტყვა მკერდს, ის პოემაში ფუძისეული ძირით „მკერდ“ გამოყენებულია 13 ჯერ.

როგორც აღვნიშნეთ, სადაო საკითხია იმ ორ შემთხვევაშიც „ქვე მკრდამდის“ იყო ავტორისეული თუ გადამწერების შეცდომაა დ აუნდა იყოს „მკერდამდის“?

პირველ რიგში გადავხედოთ ხელნაწერებს:

სტროფი (94) (134(94)) :

[5] მურმან თავდიშვილი გვ98. აგრეთვერ აღნიშნავს რომ რუსთველისთვის ჩვეულია სიტყვის ორივე ფორმით გამოყენება, როგორც შეკუმშულად ასევე შეუკუმშავად და საერთოდაც კანონზომიერად მიაჩნია, თუ პოემაში სიტყვა გამოყენებულია შეუკუმშავი ფორმით, ის ასევე იქნება წარმოჩენილი შეკუმშული სახითაც.

„მკრდამდის“ არის შემდეგ ხელნაწერებში – EFHTUVXB’D’E’F’ L’T’Y’; ***„მკრდამდი“*** - CJKOG’O’. (გვ 66.)

რაც შეეხება 1073-ე სტროფს, ამ შემთხვევაში ***„მკრდამდე“*** გვაქვს ხელნაწერში- DFGHKOYZG'Q'R'Y'; N-ში გვაქვს უცნაური ფორმით „მკერცა“; ერთ ხელნაწერში- კოჭამდის (E); j- ში მკერდამდი; TVXE'F' ხელნაწერებში- მკერდამდინ; A’ -ში მკრდამდის; J’- ში მკრდამდი და L’- ში მკერთამდინ. (III ნაკვთი გვ. 672)

ჩვენის აზრით, ერთი რამ არის აშკარად გამოკვეთილი უდაოდ, ვეყრდნობით რა აკადემიკოს აკაკი შანიძის მტკიცებულებას, - შეუძლებელია გადამწერებს „მკერდამდის“ გადაეკეთებინათ როგორც „ქვე მკრდამდის“, პირიქით კი სრულიად შესაძლებელია.

რაც შეეხება განმარტებას, აქ რუსთველოლოგია შეთანხმებულია, რომ ორივე შემთხვევაში მკერდი იგულისხმება:

პროფესორი ვუკოლ ბერიძე ამ ადგილს ხსნის ასე, მკერდი გაუპოო- (თბილისი 1974.გვ 65)

თამაზ ვასაძე და ნოდარ ნათაძე არც კი ეხებიან ამ სიტყვის მნიშვნელობას, ლოგიკურად იგულისხმება რომ ეს ისედაც ცხადია.

რაც შეეხება თარგმანებს; შალვა ნუცუბიძე ამ ადგილს თარგმნის ასე, - გულამდე გააპოო (მოსკოვი 1941, გვ 39). მარჯორი უორდროპს ჩვეულებრივ- მკერდი უწერია. (გლობალ გრეი 2021, გვ. 18)

ახლა კი ის ვარაუდი რის გამოც წამოვიწყეთ ეს ნარკვევი:

ჩვენ უეჭველი გვგონია რომ ამ ორ სტროფში ავტორისეულია ***„ქვე მკრდამდის“*** და ამაში სადაოს ვერ ვხედავთ, მაგრამ გვაფიქრებს თვითონ სიტყვის მნიშვნელობა: არის თუ არა ვეფხისტყაოსანში ***„მკრდამდის“*** მკერდის შეკუმშული ფორმა თუ აქ სულ სხვა მნიშვნელობა ეძლევა მას?! ხომ არ იგულისხმება ის რომ „მკრდე“ არ ნიშნავს მკერდს არამედ მკერსაფარს, სამკერდეს, ოქრომკედის ანალოგიით?

განსაკუთრებით გამიმძაფრა ეს ვარაუდი ძველმა აღთქმამ, სადაც სიტყვა „მკრდი“ სამჯერა ნახმარი და საკმაოდ ცხადია, რომ ყოველთვის მკერდს არ ნიშნავს:

გამოსვლათა 28:20 ***„და ესე არიან შესამოსელნი, რომელნი უქმნენ მკრდისა ზედა და სამჯარი და ჰოდირი და შესამოსელი ფესუედი და კიდარი და სარტყელი, და უქმნენ შესამოსელნი წმიდანი აჩონს და ძეთა მისთა მღდელობად ჩემდა“***

ახალი ქართული ვარიანტით: . ***აი, შესამოსელი, რომელიც მათ უნდა გაუწყონ: სამკერდული, ეფოდი, წამოსასხამი, ნაქსოვი კვართი, თავსაბურავი და სარტყელი. გაუწყონ წმიდა შესამოსელი შენს ძმას აარონს და მის შვილებს, რომ მღვდლობა გამიწიონ მე.“***

„And these are the garments which they shall make: a breastplate, an ephod, a robe, a skillfully woven tunic, a turban, and a sash. So they shall make holy garments for Aaron your brother and his sons, that he may minister to Me as priest.“

ახალქართულშიც და ინგლისურშიც აქ მკრდისა- ნიშნავს სამკერდულს. ყურადსაღებია რომ ძველქართულში გვაქვს „მკრდისა ზედა“; რაც შეესაბამება სამკერდულს. სიტყვასიტყვით მკერდის ზემოთ- საფარი.

საინტერესოა, „მკრდისა ქვე“ ან ქვედაც ხომ არ იყო? რაც აშკარად შესაბამისი იქნებოდა ვეფხისტყაოსნის ჩვენთვის საინტერესო ეპიზოდში. თუმცა ამის მსგავსს ვერ ვპოულობთ სამწუხაროდ. შეიძლება შემოგვედაონ, რომ აქ მკერდსაფარი კი არ გვაქვს შესამოსელის, აღჭურვილობის სახით, არამედ „მკერდს ზემოთა“, უფრო აღწერილობაა ვიდრე ცნება. გვგონია რომ ამ სიტყვათშეხამებისგან (***მკრდისა ზედა)*** **„ქვე მკრდამდის“** უმარტივესად შეიძლებოდა მიგვეღო რუსთველთან. ვნახოთ შემდეგი მაგალითებიც:

მეორე შემთხვევაც ამავე თავშია „***29: და მოიხუნეს აჰრონ სახელნი ძეთა ისრაჱლისათანი სიტყჳრსა ზედა მშჳავრთასა მ კ რ დ ი თ ა თჳსითა შემავალმან წმიდად მიმართ საჴსენებელად სამარადისოდ წინაშე ღმრთისა.“***

ახალი ქართულით: „***29. თან ატაროს აარონმა ისრაელიანთა სახელები განკითხვის სამკერდულზე გულთან ახლოს უფლის წინაშე მუდმივ სამახსოვროდ, როცა საწმიდარში შევა ხოლმე.“*** აქ არავითარი ეჭვი არ ჩნდება რომ **მკრდითა**- გამოყენებულია მკერდსაფრის მნიშვნელობით.

მესამე შემთხვევა: ლევიანნი 7:30 ***„ჴელითა თჳსითა მოართუას ნაყოფი იგი მისი ღმერთსა: ესე არს, ცმელი მკრდისაჲ და ღჳძლის ყური. მოართვას იგი, რათა დადვას დასადებელად წინაშე ღმრთისა.“*** ამ შემთხვევაში ***„ცმელი მკრდისაჲ“*** ნიშნავს რა თქმა უნდა მკერდის ქონს და არა სამკერდეს.

აშკარაა, რომ „მკრდის“ ნიშნავს ძირითადად მკერდს და ის როგორ მკვლევარები სამართლიანად მიუთითებენ ქართულის უფრო არქაული ფორმაა, მაგრამ ძველი აღთქმის იმ ორ ეპიზოდში ის უფრო მკერდსაფრის, მკერდსაცმელის აღსანიშნავად გამოიყენება ვიდრე სხეულის ბიოლოგიური ნაწილისა. თვითონ სიტყვა მკერდი, ფუძის სახით, 30 ჯერ იხსენება ძველ აღთქმაში და 4 ჯერ ახალ აღთქმაში, საინტერესოა, რომ ერთხელ ახალ აღთქმაში მკერდის ნაცვლად გამოყენებულია ***„წიაღი“,- „და იყო ერთი მოწაფეთა მისთაგანი მიყრდნობილ წიაღთა თანა იესუჲსთა, რომელი-იგი უყუარდა იესუს. “*** (იოანეს სახარება 13;23). მკერდი შეკუმშული ფორმით სახარებაში არ გვხვდება.

თავიდან თითქოს ეჭვშეუტანლად ვიფიქრეთ რომ **მკრდე**, **მკრდი** საჭურველის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი იყო, კერძოდ სამკედრე, გარნა მეორე სტროფში ის გამოიყენება და მიემართება უსენის მებაღეს და ცხადია გამოირიცხა ეს ვარაუდი. ამასთანავე, შეიძლება ეს ***მკრდი***, სულაც არ იყო მხოლოდ სამხედრო საჭურველის ნაწილი და ის ჩვეულებრივ, საყოველთაო შესამოსელ-სატარებელი გახლდათ, ზოგადი ტანსაცმლის შემადგენელი აქსესუარი, სამკერდეს სახით? ყოველშემთხვევაში მებაღეს ოფლი ქვე მკრდამდის, ანუ (მკერდსაფარში ?!) რომ ჩასდიოდა ღვარად არის კალმის ცალსახად უფრო გროტესკული მონასმი ვიდრე უბრალოდ, რომ ეთქვა,- მკერდს ქვემოთ ჩამოსდიოდა, ისევე როგორც მათრახით ქვე მკრდამდის გაპობილი მეომრები, მკერდს ქვემოთამდე კი არ ჩააპო ტარიელმა არამედ სამკერდულის ბოლომდე, გნებავთ მკერდსფარის ბოლომდე. ახლა, ტარიელს, წელამდე გაპობაც რომ არ გაუჭირდებოდა რაღა მტკიცება უნდა, მაგრამ გვგონია რომ პოეტურად სწორედ მკერდსაფრის ბოლომდე ჩაჰკვეთაა უფრო მძაფრი გამოთქმა.

ასევე მეორე ეპიზოდშიც:

„მებაღე მირბის, იხარებს, ოფლნი ქვე მკრდამდის ჩადიან.“

ვიგულისხმოთ რომ მკერდამდე ჩავიდა და იქ ჩერდება ოფლი? ალბათ მკერდსაფარზე გამოატანაო, ან მკერდსაფარში ჩაეღვარაო უფრო ბუნებრივი იქნებოდა.

გვგონია რომ ორივე შემთხვევაში იგულისხმება არა მკერდი, არამედ „სამკერდე,“ საფარი; შეიძლებაცდა მუცლის ნაწილსაც კი მოიცავდა ის; აი ეს უფრო გროტესკულად წარმოაჩენდა იმას რაც თქვა რუს-

თველმა, როგორადაც დახატრა სახეები, ჩაკაფული მებრძოლებისა თუ გაქაფული მებაღისა.

უნდა ითქვას, რომ ამირანდარეჯანიანში საუბარია ხმლით მებრძოლების ჩაბალახიდან მკერდამდე ჩაპობაზე[6]. ტარიელის შემთხვევაში კი მათრახს გადაკჰრავს და აპობს „ქვე მკრდამდის"; ალბათ ცოტა ძნელი გასააზრებელია რაც არ უნდა ჰიპერბოლა იყოს, მათრახით თავი მკერდამდე ჩაჰკვეთო, თან მუზარადიანი თავი, უფრო საფიქრალი და წარმოსახვისთვისაც თვალსაჩინო იქმნება თუ დავუშვებთ, რომ ძირითადად თავსა და მხარზე გადაჭირული მათრახი სწორედაც რომ მკერდსაფარს გაფხრეწდა და ლეტარულად გაუპობდა კიდევაც სხეულის ნაწილს. გარდა ამისა გვგონია რომ რუსთველი ვერ დაუშვებდა ამირანდარეჯანიანში, სულ ცოტა, თოთხმეტჯერ თითქმის იდენტურად გამოყენებული მეტაფორა უცვლელად გადმოეტანა (მაგ: ***„მკერდამდის ჩაჰკვეთა და მოკლა"*** ამირამდარეჯანიანი გვ 337), შესაძლოა სწორედ ამიტომაც მი უპირატესობა სიტყვათშეთანხმებას ***„ქვე მკრდამდის"*** , მეტადრე თუკი ჩვენიო ვარაუდი სწორია და იმ ეპიზოდებში არა ბიოლოგიურ „მკერდს" არამედ ტანსაცმლის შემადგენელ ნაწილს, მკერდსაფარს გულისხმობს, ხოლო, მარცვლების შესავსებად გენიალურად და პოეტურად შეავსო სიტყვათშეთანხმებით,- ***„ქვე მკრდამდე".***

ამრიგად, დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ თუკი ***„ქვე მკრდამდის"*** არ აღიქმება როგორც- ქვემოთ სამკერდულის ძირამდე (აღჭურვილობის ნაწილი), ის რომ თვითონ შესიტყვება „ქვე მკრდამდის" აშკარად რუსთველურია და სწორი ფორმაა ამაში ეჭვის შეტანა ალბათ ძნელია.

როგორც ვახსენეთ, ჩვენ ვემხრობით იმ აზრს, რომ მას რუსთველი აღჭურვილობის გამოსახატავად, კერძოდ სამოსის შემადგენელ ნაწილად, მკერდსაფრის გამოსახატავად იყენებს, თუმცა, საუბედუროდ, უეჭველ მტკიცებულებად ამ ფორმით მას სხვა ძეგლებში, გარდა ძველი აღთქმის იმ ორი ეპიზოდისა ვერ ვპოულობთ, ვერც საერო საგმირო ეპოსებში (განსაკუთრებით დამაფიქრებელია ამირანდარეჯანიანში მისი არ გამოყენება) და ვერც ქართლის ცხოვრებაში.

[6] [მაშინ] შეუტევე, შეუზახენ, ჩაბალახსა ზედა ჯრმალი ვკარ და, თავმან მეფობისა შენისამან, მკერდამდის ჩავკვეთე და მოვკალ. ამირანდარეჯ გვ284; ფიცხლად შეუტევა ცხენი და ჰკრა ჩაბალახსა მისსა ზედა ჯრმალი და, თავმან მეფობისა შენისამან, მკერდამდის ჩაჰკვეთა და მოკლა. ამირან. 337

დამოწმებული ლიტერატურა:

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ვებგვერდი. ვეფხისტყაოსნის სიმფონია https://saunje.nekeri.net/rustaveli/symphony/2009.htm#6164

ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა ვარიანტები. ნაკვეთი პირველი. თბილისი 1960

აკაკი შანიძე. თხზულებანი თორმეტ ტომად, ტომი V ; თბილისი 1986

ვუკოლ ბერიძე „ვეფხისტყაოსნის კომენტარი“. თბილისი 1974

მურმან თავდიშვილი „ვეფხისტყაოსნის დაფანტული სტროფები“.თბილისი 1991

The Knight in the Panther's Skin by Shota Rustaveli. This translation by Marjory Wardrop was originally published in 1912. This ebook edition was created and published by Global Grey on the 25th October 2021.

Bible - New King James (New King James)

Шота Руставели - Витязь в тигровой шкуре - Перевод Ш. Нуцубидзе. *მოსკოვი.1941*

გაზეთი კომუნისტი, 1989 წელი, N162. თბილისი.

ალმანახი კრიტიკა 1988, N 2. თბილისი.

გაზეთი ლიტერატურული საქართვლო 1988, 15 ივლისი. თბილისი

ჟურნალი. „მაცნე”,1988, № 4, გვ. 181- 184

რუსთველოლოგიური ლიტერატურა V; თბილისი 1912; გვ 123, 128.

ლელა შათირიშვილი
LELA SHATIRISHVILI

ორბელიანების ოჯახი — ცოდნისა და განათლების კერა (ზაალ-ზოსიმე და სულხან-საბა)

THE ORBELIANI FAMILY — A CENTER OF KNOWLEDGE AND EDUCATION (Zaal-Zosime and Sulkhan-Saba Orbeliani)

Abstract. The paper examines the cultural and educational environment of the Orbeliani family and its role in the history of Georgian literacy and education during the seventeenth and eighteenth centuries. Alongside the political and social endeavors of its members, particular importance should be attached to their attitude toward knowledge, erudition, books, and literary culture. The dedication of several generations demonstrates that education and literacy constituted a defining dimension of their cultural life.

Particular attention is devoted to the family of Vakhtang Orbeliani and Tamar Eristavi, where Sulkhan-Saba, Zaal-Zosime Orbeliani, and their brothers were raised. Their family's activities — collecting, copying, preserving, and disseminating manuscripts, alongside their ecclesiastical and secular literary work, translation endeavors, and other forms of intellectual engagement — created an environment that played a pivotal role in the intellectual formation of Sulkhan-Saba Orbeliani and his contemporaries.

This cultural milieu is most vividly reflected in the scribal activities of Zaal-Zosime Orbeliani. Colophons and other written sources demonstrate his direct involvement in the copying and reproduction of manuscripts, including the preservation and continuation of the manuscript tradition associated with the works and dictionary of Sulkhan-Saba Orbeliani. Zaal-Zosime’s work is significant not merely as an individual scribal effort, but as an

expression of a shared domestic culture in which the acquisition of knowledge, as well as the production and preservation of books, had become an integral part of the family's legacy.

The paper also considers evidence concerning the family's networks and relationships, its private library, and the transmission and circulation of codices. Such evidence makes it possible to view the Orbeliani family as a vital hub of knowledge and education, within which pedagogical, literary, and scribal activities were closely interconnected.Thus, through the examples of Zaal-Zosime and Sulkhan-Saba Orbeliani, the paper presents the cultural legacy of the Orbeliani family not merely through the biographies of individual figures, but within the broader context of the continuous processes of creating, preserving, and transmitting knowledge.

Based on manuscript colophons, written records, and codicological analysis, this study reconstructs the domestic environment that made a significant contribution to the development of Georgian literate and manuscript culture.

Keywords: Orbeliani family; Sulkhan-Saba; Zaal-Zosime; scribal culture; Georgian manuscripts; colophons.

აბსტრაქტი. პუბლიკაციაში განხილულია ორბელიანთა ოჯახის კულტურულ-საგანმანათლებლო გარემო და მისი როლი XVII–XVIII საუკუნეების ქართული მწიგნობრობისა და განათლების ისტორიაში. ორბელიანთა საგვარეულოს წარმომადგენელთა პოლიტიკური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის პარალელურად, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მათი დამოკიდებულება ცოდნის, განათლების, წიგნისა და მწიგნობრობისადმი. ოჯახის რამდენიმე თაობის საქმიანობა ცხადყოფს, რომ განათლება და წიგნიერება ორბელიანთა კულტურული ცხოვრების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენდა.

ნაშრომში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ვახტანგ ორბელიანისა და თამარ ერისთავის ოჯახს, რომელშიც აღზრდი-

ლი იყვნენ სულხან-საბა, ზაალ-ზოსიმე ორბელიანები და მათი ძმები. ოჯახის წევრთა საქმიანობა — ხელნაწერთა შეკრება, გადაწერა, დაცვა, გავრცელება, საეკლესიო და საერო მწიგნობრობა, მთარგმნელობითი და ლიტერატურული მოღვაწეობა — ქმნის იმ ინტელექტუალურ გარემოს, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა სულხან-საბა ორბელიანისა და მისი თანამოაზრეების ჩამოყალიბებაში.

ამ კულტურულ სივრცეს განსაკუთრებით თვალსაჩინოდ წარმოაჩენს ზაალ-ზოსიმე ორბელიანის მწიგნობრული საქმიანობა. ხელნაწერთა ანდერძ-მინაწერები და სხვა წერილობითი წყაროები გვიჩვენებს მის უშუალო მონაწილეობას ხელნაწერთა გადაწერასა და გამრავლებაში, მათ შორის სულხან-საბა ორბელიანის თხზულებებისა და ლექსიკონის ხელნაწერი ტრადიციის გაგრძელებაში. ზაალ-ზოსიმეს საქმიანობა მნიშვნელოვანია არა მხოლოდ როგორც ერთი მწიგნობრის მოღვაწეობა, არამედ როგორც იმ ოჯახური კულტურის გამოხატულება, სადაც ცოდნის შეძენა, წიგნის შექმნა, გადაწერა და შენარჩუნება მნიშვნელოვან სამწიგნობრო ტრადიციად იყო ქცეული. გამოკვლევაში გარკვეული ყურადღება ეთმობა ცნობებს ორბელიანთა ოჯახის ურთიერთკავშირების, საგვარეულო წიგნსაცავისა და ხელნაწერთა გადანაცვლების შესახებ, რაც საშუალებას იძლევა, იგი კიდევ ერთხელ წარმოჩნდეს როგორც ცოდნისა და განათლების მნიშვნელოვანი კერა, რომლის ფარგლებშიც ერთმანეთს უკავშირდებოდა საგანმანათლებლო, ლიტერატურული და მწიგნობრული მოღვაწეობა.

ამრიგად, ზაალ-ზოსიმესა და სულხან-საბა ორბელიანის მაგალითზე ნაშრომი წარმოაჩენს ორბელიანთა ოჯახის კულტურულ მემკვიდრეობას არა მხოლოდ ცალკეულ მოღვაწეთა ბიოგრაფიის, არამედ ცოდნის შექმნის, შენარჩუნებისა და გადაცემის უწყვეტი პროცესის კონტექსტში. ხელნაწერთა ანდერძ-მინაწერებზე, წერილობით წყაროებსა და ხელნაწერთა შესწავლაზე დაყრდნობით შესაძლებელი ხდება იმ საგვარეულო გარემოს ერ-

თგვარი რეკონსტრუქცია, რომელმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართული წიგნიერი კულტურის განვითარებაში.

საკვანძო სიტყვები: ორბელიანები; სულხან-საბა; ზაალ-ზოსიმე; მწიგნობრობა; ქართული ხელნაწერი; ანდერძ-მინაწერები.

ირინა გოგონაია
IRINA GOGONAIA

„კაის წყლის და ავის გამოცდისათვის“: წყლის ხარისხის განსაზღვრის საკითხები ქართულ ხელნაწერ წყაროებში (XV–XIX სს.)

“ON TESTING GOOD AND BAD WATER”: ASSESSING WATER QUALITY IN GEORGIAN MANUSCRIPT SOURCES (15th–19th Centuries)

Abstract. For much of history, water quality was assessed according to the “common-sense criterion,” which relied on the evaluation of its observable characteristics - that is, its organoleptic properties: colour, clarity, odour, and taste. This study aims to identify the methods of determining water quality preserved in Georgian manuscript sources dating from the fifteenth to the nineteenth centuries and to examine them in the context of the development of natural-scientific knowledge. The study employs historical-comparative and textual analysis.

Early criteria for assessing the “goodness” of water are presented in Zaza Panaskerteli-Tsitsishvili’s fifteenth-century medical treatise *Medical Book - Karabadini*. The subsection “Signs of Waters of Every Kind” states that drinking water should be “white and pure” and “sweet”; it should contain no visible living organisms (“no worms should be found in it”) and should be “light when weighed.” These characteristics combine the assessment of water’s colour, clarity, taste, visible impurities, and density. The final criterion may be regarded as an expression of empirical observations concerning the presence of dissolved and suspended substances in water.

From the eighteenth century onwards, chemical and physical testing methods were added to the organoleptic assessment of water. Particularly noteworthy in this respect is recipe §213, "On Testing Good and Bad Water," included in Vakhtang VI's work *Book of Mixing Oils and Chemistry Making (NCM S 3721).* In this recipe, water quality is determined by adding a silver nitrate solution—obtained through the action of *tezabi* on silver - to the water under examination: "If it turns cloudy, know that the water is bad; if it does not turn cloudy, the water is good." The described reaction may be associated with the use of silver nitrate to detect precipitate-forming ions in water, primarily chlorides. This recipe represents an important example of the chemical testing of water quality in the Georgian manuscript tradition.

A different practical method for determining water quality is preserved among the household recipes in manuscript Q 414, held at the Korneli Kekelidze Georgian National Centre of Manuscripts. After crushed barley is added to water and the mixture is kept in a warm environment for 48 hours, its clarity is assessed. Cloudiness is regarded as an indication that the water is unsuitable, whereas the preservation of clarity is considered a sign of its quality. The method is based on visual observation of changes occurring in water following the addition of an organic substrate and may provisionally be interpreted as an empirical biological test of water quality.

Analysis of the sources reveals a gradual expansion of water-quality assessment methods: observation based on organoleptic and physical characteristics was supplemented by chemical testing with a reagent and by the assessment of changes occurring in water after the addition of organic material. The texts examined reflect the coexistence of medical, chemical-technological, and household knowledge within the Georgian manuscript tradition, as well as attempts to determine water suitability through practical experience.

Keywords: water quality, Georgian manuscripts, organoleptic assessment, chemical testing, silver nitrate, Zaza Panaskerteli-Tsitsishvili, Vakhtang VI

აბსტრაქტი. ისტორიის ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში წყლის ხარისხს „საღი აზრის კრიტერიუმით“ აფასებდნენ, რაც წყლის გარეგნული მახასიათებლების, ანუ ორგანოლეპტიკური ნიშნების - ფერის, გამჭვირვალობის, სუნისა და გემოს - შეფასებას ეფუძნებოდა. წინამდებარე კვლევის მიზანია XV - XIX საუკუნეების ქართულ ხელნაწერ წყაროებში დაცული წყლის ხარისხის განსაზღვრის წესების გამოვლენა და მათი განხილვა საბუნებისმეტყველო ცოდნის განვითარების კონტექსტში. კვლევა ეფუძნება ისტორიულ-შედარებით და ტექსტოლოგიურ ანალიზს.

წყლის „კარგობის“ შეფასების ადრეული კრიტერიუმები წარმოდგენილია ზაზა ფანასკერტელი-ციციშვილის სამედიცინო ტრაქტატში „სამკურნალო წიგნი - კარაბადინი“ (XV ს.). ქვეთავში „ნიშანი ყოვლისა ფერისა წყალისა“ აღნიშნულია, რომ სასმელი წყალი უნდა იყოს „თეთრი და წმიდა“, „ტკბილი“, არ უნდა შეიცავდეს ხილულ ცოცხალ ორგანიზმებს („ჭია არა ისხდეს“) და „სასწორშიგა სუბუქი“ უნდა იყოს. ეს ნიშნები აერთიანებს წყლის ფერის, გამჭვირვალობის, გემოს, ხილული მინარევებისა და სიმკვრივის შეფასებას. უკანასკნელი კრიტერიუმი შეიძლება წყალში გახსნილი და შეწონილი ნივთიერებების შემცველობასთან დაკავშირებული ემპირიული დაკვირვების გამოხატულებად მივიჩნიოთ.

XVIII საუკუნიდან წყლის ორგანოლეპტიკურ შეფასებას ქიმიური და ფიზიკური გამოცდის მეთოდებიც ემატება. ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა ვახტანგ VI-ის თხზულებაში „წიგნი ზეთების შეზავებისა და ქიმიისა ქმნის“(ხეც S 3721) შეტანილი რეცეპტი (§213) - „კაის წყლის და ავის გამოცდისათვის“. პარაგრაფში წყლის ვარგისიანობა განისაზღვრება ვერცხლზე თეზაბის მოქმედებით მიღებული ვერცხლის ნიტრატის ხსნარის საკვლევ წყალზე ზემოქმედებით: „თუ აამღვრიოს, იცოდე, ავი

წყალია, თუ არ აამღვრიოს, კაი წყალია“. აღწერილი რეაქცია შეიძლება ვერცხლის ნიტრატის გამოყენებით წყალში ნალექის წარმომქმნელი იონების, უპირველესად კი ქლორიდების, გამოვლენას დავუკავშიროთ. ეს რეცეპტი ქართულ ხელნაწერ ტრადიციაში წყლის ხარისხის ქიმიური მეთოდებით გამოცდის ერთერთ მნიშვნელოვან ნიმუშს წარმოადგენს.

ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული ხელნაწერის Q 414 საოჯახო რეცეპტებში დაცულია წყლის ვარგისიანობის განსაზღვრის განსხვავებული, პრაქტიკული მეთოდი: წყალში დანაყული ქერის დამატებისა და თბილ გარემოში 48 საათით დაყოვნების შემდეგ ფასდება მისი გამჭვირვალობა. წყლის ამღვრევა უვარგისობის ნიშნად განიხილება, ხოლო გამჭვირვალობის შენარჩუნება - ხარისხის მაჩვენებლად. მეთოდი ემყარება ორგანული სუბსტრატის დამატების შემდეგ წყალში მიმდინარე ცვლილებების ვიზუალურ დაკვირვებას და პირობითად შეიძლება წყლის ხარისხის ემპირიულ-ბიოლოგიურ ტესტად შეფასდეს.

წყაროების ანალიზი აჩვენებს წყლის ხარისხის შეფასების მეთოდთა თანდათანობით გაფართოებას: ორგანოლეპტიკურ და ფიზიკურ ნიშნებზე დამყარებულ დაკვირვებას ემატება რეაგენტით ჩატარებული ქიმიური ცდა და ორგანული მასალის გამოყენებით წყალში მიმდინარე ცვლილებების შეფასება. განხილული ტექსტები ასახავს ქართულ ხელნაწერ ტრადიციაში სამედიცინო, ქიმიურ-ტექნოლოგიური და საყოფაცხოვრებო ცოდნის თანაარსებობასა და პრაქტიკული გამოცდილების საფუძველზე წყლის ვარგისიანობის განსაზღვრის მცდელობებს.

საკვანძო სიტყვები: წყლის ხარისხი, ქართული ხელნაწერები, ორგანოლეპტიკური შეფასება, ქიმიური ტესტი, ვერცხლის ნიტრატი, ზაზა ფანასკერტელი-ციციშვილი, ვახტანგ VI.

ნანი გელოვანი
NANI GELOVANI

ისლამური განათლება და საბჭოთა სახელმწიფო (1940-1980-იანი წლები): სამხრეთ კავკასიის ისტორიული გამოცდილება

ISLAMIC EDUCATION AND THE SOVIET STATE (1940s–1980s): HISTORICAL EXPERIENCE OF THE SOUTH CAUCASUS

Abstract. This study, based on a synthesis of archival materials and scholarly literature, examines and analyzes a less-studied aspect of Soviet religious policy: the state regulation of Islamic education and the training of a qualified Muslim clergy in the South Caucasus during the post-war period (1940s–1980s). Particular attention is given to the Islamic educational institution – the madrasa in the city of Baku – and the factors that hindered the establishment of an institutionalized system of Islamic education in the region. State policy played a significant role in this process by aiming to maintain strict administrative control over the education of the Muslim clergy. Consequently, Islamic education was viewed not merely as a religious matter, but as a political and administrative issue.

Keywords: South Caucasus, Baku, Madrasa, Islamic education, Muslim clergy

1930-იანი წლების მასობრივმა რეპრესიებმა და მეჩეთებისა და მედრესეების დახურვამ პრაქტიკულად გაანადგურა სამხრეთ კავკასიის (ამიერკავკასიის) ტრადიციული მუსლიმი სასუ-

ლიერო წოდება. მეორე მსოფლიო ომის პერიოდში საბჭოთა სახელმწიფოსა და რელიგიურ გაერთიანებებს შორის ურთიერთობის ტრანსფორმაციამ (1943-1944) საფუძველი ჩაუყარა საბჭოთა კონფესიური პოლიტიკის ახალ მოდელს. სამხრეთ კავკასიაში ამ პოლიტიკის მთავარ ინსტიტუციურ დასაყრდენად 1944 წელს (25-28 მაისი) ჩამოყალიბდა ამიერკავკასიის მუსლიმთა სასულიერო სამმართველო, რომელსაც ჰქონდა უნიკალური შიიტურ-სუნიტური პარიტეტული სტრუქტურა (შიიტური უმრავლესობა და სუნიტური უმცირესობა). სამმართველოს თავმჯდომარე იყო შეიხ-ულ-ისლამი (შიიტი), ხოლო მისი მოადგილე – მუფთი (სუნიტი). სამმართველოზე სახელმწიფო კონტროლს ახორციელებდა სსრკ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული რელიგიური კულტების საქმეთა საბჭო (19.05.1944-1965). მის ფუნქციებში შედიოდა აგრეთვე სამლოცველო ნაგებობების (მეჩეთების ჩათვლით) გახსნა ან დახურვა და კულტის მსახურების რეგისტრაცია. თუმცა რეგისტრირებული მუსლიმი კულტის მსახურების რაოდენობა ვერ აკმაყოფილებდა მორწმუნეთა მზარდ მოთხოვნას. ამასთან, მათ უმრავლესობას არ ჰქონდა სპეციალური რელიგიური განათლება.

1945 წლის 13 აგვისტოს ამიერკავკასიის მუსლიმთა სასულიერო სამმართველოს თვამჯდომარემ, აღა ალიზადემ შუამდგომლობის წერილით (№11-12) მიმართა სსრკ რელიგიური კულტების საქმეთა საბჭოს თავმჯდომარეს, ი. ვ. პოლიანსკის, რათა ნება დაერთო ესწავლებინათ რელიგიური მოძღვრება ქ. ნახიჩევანის მეჩეთში, მაგრამ უარი მიიღო. საბჭო თვლიდა, რომ მეჩეთები „განკუთვნილია მხოლოდ რელიგიური რიტუალების შესასრულებლად, როგორიცაა: კოლექტიური ლოცვების შესრულება, იმამების მიერ ქადაგებების (ხუტბის) წაკითხვა და ა.შ. “(ГАРФ, ф. Р-6991, оп.3, д.21, л.68).

1945 წლის 29 ნოემბერს უზბეკეთის სსრ სახალხო კომისართა საბჭომ, სსრკ სახალხო კომისართა საბჭოს 1945 წლის 10 ოქტომბრის განკარგულების (№14808-р) საფუძველზე, ნება დართო (გადაწყვეტილება №1879-212с) შუა აზიისა და ყაზახეთის მუს-

ლიმთა სამმართველოს გაეხსნა მედრესე ქ. ბუხარაში (მირ-ი არაბ), რომელიც ათეული წლების განმავლობაში იყო ერთადერთი ოფიციალური მუსლიმური სასწავლებელი საბჭოთა კავშირში. ბუხარის მედრესეში სასწავლო პროცესი დაიწყო 1946 წლიდან. თავდაპირველად განისაზღვრა სწავლების ვადა 9 წლით და საერთო კონტინგენტი 45 სტუდენტით (1949 წლიდან 30). მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ ბუხარის მედრესე ექვემდებარებოდა შუა აზიისა და ყაზახეთის მუსლიმთა რელიგიურ სამმართველოს და ამდენად, ყოველწლიური კონტინგენტის უმეტესობას შეადგენდნენ უზბეკეთის, ყაზახეთის, ყირგიზეთის, ტაჯიკეთისა და თურქმენეთის რესპუბლიკების მოქალაქეები. ამიერკავკასიის მუსლიმთა სასულიერო სამმართველოს ჰქონდა ყველაზე მცირე კვოტა – 1 ან 2 (ცალკეულ წლებში მიღება საერთოდ არ იყო).

1946 წლის პირველი ნახევრის ანგარიშში (05.07.1946) სსრკ რელიგიური კულტების საქმეთა საბჭოს რწმუნებული აზერბაიჯანის სსრ-ში (შაჰბაზბეკოვი) მოახსენებდა საბჭოს ამიერკავკასიის (აზერბაიჯანი, საქართველო, სომხეთი) მუსლიმთა თხოვნის თაობაზე – ნება დაერთოთ, თუნდაც არაოფიციალურად, მოემზადებინათ მუსლიმური კულტის მსახურები.

„ამიერკავკასიის მუსლიმთა სასულიერო სამმართველომ, თავისი წერილით 27.III.1946წ., მოგვმართა შემდეგი შინაარსის განცხადებით: ამიერკავკასიის მუსლიმთა სასულიერო სამმართველოს ჩამოყალიბების დღიდან, აზერბაიჯანში, საქართველოსა და სომხეთში მთავრობის ნებართვით, ზოგიერთ ქალაქსა და რაიონში გაიხსნა მეჩეთები და დაინიშნენ მოლები და ეფენდები. მაგრამ ზოგიერთ სოფელში და ქალაქებშიც კი შესაფერისი პირების არარსებობის გამო, სასულიერო სამმართველო იძულებული გახდა თანამდებობებზე დაემტკიცებინა კულტის მსახურები იმ პირთაგან, რომლებიც არ აკმაყოფილებდნენ მოლასა და მუფთის წოდებას. თუ შემოვიფარგლებით მოლებისა და ეფენდების ხელმისაწვდომი რაოდენობით, მაშინ უახლოეს მომავალში, მათი ნაკ-

ლებობის გამო, ჩვენ მოგვიწევს ზოგიერთი არსებული მეჩეთის დახურვა და, უდავოდ, გარკვეული პერიოდის შემდეგ, ამიერკავკასიის მუსლიმთა სასულიერო სამმართველოს თავის შემადგენლობაში არ ეყოლება შესაბამისი ულემები, რაც მის დაშლას გამოიწვევს.

ამ გარემოებამ მიიპყრო აზერბაიჯანის სსრ რეგიონებსა და ქალაქებში, აგრეთვე საქართველოსა და სომხეთში (ბაქო, თბილისი და ერევანი) მორწმუნე მუსლიმთა ყურადღება, რომლებმაც არაერთხელ მიმართეს წერილობით და ზეპირად თხოვნით სასულიერო სამმართველოს, რათა არაოფიციალური ფორმით მაინც დართონ ნება – მოამზადონ მოლები და ეფენდები. მაგრამ სასულიერო სამმართველომ, მიიჩნია, რომ რელიგიური კულტის მსახურების მომზადების ასეთი მოძველებული მეთოდი არა მხოლოდ არ შეესაბამება დროის სულისკვეთებას, არამედ საზიანოა, და არ მისცა მათ ასეთი ნებართვა და წაახალისა რელიგიური სკოლის (მედრესე) დაარსების დაჰირებით (ГАРФ, ф. Р-6991, оп. 3, д. 38, л. 96-97; ГАРФ, ф. Р-6991, оп. 3, д. 221, л. 26-29, 34).

ზემოაღნიშნულ წერილში სამმართველომ ხაზი გაუსვა იმ ფაქტსაც, რომ იმ პერიოდში მას არ შეეძლო მედრესეს გახსნა, რადგანაც არსებობდა სერიოზული წინააღმდეგობები: 1. მწირი ფინანსური რესურსები. *„სამმართველოს ფინანსური მდგომარეობა უკიდურესად სუსტია; მას არა მხოლოდ არ შეუძლია ასეთი მედრესეს გახსნა, არამედ სათანადოდ ვერ ახერხებს საკუთარი საქმეების მართვას. ეს აიხსნება იმით, რომ მორწმუნეებმა ჯერ კიდევ ვერ გაიგეს თავიანთი პასუხისმგებლობა, დაეხმარონ მატერიალურად სასულიერო სამმართველოს და ამ უკანასკნელს არ შეუძლია აუხსნას მათ საქმის რეალური მდგომარეობა. თუ მათ ყველა რაიონში მეჩეთების გახსნის უფლება მიეცემათ, მათი ფინანსური მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება (ამგვარად, „მედრესეს“ გახსნა შესაძლებელი იქნება, რაც ხელს შეუწყობს მოსახლეობის რწმენის განმტკიცებას მათი სამუშაოს სერიოზულობის*

მიმართ)“. 2. სათანადო სასწავლო პროგრამის მომზადება. ამდენად აუცილებელი იყო მთავრობის დახმარება.

აქვე აღვნიშნავთ, რომ 1946 წელს, დაღესტნის მოქმედი მეჩეთების წარმომადგენლებთან გამართულ კონფერენციაზე, ჩრდილოეთ კავკასიისთვისაც დაისვა მედრესეს გახსნის საკითხი, თუმცა სტუდენტების რაოდენობის, სწავლის ხანგრძლივობის, სასწავლო გეგმის, სასწავლო პერსონალისა და სახელმძღვანელოების უზრუნველყოფის ან თუნდაც სწავლების ენის შესახებ რაიმე დაკონკრეტების გარეშე. თუმცა, როდესაც ჩრდილო კავკასიის მულიმთა სასულიერო სამმართველომ მიმართა სსრკ რელიგიური კულტების საქმეთა საბჭოს მედრესეს გახსნის თაობაზე, მას ურჩიეს, თავი შეეკავებინა ამ მცდელობისგან იმ მოტივით, რომ უბრალოდ მის განკარგულებაში არ იყო ამისათვის საჭირო თანხები. მუფთი ხიზრი გებეკოვი დაეთანხმა ამ რეკომენდაციას (Ro’i, 2000:165). საარქივო დოკუმენტებში მივაკვლიეთ დაღესტნის ასსრ-ში სსრკ რელიგიური კულტების საქმეთა საბჭოს რწმუნებულის – ი. ზაქარიაევის მიერ საბჭოს თავმჯდომარის – ი.ვ. პოლიანსკისადმი გაგზავნილ წერილს (6 აპრილი, 1946), სადაც აღნიშნულია: *„ამჟამად, სასულიერო სამმართველო არ ამზადებს კულტის მსახურებს (ყადიებს, მუეძინებს, მოლებს) მედრესეს (რელიგიური სასწავლებლის) და კვალიფიციური მასწავლებლების (მუდარრის) არარსებობის გამო. მიუხედავად იმისა, რომ კულტის მსახურების მომზადება აუცილებელია, სასულიერო სამმართველო შეუფერებლად მიიჩნევს მედრესეს ორგანიზებას ჩრდილოეთ კავკასიაში სხვა სასულიერო სამმართველოებისაგან განცალკევებით“* (ГАРФ, ф. Р-6991, оп. 3, д.44, л. 7). ამავე წერილში რწმუნებული ხაზს უსვამს სსრკ-ში ერთიანი რელიგიურ-ადმინისტრაციული მუსლიმური ცენტრის დაარსების მიზანშეწონილებას. ამდენად, მიგვაჩნია, რომ მედრესესთან მიმართებაში გამოთქმული რწმუნებულის მოსაზრება მხოლოდ ამ „ერთიანობის“ და სამმართველოს მცირე შემოსავლების გამოძახილი უნდა იყოს.

1947 წელს ამიერკავკასიის მუსლიმთა სასულიერო სამმართველომ შუამდგომლობით (832-c) მიმართა სსრკ რელიგიური კულტების საქმეთა საბჭოს, რათა ნება დაერთოთ – გაეხსნათ ქ. ბაქოში უმაღლესი რელიგიური სასწავლებელი (მედრესე) მუსლიმი სასულიერო წოდების მოსამზადებლად. სწავლის ვადა განისაზღვრა 5 წლით და მოსწავლეთა რაოდენობა – 40-ით მედრესეს ყველა კურსზე. სწავლების ენად განისაზღვრა რუსული, აზერბაიჯანული, ფარსი (სპარსული) და არაბული. სამმართველომ შეიმუშავა მედრესეს სასწავლო პროგრამაც (ГАРФ, ф. Р-6991, оп. 3, д. 48, л. 72):

აზერბაიჯანულ ენაზე: 1. სსრკ-ს კონსტიტუცია და ისტორია; 2. აზერბაიჯანული ენა; 3. გრამატიკა; 4. ლიტერატურის თეორია; 5. ლიტერატურის ისტორია; 6. ისლამის ისტორია.

არაბულ ენაზე: 1. არაბული ენა (კითხვა); 2. ყურანი; 3. არაბული გრამატიკა და ლიტერატურა; 4. მუსლიმური სამართალი; 5. კანონმდებლობა; 6. ჰადისმცოდნეობა; 7. ეგზეგეტიკა 8. ლოგიკა; 9. რიტორიკა.

სპარსულ ენაზე: 1. სპარსული ენა; 2. გრამატიკა; 3. ლიტერატურა.

რუსულ ენაზე (მე-2 კურსიდან): 1. რუსული ენა; 2. გრამატიკა; 3. ლიტერატურა.

დოკუმენტში არ იყო მითითებული რომელ დისციპლინას რამდენი საათი ეთმობოდა და რომელი კურსიდან ისწავლებოდა. მხოლოდ რუსულ ენასთან დაკავშირებით იყო დაზუსტებული, რომ იწყებოდა მე-2 კურსიდან. აკადემიური დისციპლინების ჩამონათვალი აჩვენებს, რომ სწავლება უფრო ინტენსიური უნდა ყოფილიყო, ვიდრე ქ. ბუხარის მედრესეში – „მირ-ი არაბ“. 1947-1948 სასწავლო წელს ბუხარის მედრესეს სასწავლო პროგრამა მოიცავდა შემდეგ სასწავლო დისციპლინებს: 1. ყურანის კითხვის წესები; 2. ყურანის კომენტარები; 3. ჰადისები; 4. ფიკჰი (ისლამური იურისპრუდენცია); 5. არაბული ენა; 6. ისლამის ისტორია; 7. სპარსული ენა; 8. გეოგრაფია; 9. სსრკ ისტორია; 10. სსრკ კონსტი-

ტუცია; 11. უზბეკური ენა; 12. არითმეტიკა (Abdullayev, 2023:1-3; Ахмадуллин, 2013:235). თუმცა, ამ მედრესესა და სხვა სარწმუნოების საგანმანათლებლო დაწესებულებებში სასწავლო პროგრამების შედარება საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ მნიშვნელოვანი ნაწილი იყო საერო დისციპლინები. ეს, რა თქმა უნდა, წარმოადგენდა პარტიულ-სახელმწიფოებრივი აპარატის გავლენის შედეგს.

ბაქოს მედრესეში შესვლა შეეძლოთ არანაკლებ 18 წლის ახალგაზრდებს, რომლებმაც იცოდნენ არაბული წერა-კითხვა, *„ე.ი. პირები, ვინც ოქტომბრის რევოლუციამდე სწავლობდნენ მედრესეებში, მაგრამ რაიმე მიზეზის გამო ვერ დაამთავრეს ან პირები, ვინც სხვა გზით სწავლობდნენ არაბულ ენას“*. მედრესე უნდა განთავსებულიყო ქ. ბაქოში, რეგისტრირებული მეჩეთის – თეზეპირის შენობაში. სსრკ რელიგიური კულტების საქმეთა საბჭომ და აზერბაიჯანის სსრ მინისტრთა საბჭომ მხარი დაუჭირეს ამიერკავკასიის მუსლიმთა სასულიერო სამმართველოს შუამდგომლობას. საბჭომ თავისი პოზიცია დაასაბუთა იმით, რომ მედრესეს გახსნა „პოლიტიკურად დაუდასტურებდა“ არაბული აღმოსავლეთის, განსაკუთრებით ამიერკავკასიის მეზობელი ქვეყნების, ირანისა და თურქეთის მუსლიმებს სინდისის რეალურ თავისუფლებას სსრკ-ში (ГАРФ, ф. Р-6991, оп. 3, д. 48, л. 73).

საკითხის გადასაწყვეტად, რელიგიური კულტების საქმეთა საბჭომ მოამზადა სსრკ მინისტრთა საბჭოს განკარგულების პროექტი. 1947 წლის 30 დეკემბერს ი. სტალინმა ხელი მოაწერა მინისტრთა საბჭოს განკარგულებას (№ 19447-рс), რომლითაც ნებადართული ხდებოდა ბაქოში მედრესეს გახსნა არაუმეტეს 40 სტუდენტზე (ГАРФ, ф. Р-6991, оп. 3, д. 48 л. 74).

1948 წლის 12 იანვარს ი.ვ. პოლიანსკიმ მითითება მისცა აზერბაიჯანის სსრ რწმუნებულს – ბ. ა. შაჰბაზბეკოვს ბაქოში მედრესეს გახსნასთან დაკავშირებით, რაც ითვალისწინებდა მედრესეში მხოლოდ არანაკლებ 18 წლის ასაკის ამიერკავკასიის მცხოვრებთა ჩარიცხვას. ამასთან, რწმუნებულ შაჰბაზბეკოვს,

ამიერკავკასიის მუსლიმთა სასულიერო სამმართველოს თავმჯდომარესთან ერთად, მონაწილეობა უნდა მიეღო აბიტურიენტების შერჩევაში (ГАРФ, ф. Р-6991, оп.3, д. 222, л. 5-6). თუმცა, მედრესეს გახსნას ხელს უშლიდნენ მეჩეთის მობინადრენი, რომლებსაც დაკავებული ჰქონდათ მედრესესათვის განკუთვნილი ნაგებობა. აზერბაიჯანის სსრ მინისტრთა საბჭო დათანხმდა მათ გამოსახლებას, მაგრამ შემდეგ უარი განაცხადა.

1948 წლის დეკემბერში რწმუნებული შაჰბაზბეკოვი რელიგიური კულტების საქმეთა საბჭოს თავმჯდომარისადმი გაგზავნილ საინფორმაციო ანგარიშში აღნიშნავდა, რომ ქ. ბაქოში რელიგიური სასწავლებლის - მედრესეს გახსნის საკითხი დროულად გადაწყდა და ეცნობა ამიერკავკასიის მუსლიმთა სასულიერო სამმართველოს, მაგრამ მედრესე არ გაიხსნა. მიზეზად დასახელებულია სახსრების უქონლობა და სწავლის მსურველთა განცხადებების სიმცირე (7 განცხადება). ასევე მედრესესათვის განკუთვნილი თეზეპირის მეჩეთის ტერიტორია ვერ განთავისუფლდა მაცხოვრებლებისაგან „ბაქოში მწვავე საბინაო კრიზისის გამო“ (ГАРФ, ф. Р-6991, оп. 3, д. 222, л.56).

მიგვაჩნია, რომ ეს დოკუმენტი არ ასახავს მედრესეს გახსნის წარუმატებლობის ყველა მიზეზს. როგორც საარქივო დოკუმენტების ანალიზი გვიჩვენებს, პარტია და სახელმწიფო აპარატი ცდილობდა შეეზღუდა ყველა სარწმუნოების საგანმანათლებლო დაწესებულებაში შესვლის მსურველთა ნაკადი. სსრკ რელიგიური კულტების საქმეთა საბჭოს 1948 და 1949 წლის I კვარტლის საქმიანობის ანგარიშში მითითებულია, რომ *„ტაშკენტში მუსლიმთა სასულიერო სამმართველოს და ბაქოში მუსლიმთა სასულიერო სამმართველოს, მათი მოთხოვნების შესაბამისად, სსრკ-ის მთავრობამ ნება დართო გაეხსნათ რელიგიური საგანმანათლებლო დაწესებულებები – მედრესეები – მოლების მოსამზადებლად: ცენტრალური აზიისთვის ბუხარასა და ტაშკენტში და ამიერკავკასიისთვის ბაქოში. ამჟამად, ამ სამი მედრესიდან ფუნქციონირებს მხოლოდ ბუხარის მედრესე, რომელიც 1946 წელს გა-*

იხსნა. ეს მედრესე ცხრაწლიანი სწავლებისთვისაა განკუთვნილი, 60 სტუდენტისგან შემდგარი სტუდენტური კორპუსით; თუმცა, ამჟამად 42 სტუდენტი სწავლობს“ [РГАСПИ, ф. 17, оп. 132, д. 111, л.61]. აქვე აღვნიშნავთ, რომ 1949 წლისათვის აზერბაიჯანში იყო 16 რეგისტრირებული მეჩეთი.

1956 წლის აპრილში ამიერკავკასიის მუსლიმთა სასულიერო სამმართველოს თავმჯდომარემ, შეიხ-ულ-ისლამმა, ჰაქიმ-ზადემ სთხოვა სსრკ რელიგიური კულტების საქმეთა საბჭოს წევრს, ლ. ა. პრიხოდკოს, ბაქოში მედრესეს გახსნა 15-20 სტუდენტზე, სწავლის პერიოდი – 3 წელი (Ro'i, 2000:179). 1956 წლის ივლისში შეიხ-ულ-ისლამმა ჰაქიმ-ზადემ, ყადიებმა (სულეიმან-ზადე და ახუნდ-ზადე) და სამმართველოს მდივანმა რზაევმა განუმარტეს სსრკ რელიგიური კულტების საქმეთა საბჭოს რწმუნებულს აზერბაიჯანის სსრ-ში მ. მამედოვს, რომ უცხოელი სტუმრები მუდმივად სვამდნენ კითხვებს რესპუბლიკაში მედრესეების არარსებობის მიზეზებთან დაკავშირებით და შესთავაზეს ბაქოში, თეზეპირის მეჩეთში, 15-20 სტუდენტისთვის მედრესეს გახსნა. 1956 წლის აგვისტოში რელიგიური კულტების საქმეთა საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა, ვ.ი. გოსტევმა აზერბაიჯანის სსრ-ის რწმუნებულს მითითებები გაუგზავნა, რათა ამიერკავკასიის მუსლიმთა სასულიერო სამმართველოს თავმჯდომარისთვის აეხსნა, რომ მედრესეს გახსნის შესახებ ახალი ოფიციალური შუამდგომლობა უნდა წარედგინა, რომელშიც მითითებული იქნებოდა სტუდენტების რაოდენობა, პედაგოგიური პერსონალის შემადგენლობა, სწავლის ხანგრძლივობა, სასწავლო გეგმა და ადგილმდებარეობა (ГАРФ, ф. Р-6991, оп. 4, д. 55, л. 42-43; Ахмадуллин, 2013:221-22).

1956 წელს ქ. ბაქოში მუსლიმი სასულიერო წოდების თათბირზე გადაწყდა, რომ ამიერკავკასიის მუსლიმთა სასულიერო სამმართველოს ქვემდებარე მეჩეთებს გარკვეული თანხა უნდა შეეტანათ სამმართველოს ბიუჯეტში მედრესეს გახსნისათვის. მაგ., თბილისის ჯუმა მეჩეთს დაეკისრა 10 000 რუბლის გადახდა.

თუმცა, 1956 წლის ბოლოსათვის მეჩეთს გადარიცხული ჰქონდა მხოლოდ 1 000 რუბლი, რასაც მეჩეთის მოლა ბიკიაშევი მეჩეთის მცირე შემოსავლებით ხსნიდა (ГАРФ, ф. Р-6991, оп. 3, д. 343, л. 146). ამიერკავკასიის მუსლიმთა სასულიერო სამმართველოს მცდელობების მიუხედავად, მედრესე არ გაიხსნა.

შემდგომი წლის მოხსენებებში სსრკ რელიგიური კულტების საქმეთა საბჭოს ხელმძღვანელი პირები განაგრძობდნენ თანხმობის გამოხატვას ბაქოს მედრესეს გახსნაზე. თუმცა, მხოლოდ პერესტროიკისა და სახელმწიფო რელიგიური პოლიტიკის ლიბერალიზაციის პერიოდში, 1989 წლის 17 იანვარს, სსრკ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა რელიგიების საქმეთა საბჭომ (ჩამოყალიბდა 1965 წელს) მიიღო ოფიციალური დადგენილება (ოქმი №2), რომლის მიხედვითაც ამიერკავკასიის მუსლიმთა სასულიერო სამმართველოს ქ. ბაქოში (თავმჯდომარე – შეიხ-ულ-ისლამი ალაჰშუქურ ფაშა-ზადე) ისლამური მედრესეს გახსნის უფლება მიეცა. სასწავლო პროგრამა გათვლილი იყო ორ წელზე და ეფუძნებოდა ცნობილი მედრესეს – „მირ-ი არაბ“ გამოცდილებას. თუმცა თავსებადი იყო აზერბაიჯანში დომინანტურ ისლამის შიიტურ მიმართულებასთან. ქ. ბაქოში მედრესე ოფიციალურად გაიხსნა 1989 წლის სექტემბერში (Джалялов, 1989:3; Ордуханова, 1989). 1990 წელს მასში სწავლობდა 86 სტუდენტი.

ქ. ბაქოში ისლამური მედრესეს გახსნა იყო მნიშვნელოვანი ეტაპი აზერბაიჯანში ისლამური განათლების ინსტიტუციური აღდგენის საქმეში. ეს იყო პირველი ოფიციალური მუსლიმური საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც საბჭოთა ხელისუფლებამ დაუშვა სამხრეთ კავკასიაში თითქმის 70-წლიანი შუალედის შემდეგ. 1991 წლის 14 იანვარს, კავკასიის მუსლიმთა სასულიერო სამმართველოს საბჭოს გადაწყვეტილებით, მედრესე გადაკეთდა ბაქოს ისლამურ ინსტიტუტად (1996-2018 – ბაქოს ისლამური უნივერსიტეტი). ამავე წელს პირველად ჩატარდა მისაღები გამოცდები, რომლის შედეგების მიხედვით ინსტიტუტში ჩაირიცხა 20 სტუდენტი.

განხილული მასალის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ საბჭოთა პერიოდში სამხრეთ კავკასიაში ისლამური განათლების ისტორია წარმოადგენს სახელმწიფოს, რელიგიურ ინსტიტუტებსა და მუსლიმ სასულიერო წოდებას შორის ურთიერთქმედების რთულ პროცესს. ერთი მხრივ, სახელმწიფოს სჭირდებოდა ლოიალური, კვალიფიციური სასულიერო პირები რეგისტრირებული მეჩეთების სამართავად და საგარეო პროპაგანდისთვის; მეორე მხრივ, ცენტრალური და ადგილობრივი პარტიული აპარატი კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა სამხრეთ კავკასიაში ადგილობრივი ისლამური სასწავლებლის (მედრესეს) გახსნას შიიტური თვითშეგნების ამაღლებისა და რელიგიური განათლების დეცენტრალიზაციის შიშით. 1940-1980-იან წლებში ისლამური განათლების ტრანსფორმაცია სამხრეთ კავკასიაში აერთიანებდა ორ პარალელურად მიმდინარე პროცესს: 1. პარტიული და სახელმწიფო აპარატის ქმედებები ისლამური განათლების მკაცრი კონტროლისა და მისი შეზღუდვის მიზნით; 2. მუსლიმი ლიდერების ნაკლებად შედეგიანი მცდელობები ისლამური განათლების სისტემის ჩამოსაყალიბებლად, რომელიც უპასუხებდა დროის მოთხოვნებს.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

1. ГАРФ (Государственный архив Российской Федерации), ф. Р-6991, оп.3, д.21 (“Письмо председателя Совета по делам религиозных культов при Совмине СССР И.В. Полянского уполномоченному Совета по делам религиозных культов по Азербайджанской ССР Б.А. Шахбазбекову по вопросу о преподавании религиозного учения в мечетях,” 1945-09-6), л.68.
2. ГАРФ, ф. Р-6991, оп. 3, д. 38 (“Отчетный доклад Уполномоченного СДРК по Азербайджанской ССР за первое полугодие 1946 года,” 1946-06), л.96-97.

3. ГАРФ, ф. Р-6991, оп. 3, д. 221 (“Информация уполномоченного Совета по делам религиозных культов при Совмине СССР по Азербайджанской ССР Б.А. Шахбазбекова председателю Совета по делам религиозных культов при Совмине СССР И.В. Полянскому о религиозном движении,” 1946-07-5), л. 26-29, 34.
4. ГАРФ, ф. Р-6991, оп. 3, д. 222 (“Материалы о работе уполномоченного по Азербайджанской ССР,” 1948г.), л. 5-6.
5. ГАРФ, ф. Р-6991, оп. 3, д. 222 (“Информация уполномоченного Совета по делам религиозных культов при Совмине СССР по Азербайджанской ССР Б.А. Шахбазбекова председателю Совета по делам религиозных культов при Совмине СССР И.В. Полянскому о религиозном движении,”1948-12-22), л. 56.
6. ГАРФ, ф. Р-6991, оп. 3, д. 48 (“Ворошилову о ходатайстве ДУМ Закавказья об открытии медрессе в Баку,” 1947-12-10), л.72-73.
7. ГАРФ, ф. Р-6991, оп. 4, д. 55, (“Протокол заседания СДРК по вопросу утверждения планов Уполномоченных Совета на II полугодие 1956 года,” 1956-07-03), л. 42-43.
8. ГАРФ, ф. Р-6991, оп. 3, д. 343 (“Запись беседы уполномоченного Совета по делам религиозных культов при Совмине СССР по Грузинской ССР Д.А. Шалуташвили с муллой тбилисской мечети о визите иностранной делегации,” 1956-11-23), л.146.
9. ГАРФ, ф. Р-6991, оп. 3, д.44 (“Уполномоченный СДРК по Дагестанской АССР Закарьяев Председателю Совета Полянскому о ДУМ Северного Кавказа,”1946-04-06), л. 7.
10. РГАСПИ (Российский государственный архив социально-политической истории), ф. 17, оп. 132, д. 111 (“Докладная записка о работе СДРК за 1948 и I квартал 1949 годов,” 1949-04-23), л.61.

11. Abdullayev, Z. “Mir-Arab Madrasa: A Timeless Beacon of Islamic Scholarship and Spirituality,” Web of Scientists and Scholars: Journal of Multidisciplinary Research, 1(7), (2023), 1-3;
12. Ro’i, Y. Islam in the Soviet Union: From the Second World War to Gorbachev, London/New York, 2000.
13. Ахмадуллин, В.А. “Ислам в Советском Азербайджане в 40-е – 60-е годы XX в.,” Milli Azərbaycan Tarixi Muzeyi, Baki, 2013, 214-231.
14. Ахмадуллин, В.А. “Типичные ошибки исследователей, изучающих исламское образование в СССР,” Пространство и Время, 3(13), 2013, 235-238.
15. Джалялов, А. “Вуз для служителей ислама,” газ. Известия, 21 ноября, 1989.
16. Ордуханова, Х. “Медресе в Баку,” газ. Бакинский рабочий, 14 апреля,1989.

მერაბ მეგრელიშვილი, ნიკოლოზ მეგრელიშვილი
MERAB MEGRELISHVILI, NIKOLOZ MEGRELISHVILI

სალოცავი სახლები და რელიგიური სკოლები აჭარაში
(XIX საუკუნის დასასრული XX საუკუნის დასაწყისი)
PLACES OF WORSHIP AND RELIGIOUS SCHOOLS IN AJARA
(LATE 19TH CENTURY – EARLY 20TH Century)

Abstract. In 2010, employees of the State Archives of Ajara published a collection of documents titled *"Religious Institutions in Ajara."* Furthermore, materials regarding the construction of churches in Batumi (1895-1909)are preserved in the Central State Historical Archive of Georgia. During the 19th century, the population of Batumi was multi-confessional, and the local religious communities enjoyed specific rights - a status particularly evident in the cases of the Armenian Apostolic (Gregorian) and Armenian Catholic communities.

This article outlines the activities of places of worship and religious schools operating in Ajara during the late 19th and early 20th centuries. The religious schools attached to these institutions functioned as sanctuaries of knowledge, grounded in the premise that knowledge itself constitutes faith. Similarly, the Gelati Academy - founded by King David the Builder and his spiritual father, George of Chqondidi - restored the Georgian people's faith in and love for their country, self-belief, and the essence of faith itself.

A place of worship (*salotsavi sakhli*) also represents a spiritual hearth established by a believer within their own household. A local saying in Ajara reflects this tradition: *"Be a worthy person, and pray wherever you wish."* Inhabitants of this region would construct a shrine within a room adorned with hand-woven carpets, viewing religious institutions fundamentally as assemblies of the parish. Etymologically, the word *sasuliero* ("spiritual") - formed with the Georgian prefix *sa* - is

intrinsically linked to *suli* ("soul"), denoting an individual's inner world, national consciousness, faith, and spiritual identity.

Keywords: House of prayer, spiritual center, religious school, nationality, divine service.

***

აჭარის შემოერთების შემდეგ, ქართველი კაცის სინამდვილიდან გამომდინარე, რუსეთის ხელისუფლება იბრძოდა ეროვნული ცნობიერების, ქართული სულის გამოვლინების წინააღმდეგ. ისინი ყველაფერს აკეთებდნენ იმისთვის, რომ ქართველი კაცის სხეულში ჩაენერგილიყო რუსული სული. საბედნიეროდ, ქართული სულის პროტეზირება შეუძლებელია.

1878 წელს, ბათუმში არსებობდა მხოლოდ ერთი ბერძნული სკოლა, რომელსაც ერქვა „ევროპული“ და ასევე მეჩეთთან არსებული რამდენიმე რელიგიური სკოლა,რომელიც აერთიანებდა 50 მოსწავლეს. [ასს. ფ. ი-7, ან. 1, ს. 705, ფურც. 11]) 1919 წლის 19 მარტს, ქალაქის სათათბირო სხდომამ განიხილა მუსლიმური სკოლის საკითხი, რომელიც მოემსახურებოდა სხვადასხვა ეროვნების მუსლიმ ბავშვთა აღზრდას, სინამდვილეში, ეს იყო სპეციალური თურქული სკოლა და ის გაიხსნა თურქების ბათუმში შემოსვლის დროს, სმეკალოვის და შერემეტიევის ქუჩების კუთხეში. თურქულ სკოლაში სწავლობდა 175 მოსწავლე და სწავლა მიმდინარეობდა თურქულ ენაზე. ბათუმის ვაჟთა გიმნაზიაში ქრისტიანული რელიგიური სწავლება მიმდინარეობდა რუსულ ენაზე, მღვდელმთავარ ფილარეტის სახელმძღვანელოს მიხედვით. რელიგიურ სკოლაში საღვთო სჯულს, კათეხიზმს, რწმენის სიმბოლოებს. რუსეთის ქრისტიანული ეკლესიის ისტორიას, ასწავლიდნენ სმირნოვის სახელმძღვანელოს მიხედვით. 1912 წლის ნოემბრიდან, გიმნაზიაში კათოლიკური, მუსლიმური და ებრაული აღმსარებლობის მქონე ბავშვებისთვის დაწესდა რელიგიური სწავლება. [ასს. ფ. ი-7, ან. 1, ს. 41, ფურც. 68] გიმნაზიაში საღვთო სჯულს ასწავლიდა პატრი, გაბრიელ ასლანიშვილი,

პროტესტანტულ რელიგიას ა. ბენგოფი, მაჰმადის სჯულს ხუსეინ ეფენდი ალიოღლი, იუდაიზმს გ.მ. რადოვილსკი. მე-19 საუკუნის დასასრულს და მე-20 საკუნის დასაწყისში ბათუმის ეკლესიებთან არსებობდა გურია-სამეგრელოს ეპარქიის რელიგიური სკოლები, კერძოდ, ყოფილი აზიზიეს, დღევანდელი თავისუფლების მოედანზე დეკანოზ ა. რალცევიჩის საღვთისმეტყველო სკოლა, რომელშიც ასწავლიდნენ ცნობილი მასწავლებლები ნიკოლოზ ზალსკი და ეკატერინე ნაუმოვა. ბათუმის ქალთა, ბერძნული საეკლესიო სკოლის გამგე იყო მღვდელმსახური კონსტანტინე ცანდუკოვი. ბათუმში კათოლიკის, დღევანდელი სტეფანე ზუბალაშვილის ქუჩაზე, ფუნქციონირებდა სომხურ-კათოლიკური საეკლესიო სკოლა, რომელსაც ხელმძღვანელობდა ტერ გრიგოლ პუჩინიანი. 1891 წელს, წმინდა ელენეს და კონსტანტინეს სახელობის, კვირიკეს ეკლესიასთან დაარსდა წმინდა გიორგის ერთ კლასიანი სასწავლებელი. 1808 წელს დაგვის ღვთისმშობლის ეკლესიასთან გაიხსნა მამაკაცთა და ქალთა ერთკლასიანი სასწავლებელი, ხოლო 1912 წელს,ახალშენის ფერისცვალების ეკლესიასთან მოქმედი ერთკლასიანი, შერეული სახის სკოლა (ნ. დერჟავინი, ნარკვევები ბათუმის ისტორიიდან ბათუმი 1903 წელი გვ 49)

სომეხ კათოლიკეებს ბათუმში უფრო ადრე ჰქონდათ გახსნილი ეკლესია, ვიდრე ევროპელ კათოლიკეებს. სომხები მოითხოვდნენ, რომ ღვთისმსახურება ჯერ სომხურ ენაზე წარმართულიყო და შემდეგ ლათინურზე. ასევე სომხები მიანიშნებდნენ მათი ეკლესიის სივიწროვეზე და მოითხოვდნენ ევროპელებისთვის ცალკე სამლოცველოს გმოყოფას, რადგან მაშინ როცა სომხები ლოცულობდნენ, ევროპელი კათოლიკეები ქუჩაში უცდიდნენ. 1895 წლის 15 სექტემბერს, კავკასიის სამოქალაქო საზოგადოება სთხოვს შუამდგომლობას იტალიის, საფრანგეთის, ავსტრია-უნგრეთის კონსულებს, რომ რომაულ-კათოლიკური ეკლესიის გახსნამდე, სალოცავი სახლი მოწყობილიყო ბათუმელი პატრის, ანსელმ მღებრიშვილის სახლში. [ასს. ფ. ი-7, ან. 1, ს. 11 ფურც. 7]

1896 წლის 15 მაისს, ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი მიმართავს კავკასიის მთავარმმართველს, რომ ბათუმელ კათოლიკეებს მიეცეს უფლება, წმინდა სამების დღესასწაულზე შეიკრიბონ და ილოცონ ლათინურ ენაზე, მ.კუმურდმოანის სახლში.[ასს. ფ. ი-7, ან. 1, ს. 11 ფურც. 27]

რაც შეეხება ბათუმელ კათოლიკეებს, რომლებიც შეადგენდნენ ბათუმში ჩამოსულ 100 კაცს, ისინი მხარს უჭერდნენ სომხური კათოლიკური ეკლესიის გახსნას. რუსეთის ხელისუფლების დამოკიდებულებას ევროპელების მიმართ, განსაძღვრავდა არა მარტო მათი ეროვნება, არამედ, მასთან ერთად რელიგია.

1898-1903 წლებში, ბათუმში კათოლიკეების ქუჩაზე მიმდინარეობდა ღვთისმშობლის, მარიამის სახელობის ეკლესიის მშენებლობა, რომელსაც ხელმძღვანელობდნენ იტალიიდან მოწვეული მხატვრები და არქიტექტორები. აღნიშნული ტაძარი აშენდა გვიან გოთური, აღორძინების დიზაინით. ტაძრის მშენებლობის ღირებულებამ 250 000 მანეთს გადააჭარბა. მარიამის სახელობის ტაძარი აშენდა ბათუმელი ქველმოქმედის, სტეფანე ზუბალაშვილის დედის, ელისბედ თუმანიშვილის ხსოვნის უკვდავსაყოფად. 1909 წლის 15 დეკემბერს, ბათუმის თვითმმართველობის სხდომაზე დაისვა საკითხი კათოლიკურ ეკლესიასთან ქართველი და პოლონელი ბავშვებისთვის ერთიანი სკოლის გახსნის შესახებ. თვითმმართველობის სხდომაზე არაერთგვაროვანი შეფასება მიეცა რელიგიური სკოლის გახსნას, რითაც გამომჟღავნდა რუსეთის ხელისუფლების დამოკიდებულება ბათუმში მცხოვრები ქართველების და პოლონელების მიმართ.

რუსებისგან მხარდაჭერილი სომხები, პრეტენზიას აცხადებდნენ ბათუმის სასწავლო საგანმანათლებლო და რელიგიურ დაწესებულებებში სომხური ენის უპირატესობაზე.

1896 წლის 26 იანვარს, ეჩმიაძინის ეკლესიის სომეხი მრევლი, კავკასიის სამოქალაქო საზოგადოებას და კავკასიის მმართველს სთხოვს,რომ ირანის ქალაქ ამადანის მცხოვრებ მუს-

ლიმს, ახმედ სადინ ოღლის, მიეცეს უფლება მოინათლოს სომხურ-გრიგორიანული წესით. [ასს. ფ. ი-7, ან. 1, ს. 11 ფურც. 6]

აჭარის შემოერთების შემდეგ, რუსეთის ხელისუფლება დაინტერესდა მუსლიმი სამღვდელოების განათლების ცენზით. ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორი კავკასიის მეფისნაცვალს უგზავნის მიმართვას, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ განათლების მიხედვით მოლები იყოფიან ორ კატეგორიად 1. განათლება მიღებული რუსეთის იმპერიის ფარგლებში და მის გარეთ. პირველნი თეორიულ ცოდნას გადასცემდნენ. მოლების მოსწავლეები იყვნენ იმამები. განათლების სრულყოფის მიზნით ისინი მიდიოდნენ თურქეთში და ითვლებოდნენ უფრო განათლებულებად. მუსლიმი მრევლი განათლებას ღებულობდა ტრაპიზონში, რომელიც იმ პერიოდში დაკავებული იყო რუსეთის ჯარების მიერ და შეადგენდა ლაზისტანის ნაწილს. ბათუმის ოლქში, სუსტად იყო განვითარებული მუსლიმური განათლების მოსამზადებელი კურსები. დიპლომის ხარისხი დაბალი იყო, ნაკლებად იყო თეოლოგიური ცოდნის მქონე, პროფესიონალი პედაგოგები, ვიდრე დაღესტანში. არ არსებობდა ქრისტიანულის მსგავსი, განვითარებული ღვთისმეტყველება, მეცნიერებათა სწავლების სისტემა და სასულიერო განათლების მიღების მსურველნი. მუსლიმი პედაგოგები განათლებას ღებულობდნენ მრავალი წლის განმავლობაში და იღებდნენ სპეციალისტის ატესტატს. ამის ძირითად მიზეზი იყო თუქეთთან სიახლოვე და მუსლიმი მრევლის ლეგალური ურთიერთობა. თურქებს დიდად არ აინტერესებდათ მათთვის საჭირო განათლების მიცემა და რაც საჭირო იყო, იმითაც კმაყოფილდებოდნენ. ზემოთ აღნიშნულ მიმართვაში, სასულიერო პირთა ზნეობრივი მხარე დადებითად არის შეფასებული, თუმცა მოსახლეობაში ისინი ნაკლები ავტორიტეტით სარგებლობდნენ, იშვიათად მოიძებნებოდა აჭარის ოლქში მუსლიმი მოლების,ზოგიერთი მოქალაქის და ბეგის გამოკლებით, მოეწმუნენი, რომლებსაც შეეძლოთ წაეკითხათ მუსლიმური წერილი. აჭარის ოლქის მუსლიმი მრევლი ძირითადად

სწავლობდა ქადაგებას, მეჩეთის სკოლებში ან სახლში. მეჩეთთან არსებული სკოლები და მოსწავლეთა რაოდენობა იზრდებოდა და ეს იმით აიხსნებოდა, რომ მოლებს დიდი შემოსავალი ჰქონდათ და ისინი იზიდავდნენ ბავშვების ყურადღებას. რუსეთის ხელისუფლება ცდილობდა ზედამხედველობა გაეწია აჭარაში მუსლიმური, რელიგიური სწავლებისთვის. რუსეთის ხელისუფლება კონტროლს უწევდა აჭარაში არსებულ მუსლიმურ, რელიგიურ სკოლებს.


წარმოგიდგენთ, 1913-1918 წლებში, ართვინში და ბათუმის ოლქში არსებულ მუსლიმურ სკოლებს.


მხარეში, უბანში	სკოლების რაოდენობა	მუსლიმი მასწ.	მოსწ. რაოდენობა
კინტრიში	1916-21 1913-30	21 30	842 1136
ქვემო აჭარა	1916-44 1913-62	35 62	539 1537
ზემო აჭარა	1916-54 1913-54	25 48	687 847
გონიო	1916--- 1913-46	-- 27	-- 1043
არტანუჯი	1916-8 1913-48	8 48	257 1468
შავშეთ-იმერხევი	1916-43 1913-37	43 37	1253 1039
ართვინი	1916- -- 1913-44	-- --	-- 1363
ბათუმი	1916— 1913 –	-- --	--- ---

მუსლიმი მასწავლებლების უმეტესობას, განათლება ბათუმის ოლქსი ჰქონდა მიღებული. **[ასს. ფ. ი-1, ან. 1, ს. 751 ფურც. 1]**


1891 წლის 18 ნოემბერს, ბათუმის თვითმმართველობის სხდომამ განიხილა, აზიზიეს მოედანზე მეჩეთის შემოღობვის, მისთვის ეზოს მოწყობისთვის მიწის გამოყოფის და მუსლიმი სამღვდელოებისთვის სალოცავი სახლის გახსნის საკითხი.[ასს. ფ. ი-7, ან. 1, ს. 162 ფურც. 1], [ასს. ფ. ი-7, ან. 1, ს. 44 ფურც. 1]

წარმოგიდგენთ, XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დასაწყისში აჭარაში არსებული სალოცავი სახლებისა და რელიგიური სკოლების საქმიანობის ამსახველ დოკუმენტურ მასალას.





ასს. ფ. ი-59, ან. 1, ს. 4 ფურც. 16.ასს. ფ. ი-4, ან. 1, ს. 76 ფურც. 484



[ასს. ფ. ი-4, ან. 1, ს. 76 ფურც. 397]

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

ასს. ფ. ი-7, ან. 1, ს. 705-აჭარის საარქივო სამმართველო, ფონდი ი-7 ანაწერი 1, საქმე 705

ასს. ფ. ი-7, ან. 1, ს. 41-აჭარის საარქივო სამმართველო, ფონდი ი-7 ანაწერი 1, საქმე 41

ასს. ფ. ი-7, ან. 1, ს. 11-აჭარის საარქივო სამმართველო, ფონდი ი-7 ანაწერი 1, საქმე 11

ასს. ფ. ი-7, ან. 1, ს. 751-აჭარის საარქივო სამმართველო, ფონდი ი-7 ანაწერი 1, საქმე 751

ასს. ფ. ი-7, ან. 1, ს. 751-აჭარის საარქივო სამმართველო, ფონდი ი-7 ანაწერი 1, საქმე 751

ასს. ფ. ი-4, ან. 1, ს. 76-აჭარის საარქივო სამმართველო, ფონდი ი-4 ანაწერი 1, საქმე 76
ასს. ფ. ი-7, ან. 1, ს. 162-აჭარის საარქივო სამმართველო, ფონდი ი-7 ანაწერი 1, საქმე 162
ასს. ფ. ი-7, ან. 1, ს. 44-აჭარის საარქივო სამმართველო, ფონდი ი-7 ანაწერი 1, საქმე 44
ასს. ფ. ი-59, ან. 1, ს. 4-აჭარის საარქივო სამმართველო, ფონდი ი-59 ანაწერი 1, საქმე 4.

ნია კომახიძე
NIA KOMAKHIDZE

ილია ჭავჭავაძის „განდეგილის“ ფსიქოლოგიური და ასკეტურ-ღვთისმეტყველური პარადიგმები

PSYCHOLOGICAL AND ASCETIC-THEOLOGICAL PARADIGMS IN ILIA CHAVCHAVADZE'S "THE HERMIT"

Abstract. he present paper is dedicated to the artistic-philosophical and psychological analysis of Ilia Chavchavadze's poem *The Hermit*, the central theme of which is the phenomenon of asceticism and religious reclusion. Based on a historical-comparative and philological analysis of the text, the research aims to substantiate the thesis that reclusion does not constitute an effective path for escaping sin and earthly passions. The study examines the evolution of the meaning of asceticism from antiquity to Christian monasticism, as well as the principles of moderation and reasonableness within the Georgian monastic tradition. The comprehensive analysis demonstrates that the protagonist's tragedy is caused not so much by an accidental external factor (the appearance of the shepherdess), but rather by the unnaturalness of the ascetic concept itself and the neglect of human earthly and empirical origins. The paper rigorously establishes that true spiritual transformation is achieved not through physical flight from the mundane world, but through the awareness of one's own weaknesses, the preservation of a humanistic connection with one's neighbor, and the defense of humanity amidst the storms of life.

***

ასკეტიზმი ანუ განდეგილობა საუკუნეების განმავლობაში, როგორც წესი, აღიქმებოდა, როგორც წუთისოფლის საცდურებისგან განდგომისა და ღვთაებრივთან აბსოლუტური სიახლო-

ვის ძიების იდეალისტური აქტი. თუმცა, ილია ჭავჭავაძის პოემა „განდეგილი“ ბევრად უფრო რთულ, პარადოქსულ სულიერ და ფსიქოლოგიურ რეალობაზე მიგვითითებს. აქედან გამომდინარე, იბადება ფუნდამენტური კითხვა: როდის მიდის ადამიანი განდეგილად — მაშინ, როდესაც მისი რწმენა მწვერვალს აღწევს და ღმერთთან სიახლოვე სურს, თუ მაშინ, როდესაც საკუთარი დაცემული ბუნებისა და ცოდვილობის პირისპირ აღმოჩენის შიში აიძულებს მას სენაკში გამოიკეტოს?

ილია ჭავჭავაძის ნაწარმოების გმირის ილუზიურ სულიერ სიმშვიდესა და სიწმინდეს, რასაც სიმბოლურად ციდან დაშვებული ნათლის სხივი გამოხატავს, უეცრად მოსული მწყემსი ქალის გამოჩენა და ერთი მიწიერი ღიმილი ანგრევს. თემის აქტუალურობა მდგომარეობს იმაში, რომ ბერის დრამა არ არის მხოლოდ რელიგიური ხასიათის — ეს არის ყოველი ადამიანის ფსიქოლოგიური ბრძოლა საკუთარ ეგოსთან, სულიერ სიამაყესთან და ილუზიურ სიწმინდეთან.

ნაშრომის მიზანია, ილია ჭავჭავაძის „განდეგილის“ ტექსტის შედარებითი ანალიზის საფუძველზე, გამოვლინდეს, რომ განდეგილობა არ წარმოადგენს ცოდვისგან თავის დაღწევის ჭეშმარიტ გზას. ნაშრომში დასაბუთდება თეზისი, რომ ჭეშმარიტი სულიერი ტრანსფორმაცია მიიღწევა არა წუთისოფლისგან ფიზიკური გაქცევით ან მხოლოდ საკუთარ ძალებზე დაყრდნობით, არამედ საკუთარი ცოდვილობის, სისუსტისა და ნების სრული ექსპროპრიაციის გაცნობიერებით.

ნაშრომის საკვლევი კითხვებია:

1. რა უბიძგებს ადამიანს განდეგილობისკენ - გაცნობიერებულია ეს თუ არა?
2. რა არის განდეგილის დაცემის ნამდვილი მიზეზი - გამოიწვია ეს მწყემსი ქალმა თუ სულიერმა სისუსტემ?
3. რა ფსიქოლოგიურ კრიზისს ააშკარავებს ნათლის სხივის გაქრობა?

ნაშრომის აუდიტორია განკუთვნილია ფართო საზოგადოებისთვის, ნებისმიერი მკითხველისთვის, ვინც ეძებს პასუხებს მარადიულ ეგზისტენციალურ კითხვებზე: სად გადის ზღვარი სიწმინდესა და სიამაყეს შორის და როგორ უმკლავდება ადამიანი საკუთარ ფარულ სუსტ წერტილებს.

ასკეტიზმის ცნების ევოლუცია და ისტორიული კონტექსტი. საკითხის მეცნიერული შესწავლისთვის აუცილებელია თავად ტერმინის ფილოლოგიური განხილვა, რაც ნათლად აჩვენებს მისი მნიშვნელობის ევოლუციას დროში. სიტყვა „ასკეტიზმი“ სათავეს იღებს ბერძნული ზმნიდან *„ასკეო“*, რაც პირველყოფილ ეპოქაში პრაქტიკულ, ხელოსნურ საქმიანობას — უხეში მასალის, კერძოდ კი ტყავის გადამუშავებასა და მისგან ნივთების დამზადებას გულისხმობდა.

მოგვიანებით, ანტიკურ საბერძნეთში, მან სპეციფიკური სემანტიკური დატვირთვა შეიძინა და ათლეტების ფიზიკურ გაკაჟებას, სისტემატურ ვარჯიშსა და იმ მკაცრ, თავშეკავებულ ცხოვრების წესს დაუკავშირდა, რომელსაც სპორტსმენები არენაზე გამოსვლისა და ბრძოლებში გამარჯვების მოპოვებისთვის გადიოდნენ. ზოგადსაკაცობრიო და ქრისტიანულ ჭრილში კი ასკეტიზმი განიმარტება როგორც ამქვეყნიური ამაოებიდან განდგომა, ხორცის მოკვდინება და ადამიანური ვნებებისა თუ ეგოისტური სურვილების მიზანმიმართული დათრგუნვა.

ისტორიულ-შედარებითი ანალიზი აჩვენებს, რომ ასკეტიზმი, როგორც ამქვეყნიური ლტოლვებისა და ვნებების შეზღუდვის ფორმა, არ წარმოადგენს მხოლოდ ქრისტიანული ეპოქის ფენომენს. იგი უძველესი დროიდანვე არსებობდა ქრისტიანობამდელ სხვადასხვა რელიგიურ, მისტიკურ და ფილოსოფიურ მიმდინარეობებში. პარალელებს ვხვდებით აღმოსავლურ რელიგიებში (ბრაჰმანიზმი და ბუდიზმი), ახლოაღმოსავლურ კულტებში (სპარსული მითრაიზმი და ეგვიპტური სერაპისის კულტი), იუდაისტურ გარემოში და ანტიკურ ფილოსოფიაში.

რაც შეეხება უშუალოდ ქრისტიანულ ასკეტიზმს, ვითარება რადიკალურად შეიცვალა IV საუკუნიდან. მას შემდეგ, რაც ქრისტიანების დევნა შეწყდა, „ახალ მოწამეობად“ მონაზვნობა და მკაცრი ასკეზისი იქცა. ქრისტიანული განდეგილური მოძრაობისა და უდაბნოს მონაზვნობის მამამთავრად III–IV საუკუნეების მიჯნაზე მოღვაწე წმინდა ანტონ დიდი იქნა აღიარებული. თუმცა, ვინაიდან განდეგილობა დიდ სულიერ საფრთხეებთან იყო დაკავშირებული, მალევე ჩაეყარა საფუძველი კინოვიალურ, ანუ საერთო საცხოვრებლის ტიპის მონაზვნობას, რომლის დამფუძნებლად და პირველი სამონასტრო წესდების ავტორად პახომ დიდი (292–348 წწ.) გვევლინება.

მნიშვნელოვანია იმის ხაზგასმა, რომ მართლმადიდებლური და ზოგადქრისტიანული სწავლებით, ასკეტიზმი და ხორციელი თვითგვემა არასოდეს ყოფილა და არც წარმოადგენს უზენაეს თვითმიზანს. ასკეტიზმის ღვთისმეტყველური არსი მთლიანად ბიბლიურ მოტივაციასა და ქრისტესმიერ სწავლებაზეა დაფუძნებული. იგი მოითხოვს საკუთარი ეგოცენტრული ბუნების უარყოფას, პირადი ჯვრის ნებაყოფლობით ტვირთვას, პავლე მოციქულის მიერ ხსენებული ცოდვითი „ძველი კაცის“ განძარცვას და მის ტრანსფორმაციას სულიერად განახლებულ „ახალ კაცად“. ამ პროცესის საბოლოო მიზანი ადამიანში პირველქმნილი, ცოდვით შებღალული ღვთის ხატებისა და მსგავსების აღდგენაა.

სულიერი განახლების ეს დინამიკა იდეალურად არის გამოხატული პავლე მოციქულის სიტყვებში, რომელიც ასკეზისის მთავარ ორიენტირს აყალიბებს: წმინდად ფიზიკური, ხორციელი ვარჯიში და შეზღუდვა ნაკლებად სასარგებლოა, თუ მას არ ახლავს ღრმა შინაგანი, სულიერი წვრთნა. ქრისტიანული ასკეზისის უზენაესი მიზანია, რომ „გარეშე ესე კაცი ჩუენი განიხრწნების, არამედ შინაგანი განახლდების დღითი დღედ“.

საინტერესოა, რომ ასკეტიზმის ეს მკაცრი იდეალი ლოკალურ ნიადაგზე ადაპტაციას განიცდიდა. ქართულ სამონასტრო

პრაქტიკაში ადრექრისტიანული, ეგვიპტური უდაბნოსთვის დამახასიათებელი უკიდურესი და რადიკალური ფიზიკური სიმკაცრე დროთა განმავლობაში შეიცვალა ბევრად უფრო ჰუმანური, გაწონასწორებული მიდგომით. ქართულმა ტრადიციამ აქცენტი გადაიტანა გონიერებაზე, რომელიც მკაცრად ითვალისწინებდა ადამიანის ფიზიკური ძალებისა და სულიერი შესაძლებლობების რეალურ ზღვარს, რათა ასკეზას ადამიანი კი არ დაეუძლურებინა, არამედ სულიერად განეკურნა.

ფსიქოლოგიური და მხატვრული ანალიზი: ორი მსოფლმხედველობის დაპირისპირება. „განდეგილში“ მკითხველისათვის ნათლადაა დაპირისპირებული ორი მსოფლმხედველობა, ორი ძალა - რეალური და ირეალური. განდეგილი ცხოვრებას გაქცევია: „სააქაო საიქიოსათვის დაუთმია“, „ხორცი სულისთვის უწამებია“, მაგრამ განდეგილს უპირისპირდება მწყემსი ქალი, რომელიც ცხოვრების ჩქეფისა და დუღილის განსახიერებაა. მას უყვარს ცხოვრება ემპირიული, ხილული; ის მასში ხედავს სიამოვნების, სილამაზისა და კმაყოფილების წყაროს.

როგორც მ. ზანდუროვა აღნიშნავს თავის ნაშრომში („ილია ჭავჭავაძის მხატვრული ოსტატობა“, თბ., 1968), ,,განდეგილის“ დედააზრი მკითხველთათვის აშკარაა: კაცის სიცოცხლე ცხოვრების გარეშე ამაოა, კაცი ცხოვრების გარეშე ვერ მოიპოვებს ვერც სიმშვიდეს და ვერც კმაყოფილებას; ის ისევე განადგურდება უკვალოდ, როგორც განადგურდა თვით განდეგილი.

კაცობრიობის ისტორიასა და ლიტერატურულ სივრცეში სოზოგადოებისაგან, წუთისოფლის შფოთისა და მიწიერი ყოფიერებისგან შეგნებულად დისტანცირება არასოდეს ყოფილა უბრალო ფიზიკური გადაადგილება სივრცეში; ეს არის, უპირველეს ყოვლისა, ღრმა ეგზისტენციალური, სულიერი და ფსიქოლოგიური არჩევანი. რელიგიურ-მისტიკურ ჭრილში განდეგილობა განიხილება არა როგორც ცხოვრებისგან უსუსური გაქცევა, არამედ როგორც უმძიმესი სამოღვაწეო ასპარეზი. ადამიანი მიდის იმ დასკვნამდე, რომ მიწიერი, ემპირიული სამყარო თავისი ცდუნე-

ბებით, ქაოსითა და მატერიალური ინტერესებით აბრკოლებს სულის განვითარებას. განდეგილი ეძებს ღმერთთან, აბსოლუტთან პირისპირ დგომას, რაც ხალხმრავლობაში, სოციალურ როლებსა და ყოველდღიურ რუტინაში მისთვის შეუძლებლად მიაჩნია.

ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, ჩნდება კითხვა: არის კი ეს გადაწყვეტილება ბოლომდე გაცნობიერებული? ზედაპირულ დონეზე, ასკეტი დარწმუნებულია საკუთარ არჩევანში; მას ამოძრავებს იდეალებისა და რეალობის შეჯახებით გამოწვეული პროტესტი და სურვილი, გადაარჩინოს მორალური ავთენტურობა იქ, სადაც საზოგადოების „ზნეობრივი ტემპერატურა“ დაცემულია. მაგრამ ტრაგედია სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ადამიანს ქვეცნობიერად სჯერა, თითქოს ფიზიკური განმარტოებითა და კლდეში გამოკეტვით ძირეულად შეცვლის საკუთარ ბუნებას. ეს არის ილუზია, რომლის გაუცნობიერებლობაც ილია ჭავჭავაძის პოემაში გენიალური მხატვრული სიზუსტით შიშვლდება. ლიტერატურული კრიტიკა გვაჩვენებს, რომ საკუთარ მიწიერ ფესვებსა და კაცობრიულ მეხსიერებას ვერსად გაექცევი. მწყემსი ქალის გამოჩენა ხდება იმის სიმბოლო, რომ რეალური, ხილული სამყარო მაინც იპოვის გზას მიუვალ კლდეში გამოკეტილ ასკეტამდე, რადგან ადამიანის არსება ორმხრივია — იგი თანაბრად ეკუთვნის როგორც ზეცას, ისე მიწას, და ამ ბუნებრივი კავშირის ხელოვნურად, მხოლოდ ნებისყოფით გაწყვეტის მცდელობა გარდაუვალი ფსიქოლოგიური და სულიერი მსხვრევით სრულდება.

ვახტანგ კოტეტიშვილი წერს: „ილია ჭავჭავაძის განდეგილი კი არ აღმოჩნდა აქ სუსტი, არამედ თვით განდეგილობის იდეა, რადგან პოეტის აზრით საბოლოოდ მაინც შეუძლებელია სურვილთა იმ ათასნაირი ქსელების დაწყვეტა, რომელნიც გვაკავშირებენ ცხოვრებასთან და რომელნიც თვით ხანგრძლივ განდეგილობაშიც კი ცნაურდებიან შურის, წყევლის, წყურვილის თუ უბრალო ტკბილ მოგონებათა სახითო.“

კიტა აბაშიძის აზრით კი: „...ამ ბრძოლის ამგვარად დასრულებით პოეტს თითქოს ის უნდოდა ეთქვა, ტყუილად ნუ ცდილობთ გაექცეთ ცხოვრებას: მისგან გაქცევა შეუძლებელია და ვინც კი ამას მოინდომებს, განდეგილის ბედს შეეყრებაო“ („ეტიუდები XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიიდან“, 1962:162).

ლიტერატურული ანალიზი გვიჩვენებს, რომ მწყემსი ქალი არ არის ტრაგედიის პირველმიზეზი. მან უბრალოდ განდეგილის სულში მანამდე არსებული ფარული ბზარი დაანახვა მკითხველს. დაცემის ნამდვილი მიზეზი იმალება არა კონკრეტულ „ცდუნებაში“, არამედ თავად განდეგილობის იდეის არაბუნებრიობაში. ვახტანგ კოტეტიშვილის მართებული შენიშვნით, პოემაში სუსტი აღმოჩნდა არა თავად პერსონაჟი, არამედ თვით განდეგილობის კონცეფცია, რადგან შეუძლებელია იმ კაცობრიული ძაფების საბოლოოდ გაწყვეტა, რომლებიც ადამიანს წუთისოფელთან აკავშირებს.

შესაბამისად, ის, რაც ზედაპირულად „სულიერ სისუსტედ“ შეიძლება მოგვეჩვენოს, სინამდვილეში არის ადამიანის ბუნებრივი, მიწიერი და ემპირიული საწყისის აჯანყება ხელოვნური ასკეტიზმის წინააღმდეგ. განდეგილი მარცხდება იმიტომ, რომ მისი სულიერი კონსტრუქცია აგებული იყო ილუზიაზე - თითქოს სამყაროსგან გაქცევით ვნებების დათრგუნვა და აბსოლუტური ვაკუუმის შექმნა შესაძლებელი გახდებოდა. მწყემსი ქალი, რომელიც ცხოვრების ჩქეფისა და ხილული სილამაზის განსახიერებაა, მხოლოდ ააშკარავებს იმ ფაქტს, რომ ხანგრძლივი განმარტოების მიუხედავად, ბერში მიწიერი წყურვილი და ტკბილ მოგონებათა სახეები არ გამქრალა. ამრიგად, დაცემა არის არა ერთი კონკრეტული ადამიანის მორალური კრახი, არამედ იმ მსოფლმხედველობის გარდაუვალი მსხვრევა, რომელიც უარყოფს სიცოცხლეს და ჰუმანისტურ კავშირს სამყაროსთან.

ეგზისტენციალური კრიზისი: ნათლის სხივის გაქრობა. ამ ფსიქოლოგიური მსხვრევის კულმინაციას პოემაში ნათლის სხი-

ვის გაქრობა და კრიალოსნის ძირს დავარდნა წარმოადგენს, რაც მხოლოდ ფიზიკური ან მისტიკური მოვლენა როდია; იგი განდეგილის შინაგანი სამყაროს სრული ანატომიაა და ააშკარავებს უმძიმეს ეგზისტენციალურ კრიზისს. წლების განმავლობაში ასკეტის ფსიქოლოგიური წონასწორობა და თვითაღქმა ემყარებოდა ერთადერთ ილუზიას — რომ იგი იყო მიწიერ ბუნებაზე ამაღლებული, რჩეული არსება. ნათლის სხივი, რომელზედაც იგი ლოცვისას კრიალოსანს ჰკიდებდა, მისთვის ამ „სიწმინდის“ გარეგან, ხელშესახებ დასტურს წარმოადგენდა. შესაბამისად, სხივის გაქრობა ნიშნავს იმ ხელოვნური იდენტობის მყისიერ ნგრევას, რომელსაც მან მთელი ცხოვრება შეწირა, და ბერი პირისპირ რჩება საკუთარ რეალურ, მანამდე უარყოფილ ადამიანურ ბუნებასთან.

ამავდროულად, ეს სიმბოლური აქტი აშიშვლებს აბსოლუტური გაუცხოებისა და ეგზისტენციალური ვაკუუმის კრიზისს. განდეგილმა თავისი ნებით თქვა უარი ადამიანებზე, სოციალურ კავშირებსა და ამქვეყნიურ სიყვარულზე იმ იმედით, რომ სანაცვლოდ ტრანსცენდენტურ, ღვთაებრივ დასტურს მიიღებდა. სხივის გაქრობით იგი აცნობიერებს, რომ დაკარგა ორივე სამყარო: საერო ცხოვრება მან თავად უარყო, ხოლო ზესთასოფელმა იგი მიატოვა. ეს მომენტი წარმოაჩენს იმ ფსიქოლოგიურ მახეს, რომელშიც რადიკალური ასკეტიზმი აგდებს ინდივიდს, როდესაც უმცირესი ბუნებრივი იმპულსიც კი (წამიერი გატაცება ხილული სილამაზით) აღიქმება როგორც ტოტალური კატასტროფა და გამოუსწორებელი ცოდვა. განდეგილის ფსიქიკა ვერ უძლებს ამ მკაცრ შინაგან კონფლიქტს, რაც იწვევს გონებრივ პარალიზს, სრულ სასოწარკვეთას და, საბოლოოდ, მის ფიზიკურ თვითგანადგურებას. კოტეტიშვილისეული თეორიის ჭრილში, ნათლის სხივის გაქრობა არის არა უბრალოდ სასჯელი, არამედ იმის დემონსტრირება, თუ როგორ უარს ამბობს თავად ბუნება და სამყარო იმ ადამიანის მფარველობაზე, რომელმაც უარყო სიცოცხლის ემპირიული რეალობა და ჰუმანისტური დანიშნულება.

ამრიგად, ნაშრომში დასაბუთებული თეზისი ნათელყოფს, რომ ჭეშმარიტი სულიერი ტრანსფორმაცია მიიღწევა არა წუთისოფლისგან ფიზიკური გაქცევით, არამედ საკუთარი ადამიანური ბუნების, სისუსტეებისა და სოციალური პასუხისმგებლობის სრული გაცნობიერებით. ქართული სამონასტრო ტრადიციის მსგავსად, რომელიც ყოველთვის გონიერებასა და ზომიერებაზე აკეთებდა აქცენტს, ილია ჭავჭავაძეც თავისი შემოქმედებით ააშკარავებს, რომ კაცის სიცოცხლე ცხოვრების, მოქმედებისა და ადამიანებთან ჰუმანისტური კავშირის გარეშე ამაოა. „განდეგილის“ მარადიული აქტუალურობა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ იგი ნებისმიერ მკითხველს აიძულებს დაფიქრდეს საკუთარ ფარულ სუსტ წერტილებზე და დაინახოს, რომ ნამდვილი სიწმინდე არა სამყაროსგან განდგომაში, არამედ წუთისოფლის ქარტეხილებში ადამიანობის შენარჩუნებასა და მოყვასის სიყვარულში ვლინდება.

ლიტერატურა:

1. ჭავჭავაძე, ილია. *თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად*. ტ. 4. თბილისი: „საქართველო“, 1987.
2. კოტეტიშვილი, ვახტანგი. *ეტიუდები XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიიდან*. თბილისი: საბჭოთა საქართველო, 1962;
3. აბაშიძე, კიტა. *ეტიუდები XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის შესახებ*. თბილისი: ლიტერატურა და ხელოვნება, 1964.
4. მენაბდე, ლევან. *ძველი ქართული მწერლობის კერები*. ტ. I. თბილისი: მეცნიერება, 1980.

ნათია კალანდაძე
NATIA KALANDADZE

ლომის კარის ეკლესია – ,,ძლიერი ლომისკარელი“
LOMIS KARI CHURCH - 'THE STRONG LOMISKARELI'

Abstract. The present paper is dedicated to one of the most fascinating phenomena of the historical and ethnographic past of Upper Guria — the history of the "Lomiscareli" icon and the St. George church located in the village of Shuasurebi (on the Zakhtouri hill). The text examines the folkloric legends surrounding the origin of the icon, its significance in the social and moral life of the local population, and its role in the region's socio-political processes. Particular attention is paid to the clash between the traditional religious worldview and the new revolutionary ideology at the end of the 19th and the beginning of the 20th century (specifically during the "Guria Movement" of 1905). The paper illustrates how the Social Democratic committee sought to undermine the deeply rooted religious fear and authority among the people, which ultimately led to the destruction of the Lomiscareli icon and the profanation of the church building.

***

,,ზემო გურია, სადაც სოფელი სურები მდებარეობს, აჭარა-იმერეთის ქედის ჩრდილო განშტოებაზეა განფენილი და გამო-ირჩევა მარჯვე, მოხერხებული, შეიძლება ითქვას, სტრატეგიული მდებარეობით იმერეთს, გურიასა და სამეგრელოს შორის. მესხე-თის ქედის ქედი, რბილი და ტალღოვანი მოხაზულობითა და ალაგ-ალაგ ,,კლდეკარისებური“ ხეობებით ხასიათდება. მისი ჩრდილო, საშუალომთიანი ეროზიული რელიეფის ექსპოზიცია, მეცნიერებაში გურიის, იმავე ნიგოითის სერის სახელითაა ცნობი-ლი. იგი ორგანული რელიეფური მთლიანობის მასივია, რომე-ლიც მხოლოდ ორგან არის გარღვეული,-დასავლეთით მდინარე

სუფსის, ხოლო აღმოსავლეთით მისგან მთა-ქედების ზოლით გამოყოფილი მდინარე ხევისწყლის ხეობით“ (მარუაშვილი,1964: 298).

სოფელ სურებში, უფრო დაკონკრეტებით, შუასურებში, მდებარეობს ჩვენი წერილის ობიექტი. სოფლის ცენტრიდან მოშორებით ,,ზახტოურის“ გორაზე იდგა, წმიდა გიორგის სახელობის პატარა ტაძარი, ,,ლომისკარელი“, რომელშიც დაბრძანებული იყო წმიდა გიორგის ხატი. ლომისკარელის ამბავი ერთი ძალიან უცნაური და საინტერესო ამბავია...

,,ლომისკარელის“ სახელწოდებასთან დაკავშირებით, ვფიქრობთ, გასათვალისწინებელია შემდეგი გარემოება, ხშირად მესხეთიდან გურიაში ძნელბედობისა თუ სხვა მიზეზით მიგრირებულ მოსახლეობას თან მოჰქონდა, ხატ-ჯვრები და მათ ახალ საბრძანებელს ძველი სახელით, ძველი ტოპონიმებით ნათლავდნენ.,,ლომის მთა, როგორც ნ. ბერძენიშვილმა გაარკვია, მთაგრეხილის მთელ ზოლს რქმევია“ (ბერძენიშვილი, 1964: 253).

,,ლომისკარელის“ ჩვენს ხეობაში გამოჩენის შესახებ არსებობს ფოლკლორული გადმოცემა: ერთხელ, თურმე, საქართველოს დიდ გაჭირვების ჟამს, კავკასიონის ქედზე საიდანღაც სამი ძმა მოფრენილა-სამივე ლომისის წმინდა გიორგად ცნობილნი და იქ გაუმართავთ ერთმანეთს შორის თათბირი, თუ როგორ მიშველებოდნენ საქართველოს და როგორ დაეხსნათ ის გასაჭირისაგან. გადაეწყვიტათ, სამი მხრიდან დასდგომოდნენ ჩვენს ქვეყანას დარაჯად. თვით უფროსი ძმა კავკასიონის ქედზე დარჩენილა, ესაა ,,ლომისის წმინდა გიორგი“, საშუალო ძმა დასავლეთით გაფრენილა-,,ილორის წმინდა გიორგი“, ხოლო უმცროსი სურების ხეობაში ჩამოფრენილა, მისთვის ლომისკარელი უწოდებიათ. იგი ახლომახლო ხეობაში ყველაზე სახელიანი ხატი გახდა, მისი ეკლესია სურებში საკმაოდ მდიდარ ეკლესიად ითვლებოდა, მოგვიანებით მისმა მღვდელმა -- სიმონ ტრაპაიძემ ხატს აუშენა მშვენიერი ეკლესია“ (კუდავა, 2012: 122).

მუნიციპალიტეტის ცენტრიდან 17კმ-ის დაშორებით, მთაგორიანი სოფელი შუასურები ფიჩვაკის მთებიდან გადმომსკდარი მდინარე სუფსის ხეობის შუაწელის ორივე ნაპირზეა განფენილი. მდინარე სუფსა ერთია, რომელიც გურიის სამდინარო ქსელის მთავრი არტერიაა და გრიგოლეთში უერთდება შავ ზღვას. მდინარე სუფსა წყალუხვი ხდება, როცა მას ყველაზე დიდი შენაკადი, მდინარე გუბაზეული, უერთდება. სურები სამადაა გაყოფილი. ქვემო სურები (დიდი ვანი), შუა სურები და ზემოსურები.

საქართველოს სხვადასხვა კუთხეების მსგავსად, გურიაშიც ოდითგან იყო ღვთის შიში და სიყვარული, პატივისცემა ქრისტიანული სარწმუნოების მიმართ. მაგალითია ჩოხატაურის სოფელ შუა ამაღლებაში უდაბნოს ქვაში ნაკვეთი იოანე ნათლისმცემლის სახელობის მამათა სამონასტრო კომპლექსი, რომელიც მკვლევარ-მეცნიერთა აზრით IV-V საუკუნით თარიღდება, როცა იწყება ბერ-ასკეტთა ცხოვრება საქართველოში.

,,ძველ გურიაში ქრისტიანული სარწმუნოება მტკიცე ყოფილა, წარსულ საუკუნეში გურულებს ქრისტეს ჯვარი ერთგულად და ვაჟკაცურად რომ არ ეტარებინათ, ხმალთან ერთად ისიც რომ მუდმივ ხელთ არ ჰქონოდათ, ვერც გურიას შეინარჩუნებდნენ და ვერც ქართველებად დარჩებოდნენ. განსაკუთრებით ძლიერი იყო პატივისცემა ლომისკარელის ხატისა. ლომისკარელზე გადაცემა დიდ უბედურებად ითვლებოდა და ლომისკარელზე ნათქვამ ფიცს ძნელად თუ გატეხავდა გურული. ლომისკარელი ხშირად უფრო ძლიერი ყოფილა, ვიდრე გამოცდილი გამომძიებელი და პროკურორი. ბევრი შემთხვევა ყოფილა, რომ ბოროტმოქმედს გულახდილად უღიარებია დიდხანს ნამალევი საიდუმლოება“ (გოგიბერიძე 1978: 139).

,,წმიდა გიორგის სახელობის ეკლესიის (ლომისკარელი) მრევლში 24 კომლი შედიოდა, რომელსაც გურიის ერისთავები ფლობდნენ. არსებობდა ცნობა, რომლის მიხედვითაც დავით შარვაშიძემ და მისმა ძმამ, ზაალმა, წმ. ლომისკარელის სამწყსო უბოძა ტრაპაიძეებს. ანიზდარ ტრაპაიძეს მოუჭედინებია თუ გა-

ნუახლებია ლომისკარელის ჯვარი. ლომისკარელში ინახებოდა წმ. გიორგის ხატი, რომელიც მთელ გურიაში სახელგანთქმული იყო. თუ ვინმე დაკარგავდა რაიმეს, მომპარავს ხატზე გადასცემდა. ,,იგი უეჭველად ააყვირებს ქურდს ე.ი. ავად გახდის, ვიდრე ნაქურდალს პატრონს არ დაუბრუნებს ან დააფიცებენ ლომისკარელზე საეჭვო ადამიანებს და რაც უნდა სულით დაცემული იყოს ადამიანი, სიცრუის დაფიცებას ვერ გაბედავს“ (ქართველიშვილი; 2006: 73).

,,ლომის კარელს“ გარეგნობაც მრისხანე ჰქონდა. ის იყო ჯვარი, რომლის სიმაღლე ერთი არშინი იქნებოდა და სიგანით-ორი მკლავი, არა ამაზე ნაკლები, თავიდან ფეხებამდე ვერცხლით იყო მოჭედილი და მკერდსაც სამი დიდი ბრჭყვიალა თვალი უმკობდა, ეცვა წითელი მაუდის პერანგი“ (კუდავა, 2012: 120).

უამრავი თქმულება არსებობს წმიდა გიორგის ხატის შესახებ, როგორც დამკვიდრებასთან ასევე გატაცებასთან დაკავშირებით:

მოსახლეობაში გავრცელებული იყო ვერსია: სოფელში მოსულა ვინმე გიორგი ბერიშვილი, რომელსაც ბატონი მოუკლავს, საცხოვრებელი დაუტოვებია, აგილობრივებისთვის თავშესაფარი უთხოვია. სოფელს ერთგულებას ეფიცებოდა, ირწმუნებოდა ეკლესიას შესწირავდა ყოვლისშემძლე წმიდა გიორგის ძლიერ ხატს, რომელმაც მას ხელი გაუწოდა დიდ გაჭირვებაში. ხატი სოფელსაც დაეხმარებოდა და იხსნიდა ყველა განსაცდელისგან, ეს იყო დიდი, ხანგრძლივი გვალვები, გადაუღებელი, ძლიერი წვიმა და თოვლი, სნეულთა განკურნება და სხვა. მართლაც ადგილ საჯვარეზე ,,ნაფაცხვარზე“ ფაცხა აუშენებია, კერია გაუჩაღებია, ეზო-კარი შემოუღობავს, მრევლში ჩაწერილა და საკმაოდ სიტყვაძუნწ გიორგის, კვირა დღეს წირვის დაწყებამდე ტაძარში მისულს, ტყავებში სუფთად და სათუთად შეხვეული წმიდა გიორგის ხატი გადაუცია მღვდლისთვის. საჩუქრისთვის პირველი შესაწირავიც მას გაუკეთებია.

სხვადასხვა ჩანაწერებიდან ირკვევა, რომ ლომისკარელის სახელზე ნაკურთხი ტაძარი ორჯერ აშენდა. პირველი ზომით პატარა ეკლესია, რომლის აშენების თარიღი უცნობია მრევლს ვეღარ იტევდა ლომისკარელი - სიმბოლო სინდისის, რწმენის, სიმართლის, სიყვარულის და სიკეთის, თავის მხრივ, ერთგულებას, პატივისცემას, შიშსა და სიყვარულს იმსახურებდა. საჭირო გახდა ახლი ტაძრის აშენება, აღნიშნული ტაძრის შენობა 1889 წელს, შეუძენია სოფელ ქვემოსურების ,,გაღმა დობიროს“ მოსახლეობას ეკლესიად. 1893 წელს ზახტოურის გორაზე აშენდა ხის ძალიან ლამაზი ეკლესია, შესაფერისი კოხტა სამრეკლოთი, ,,ლომისკარელის“ სახელთ ცნობილი, რომელმაც სახელი გაუთქვა მთლიანად სუფსის ხეობას და სამომავლოდ შეცვალა ხეობის ბედი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქვემოსურების მოსახლეობამ ააშენა ტაძარი, მაგრამ მას სახელი ლომისკარელი არ გაჰყოლია.

საყურადღებო ფაქტია, რომ ხატს კარედათაც მოიხსენიებდნენ, ,,ლომის-კარედი“ გაზეთ ,,ცნობის ფურცლის“ ერთ-ერთ სტატიაში ვკითხულობთ: ,,სოფელი შუასურები განთქმულია იმით, რომ აქაურს ეკლესიაში ასვენია ძლიერი ხატი წმიდის გიორგისა, ე.წ. ,,ლომის-კარედი“, რომელსაც დიდ-ძალი შესაწირავი მოსდის, რის გამოც ,,ლომის-კარედის“ ეკლესია ერთ-ერთ- უმდიდრესთაგანია გურიაში“ (ცნობის ფურცელი, 1898: 654).

,,ვერავინ ბედავდა ლომისკარელისთვის პირდაპირ შეეხედა და თვალი გაესწორებინა. ყველა რაღაც გაურკვეველი შიშით იყო შეპყრობილი. ძალაუნებურად ,,იპყრობდა“ მნახველს მითქმა-მოთქმა ლომისკარელის სასწაულმოქმედების შესახებ. იგონებდნენ თუ როგორ აბღავლა და ააყვირა ხატმა ყაისარ ბედინეიშვილი ყალბი ფიცის შემდეგ, როგორ შეიშალა ჭკუიდან ერთი ქვრივი დედკაცი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო ქმრის მკვლელობაში, როგორ დაება ენა ჭორიკანა დედაკაცს და სხვა მრავალი მაგალითი“ (ჩხიკვაძე, 1969: 204).

უამრავი სასწაულის მოხდენა უკავშირდება ლომისკარელს. ოზურგეთიდან ,,ავი ზნით“ შეპყრობილი მოუყვანიათ, რომელ-

საც ჭირისუფალთან ერთად სეირისმოყვარეც ბევრი მოჰყვა. მღვდლის კურთხევით და პატრონის თანხმობით, ავადმყოფი შუასურებში დარჩა. მღვდლის ყველა მითითებას ზედმიწევნით ასრულებდა, ესწრებოდა წირვა-ლოცვას. დათქმულ დღეს მოაკითხა პატრონმა და სრულიად განკურნებული წავიდა.

,,ერთხელ თურმე აჭარელი ფირალები შესულან ეკლესიაში, ,,ლომის-კარელი“ გამოუსვენებიათ და წაუყვანიათ. . . რა წამს მდინარე სუფსაში გაღმა გასასვლელად ფეხი ჩუდგამთ, იქვე გაშეშებულან და ნაბიჯი ვეღარ გადაუდგამთ. მეორე დღეს ჩვენებურებს ყაჩაღები დაუხოციათ და ,,ლომის-კარელი“ თავის ადგილზე დაუბრძანებიათ“ (კუდავა, 2012: 120).

,,ბეგის მოაგონდა, რომ ამას წინათ ლომისკარელი სადღაც წაასვენეს სურებიდან, მოაგონდა შემოქმედის თემში მომხდარი საშინელი ამბავი, ლომისკარელზე დაფიცებით გამოწვეული. . . მოაგონდა, თუ როგორ ბრმავდებოდა ხალხი ლომისკარელის დანახვაზე, როგორ უფრთხოდა მის რისხვას, როგორ გაურბოდა მის წინაშე წარდგომას, დაფიცებას, გადაცემას. . . ლომისკარელი დაუძლეველ ღვრთაებრივ ძალად იყო მიჩნეული გურია-სამეგრელოში, ყოვლის მცოდნედ და ყოვლის შემძლედ“ (ჩხიკვაძე, 1969: 133).

,,,,საწაბლოს“ დიდი ტყის გაკაფვას და მის საყანედ მომზადებას მთელი სამი წელიწადი მოუნდა სოფელი. ის დიდი საერთო სიმდიდრე -ტყე გააქრეს და მიწა ერთმანეთს შორის კერძო საკუთრებად დაიყვეს. აირჩიეს 12 კეთილსინდისიერი კაცი, დაიფიცეს ძლიერ ,,ლომის კარელის“ ხატზე, რომ ისინი არ გამოიჩენდნენ არავითარ მიმდგმურობას მიწის დაყოფის დროს, არც მოყვრობა-ნათესაობათა და არც მტრობით, იხელმძღვანელებდნენ სრულიად სამართლიანად, გაყოფდნენ მიწას ოჯახში მუშახელის და მჭამელის რაოდენობის მიხედვით“ (კუდავა, 2012: 140).

XIX საუკუნის მიწურულს რევოლუციური ტალღა ნელ-ნელა ძლიერდებოდა, 1903 წელს ,,გურიის მოძრაობის“ აღმავლობა

იწყება, გურიის სოფლებში ტარდება დიდი მიტინგები და შეკრებები, ეწყობა სააგიტაციო შეხვედრები.

პოლიტიკურმა არეულობამ სოფლის მოსახლეობა დააბნია და არა მარტო სოფელში მთლიანად სუფსის ხეობაში ერთადერთი იმედი ძლიერი ლომისკარელი იყო. მის წინ ნათქვამ თითოეულ სიტყვას დიდი გავლენა და ძალა ჰქონდა. გურიის ,,ყოვლისშემძლე“ კომიტეტს არ მოსწონდა ხალხის დამოკიდებულება ხატისადმი და, სართოდ, ეკლესიისადმი, ყველანაირად ცდილობდა, როგორმე შეერყია ხალხში ღრმად გამჯდარი ღვთის შიში და სიყვარული.

,,1905 წელს გურიაში ერთმანეთს დაუპირისპირდა ღმერთი ლომისკარელისა და სინდისი ახალთაობისა. ღმერთადქცეულ სინდისს, საყოველთაოდ პატივცემულსა და აღიარებულს, ზოგჯერ მარცხი განუცდია ლომისკარელთან ბრძოლის დროს. ახალთაობის კაცებმა გადაწყვიტეს, ანგარიში გაეწიათ ლომისკარელთან“ (გოგიბერიძე, 1978: 139).

ლომისკარელის ხატზე თავის მემუარებში წერს სოციალდემოკრატი გრიგოლ ურატაძე- ,,ჩვენ გლეხებთან ვმუშაობდით და თავიდანვე ვიყავით შეთანხმებული არ შევხებოდით რელიგიურ გრძნობებს, პირიქით, ვამბობდით, რომ რელიგია კერძო საქმე იყო და სრულიად თავისუფალი უნდა ყოფილიყო მის საქმიანობაში არავინ არ უნდა ჩარეულიყო.

-ამიტომ კომიტეტმა გაითვალისწინა ჩემი წინადადება და მიიღო გადაწყვეტილება: ლომის-კარელი საიდუმლოდ გადაეტანა, რომელიმე სხვა ეკლესიაში. სიტუაციის დამშვიდების შემდეგ კი ლომისკარელი დაებრუნებინა ეკლესიაში, ამ საკითხის მოგვარება მე დამევალა. ამ მიზნით მოველაპარაკე ერთ-ერთ ეკლესიის მღვდელს, რომელიც დამეთანხმა ლომისკარელის მის ეკლესიაში გადატანაზე.

მე შევარჩიე სამი მამაცი ამხანაგი და დავავალე მათ მოეყვანათ სისრულეში გადაწყვეტილება. გაგზავნილები ხატის გარეშე დაბრუნდნენ. ისინი შესულან ეკლესიაში, მაგრამ ვერ გაბედეს

ხატთან მიახლოება, გულწფელად აღიარეს, რომ შეეშინდათ-,,ისე ბრწყინავდა, რომ მოგვეჩენა ჩვენთვის დაყვირებას აპირებდა. რაც მთავარია ისე გაბრაზებული გვიყურებდა, რომ გადავწყვიტე ეკლესიიდან გამოსვლა და სახლში წასვლა“ - ,,იძულებულები გავხდით, გაგვეშვა სხვები და ხატი მიტანილ იქნა დანიშვნულების ადგილზე“ (ურატაძე, 1968: 14).

შეცვალეს. დიდ მარხვის პირველი კვირის ერთ დღეს ხატი სოფელ ბუკისციხეში ჩააბრძანეს, რაფიელ შარაშიძის ეზოში დაასვენეს. თავი მოუყარეს არა მარტო სურების ხეობის, არამედ ახლომდებარე სოფლების მოსახლეობასაც. აიძულეს ხალხი, სათითაოდ მისულიყვნენ ძლიერ ლომისკარელთან და აზრი გამოეხატათ, პოლიტიკური შეხედულებები ეღიარებინათ. ტყუილის თქმას ვერავინ ბედავდა საკუთარი თავის, შვილების, ქმრების, მშობლების შესახებ ყველაფერს ჰყვებოდნენ ხატის წინ. ხელისუფლება, გურიის კომიტეტი და ახალთაობის მეამბოხეები კმაყოფილი იყვნენ. მიზანს მიაღწიეს, მოსახლეობაში ხატის მიმართ რწმენა შეირყა და ხალხის აზრიც გაიგეს. ლომისკარელი თავის ადგილს დაუბრუნეს (მუზეუმის ფონდი, რ. ბერიშვილის ნაამბობი).

,,მთავრობამ და მათმა მოწინააღმდეგეებმა კარგად იცოდნენ, რომ: ,,ლომისკარელის დანახვაზე ხალხში ჩოჩქოლი და უწესრიგო პიχვრისწერა შეიქნა. ურწმუნოებმაც აამოძრავეს გაშეშებული ხელები და თანაც საკუთარ თავს ეკითხებოდნენ: ,,რა იწვევს ამ შიშს? მე რომ ღმერთი არ მწამს, ხატის რად უნდა მეშინოდეს? ხატი ხომ ოქრომჭედლის ხელით გაკეთებული ნივთია, ძვირფასი სამკაულებით მორულ-მოკაზმული! ხატიც ხომ ადამიანის შექმნილია, როგორც ზღაპარი ღვთის არსებობის შესახებ?! მაშ რის უნდა მეშინოდეს? ან რა ძალა იყო ის, გული რომ შეაკრთო ხატის დანახვაზე?“ (ჩხიკვაძე, 1969: 204).

,,ერთ მშვენიერ დღეს რევოლუციის მესიტყვეებმა გაიტაცეს ლომისკარელის ხატი, თან გააყოლეს თითქმის მთელი ზემო გურია, მივიდნენ გურის ტბაზე (ასე ეწოდებოდა პატარა გუბეს მდი-

ნარე სუფსაზე, სოფლების ერკეთისა და სურების მიჯნაზე) და ლიანგის თანხლებით, ზეიმითა და მარსელიოზით, მარტივი, ხელით ნაჭედი, სიძველითა და საიდუმლოებით მოცული ხატი წყალში ჩაგდეს. რომელიღაცა შედგა სკამზე და უთხრა იქ შეკრებილ ხალხს:- თუ ლომისკარელი ღმერთია, ამოვა წყლიდან და მე აქ საჯაროდ იმას მომგვრის, რის ღირსიც ვარ მისი განადგურებისათვისო.

ხალხმა ხმა გაიკმინდა, ყველა საშინელებას მოელოდა. ცხადია, არაფერი მომხდარა და მძიმედ ნაჭედი ხისა და ,, რკინის ხატი მდინარიდან არ ამობრძანებულა...“ (გოგიბერიძე, 1978: 319).

,,დაჭრილმა ერმალოვმა ფოტოს მეშვეობით ამოიცნო დათა ქადეიშვილი. სოციალ-დემოკრატი, ნასაკირალის ბრძოლის მონაწილე. ქადეიშვილი ცნობილი ტერორისტი და პარტიის სასარგებლოდ ფულის შემგროვებელი რეკეტი იყო, მას ხელისუფლება მრავალ დანაშაულში სდებდა ბრალს. ქადეიშვილის ერთერთი მთავარი ,,დამსახურება“ სურების წმიდა გიორგის ეკლესიაში დასვენებული ლომისკარელის ხატის განადგურებაა (თუმცა ამ საგმირო საქმეს სხვა რევოლუციონერებიც იბრალებდნენ“ (მახარაძე, 2009: 95).

შუა სურებში, ზახტოურზე ლომისკარელად წოდებული წმიდა გიორგის სახელობის ხის ეკლესია, რომელიც კარგა ხნის გაძარცვული და გამოკეტილი იყო, დაშალეს და სოფლის ცენტრში სკოლის ეზოში თითქმის უცვლელი ფორმით ააწყვეს, დანიშნულება შეუცვალეს და სოფლის თავშეყრის ადგილად აქციეს. ტაძრის საკურთხეველის ადგილას სცენა მოაწყვეს. შენობაში ტარდებოდა არჩევნები, სხვადასვა სასოფლო ღონისძიებები, იმართებოდა სადილები, ფილმების ჩვენება.

განხილული ისტორიული მასალა ცხადყოფს, რომ „ლომისკარელის“ ხატი და მასთან დაკავშირებული ტაძარი სურების ხეობაში წარმოადგენდა არა მხოლოდ რელიგიურ-საკულტო ნაგებობას, არამედ ადგილობრივი თემის მორალური თვითშეგნე-

ბის, სამართლიანობისა და ერთიანობის უძლიერეს ფუნდამენტს. საუკუნეების განმავლობაში სწორედ ხატის ავტორიტეტი და მასთან დაკავშირებული ფიცი არეგულირებდა სოციალურ ურთიერთობებს, ანაცვლებდა რა საერო სამართალსა და სახელმწიფო ინსტიტუტებს.

XX საუკუნის დასაწყისში მომხდარი დრამატული მოვლენები — ტრადიციული რელიგიური მსოფლმხედველობისა და ახალი რევოლუციური, სოციალ-დემოკრატიული იდეოლოგიის დაპირისპირება — ცხადყოფს ეპოქათა გარდატეხის სირთულეს. ხატის საჯარო გამოცდა, მისი მდინარეში ჩაგდება და ტაძრისთვის დანიშნულების შეცვლა (სკლუბად და სცენად გადაქცევა) გახდა სიმბოლო იმისა, თუ როგორ ცდილობდა ახალი პოლიტიკური ძალა ძველი სოციალური წყობისა და რწმენის ნგრევას. მიუხედავად იმისა, რომ ფიზიკურად ხატი განადგურდა და ტაძარმა ფუნქცია შეიცვალა, „ლომისკარელის“ ფენომენი სამუდამოთ დარჩა გურიის ისტორიის, ფოლკლორისა და ეროვნული მეხსიერების მნიშვნელოვან ნაწილად.

ლიტერატურა:

ბერძენიშვილი დ., 2000. მესხეთის ისტორიული გეოგრაფიიდან (ლომსიანთა), კრ. მესხეთი - ისტორია და თანამედროვეობა, ახალციხე.

ბერძენიშვილი ნ., 1964. საქართველოს ისტორიის საკითხები, თბილისი.

ბერძენიშვილი ნ., 1990. საქართველოს ისტორიის საკითხები, თბილისი.

გოგიბერიძე მ., 1978. რჩეული ფილოსოფიური თხზულებანი, თბილისი

კუდავა ბ., 2012. ,,მოგონებები ისიდორე რამიშვილზე“, თბილისი

მარუაშვილი ლ., 1964. საქართველოს ფიზიკური გეოგრაფია, თბილისი

მახარაძე ი., 2009. ,,რუსულ-ქართული ტერორი“, თბილისი
ურუტაძე გ., 1968. მოგონებები ქართველი სოციალ-დემოკრატია-ზე
ქართველიშვილი თ., 2006. გურიის საეპისკოპოები.
ჩხიკვაძე პ., 1969. ,,ნაბიჯები“
ჩოხატაურის სოფ. შუა სურების ისტორია (ავტ. გ. უგრელიძე), ჩოხატაურის მუზეუმის ფონდი

მარინა ჯინჭარაძე
MARINA JINCHARADZE

სერგო ქობულაძე – უდიდესი შემოქმედი და პედაგოგი
SERGI KOBULADZE – A GREAT ARTIST AND EDUCATOR

Abstract. The paper discusses Sergi Kobuladze, a versatile and wide-ranging artist whose creative and pedagogical career established him as a great master of painting, a renowned master of book graphics, and a distinguished theatre artist. Through his work, he left a profound and lasting mark on the history of Georgian culture.

***

ნაშრომის მიზანია მრავალმხრივი, ფართო დიაპაზონის მქონე საქართველოს სახალხო მხატვრის, შოთა რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატის სერგო ქობულაძის შემოქმედებითი და პედაგოგიური მოღვაწეობის წარმოჩენა XX-ის **ქართული ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ზოგადი სურათის** ფონზე.

XX ს-ის ქართული ხელოვნების განხილვისას, რომელსაც მრავალი ნაშრომი მიუძღვნეს ვ. ბერიძემ, ნ ეზერსკაიამ, გ. ალიბეგაშვილმა, მ. კარბელაშვილმა, გ. ხოშტარიამ, მ. ციციშვილმა და სხვებმა, თვალნათლივ იკვეთება მრავალი მხატვრული მოვლენა და სტილისტური თავისებურებანი,რომელიც ინდივიდუალური ხასიათის მქონე მხატვართა შემოქმედებაში მკაფიოდ არის გამოხატული. ამის თვალსაჩინო მაგალითია ს. ქობულაძის შემოქმედება,რომლის მიერ განვლილი შემოქმედებითი და პედაგოგიური მოღვაწეობის გზა წარმოგვიდგენს უდიდესს შემოქმედს,რო-

გორც ფერმწერს, წიგნის გრაფიკის ცნობილ ოსტატს და თეატრალურ მხატვარს,რომელმაც განსაკუთრებული კვალი დატოვა ქართული კულტურის ისტორიაში.

სერგო ქობულაძე დაიბადა 1909წ. ახალციხეში, სამხედრო პირის ოჯახში. მხატვრის დედამ ნინო ხუნდაძემ, ხელი შეუწყო ხატვისადმი შვილის მიდრეკილების განვითარებას. ის ქართველ მხატვართა იმ თაობას ეკუთვნის,რომელთაც მხატვრული განათლება თბილისის სამხატვრო აკადემიაში მიიღეს და პროფესიულ ხელოვნებას აკადემიის დამფუძნებელთა დახმარებით დაეუფლნენ. მისი მასწავლებლები იყვნენ გოგი გაბაშვილი, ევგენი ლანსერე, იოსებ შარლემანი.

ს. ქობულაძე სამოღვაწეო ასპარეზზე გამოდის XX ს-ის 30-იან წლებში. ამავე პერიოდში (1934წ.) გამოცხადდა კონკურსი,რომელიც მიზნად ისახავდა 1937 წ. შოთა რუსთაველის 750 წლის საიუბილეოდ „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრირებულ გამოცემას. კონკურსში მონაწილეობა მიიღეს ლ.გუდიაშვილმა. თ. აბაკელიამ, ე.ახვლედიანმა, ს. ქობულაძემ და სხვებმა. თითოეულმა მათგანმა თავისებურად გადაწყვიტა დასახული ამოცანა.

მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ „ვეფხისტყაოსნის“ დასურათებას ხანგრძლივი ისტორია გააჩნია. ყველაზე უძველესი დასურათებული ხელნაწერები შემორჩენილია მხოლოდ გვიანფეოდალური ხანიდან. ისინი XVII ს-ის მინიატურის ქართველი ოსტატების ნახელავია. XIX ს-ის 80-იან წლებში ქართულმა ინტელიგენციამ ,,ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრირებული გამოცემა გადაწყვიტა,რომელიც იმჟამად,(1881წ.) საქართველოში მყოფ რუსეთის საიმპერატორო კარის უნგრელ მხატვარს მიხაი ზიჩის დაევალა. ილუსტრაციების მომზადებისას, პერსონაჟების რეალური სახეების საპოვნელად მხატვარმა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში იმოგზაურა და უკეთ გაეცნო ქართულ კულტურას,ზნე-ჩვეულებებს, ხასიათს. თითქმის ორწლიანი მუშაობის შემდეგ, ცოცხალი სურათებიდან შექმნილი უამრავი ნახატი მხატვარმა დასამუშავებლად პეტერბურგში წაიღო და 1885.წ. მიხაი ზიჩიმ 12

ილუსტრაციის ესკიზის ნაცვლად საქართველოში შესაფასებლად 34 გამოგზავნა, საიდანაც 27 შეირჩა წიგნისთვის. 1888წ. თბილისში მ. ზიჩის ილუსტრაციებით გამოიცა „ვეფხისტყაოსნის“ ე.წ. ქართველიშვილისეული გამოცემა. მ.ზიჩის ილუსტრაციები ,,ვეფხისტყაოსნის,, ახალი, რეალისტური ილუსტრაციების პირველი ცდა იყო,რომელმაც გზა გაუკვლია შემდეგი თაობის მხატვრებს.

1935-37 წ.წ-ში პოემა ს. ქობულაძემ დაასურათა. სერია მოიცავს პოეტის გამოსახულებას და 11 ილუსტრაციას. „მხატვრული თვალსაზრისით ილუსტრაციებში ჩანს ახალი მიდგომა,რაც გამოხატულებას რენესანსულ ტრადიციებსა და ნახატის ხასიათში პოვებს. ფიგურები თითქმის ავსებენ სასურათო სიბრტყეს, მოქმედებისთვის განკუთვნილ გარემოს. კომპოზიციაში აქსესუარებს გარკვეული ადგილი ეთმობა. ფარდების მძიმე ნაკეცები, მძლავრი კამარები, განიერი თაღები, მასიური სვეტები, კედლის წყობის მსხვილი კვადრები ორგანურად ერწყმიან კომპოზიციის საერთო გადაწყვეტას,არ ჩრდილავენ მოქმედ პირთა მნიშვნელობას. მდიდრული ინტერიერი ხაზს უსვამს საერთო საზეიმო განწყობას, რომელიც პერსონაჟთა სახეებით,გმირთა მოძრაობებით, ჟესტებით, გრაციოზულობით და მშვენიერი სხეულის ფორმებით არის განპირობებული. ასეთი მიზანსცენა რენესანსული ნაწარმოების პათოსს ანიჭებს კომპოზიციას.“ (გ,ალიბეგაშვილი,1985:60). განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა,რომ ს. ქობულაძის „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრაციები შეფასდა,როგორც ქართული გრაფიკის მწვერვალი და როგორც ვ. ბერიძე აღნიშნავდა „ვეფხისტყაოსნის“ დასურათებამ სერგო ქობულაძეს საყოველთაო აღიარება მოუპოვა არა მარტო საბჭოთა კავშირში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც, იქ სადაც ეს გენიალური პოემა ითარგმნა და გამოიცა“. (ვ. ბერიძე; ნ ეზერსკაია 1975:23)

ცნობილია,რომ ს. ქობულაძემ გარდა „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრაციებისა შექმნა ძველი რუსული ეპოსისა:“ამბავი იგორ-

ის ლაშქრობისა“ და ქართული ხალხური ზღაპრების ილუსტრაციები.

ს. ქობულაძის მხატვრული სტილის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია რენესანსული ხელოვნების ტრადიციების თვალსაჩინო გამოვლენა. ს. ქობულაძის მიერ შექმნილ რენესანსულ პორტრეტებს შორის მკაფიოდ გამოიყოფა უ. შექსპირის, დანტე ალიგიერის და სავონაროლას პორტრეტები, რომლებიც ავლენენ ავტორის გრაფიკული ოსტატობის განსაკუთრებულ მხარეებს და ადამიანის შინაგან ინდივიდუალურ სამყაროში წვდომას.

საინტერესოა ს. ქობულაძის მიერ შესრულებული შექსპირის პორტრეტი. მხატვარს უნდა წარმოედგინა დიდი პოეტის და დრამატურგის პიროვნება,რომლის ბიოგრაფია, მიუხედავად ამ საკითხის გარშემო არსებული მრავალრიცხოვანი გამოკვლევებისა, თითქმის უცნობია. დრამატურგის სახე შექმნილია ცნობილი ძველი გრავიურის მიხედვით. ს. ქობულაძის ნიჭიერება გამოვლინდა შექსპირის ტრაგედიების დასურათებაშიც. მაგ: „მეფე ლირი“, „რიჩარდ III“, „მაკბეტი“, „ანტონიუსი და კლეოპატრა“. 1934-1935 წლებში მან შეასრულა ილუსტრაციები, რომლებიც შექსპირის ტრაგედიების ორტომეულს დაერთო, 10 წლის შემდეგ კი კვლავ დაუბრუნდა შექსპირის თემას, როცა შეასრულა მთელი სერია „ მეფე ლირისთვის“.

ს. ქობულაძის მიერ შექმნილ პორტრეტებს შორის განსაკუთრებით გამოიყოფა დანტე ალიგიერისა და სავონაროლას პორტრეტები. ორივე 1944 წელსა შექმნილი და ზომებიც თითქმის იგივეა.

რენესანსის ეპოქის ამ ორი წარმომადგენლის ცხოვრება და მოღვაწეობა მათი განსხვავებული შეხედულებების მიუხედავად ძალიან უახლოვდება ერთმანეთს. ეს არის მათი ძლიერი ბუნება,რითაც ასე გამოირჩეოდნენ თანამედროვეთაგან. ეს ორივე პორტრეტი შესრულების საერთო ხასიათით ახლოს დგას ერთმანეთთან, თუმცა დანტეს პორტრეტში სხვა ემოციური განწყობაა

ნაჩვენები. „ ხაზი აქ წვრილია, მკაფიო,მშვიდი და მტკიცე ხელით გამოყვანილი,იგი ფონისგან მკვეთრად გამოყოფს, ამოწევს პოეტის პროფილს. სახეზე შუქ-ჩრდილის რბილი მონაცვლეობით მიღწეულია პლასტიკური ფორმების სიმტკიცის ეფექტი და ეს ხერხი სკულპტურისათვის დამახასიათებელ თვისებებს - მოცულობის სიმყარეს ანიჭებს დანტეს სახეს“ (სხირტლაძე 1983:57). ამ პორტრეტებში მხატვარმა გამოხატა არა მხოლოდ ერთმანეთთან ახლოს მდგომი ორი მოაზროვნის კონკრეტული, ფსიქოლოგიური სახე, არამედ სიმბოლური სახე დანტესი და სავონაროლასი. აღსანიშნავია, რომ „ს. ქობულაძე, რომელიც აქცენტს რენესანსული ხელოვნების ინტერპრეტაციაზე აკეთებს, სიცოცხლის ბოლოს პ.პიკასოს ნეოგრეკული სტილით ინტერესდება. თაობები აგრძელებენ 1920-1930-იან წლებში გამოკვეთილ მისწრაფებას კულტურულ დიალოგში მონაწილეობისაკენ, ეროვნული ხელოვნების ჰარმონიული ჩართვისკენ მსოფლიოში მიმდინარე აქტუალურ სამხატვრო პროცესებში ,,(ზაალიშვილი,2008:105-106).

ს. ქობულაძე დიდი წარმატების მუშაობდა ფერწერისა და სცენის მხატვრობაზე. მას გაფორმებული აქვს სპექტაკლები თბილისის ოპერისა და ბალეტის, რუსთაველის, მარჯანიშვილის სახელობის თეატრებსა და მოსკოვის დიდ თეატრში. განსაკუთრებით აღსანიშნავია მის მიერ 1960 წ. შექმნილი თბილისის ოპერის თეატრის საზეიმო ფარდა, რომელიც 1973წ. შენობაში გაჩენილმა ხანძარმა გაანადგურა, თუმცა ამჟამად ციფრული ტექნოლოგიებით გადიდებული ფარდის ასლის დამზადება მოხერხდა.

შემოქმედებითი მოღვაწეობის პარალელურად უდიდესია ს. ქობულაძის მიერ მომავალი თაობის აღზრდაში გაწეული წვლილი. 1938 წ-დან იგი თბილისის სამხატვრო აკადემიის პედაგოგია, შემდგომში პროფესორი. 1953-58 წ.წ-ში აკადემიის რექტორი. 1941 წ-დან სიცოცხლის ბოლომდე კი ხატვის კათედრის ხელმძღვანელი.

საბოლოოდ, კი შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ ს. ქობულაძემ.როგორც მრავალმხრივი, ფართო დიაპაზონის მხატვარმა,

თავისი მაღალი დონის პროფესიონალიზმით, მკაფიოდ გამოხატული ინდივიდუალური შემოქმედებით, მომავალი თაობების აღზრდაში გაწეული უდიდესი წვლილით განსაკუთრებული ადგილი დაიმკვიდრა ქართული ხელოვნების ისტორიაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

ზაალიშვილი ნ. "1920-0-იანი წლების ქართული გრაფიკის ზოგიერთი ტენდენცია:, ვ. ბერიძის სახელობის საერთაშორისო სიმპოზიუმის მასალები, თბილისი,2008;

ალიბეგაშვილი გ. ჟურნალი „საბჭოთა ხელოვნება" N1, თბილისი 1985;

სხირტლაძე ზ. „ორი მეტყველი პორტრეტი", ჟურნალი „საბჭოთა ხელოვნება", თბილისი,1983;

ანთელავა ლ. „XX საუკუნის ხელოვნება", ჟურნალი „ლიტერატურა და ხელოვნება", გამომცემლობა „მეცნიერება", თბილისი,1992;

Беридзе В. Езерская Н." Искусство советской Грузии", Москва, 1975;

ქეთევან შარაშიძე
KETEVAN SHARASHIDZE

ქართული სამეფო სამოსი შუა საუკუნეებში
GEORGIAN ROYAL ATTIRE IN THE MIDDLE AGES

Abstract. Medieval Georgian royal culture was closely connected to both the Eastern and Byzantine worlds, which was clearly reflected in Georgian royal garments. This presentation discusses the typology, symbolic meaning, and social function of Georgian royal attire. Furthermore, it analyzes royal insignia—such as the crown, loros, and scepter—as well as the materials required for crafting the garments.

The main sources of the research consist of medieval Georgian and Byzantine monuments, including frescoes, mosaics, and manuscript miniatures, which serve to illustrate the political and cultural significance of royal clothing.

Keywords: Royal attire, Middle Ages, royal culture, political symbolism.

**

შუა საუკუნეების საქართველოში სამეფო კარი სახელმწიფოს პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების უმნიშვნელოვანეს ცენტრს წარმოადგენდა. ამ კულტურის მნიშვნელოვანი ნაწილი იყო სამეფო სამოსი და ინსიგნიები, რომლებიც მეფის ძალაუფლებას, სოციალურ სტატუსსა და პოლიტიკურ ორიენტაციას გამოხატავდა. ქართული სამეფო სამოსი საუკუნეების განმავლობაში ყალიბდებოდა როგორც ადგილობრივი ტრადიციების, ისე ბიზანტიური და აღმოსავლური კულტურული გავლენების საფუძველზე.

აღნიშნული თემა მეცნიერული თვალსაზრისით პირველად ვახუშტი ბატონიშვილმა დაამუშავა. ნაშრომში - „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ იგი აღწერს ქართველთა შესამოსელს,

ქსოვილებისა და, მათ შორის, აბრეშუმის დამუშავების წესებს, თუმცა შედარებით ნაკლებად ეხება უშუალოდ სამეფო სამოსს. ამავე თემას შეეხნენ უცხოელი მოგზაურებიც, რომელთა დანატოვარი ფერწერული მასალა უნიკალურია. სწორედ ჟან შარდენის, არქანჯელო ლამბერტისა თუ ჟოზეფ ტურნეფორის ცნობებით ვახდენთ გვიანი შუა საუკუნეების სამეფო თუ დიდებულთა სამოსის აღდგენას. უფრო გვიან ეს თემა სიღრმისეულად შეისწავლეს და მეცნიერულად დაამუშავეს: ივანე ჯავახიშვილმა (,,ქართული მატერიალური კულტურის ისტორიიდან"), შალვა ამირანაშვილმა (ქართული ხელოვნების ისტორია) და ექვთიმე თაყაიშვილმა (,,არქეოლოგიური მოგზაურობანი").

ნაშრომის მიზანია შუა საუკუნეების ქართული სამეფო სამოსის ძირითადი ტიპების, მათი სიმბოლური დატვირთვისა და კულტურული მნიშვნელობის წარმოჩენა. ასევე, კვლევა მიზნად ისახავს გამოავლინოს ქართული სამეფო სამოსის კავშირი ბიზანტიურ და აღმოსავლურ ტრადიციებთან.

სამეფო სამოსი და ინსიგნიები ადრეულ შუა საუკუნეებში (V-IX). საქართველოს ისტორიის პერიოდიზაციის მიხედვით, შუა საუკუნეები მოიცავს ვრცელ პერიოდს — V საუკუნიდან XVII საუკუნის პირველი ნახევრის ჩათვლით. ამ პერიოდში საქართველოს მრავალი გამოწვევის გადალახვა მოუხდა, რაც აისახა როგორც ყოფაცხოვრების სხვადასხვა სფეროზე, ისე სამეფო სამოსზე. ყოველ საუკუნეს ახალი დამპყრობელი მოსდევდა, რაც პოლიტიკურ და კულტურულ განვითარებაზე მუდმივ ზეგავლენას ახდენდა და მნიშვნელოვან კვალს ტოვებდა მატერიალურ კულტურაში, რომელიც ერთდროულად ასახავდა როგორც ადგილობრივ, ისე მეზობელ სახელმწიფოებთან ურთიერთობებს.

ცნობილი ფრანგი მოგზაური ჟან მურიე წერდა - ,,საქართველოს ჩაცმულობის ისტორია, ეს არის თვით ამ ქვეყნის ისტორია. სპარსელთა, ბერძენთა, არაბთა და თურქთა ბატონობა ერთიმეორეს მოსდევდა. დამპყრობელთ თან შემოჰქონდათ თავიანთი ქვეყნის ჩვეულებანი, მათებური ჩაცმულობა, მათ ქვეყანაში მი-

ღებული ტანსაცმლის ფერები...უცხოელთა მოდისადმი ამგვარი მიდრეკილება ზოგჯერ დამპყრობელთა მიმართ მლიქვნელური პოლიტიკით აიხსნებოდა, უფრო ხშირად კი ყოველივე ახლისადმი სიყვარულით" (კალანდია, 2024:104).

ადრეული შუა საუკუნეების საქართველო ორ ძირითად პოლიტიკურ ერთეულად იყო წარმოდგენილი. აღმოსავლეთში ქართლის სამეფო ცდილობდა სასანიდური ირანის გავლენისგან გათავისუფლებას, ხოლო დასავლეთში ეგრისის (ლაზიკის) სამეფო იბრძოდა ბიზანტიური ზეგავლენის შესუსტებისა და საკუთარი პოლიტიკური ავტონომიის შენარჩუნებისთვის. მიუხედავად გარე ზეწოლისა, თანდათან ყალიბდებოდა ქართული სახელმწიფოებრივი და კულტურული თვითმყოფადობა, რომელიც გამოიხატებოდა ქრისტიანობის განმტკიცებასა და ადგილობრივი ტრადიციების შენარჩუნებაში.

ადრეული შუა საუკუნეების სამეფო სამოსზე ძალიან მწირი ცნობები მოგვეპოვება. პირველ ცნობებს ბიზანტიელი ავტორები გვაწვდიან. პრისკე პანიონელი ლაზიკის მეფეებთან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ ისინი ბიზანტიურის მსგავს სამოსს ატარებდნენ, თუმცა პოლიტიკური ორიენტაციის ცვლილებისას სპარსულსაც. მისი ნაშრომი „ელჩობათა შესახებ" შეიცავს ცნობას ქართველთა ვიზიტზე კონსტანტინოპოლში 465 წელს. ,,გუბაზ მეფე კონსტანტინოპოლში ჩავიდა, თანახმად მეფის მიწვევისა. მას სპარსული ტანსაცმელი ეცვა. კარისკაცებმა მიღებისთანავე ჯერ გაკიცხეს რომაელთა წინააღმდეგ ამბოხებისთვის, ხოლო შემდეგ კეთილგანწყობილად მოეპყრნენ. გუბაზმა მოხიბლა ისინი თავისი სიტყვა პასუხით და საქრისტიანო ნიშნების ტარებით" (გეორგიკა, 1961:251).

აღნიშნული ცნობა ნათლად აჩვენებს, რომ სამეფო სამოსი მხოლოდ ესთეტიკურ დანიშნულებას არ ატარებდა. გუბაზის მიერ სპარსული სამოსის ტარება იმდროინდელი ლაზიკის საგარეო ორიენტაციის მაჩვენებლად აღიქმებოდა, რის გამოც ბიზანტიელი კარისკაცების უკმაყოფილებაც გამოიწვია. ამავე დროს, ქრის-

ტიანული ნიშნების ტარება ხაზს უსვამდა ქართველ მმართველთა რელიგიურ კავშირს ბიზანტიურ სამყაროსთან.

ბიზანტიურ წყაროებში დაცულია VI საუკუნის ქართველ მეფეთა ჩაცმულობის აღწერილობა. ბიზანტიელი ქრონისტი იოანე მალალა წერს, რომ „515 წელს ლაზთა უფლისწული წათე ბიზანტიაში ჩავიდა და კეისარ იუსტინეს აუწყა, რომ მას გაქრისტიანება სურდა. ის გაქრისტიანდა და რომაელი ქალი შეირთო, დაბრუნდა თავის ქვეყანაში დაგვირგვინებული და დასაჩუქრებული ბიზანტიის კეისრის იუსტინეს მიერ. მას ემოსა კეისრისაგან საჩუქრად მიღებული თეთრი წმინდა აბრეშუმის ხლამიდი[7], რომელსაც ჰქონდა ოქროს სამეფო ზოლი. აგრეთვე თეთრი სტიქარი – პარაგავდი, ოქრომკედით ნაქსოვი. წაღები, რომელთაც ატარებდა, თავის საკუთარი ქვეყნიდან ჩამოეტანა და მარგალიტებით იყო შემკული სპარსულ ყაიდაზე. ამგვარადვე მისი სარტყელიც მარგალიტებით იყო შემკული“ (გეორგიკა,1961; 264).

ამ აღწერილობით ვასკვნით, რომ VI საუკუნის ქართველ მეფეთა ჩაცმულობა განიცდიდა როგორც ბიზანტიურ, ასევე სპარსულ გავლენას. ერთი მხრივ, მმართველი ატარებს ბიზანტიური კარისათვის დამახასიათებელ საზეიმო სამოსს — ხლამიდსა და სტიქარს, მეორე მხრივ, ფეხსაცმელი და სარტყელი ადგილობრივ- კავკასიური და სპარსული ტრადიციის ელემენტებს ინარჩუნებს, რაც მიუთითებს საკუთარი კულტურის თვითმყოფადობის შენარჩუნებაზე.

სამეფო სამოსი და ინსიგნიები განვითარებულ შუა საუკუნეებში (X-XIV). X საუკუნიდან საქართველოს სამეფო კარზე შესამოსლის დამზადება უკვე მაღალ დონეზე იყო განვითარებული, რასაც მოწმობს სამეფო კარზე თერძთა არსებობა და მათ საქმიანობას ხელმძღვანელი მკერვალთუხუცესის ინსტიტუტი. ოსტატთა პროფესიონალიზმი ნათლად აისახება იმდროინდელ საზეიმო ჩაცმულობაში, რომელიც მდიდრული გაფორმებითა და დახვე-

[7] ბიზანტიური მოკლე მოსასხამი, რომელიც მხარზე იკვრებოდა. გავრცელებული იყო ძველ საბერძნეთშიც

წილი შესრულებით ხელოვნების ნიმუშად შეიძლება ჩაითვალოს.

IX საუკუნიდან იწყება ქართული სამეფო-სამთავროების გაერთიანების პროცესი, რომელიც X საუკუნის ბოლოს საქართველოს სამეფოს ჩამოყალიბებითა და ბაგრატ III-ის (961–1014) გამეფებით დასრულდა. XII საუკუნეში, დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის ეპოქაში, საქართველო ძლიერ ცენტრალიზებულ მონარქიას წარმოადგენდა და მნიშვნელოვან რეგიონულ პოლიტიკურ და სამხედრო ძალად იქცა. ამ პერიოდში განსაკუთრებით გამოიკვეთა სამეფო კარის ცერემონიალი და საზეიმო ინსიგნიების სიმბოლური მნიშვნელობა, სადაც მეფის შესამოსელი, ძვირფასი ქსოვილები და რეგალიები უმაღლესი ხელისუფლების გამომხატველ ნიშნებად ყალიბდება. XIII საუკუნის დასაწყისიდან კი მონღოლთა შემოსევების შედეგად დაიწყო პოლიტიკური სისტემის რღვევა და სამეფო ხელისუფლების დასუსტება, რაც ქვეყნის სახელმწიფოებრივი განვითარების ახალ ეტაპზე გადასვლას განაპირობებდა.

ქართული სამეფო სამოსის პირველ ვიზუალურ წყაროს წარმოადგენს ზარზმის მონასტრის ფრესკაზე გამოსახული ერთიანი საქართველოს პირველი მეფის - ბაგრატ III-ის სამოსი. ივანე ჯავახიშვილი ამგვარად აღწერს მეფის შესამოსელს: ,, მეფეს ვიწრო სახელოებიანი გრძელი სამოსი აცვია, ქვევიდან არაფერი მოჩანს, ყელს გარშემო ,,მანიაკი” აქვს და შუაგულს , ზევიდან დაწყებული ბოლომდის, იქვე, სადაც კალთები იწყება კალთებს გარშემო ბრტყელი ძვირფასი ქვებითა და მარგალიტით მოქარგული, ნაპირებზე მარგალიტის მძივით მოვლებული სამკაული აკერია. ამნაირივე სამკაული ორთავ მკლავსა და მაჯებზე აქვს” (ჯავახიშვილი,1962:20). სამკაულს, რომელიც მეფის ,,მანიაკიდან” ეშვებოდა ბიზანტიური ტრადიციით ,,ლოროსი” ეწოდებოდა. ის ვიწრო, ძვირფასი თვლებით გაფორმებულ წვრილ ნაჭერს წარმოაგდენდა. მისი წინა ნაწილი ბისონის კალთებამდე იყო დაშვებული, ხოლო უკანა ნაწილი კი მარცხენა ხელზეა გადადე-

ბული. ლოროსის ამგვარი ტარების ხერხს კი შემდგომ პერიოდებშიც თითქმის ყველა მეფე მიმართავდა.

ბაგრატ III-ის ფრესკაზე ვხვდებით თაღის ფორმის ოქროს გვირგვინს, რომლებიც რამდენიმე წყება ძვირფასი თვლებით არის მორთული. ძვირფასი თვლები: ლალი, ფირუზი, საფირონი ვერცხლის ბუდეებშია მოთავსებული. საყურადღებოა პენდილიაც, რომელიც თავსაბურავს ორივე მხარეს აქვს ჩამოკიდებული. მას ძეწკვის ფორმა აქვს და ხუთ-ხუთი ოთხკუთხა ლალის თვლებისგან შედგება.

როგორც ვიცით, ბაგრატ III-ს ბიზანტიის იმპერატორისგან მიღებული ჰქონდა კურაპალატის ტიტული, რაც ბერძნული პროტოკოლით ითვალისწინებდა მონარქზე ოქროსგან დამზადებული საზეიმო კვერთხის გადაცემას. აქედან გამომდინარე, ოფიციალურ მიღებებზე მას სწორედ ბიზანტიური სტილის სკიპტრა ექნებოდა.

ფრესკული გამოსახულებების ანალიზისას მნიშვნელოვანია ფერთა სიმბოლური მნიშვნელობა .განსაკუთრებით აღსანიშნავია მეწამული (პორფირი), რომელიც ბიზანტიურ ტრადიციაში იმპერატორთან და უზენაეს ხელისუფლებასთან ასოცირდებოდა. სწორედ მეწამული ბისონითაა გამოსახული ბაგრატ III. ეს კი ძალაუფლების, ლეგიტიმაციისა და განსაკუთრებული სტატუსის ნიშანი იყო და მისი გამოყენება მკაცრად რეგულირდებოდა. თეთრი ფერი კი სიწმინდეს, სულიერ სისუფთავესა და ქრისტესმიერ ხელისუფლებას გამოხატავდა.

მართალია, ბიზანტიურ და ქართულ სამეფო სამოსს ბევრი ელემენტი აერთიანებს, მაგრამ ვხვდებით რიგ განსხვავებებსაც, რაც გამოიხატებოდა ქართული კულტურის თვითმყოფადობაში. ქართული სამეფო სამოსის ის ელემენტი, რომელიც ყველაზე ნათლად განსხვავდება ბიზანტიური ვერსიისგან არის ბისონი. მას საქართველოში ,,კუართსაც" უწოდებდნენ. ქართული ბისონი შედარებით ფართო და მოკლე იყო, ხოლო ბიზანტიური უფრო ვიწრო და გრძელი. ქართულს ბიზანტიურისგან განსხვავე-

ბით, არ ჰქონდა სარტყელი და ყელთანაც განსხვავებულად იყო ჩაჭრილი.

დავით აღმაშენებლის (1089-1125) შესამოსელი და მისი სამკაული ,,მანიაკი" და ,,დიადემა", ბაგრატ III-ისას მიაგავს. დავითის სამოსზე ცნობებს ვხვდებით იოანე შავთელის ,,აბდულმესიანში". მისი განმარტებით მეფეს ოქროს ძაფებით მოქარგული და ძვირფასი ქვებით მორთული სამოსი ეცვა, რაც სიმბოლურად აღნიშნავს მეფის სიდიადეს. დავითი მას წარმოდგენილო ჰყავს გვირგვინითა და სკიპტრით. ქსოვილი, რომლისგანაც სამეფო ბისონი იყო შეკერილი, სავრაუდოდ ,ან ძვირფასი აბრეშუმი, ან ,,სკლატი"[8] უნდა იყოს. საქართველოში უცხოური ძვირფასი ქსოვილების გავრცელება ქვეყნის ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობით იყო განპირობებული, რადგან საქართველო აბრეშუმის დიდი გზის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მონაკვეთზე მდებარეობდა.

გელათის ფრესკაზე დავით აღმაშენებელი საზეიმო სამოსთან ერთად წარმოდგენილია თავსაბურავით, რომელსაც მიტრა ეწოდება. ის შედარებით უფრო მომცრო ფორმისაა და გვერდებში მასაც ჩამოუყვება მარგალიტების პენდილია. მიტრა მეფის ღვთაებრივ ბუნებასთან იყო დაკავშირებული, რადგან სიმბოლურად ის ქრისტეს გვირგვინს წარმოაგდენდა.

დავით IV-ის ეპოქის სკიპტრა ისტორიულად ჩვენამდე არ შემონახულა, თუმცა მისი გამოსახულება დაცულია იმდროინდელ სპილენძის მონეტაზე. მონეტაზე წარმოდგენილია დავით IV, რომელსაც მარჯვენა ხელში უპყრია გრძელი სკიპტრა, ხოლო მარცხენა ხელში — ჯვრით დაგვირგვინებული სფერო, როგორც სამეფო ხელისუფლების სიმბოლო.

დავით IV-ის მემკვიდრის - დემეტრე I-ის (1125-1156) სამოსს შეგვიძლია დავაკვირდეთ მაცხვარიშის ფრესკაზე, სადაც მეფის კურთხევის სცენა არის წარმოჩენილი. აქ მეფის სამოსი შედარე-

[8] ძვირფასი აღმოსავლური ქსოვილი, რომელიც ეგვიპტის საგანძურის აღწერილობაშიც კი არის დასახელებული

ბით უფრო სადაა. ვხედავთ ძვირფასი ნაქარგებით მორთულ საყელოს, კაბის შესაბნევებს, სახელოებს და ქობას. ყურადღებას იქცევს მეფის სამკლავური, იგივე ,,ტავლიონი"[9]. ვარძიისა და ბეთანიის ფრესკებზე დაყრდნობით კი შეგვიძლია ვიმსჯელოთ გიორგი III-ის (1156-1184), თამარისა (1184-1213) და ლაშა-გიორგის (1213-1223) შესამოსელზეც.

ვარძიის ფრესკაზე გიორგი III საზეიმო სამოსითაა წარმოდგენილი. წინამორბედი მეფეებისგან განსხვავებით მას მკერდზე გადაჯვარედინებული ომოფორი[10] მოსავს, რომელიც მარცხენა ხელზე აქვს გადადებული. ტანზე გრძელი ფართოდ დაშვებული მეწამული ფერის ბისონი აცვია, რომელიც მდიდრული ორნამენტებითა და თვლებითაა გაფორმებული.

მეფეს ყინწვისის ფრესკაზე განსხვავებული ფორმის გვირგვინი ახურავს. მართალია, ამგვარი გვირგვინები შუა საუკუნეების ევროპაში გავრცელებული იყო, მაგრამ საქართველოში პირველად გიორგი III-სთან ვხვდებით. იგი ოთხკუთხა ფორმის, მთლიანად ოქროსგან დამზადებულ და სხვადასხვა ძვირფასი ქვით შემკულ ნივთს წარმოადგენდა. ბეთანიის ფრესკაზე მეფე გვირგვინთან ერთად სამეფო კვერთხით ხელში არის წარმოდგენილი.

ბეთანისაა და ვარძიის ფრესკებზე თამარი სადიაცო სამეფო ბისონით არის წარმოდგენილი. მას ცისფერი, ვიწროსახელოებიანი ბისონი აცვია. აქ ვხვდებით ლოროსის უფრო განვითარებულ სახეს, რომელსაც იმ პერიოდში უკვე ,,დიადემა" ეწოდებოდა.

ირინა უგრეხელიძე ლოროსის განვითარების სამ ეტაპს გამოჰყოფს:,, ა) როცა დიადემის ვერტიკალური ბოლო გულზე გადაჯვარედინებულ ნაწილზეა დამაგრებული; ბ)როცა დიადემის ვერტიკალური ბოლო მანიაკიდანაა დაშვებული; გ) როცა სამეფო

[9] ბიზანტიური საზეიმო ტანსაცმლის შემკული ნაწილი .ოთხკუთხა ან მართკუთხა ფორმის მდიდრულად შემკული ქსოვილის ნაჭერი, რომელიც ძირითადად მოსასხამზე ან ქლამიდზე იყო დამაგრებული.

[10] წარმოადგენს გრძელ და განიერ ლენტისებურ ქსოვილს, რომელიც კისერზე, ზემოდან აქვს შემოხვეული სასულიერო პირს. შუა საუკუნეებში ამით მეფეებიც იმოსებოდნენ

სამოსი დიადემასთან ერთად შემკობილია თორაკიათი[11] “ (უგრეხელიძე, 2011: 30).

ასევე, აღსანიშნავია ისიც, რომ ტერმინი ,,დიადემა” მხოლოდ ლოროსის განვითარებულ ფორმას არ წარმოაგდენდა და ჰქონდა თავსაბურავის მნიშვნელობაც.

თამარის გვირგვინიც, გიორგი III-ის მსგავსად, ოქროსაგან უნდა ყოფილიყო დამზადებული. მასზე გამოსახულია ორი წყვილი მარგალიტებითა და ფირუზით შემკული ტოტი, რომელიც ჯვრის ფორმის ორნამენტებით სრულდება. გვირგვინის ქვემოთ, ყელის არეში, ჩანს მანდილიც (ლეჩაქი).

თამარის ისტორიკოსი წერს: ,,ანტონ ქუთათელმა "მშვენებით მოჭედილი" გვირგვინი დაადგა თავს, რაჭის ერისთავმა ხმალი შემოარტყა წელთ, მეფე გიორგიმ "მისცა სკიპტრა" და სხვათა დიდებულთა შეამკეს "მეფეთა სამოსელითა "თამარ "მზებრ ჭვრეტდა ყოველთა ცნობითა ბრძნადმხვედველითა” (ქართლის ცხოვრება,1959:27).

XIII საუკუნიდან სამეფო შესამოსელი მცირედ ცვლილებებს განიცდის. ბერთუბნისა და ყინწვისის ფრესკებზე ლაშა-გიორგი წელში გამოყვანილი ბისონითაა წარმოდგენილი, რომელსაც წინ აქვს შესაკრავი. სამოსი მდიდრული ორნამენტებითაა გაფორმებული, რაც ქართულ მხატვრულ ტრადიციას უკავშირდება და ბიზანტიურ თუ აღმოსავლურ ანალოგებს არ ემთხვევა.

ლაშა-გიორგის გამოსახვა მსგავს მსუბუქ სამოსში შესაძლოა დაკავშირებული იყოს იმ გარემოებასთან, რომ ეს ფრესკები შესრულებული იყო მისი უფლისწულობის პერიოდში. რადგანაც, მისი მეფობის პერიოდის ფრესკები არ მოგვეპოვება, ვერ ვიმსჯელებთ იმ დიდ ცვლილებებზე, რაც ამ პერიოდის ლაშა- გიორგის ფრესკებში ჩანს.

[11] თორაკია (თორაკიონი) არის ძირფასი ქვებით მორთული ქსოვილი, რომელიც ბისონზე წელს ქვემოთ მაგრდება.

მომდევნო პერიოდში მეფეთა ჩაცმულობა არსებით ცვლილებებს არ განიცდის. ალექსანდრე I დიდის (1412–1442) ფრესკაზე კვლავ იკვეთება ლოროსით შემკული გრძელი, ვიწრომკლავებიანი საზეიმო შესამოსელი. მსგავსი იკონოგრაფიული ტიპი ფიქსირდება იმერეთის დედოფალ რუსუდანის, უფლისწულ ბაგრატისა და იმერთა მეფე გიორგი II-ის (1565–1583) გამოსახულებებშიც.

სამეფო სამოსი და ისნიგნიები გვიან შუა საუკუნეებში (XV-XVIII). XV–XVIII საუკუნეებში საქართველოში პოლიტიკური ვითარება ხასიათდებოდა სახელმწიფოებრივი დანაწევრებით, ცენტრალიზებული მმართველობის შესუსტებითა და საგარეო ძალების მუდმივი ზეწოლით. ამ პერიოდში ერთიანი ქართული სამეფო საბოლოოდ დაიშალა სხვადასხვა სამთავროებად, რის შედეგადაც მნიშვნელოვნად შეიზღუდა სამეფო ხელისუფლების გავლენა და გაძლიერდა ფეოდალური არისტოკრატიის როლი ქვეყნის შიდა პოლიტიკურ ცხოვრებაში. ამასთანავე, საქართველო აღმოჩნდა ოსმალეთისა და სეფიანთა ირანის გეოპოლიტიკური დაპირისპირების არეალში, რაც კიდევ უფრო ამძაფრებდა პოლიტიკურ არასტაბილურობას. აღნიშნული ვითარება ნათლად აისახა იმ პერიოდის სამეფო სამოსშიც.

გარეჯის ფრესკის მიხედვით თეიმურაზ I(1606-1648) გამოსახულია საუფლისწულო სამოსში, რომელიც აღმოსავლური მდიდრული ხალათის თითქმის პირდაპირი ანალოგია. გაფორმებებში არ ჩანს ძვირფასი თვლები, მაგრამ ვხედავთ მრავალფეროვან და შთამბეჭდავ ორნამენტებს, რაც დამახასიათებელი იყო ირანული კულტურისთვის. მასალად მაუდი, აბრეშუმი, ფარჩა ან შალი უნდა გამოეყენებინათ.

თეიმურაზ I-ის შემდგომ, ყველა ქართლისა თუ კახეთის მეფე წარმოდგენილია აღმოსავლური, კერძოდ კი ირანული სამოსით. ამ პერიოდში დამკვიდრდა ტურბანიც[12], რომელსაც ვხვდებით იმამყული-ხანის(1582-1633), ნაზარალი ხანის (1688-1709) და

[12] ტურბანი იგივე ჩალმა

მაჰმადყული-ხანის(1722-1732) ფერწერულ ნამუშევრებში. დოლბანდის ტიპის ქუდებს კი თეიმურაზ I, თეიმურაზ II და ერეკლე II-ც კი ატარებდნენ.

XVI–XVII საუკუნეებში სამოსის ძირითად ელემენტს „კაბა“ წარმოადგენდა. მართალია, იგი უფრო ადრეულ პერიოდშიც გვხვდება, რასაც ადასტურებს შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“, სადაც ვკითხულობთ: „მას ტანსა კაბა ემოსა, გარე თმა ვეფხის ტყავისა“. ეს ციტატა მოწმობს, რომ ტერმინი „კაბა“ ქართულ ენაში ადრეული პერიოდიდანვე იყო დამკვიდრებული და ზოგადად ზედა სამოსს აღნიშნავდა. შესაბამისად, იგი მხოლოდ გვიანი შუა საუკუნეების კონტექსტში არ უნდა განვიხილოთ, თუმცა ამ ტერმინის ქართულ წარმოშობად მიჩნევაც რთულია.

ამ პერიოდში „კაბა“ საქართველოში უკვე განსხვავებული, აღმოსავლურ კულტურასთან დაახლოებული ფორმით გვხვდება. სპარსული კაბა სხვადასხვა ფერის ქსოვილისგან იკერებოდა; იშვიათი იყო თეთრი და შავი ფერები, რომლებსაც საზეიმო ან სამგლოვიარო დღეებში იყენებდნენ. კაბის ზედა ნაწილი მარჯვენა მხარეს იკვრებოდა, მუცელთან მჭიდროდ იყო მომდგარი, ხოლო ქამრის ქვემოთ თანდათან ფართოვდებოდა. არსებობდა კაბის სხვა სახეობებიც.

ამავე პერიოდში სამეფო ბისონი ჩაანაცვლა აღმოსავლურმა ხალათის მსგავსმა სამოსმა, რომელიც წელზე მომდგარი გრძელი კაბისგან და ძვირფასი თვლებისა თუ მარგალიტებისგან შემკული ხალათის მსგავსი მოსასხამისაგან შედგებოდა. მსგავსი ხალათით არის წარმოდგენილი ქართლის მეფე ლუარსაბი(1527-1556), ვახტანგ VI (1716-1724), თეიმურაზ II (1733-1744) და ერეკლე II (1744-1762).

საყურადღებო ცნობები მოგვეპოვება რუს დესპანთა ცნობებშიც, რომლის მიხედვითაც შეგვიძლია დავასკვნათ თუ რა მნიშვნელობას ატარებდა იმ დროინდელ საქართველოში სამეფო სამოსი. ივანე ჯავახიშვილს თავის ნაშრომში მოჰყავს ერთერთი რუსი დესპანის ცნობა: ,,როცა თეიმურაზ I შაჰ-აბასთან და-

მარცხდა, რუსეთიდან გამოგზავნილი ელჩები ჰპირდებოდნენ მას დახმარებას. სწორედ ამ დროს მოვიდა ცნობა, რომ სპარსეთის ელჩი ძმობის გამოსაცხადებლად მოდისო, ამიტომ ყველას ირანული ხალათები და დოლბანდები მოურგიათ. ამ ქმედებაზე კი ქართველთა პასუხი შემდეგი იყო: ,,განა ჩვენ კი გვესიამოვნება ამ ტანისამოსის ჩაცმა, მაგრამ რა ვქნათ, სპარსეთის ელჩი მოდის, რომელმაც ჩვენი ქვეყანა განადგურებამდე მიიყვანა. ჩვენ კი რა შეგვიძლია! ამიტომ უნდა ჩავიცვათ სპარსული ტანსაცმელი...ეგებ ამან მაინც გვიშველოსო" (ჯავახიშვილი, 1962: 41).

თანდათან ეს სამოსი ისე შეიჭრა ქართულ კულტურაში მცირედი ცვლილებებით, რომ არა მხოლოდ ქართველებს, არამედ თვით სპარსელებსაც კი ეს ქართულ ტანისამოსად მიაჩნდათ.

ერეკლე მეფეს აღმოსავლური ხალათი ხშირად ეცვა. ხშირ შემთხვევაში მეფეები მას სპარსი ყაენისგან იღებდნენ მორჩილების ნიშნად, მაგრამ ერეკლეს ნახატზე, რომლის შემსრულებლის ვინაობა უცნობია, მეფეს ევროპული მანტია მოსავს, რომელიც აშკარად მეტყველებს ქართლ-კახეთის ხელისუფლის პოლიტიკურ ორიენტაციაზე.

XVI-XVII საუკუნეებიდან სამეფო თავსაბურავს დოლბანდი წარმოადგენდა, რომელიც რაჟამით[13] იყო შემკული. მსგავსი თავსაბურავითაა წარმოდგენილი იმერეთის მეფე ალექსანდრე III, იმერეთის დედოფალი ნესტან-დარეჯანი და თითქმის ყველა აღმოსავლეთ საქართველოს მეფე.

იტალიელი მისიონერის - კასტელის ნამუშევრებს შორის გვხვდება ქართლ-კახეთის მეფე თეიმურაზ I-ის პორტრეტი, სადაც იგი დედოფალთან ერთად არის გამოსახული. მეფე წარმოდგენილია აღმოსავლური დოლბანდითა და რაჟამით, ისევე როგორც დედოფალი.

ვახტანგ VI სხვადასხვა ვიზუალურ წყაროში განსხვავებული თავსაბურავით გვევლინება. სახარების ილუსტრაციაში მას ორნაკეცი თავსაბურავი ახურავს, რომელიც ევროპულ კულტურას-

[13] რაჟამებით იგივე ბუმბულებით გაფორმებული თავსაბურავი

თან უფრო ახლოს დგას, ვიდრე აღმოსავლურთან. ამავე ილუსტრაციაში მას ხელთ უპყრია ჯვრით შემკული სამეფო კვერთხი. სვეტიცხოვლის ფრესკის ასლზე კი, რომელიც პიოტრ როსიმ შემოგვინახა, ვახტანგი ტოტიანი გვირგვინით არის გამოსახული, რომელსაც ძვირფასი ქვები და მარგალიტები ამკობს.

ასე რომ, XV-XVIII საუკუნეების ქართული სამეფო სამოსი ქვეყნის პოლიტიკური და კულტურული მდგომარეობის მნიშვნელოვანი გამომხატველი იყო. მასზე ძლიერ გავლენას ახდენდა აღმოსავლური, განსაკუთრებით სპარსული კულტურა, თუმცა დროთა განმავლობაში ეს ელემენტები ქართულ ტრადიციას შეერწყა და სამეფო სამოსის განუყოფელ ნაწილად იქცა.

ამრიგად, შუა საუკუნეების ქართული სამეფო სამოსი და ინსიგნიები მნიშვნელოვან როლს ასრულებდა სამეფო კარის კულტურის ფორმირებაში. სამეფო შესამოსელი გამოირჩეოდა მდიდრული ქსოვილებით, მრავალფეროვანი ორნამენტებითა და ძვირფასი გაფორმებებით, რაც მმართველის განსაკუთრებულ სტატუსსა და სახელმწიფოებრივ ძალაუფლებას უსვამდა ხაზს.

კვლევის პროცესში გამოიკვეთა ბიზანტიური და აღმოსავლური კულტურების გავლენების მნიშვნელობა, რაც ნათლად აისახა როგორც სამეფო შესამოსელში, ასევე ინსიგნიებში

ბიბლიოგრაფია

ამირანაშვილი, შ., ქართული ხელოვნების ისტორია, თბ., ხელოვნება, 1971;

ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ: ქართლის ცხოვრება, თბილისი, 1973;

თაყაიშვილი, ე., არქეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი, ტფ., 1914;

კალანდია, გ., ქართული მოდა, თბილისი, პალიტრა L, 2024;

პატარაია, მ., დავით აღმაშენებელი: ნუმიზმატიკური მემკვიდრეობა, თბ., არტანუჯი, 2022;

უგრეხელიძე, ი., კოსტუმი შუა საუკუნეების საქართველოში, ქუთაისი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2011;

ქართლის ცხოვრება. ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, რედ. ს. ყაუხჩიშვილი, თბილისი, 1959;

ჯავახიშვილი, ი., მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, თბილისი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1962.

ლანა დუმბაძე, ნინო გაბაიძე,
ქრისტინა ირემაძე, ლიკა ვარშალომიძე
LANA DUMBADZE, NINO GABAIDZE,
KRISTINA IREMADZE, LIKA VARSHALOMIDZE

ქედის მუნიციპალიტეტის ეთნოგრაფიული მემკვიდრეობა: ტრადიციული არქიტექტურული ფორმები, ფუნქციური დანიშნულება და ტრანსფორმაცია

THE ETHNOGRAPHIC HERITAGE OF KEDA MUNICIPALITY: TRADITIONAL ARCHITECTURAL FORMS, FUNCTIONAL PURPOSE, AND TRANSFORMATION

Abstract. The Ethnographic Heritage of Keda Municipality: Traditional Architectural Forms, Functional Purpose, and Transformation Located in the inner highlands of the Autonomous Republic of Adjara, within the valley of the Acharistskali River, Keda Municipality represents one of the most significant historical and ethnographic areas of southwestern Georgia [Chitaia, 1960]. Over centuries, specific traditions of folk architecture and economic life emerged in this geographic space, closely adapted to local natural and climatic conditions [Kharadze, 1984].Ethnographic structures constitute a fundamental component of traditional culture, reflecting society's economic structure, social organization, centuries of harmonious coexistence with the environment, and aesthetic values [Inadorishvili, 2012]. Amid contemporary globalization, intensive urbanization, and the unification of construction technologies, authentic samples of folk architecture face rapid transformation or complete disappearance. Consequently, their comprehensive scientific study, description, and documentation are urgent tasks for ethnological science [Bardavelidze, 1953].

***

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შიდა მთიანეთში, მდინარე აჭარისწყლის ხეობაში მდებარე ქედის მუნიციპალიტეტი წარმოადგენს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ისტორიულ-ეთნოგრაფიულ არეალს [ჩიტაია, 1960]. საუკუნეების განმავლობაში აღნიშნულ გეოგრაფიულ სივრცეში ჩამოყალიბდა ხალხური მშენებლობისა და სამეურნეო ყოფის სპეციფიკური ტრადიციები, რომლებიც მჭიდროდ იყო ადაპტირებული ადგილობრივ ბუნებრივ-კლიმატურ პირობებთან [ხარაძე, 1984].

ეთნოგრაფიული ნაგებობები ტრადიციული კულტურის ფუნდამენტურ კომპონენტს წარმოადგენს. მათში ასახულია საზოგადოების სამეურნეო სტრუქტურა, სოციალური ორგანიზაცია, გარემოსთან ჰარმონიული თანაარსებობის მრავალსაუკუნოვანი გამოცდილება და ესთეტიკური შეხედულებები [ინადორიშვილი, 2012]. თანამედროვე გლობალიზაციის, ინტენსიური ურბანიზაციისა და სამშენებლო ტექნოლოგიების უნიფიკაციის პირობებში, ავთენტური ხალხური ხუროთმოძღვრების ნიმუშები სწრაფი ტრანსფორმაციის ან სრული გაქრობის საფრთხის წინაშე დგას. შესაბამისად, მათი კომპლექსური მეცნიერული შესწავლა, აღწერა და დოკუმენტირება ეთნოლოგიური მეცნიერებისათვის გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს [ბარდაველიძე, 1953].

კვლევის მეთოდოლოგია, მიზნები და ამოცანები. წინამდებარე ნაშრომი ეფუძნება ქედის მუნიციპალიტეტის სოფლებში განხორციელებულ ექვსდღიან საველე-ეთნოგრაფიულ კვლევას. კვლევის პროცესში გამოყენებული იყო ეთნოლოგიური მეცნიერების კლასიკური და თანამედროვე მეთოდები:

ვიზუალური დათვალიერება და ფოტო-დოკუმენტირება: ნაგებობების კონსტრუქციული ელემენტების, სამშენებლო მასალებისა და დაზიანების ხარისხის დაფიქსირება.

სიღრმისეული ინტერვიუირება: ადგილობრივ რესპონდენტებთან და ობიექტების მფლობელებთან ნახევრადსტრუქტური-

რებული ინტერვიუების ჩატარება ხალხური ტერმინოლოგიისა და ისტორიული მეხსიერების აღსადგენად.

ტიპოლოგიური და შედარებით-ისტორიული ანალიზი: მიღებული საველე მასალების სისტემატიზაცია დასავლეთ საქართველოს ეთნოგრაფიული პარალელების კონტექსტში.

კვლევის მიზნები და ამოცანები. ძირითადი მიზანი: ქედის მუნიციპალიტეტის სოფლებში შემორჩენილი ეთნოგრაფიული ნაგებობების არქიტექტურული, ფუნქციური და კულტურული თავისებურებების გამოვლენა და მათი როლის განსაზღვრა რეგიონის მატერიალურ მემკვიდრეობაში.

ძირითადი ამოცანები: ეთნოგრაფიული ნაგებობების ძირითადი ტიპების იდენტიფიკაცია; ტრადიციული საცხოვრებელი სახლების სტრუქტურული ანალიზი; სამეურნეო ნაგებობების (ნალია, ბეღელი, მარანი, წისქვილი) ფუნქციური მახასიათებლების შესწავლა; ტრადიციული სამშენებლო ტექნოლოგიებისა და ლოკალური მასალების (წაბლი, მუხა, თლილი ქვა) კვლევა; ნაგებობების ტრანსფორმაციისა და თანამედროვე ადაპტაციური გამოყენების (მაგ. ტურისტული ფუნქციით) შეფასება.

ტრადიციული საცხოვრებელი არქიტექტურა. აჭარის მთიანეთში ხის არქიტექტურის დომინირება განპირობებული იყო ტყის რესურსების სიუხვითა და მაღალი ტენიანობის პირობებში ხის, როგორც სამშენებლო მასალის, მაღალი თერმოიზოლაციური და პრაქტიკული თვისებებით [ნიჟარაძე, 1961]. მშენებლობაში უპირატესად გამოიყენებოდა წაბლისა და მუხის მტკიცე მერქანი.

სახლი N1: სოფელი დანდალო (მფლობელი: ოთარ ავალიანი). ნაგებობა წარმოადგენს XX საუკუნის დასაწყისის აჭარული ხის საცხოვრებელი სახლის ავთენტურ ნიმუშს. სახლი გადახურულია ორფერდა სახურავით. მეორე სართული წარმოდგენილია ფართე შემინული აივნითა და სხვადასხვა დანიშნულების ოთახებით.



კონსტრუქციული თავისებურებები: კედლები აგებულია ჰორიზონტალურად დაწყობილი მორებისა და სქელი ფიცრებისგან. შენობა შემაღლებულ საძირკველზეა მოწყობილი (მიწიდან 1.5–2 მეტრით ამაღლებული), რაც დამახასიათებელია დასავლეთ საქართველოს ნოტიო ზონისთვის [გეგეშიძე, 1956].

სივრცითი დაგეგმარება: სახლის მთავარ კომპოზიციურ ცენტრს ფართო, შემინული აივანი წარმოადგენს. აივანი ასრულებდა როგორც კომუნიკაციურ, ისე სამეურნეო (პროდუქტის გამოშრობა) და სოციალურ (სტუმრის მიღება) ფუნქციას. მეორე სართულზე ასასვლელად გამოყენებულია გარე ხის კიბე, რომელიც ღია ვერანდაზე გადის.

სახლი N2: სოფელი ზესოფელი (მფლობელი: ნოდარ ბერიძე). ზესოფელში მდებარე ბერიძეთა საგვარეულო სახლი მიეკუთვნება ლაზური სამშენებლო ტექნიკის გავლენით აგებულ რთულ, ორსართულიან ნაგებობათა ტიპს.



ისტორიული გენეზისი: რესპონდენტის ცნობით, ამ ადგილზე სახლი 1735 წელსაც იდგა (სადაც 4 ოჯახი ცხოვრობდა), თუმცა ზვავისგან დაინგრა. თანამედროვე ნაგებობა 1919 წელსაა აღდგენილი.

სამშენებლო მასალების კომბინაცია. პირველი სართული: ნაშენებია ლაზი ოსტატების მიერ დამუშავებული თლილი ქვით. კედლების შესაკრავად ცემენტის არარსებობის გამო გამოყენებულია კირხსნარი.

მეორე სართული: აგებულია ადგილობრივი წაბლის მასიური ხისგან. შიდა დაგეგმარება („ცალპირა სახლი“): სახლს გასდევს გრძელი შუა დერეფანი. სოციალურ-ეკონომიკური პირობებისა და ოჯახის დაყოფის (დაქორწინების) გამო, აჭარაში გავრცელებული იყო სახლის შუაზე გაყოფისა და ნაწილის გადატანის პრაქტიკა, რასაც „ცალპირა სახლს“ უწოდებდნენ.

ინტერიერი და ტერმინოლოგია. მისაღები ოთახი: შემორჩენილია ხის ტახტი — *„სექვი“*. აქვეა ორნამენტირებული ბუხარი (ზედა ნაწილს ეწოდება *„ქემერი“*); **სტუმრის ოთახი:** ე.წ. *„მოსაფირის ოდა“*, დაცულია ტრადიციული ხალხური სამშენებლო ტერმინოლოგია: კედელი — ***„ღოჯე“*, ჭერი — *„თავანი“*, კარის გვერდითი ბოძი — *„სოია“*.**

ჩაკეტვის მექანიზმი: გამოყენებული იყო ხის ტრადიციული საკეტი, რომელსაც ადგილობრივად *„დათვაბოვას“* [ჩიტაია, 1960].

ჰიდროტექნიკური ნაგებობები (წისქვილები). აჭარის მთიანეთში მარცვლეული კულტურების (ღომი, სიმინდი) გადასამუშავებლად ფართოდ გამოიყენებოდა წყლის ენერგიაზე მომუშავე მექანიკური წისქვილები [ჩოჩიევი, 1981].





სოფელ გეგელიძეების წისქვილში დაცული პირამიდული ხის ბუნკერი (*ხვიმირა*) და საფქვავი ქვები (*დოლაბი*) წარმოადგენს ხალხური საინჟინრო აზროვნების ნათელ ნიმუშს.

სამეურნეო საშრობ-საცავები (ნალიები). ნალია დასავლეთ საქართველოს ტრადიციული სამეურნეო ნაგებობაა. იგი ისტორიულად გამოიყენებოდა ღომის თაველის გასახმობად (წყაროებში მოიხსენიება როგორც *„საღომე სახლი“* [ორბელიანი, 1991]), ხოლო მოგვიანებით — სიმინდისა და სხვა მარცვლეულის შესანახად.

ნალია N1: სოფელი ზესოფელი



კონსტრუქცია: მართკუთხა გეგმის მასიური ხის ფიცრული ნაგებობა. თავდაპირველად იდგა ხის ბოძებზე, რომლებიც მოგვიანებით რკინის საყრდენებით ჩანაცვლდა.

ფუნქციური ტრანსფორმაცია: დაკარგული აქვს პირვანდელი მარცვლეულის საშრობი ფუნქცია; ამჟამად გამოიყენება დამხმარე სამეურნეო საწყობად (ინახება მოტობლოკი და ხელსაწყოები).

ნალია N2: სოფელი ვაიო (მფლობელი: შავიშვილების ოჯახი)



ასაკი და სტრუქტურა: დაახლოებით 80 წლის ფიცრული ნალია. ბოძების თავზე მოწყობილია სპეციალური ხის/ქვის მრგვალი დისკოები - „სათაგურები“, რომლებიც აფერხებდნენ მღრღნელების შეღწევას საცავში [მაკალათია, 1968].

რეკონსტრუქცია და აგროტურისტული ადაპტაცია: ტრადიციული ნალია იყო მარცვლეულის საცავი, რესტავრავია-ფიცრულ ნაგებობად გადაკეთების შემდეგ იგი იქცა თანამედროვე ეკო-კოტეჯად საწოლითა და კოდიციონერით.

ვაიოს ნალია კულტურული მემკვიდრეობის თანამედროვე, ადაპტირებული გამოყენების სანიმუშო მაგალითს წარმოადგენს, სადაც ისტორიულმა ექსტერიერმა შეიძინა ახალი ტურისტული ფუნქცია.

- **მევენახეობა-მეღვინეობა. მარნები.** ქედის მუნიციპალიტეტი უძველესი მევენახეობა-მეღვინეობის კერაა, სადაც გავრცე-

ლებულია უნიკალური ვაზის ჯიშები: *ჩხავერი*, *ცოლიკოური*, *საკმიელა* და *კლარჯული* [რამიშვილი, 1986].

ლადო შავიშვილი მარანი (სოფელი ვაიო). აღმოსავლეთ საქართველოსგან განსხვავებით, სადაც ჭარბობს მიწაში ჩაფლული ქვევრები, აჭარის მთიანეთში, ნესტიანი ჰავის გამო, ფართოდ გამოიყენებოდა ხის საწნახლები, მუხის კასრები და მიწისზედა ქვევრები [ნადირაძე, 1990].



არქიტექტურული ფასადი: მოპირკეთებულია ბუნებრივი ქვისა და აგურის ფაქტურის ფილებით.მარნის ეზოში განთავსებულია მთლიანი ხის მასიური მორისგან გამოთლილი უძველესი საწნახელი, რომელიც შემოჭერილია ლითონის სალტეებით.

ტრადიციული ხის ჭურჭლის გვერდით გამოიყენება უჟანგავი ფოლადის (ინოქსის) ავზები, რაც უზრუნველყოფს ღვინის ტექნოლოგიური ხარისხის შენარჩუნებას ტრადიციული მეთოდების პარალელურად.

ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ვაიოში მდებარე ლადო შავიშვილის მარანი ტრადიციული ხალხური ხუროთმოძღვრები-

სა და თანამედროვე ტექნოლოგიების შერწყმის საინტერესო ნიმუშია.

ნაგებობის ფასადს ამშვენებს მოწითალო აგურის ზოლები, რის შედეგადაც ის ვიზუალურად მრავალფეროვან და ტრადიციულ იერსახეს იძენს. ფასადზე მოთავსებულია მცირე ზომის ხისჩარჩოიანი ფანჯარა, რომელიც უზრუნველყოფს შენობის ბუნებრივ განათებასა და ვენტილაციას. კედელზე დამონტაჟებულია კლასიკური ფორმის გარე სანათი, რაც ჰარმონიულად ერწყმის შენობის საერთო არქიტექტურულ სტილს.

შენობის წინ განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ძველი, დიდი ზომის ხის საწნახელი. იგი დამზადებულია მთლიანი ხის მასიური მორისგან, რომლის შიდა ნაწილიც სპეციალურად ყურძნის დასაწურად არის გამოთლილი. ხის გამძლეობის გასაზრდელად საწნახელი შემოჭერილია რკინის სალტეებით. მსგავსი კონსტრუქციები აჭარის ტრადიციული მეღვინეობის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და ავთენტური ატრიბუტია. საწნახელი ხის საყრდენებზეა მოთავსებული, რათა დაწურვისას მიღებული ტკბილი ადვილად გადაედინოს ქვევრში ან სპეციალურ ჭურჭელში.

მარნის ეზო მოპირკეთებულია მოზაიკური ქვის საფარით, რომელიც სხვადასხვა ზომის ბუნებრივი ქვის ფრაგმენტებისგანაა შედგენილი. ეზოს ჩრდილს ქმნის დიდი ფოთლოვანი ხე, რაც ზაფხულის ცხელ დღეებში მარნის გარემოს აგრილებს და ტრადიციული სოფლის ეზოსთვის დამახასიათებელ მყუდრო იერს ქმნის.

შიდა სივრცე და ტექნოლოგიური აღჭურვილობა. მარნის შიდა სივრცე სრულად არის მორგებული ღვინის შესანახ და დასამუშავებელ პროცესებს. კედლები მოპირკეთებულია ღია ფერის ქვის ფაქტურის ფილებით, რომლებიც ადვილად ირეცხება და უზრუნველყოფს მაღალი ჰიგიენური ნორმების დაცვას. იატაკი დაფარულია ქვის მოზაიკით, რომელიც გამოირჩევა ტენიანობისა და მექანიკური დატვირთვისადმი მდგრადობით.

მარანში განლაგებულია სხვადასხვა მოცულობის უჟანგავი ფოლადის ცილინდრული ავზები, რომლებიც თანამედროვე მეღვინეობაში გამოიყენება ღვინის დუღილის, დაწმენდისა და შენახვისათვის. ავზები აღჭურვილია სპეციალური ონკანებითა და ტექნოლოგიური ელემენტებით, რაც მნიშვნელოვნად ამარტივებს ღვინის ხარისხის მუდმივ კონტროლს.

ინტერიერი მაქსიმალურად ფუნქციურია. Светодиодный индикатор განათებები, რომლებიც მთელ სივრცეს თანაბრად ანათებს, ხოლო მარანში შენარჩუნებული შედარებით გრილი ტემპერატურა აუცილებელ პირობას ქმნის ღვინის ხარისხიანი ვარგისიანობისთვის.

აღსანიშნავია, რომ მიუხედავად თანამედროვე ტექნოლოგიური აღჭურვილობისა, მარნის ეზოში სათუთად არის დაცული ტრადიციული ხის საწნახელი. ეს ნათლად აჩვენებს, რომ ლადო შავიშვილის მარანი აერთიანებს როგორც ძველ ქართულ მეღვინეობას, ისე თანამედროვე ღვინის წარმოების მეთოდებს.

ბერიძეთა საგვარეულო მარანი (სოფელი ზესოფელი). საველე ეთნოლოგიური პრაქტიკის ფარგლებში ასევე შესწავლილ იქნა ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ზესოფელში მდებარე ბერიძეთა საგვარეულოს მარანი, რომელიც წარმოადგენს ტრადიციული ქართული მეღვინეობისა და თანამედროვე ტექნოლოგიების ჰარმონიულ სინთეზს.

ნაგებობა შესრულებულია ხის კონსტრუქციებით, მაღალი ორფერდა სახურავითა და ბუნებრივი მასალებით, რაც სივრცეს განსაკუთრებულ სითბოსა და ავთენტურ ატმოსფეროს ანიჭებს. ქართული ტრადიციით, მარანი არა მხოლოდ ღვინის დასაყენებელი და შესანახი ადგილია, არამედ ოჯახის ისტორიის, შრომისა და სტუმარ-მასპინძლობის სიმბოლოცაა.

ინტერიერი მთლიანად მოპირკეთებულია ბუნებრივი ხით, ხოლო ჭერის ღია კონსტრუქცია სივრცეს სიმაღლისა და სიდიადის განცდას ანიჭებს. კედლებში განთავსებული მცირე ზომის ფანჯრები უზრუნველყოფს დღის ბუნებრივი სინათლის თანა-

ბარ განაწილებას, ამავდროულად ინარჩუნებს მარნისთვის აუცილებელ ზომიერ ტემპერატურულ რეჟიმს. საღამოს პირობებში სივრცეს ეფექტურად ანათებს ჭერზე დაკიდებული თანამედროვე სანათები, რომელთა რბილი, გაფანტული შუქი ხაზს უსვამს ხის ინტერიერის ბუნებრივ ტექსტურას.

ქვევრისა და თანამედროვე ტექნოლოგიების სიმბიოზი. მარნის ცენტრალურ ნაწილში განლაგებულია უჟანგავი ფოლადის რამდენიმე დიდი ფერმენტაციისა და ღვინის შესანახი ავზი. მათ პარალელურად სრულად არის შენარჩუნებული ტრადიციული ქვევრის მეღვინეობის ინფრასტრუქტურა. ქვევრის განყოფილებაში მიწაში ჩაფლულია რამდენიმე ქვევრი, რომელთა თავები აგურის იატაკიდან ამოდის. ქვევრები ერთმანეთისგან ოპტიმალური დაშორებითაა განლაგებული, რაც თითოეული მათგანის მოვლასა და ექსპლუატაციას ამარტივებს.



ცალკე სათავსოში განთავსებულია თანამედროვე პნევმატური საწნახელი (პრესი), რომელიც გამოიყენება ყურძნის ნაზი დაწურვისთვის. აღნიშნული დანადგარი მეღვინეს შესაძლებლობას აძლევს, ტრადიციული ქვევრის ტექნოლოგია თანამედროვე საწარმოო პროცესებთან წარმატებით დააკავშიროს.

არქეოლოგიური კონტექსტი და ისტორიული ფესვები. აღსანიშნავია, რომ მარნის მიმდებარე ტერიტორიაზე უკვე მრავა-

ლი წელია მიმდინარეობს არქეოლოგიური გათხრები. ჩატარებული სამუშაოების შედეგად აღმოჩენილია სხვადასხვა ზომის ქვევრები, აგრეთვე ხისა და ქვის საწნახელები. ადგილობრივი მოსახლეობის გადმოცემით, აღნიშნული არტეფაქტები V საუკუნით თარიღდება.

დღეისათვის მიმდინარეობს იმ ტერიტორიის ღია მუზეუმად გარდაქმნის პროცესი, სადაც ეს არქეოლოგიური მასალაა აღმოჩენილი. აღნიშნული აღმოჩენები მიუთითებს, რომ ამ ადგილას მეღვინეობის ტრადიცია საუკუნეების განმავლობაში არსებობდა. თანამედროვე ბერიძეთა საგვარეულოს მარანი, რომელიც 2021–2022 წლებში აშენდა, სწორედ ამ მრავალსაუკუნოვანი მეღვინეობის ტრადიციის პირდაპირ გაგრძელებას წარმოადგენს.

ამრიგად, განხორციელებულმა საველე ეთნოგრაფიულმა კვლევამ ნათლად წარმოაჩინა, რომ ქედის მუნიციპალიტეტის სოფლებში დღემდე შემორჩენილია ტრადიციული საცხოვრებელი და სამეურნეო არქიტექტურის არაერთი მნიშვნელოვანი ნიმუში. შესწავლილმა საცხოვრებელმა სახლებმა, წყლის წისქვილებმა, ნალიებმა და მარნებმა ცხადყო, რომ მათი არქიტექტურული ფორმები, ადგილობრივი სამშენებლო მასალები (ხე, ქვა, კირი) და სივრცითი მოწყობა მჭიდროდ იყო დაკავშირებული მოსახლეობის ყოფასა და ბუნებრივ-გეოგრაფიულ გარემოსთან.

თანამედროვე ეპოქაში ეთნოგრაფიული ნაგებობების ნაწილი ადაპტირებულია თანამედროვე საჭიროებებზე, მათ შორის ტურისტული ინფრასტრუქტურის ელემენტებად, თუმცა მათი ისტორიულ-კულტურული ღირებულება უცვლელი რჩება.

საველე ინტერვიუებმა და ადგილობრივი მოსახლეობის მონათხრობმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ეთნოგრაფიული კვლევა ყველაზე ეფექტურ შედეგს იძლევა წერილობითი წყაროებისა და ზეპირი ისტორიების ურთიერთშეჯერების საფუძველზე. ქედის სოფლებში არსებული ეთნოგრაფიული ნაგებობების შესწავლა, დოკუმენტირება, დაცვა და პოპულარიზაცია სასი-

ცოცხლოდ აუცილებელია აჭარის მდიდარი კულტურული მემკვიდრეობის მომავალი თაობებისთვის შესანარჩუნებლად.

გამოყენებული ლიტერატურა:

ბარდაველიძე, ვ. (1953). *ქართველი ხალხის რწმენა-წარმოდგენები* . თბილისი: მეცნიერება.

გეგეშიძე, მ. (1956). *ქართული ხალხური ტრანსპორტი* . თბილისი: მეცნიერება.

მაკალათია, ს. (1968). *მთიანი აჭარის ეთნოგრაფია* . თბილისი: ნაკადული.

ნადირაძე, ე. (1990). *ხალხური მეღვინეობა საქართველოში* . თბილისი.

ორბელიანი, ს. (1991). *სიტყვის კონა (ქართული ლექსიკონი)* . თბილისი.

რამიშვილი, რ. (1986). *აჭარის ვაზის ჯიშები და მევენახეობის ისტორია* . თბილისი.

საქართველოს ენციკლოპედია (1986), „საქართველოს ენციკლოპედია“, ტ. X. თბილისი

ჯალაბაძე, გ. (1972). *აღმოსავლეთ საქართველოს სამშენებლო ტრადიციები და ლაზური გავლენები* . თბილისი.

ელექტრონული რესურსები:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი. საინფორმაციო მასალები (ელექტრონული რესურსი);

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა. ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი (ელექტრონული გამოცემა).

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო. საინფორმაციო მასალები (ელექტრონული რესურსი).

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი).რეგიონული სტატისტიკური მონაცემები (ელექტრონული რესურსი).

ქედის მუნიციპალიტეტის მერია. ოფიციალური საინფორმაციო მასალები (ელექტრონული რესურსი).

საველე მასალები, რესპონდენტები:

ოთარ ავალიანი, სოფ. დანდალო, ქედის მუნიციპალიტეტი, ივლისი, 2026.

ნოდარ ბერიძე,სოფ. ზესოფელი, ქედის მუნიციპალიტეტი, ივლისი, 2026.

ალი ხალვაში, სოფ. გეგელიძეები, ქედის მუნიციპალიტეტი, ივლისი, 2026.

შავიშვილი, სოფ. ვაიო, ქედის მუნიციპალიტეტი, ივლისი, 2026.

ავტორთა საველე ჩანაწერები და ფოტომასალა, ქედის მუნიციპალიტეტი, 17–23 ივლისი, 2026.

ეკა მაისურაძე

ოჯახის როლი რელიგიური იდენტობის შენარჩუნებაში საბჭოთა პერიოდის აჭარაში

რელიგიური იდენტობის ფორმირება და ტრანსფორმაცია რთული და მრავალმხრივი პროცესია, რომელიც მხოლოდ რელიგიურ ინსტიტუტებთან ან ინდივიდის პირად რწმენასთან არ არის დაკავშირებული. იგი მოიცავს სოციალურ, კულტურულ, ისტორიულ, ოჯახურ და მეხსიერებით ასპექტებს. განსაკუთრებით საინტერესოა რელიგიური იდენტობის შენარჩუნების საკითხი იმ საზოგადოებებში, სადაც სახელმწიფოს მხრიდან ხანგრძლივი და სისტემური ზეწოლა ხორციელდებოდა რელიგიური ინსტიტუტებისა და ტრადიციების წინააღმდეგ.

ამ თვალსაზრისით განსაკუთრებულ შემთხვევას წარმოადგენს საბჭოთა პერიოდის აჭარა. ამ რეგიონში მუსლიმური რელიგიური ტრადიციები ისტორიულად მნიშვნელოვან სოციალურ და კულტურულ ფაქტორებად იქცა. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ კი აჭარის მუსლიმი მოსახლეობა აღმოჩნდა ისეთი სახელმწიფო პოლიტიკის პირობებში, რომელიც მიზნად ისახავდა რელიგიის საზოგადოებრივი გავლენის შემცირებასა და საბოლოოდ ათეისტური მსოფლმხედველობის დამკვიდრებას.

საბჭოთა ხელისუფლების ანტირელიგიული პოლიტიკა მხოლოდ მეჩეთების დახურვითა და სასულიერო პირების საქმიანობის შეზღუდვით არ შემოიფარგლებოდა. იგი შეეხო განათლებას, ოჯახურ ცხოვრებას, ქალთა მდგომარეობას, რელიგიურ დღესასწაულებსა და ყოველდღიურ პრაქტიკებს. აჭარაში განსაკუთრებით თვალსაჩინო გახდა ქალთა საკითხის გამოყენება ანტირელიგიული პოლიტიკის ერთ-ერთ ინსტრუმენტად. 1920-იან წლებში ხელისუფლება ცდილობდა ქალების რელიგიური ტრადიციებისგან გამიჯვნას, ხოლო 1929 წელს მთიან აჭარაში ქალთა ჩადრის მოხსნასთან და რელიგიური სკოლების დახურვას-

თან დაკავშირებულმა პოლიტიკამ ფართომასშტაბიანი წინააღმდეგობა გამოიწვია.

ამ პროცესების შესწავლა გვიჩვენებს, რომ საბჭოთა ხელისუფლებისთვის რელიგიის წინააღმდეგ ბრძოლა მხოლოდ ინსტიტუციების წინააღმდეგ ბრძოლას არ წარმოადგენდა. სახელმწიფო ცდილობდა რელიგიური სოციალიზაციის არსებული მექანიზმების შეცვლასაც. სწორედ აქ იკვეთება ოჯახის განსაკუთრებული მნიშვნელობა.

ნაშრომის მიზანია გამოიკვლიოს ოჯახის როლი აჭარის მუსლიმი მოსახლეობის რელიგიური იდენტობის შენარჩუნებაში საბჭოთა პერიოდში და გააანალიზოს, როგორ შეიძლებოდა ოჯახურ სივრცეს შეესრულებინა რელიგიური ცოდნის, მეხსიერებისა და ტრადიციების თაობიდან თაობისთვის გადაცემის ფუნქცია მაშინ, როდესაც რელიგიური ინსტიტუტების მოქმედების შესაძლებლობები მნიშვნელოვნად იყო შეზღუდული.

მოხსენების მთავარი კითხვაა: **რა როლს თამაშობდა ოჯახი საბჭოთა პერიოდის აჭარაში რელიგიური იდენტობის შენარჩუნებისა და თაობათაშორისი გადაცემის პროცესში?**

მოხსენების ძირითადი თეზისის თანახმად, საბჭოთა პერიოდში რელიგიური ინსტიტუტების შეზღუდვის პირობებში ოჯახმა შეასრულა მნიშვნელოვანი როლი როგორც რელიგიური სოციალიზაციის, ასევე კულტურული მეხსიერების შენარჩუნების პროცესში. ამასთან, რელიგიური იდენტობის შენარჩუნება ყოველთვის არ გულისხმობდა სრულყოფილი რელიგიური პრაქტიკის გაგრძელებას. იგი შეიძლებოდა გამოხატულიყო მეხსიერებაში, ოჯახურ წეს-ჩვეულებებში, ცხოვრების ციკლთან დაკავშირებულ რიტუალებში, მორალურ ღირებულებებსა და წინაპართა გამოცდილების თაობიდან თაობისთვის გადაცემაში.

საბჭოთა პერიოდის აჭარაში ოჯახის როლის შესწავლა წყაროთმცოდნეობრივად რთული საკითხია. ამის მიზეზია ის, რომ საბჭოთა სახელმწიფოს ოფიციალური დოკუმენტები ძირითადად ასახავს ანტირელიგიული პოლიტიკის განხორციელებას და

ნაკლებად გვაწვდის ინფორმაციას იმ არაფორმალურ პროცესებზე, რომლებიც ოჯახურ სივრცეში მიმდინარეობდა. ამიტომ კვლევისთვის მნიშვნელოვანია სხვადასხვა ტიპის წყაროს ერთმანეთთან შეჯერება.

პირველ რიგში, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საქართველოსა და აჭარის საარქივო მასალებს. საბჭოთა პერიოდის პარტიული და ადმინისტრაციული დოკუმენტები გვაძლევს ინფორმაციას სახელმწიფოს პოლიტიკის, მეჩეთების დახურვის, რელიგიური განათლების შეზღუდვის, სასულიერო პირების მდგომარეობისა და ქალთა მიმართ განხორციელებული კამპანიების შესახებ.

ამ მიმართულებით მნიშვნელოვანია აჭარის არქივებში დაცული დოკუმენტების გამოყენება. თანამედროვე კვლევებმა აჩვენა, რომ საარქივო მასალები მნიშვნელოვან ინფორმაციას შეიცავს 1920-იანი წლების ანტირელიგიური პოლიტიკისა და 1929 წლის მოვლენების შესახებ.

მეორე მნიშვნელოვანი წყაროა ზეპირი ისტორია. სწორედ ზეპირი ისტორიების საშუალებით შეიძლება იმ გამოცდილების გაზიარება, რომელიც ოფიციალურ საბჭოთა დოკუმენტებში ხშირად არ აისახება. ოჯახის წევრების მოგონებები საშუალებას იძლევა გავიგოთ, როგორ აღიქვამდნენ ადამიანები რელიგიას ყოველდღიურ ცხოვრებაში, როგორ ასწავლიდნენ ბავშვებს რელიგიურ წესებს, რა ტრადიციებს ინარჩუნებდნენ და რომელი პრაქტიკები გაქრა ან შეიცვალა.

მესამე ჯგუფს წარმოადგენს მემუარული და ეთნოგრაფიული მასალა, რომელიც საშუალებას იძლევა აღვადგინოთ ყოველდღიური ცხოვრების კონკრეტული ასპექტები.

მეთოდოლოგიურად კვლევა ეყრდნობა ისტორიულ-შედარებით, ისტორიულ-კულტურულ და ინტერდისციპლინურ მიდგომებს. ასევე მნიშვნელოვანია ზეპირი ისტორიის მეთოდის გამოყენება.

თავდაპირველად მსურს, განვიხილო რელიგიური იდენტობის შესახებ რამდენიმე მოსაზრება. ჰერვიე-ლეჟერი რელიგიურ იდენტობას მხოლოდ რწმენების ერთობლიობად არ განიხილავს. მისი ძირითადი იდეაა, რომ რელიგია თაობიდან თაობას გადაეცემა კოლექტიური მეხსიერების, ტრადიციების, რიტუალების, ოჯახური პრაქტიკის საშუალებით. ის ასევე აღნიშნავს, რომ თანამედროვე საზოგადოებაში რელიგიური იდენტობა აღარ არის აუცილებლად მთლიანად მემკვიდრეობით მიღებული; ადამიანი შეიძლება თავისი რელიგიური კუთვნილების სხვადასხვა კომპონენტს სხვადასხვა გზით ითვისებდეს.(Hervieu-Léger,2000:55-56)

ასევე ძალიან საინტერესოა ლორი პიკის სტატია რელიგიური იდენტობის ფორმირების ეტაპებზე. იგი აღნიშნავს, რომ რელიგიური იდენტობა შეიძლება იყოს როგორც მემკვიდრეობითი, ისე არჩეული. სწორედ მემკვიდრეობით მიღებულ იდენტობაში უკავია უდიდესი ადგილი ოჯახს, რომელიც პასუხისმგებლობას იღებს შექმნას შესაბამისი რელიგიური გარემო, დაიცვას ტრადიციები, შეასრულოს რელიგიური რიტუალები.(Peek,2005:235-236)

რელიგიურ იდენტობასთან დაკავშირებით სტუარტ ჰოლი ამბობს, რომ იდენტობა არ არის რაღაც ერთხელ და სამუდამოდ მოცემული. ადამიანის იდენტობა იქმნება სხვადასხვა ფაქტორების ზეგავლენით. ესაა ისტორიული გამოცდილება, მეხსიერება, კულტურა, სხვებთან ურთიერთობა, პოლიტიკური გარემო. (Hall, 1990:222–223)

რელიგიური იდენტობის საკითხს განსხვავებულად განიხილავს თომას ლუკმანი. ის თვლის, რომ რელიგიურობა ყოველთვის არ არის დაკავშირებული ოფიციალურ რელიგიურ ინსტიტუტებთან. ადამიანი შეიძლება არ დადიოდეს არც ეკლესიაში, არც მეჩეთში, მაგრამ მაინც ჰქონდეს რელიგიური რწმენები და რიტუალები. (Luckmann,1967:17–18)

ეს თეორია ზუსტად შეესაბამება აჭარას, რადგან როდესაც საბჭოთა პერიოდში მეჩეთები დახურული იყო, ასევე შეიზღუდა

რელიგიური რიტუალების ჩატარება, ეს ავტომატურად არ ნიშნავდა იმას, რომ რელიგიური იდენტობა გაქრა. ის რელიგიური ინსტიტუტებიდან შეიძლება გადასულიყო ოჯახში, სადაც ყოველდღიური ცხოვრება უკავშირდებოდა რელიგიური პრაქტიკის შენარჩუნებას. ეს კი ადგილობრივი მოსახლეობის მეხსიერებაში ღრმად იდგამდა ფესვებს.

აჭარა, როგორც საქართველოს ისტორიული რეგიონი, გამოირჩევა რელიგიური მრავალფეროვნებით. ოსმალეთის იმპერიის მმართველობის პერიოდში აჭარის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი ისლამზე მოექცა, თუმცა ამავდროულად შეინარჩუნა ქართული ენა, კულტურა და იდენტობა. 1921 წელს საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ კი, აჭარის მუსლიმი მოსახლეობა, ისევე როგორც საბჭოთა კავშირის სხვა რელიგიური ჯგუფები, მოექცა სახელმწიფოს ანტირელიგიური პოლიტიკის გავლენის ქვეშ.

საბჭოთა კავშირში რელიგია განიხილებოდა, როგორც სოციალისტური საზოგადოების განვითარების ხელისშემშლელი ფაქტორი. სახელმწიფო ატარებდა მიზანმიმართულ ანტირელიგიურ პოლიტიკას, რომელიც ითვალისწინებდა რელიგიური ინსტიტუტების შეზღუდვას, სასულიერო პირების დევნას, მეჩეთების დახურვას და ათეისტური მსოფლმხედველობის გავრცელებას. ამ პოლიტიკის განსაკუთრებული გავლენის ქვეშ აღმოჩნდა აჭარა, სადაც მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი მუსლიმი იყო.

ასეთ ვითარებაში აჭარაში ჩამოყალიბდა მკვეთრი ზღვარი საჯარო და კერძო(საოჯახო) სივრცეებს შორის. თუმცა, მიუხედავად სახელმწიფო ზეწოლისა, აქ რელიგიური იდენტობა სრულად არ გამქრალა. მისი შენარჩუნების ერთ-ერთ მთავარ სივრცედ იქცა ოჯახი. სწორედ ოჯახი გახდა ის გარემო, სადაც თაობიდან თაობას გადაეცემოდა რელიგიური ცოდნა, ტრადიციები და ღირებულებები.

1921 წლის 16 ივლისს, საქართველოს სსრ რევკომმა გამოსცა დეკრეტი, რომლის მიხედვითაც აჭარა ავტონომიურ ერთეულად უნდა გამოცხადებულიყო. სწორედ ეს დოკუმენტი დაედო საფუძლად 1921 წ. 13 ოქტომბერს გაფორმებული ყარსის ხელშეკრულების იმ ნაწილს, რომელიც აჭარის მოსახლეობას გარკვეულ კულტურულ ავტონომიას ანიჭებდა. (ოქროპირიძე, 2001:113-115)

აჭარა ის იშვითი შემთხვევა იყო, სადაც ავტონომია არა ეთნიკური, არამედ რელიგიური ნიშნით შეიქმნა. აჭარა საბჭოთა პერიოდში ატარებდა განსხვავებულ ,,სასაზღვრო რეგიონის“ სტატუსს. ეს კი ნიშნავდა, რომ მასზე მუდმივად ,,თვალი უნდა გეჭირო, რადგან ახლოს თურქეთია.“ საბჭოთა აჭარა ჩაკეტილი და ნაკლებად ცნობილი რეგიონი იყო. აჭარაში სტუმრების გაოცებით თავად აჭარლები არიან გაკვირვებული (,,უკვირთ, ქართულად რომ ვლაპარაკობთ“, ,,უკვირთ აჭარული სტუმარ-მასპინძლობა“, ,,უკვირთ, რომ ქართველები დავხვდით აჭარაში.“) ამის მიზეზი კი, ბუნებრივია იყო რელიგია. (ზვიადაძე, 2020:139-140)

ნანი გელოვანი აღინიშნავს იმ ფაქტს, რომ საბჭოთა კავშირის ჩამოყალიბების მომენტიდან მისი დამოკიდებულება მუსლიმურ საზოგადოებასთან მკვეთრად განსხვავდებოდა რუსეთის მართმადიდებელი ეკლესიისადმი დამოკიდებულებისგან. მისი აზრით, ეს გამოწვეული იყო რამდენიმე მიზეზით: 1. მართლმადიდებლობა იყო რუსეთის იმპერიის იდეოლოგიური ,,დოქტრინის“ ნაწილი და ბოლშევიკებისთვის მასთან ბრძოლა მიმდინარეობდა ზოგადიმპერიული წინააღმდეგობის შესაბამისად; 2. კომუნისტური მოძრაობა მუსლიმური საზოგადოების საშუალებით ცდილობდა დაახლოებოდა მუსლიმურ შუა აზიას და ახლო აღმოსავლეთს. (გელოვანი, 2025:144)

თუმცა, უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ეს ე.წ. სამშვიდობო პოლიტიკა ისლამთან მიმართებაში აღმოჩნდა დროებითი. საბჭოთა კავშირის კომპარტიის დოკუმენტებში ხაზგასმული იყო საბჭოთა ცხოვრებიდან ყველა ,,რელიგიური გადმონაშთის“, მათ

პრინციპებზე აგებული საზოგადოების შექმნას. (Ислам и советское государство. Сборник документов ,вып1, 13)

ოფიციალური პოზიციის პარალელურად, სახელმწიფო პოლიტიკა რელიგიის დარგში სპეციალური ორგანიზაციების შექმნასაც ითვალისწინებდა. საბჭოთა ხელისუფლებამ დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადა რელიგიურ იდეოლოგიებს. რელიგიის წინააღმდეგ საბრძოლველად შეიქმნა ,,მებრძოლ უღმერთოთა კავშირები, მოგვიანებით კი სახკომსაბჭოსთან დაარსდა რელიგიური კულტების საბჭო, რომელსაც ჰყავდა თავისი რწმუნებულები მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკებში. რწმუნებულები ყოველ კვარტალურად წარუდგენდნენ საკავშირო ორგანოს რელიგიური მიმდინარეობების საქმიანობის დეტალურ ანგარიშს. ასე შეიქმნა სპეციალური მუსლიმური ორგანო-,,მუსლიმების საქმეთა კომისარიატი“. საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მუსლიმთა საქმეს ეროვნულ უმცირესობათა კომისარიატის ფარგლებში ახორციელებდა მუსლიმთა სექცია, რომლის საქმიანობის სფეროში უცხოეთში მცხოვრებ ქართველ, თურქ და ქურთ მუსლიმებთან მუშაობა შედიოდა. სექცია ძირითადად აწარმოებდა ადმინისტრაციულ, ორგანიზაციულ, ინფორმაციულ, სააგიტაციო და პროპაგანდისტულ საქმიანობას. ამ მიზნით ტარდებოდა პოლიტიკური შეხვედრები, მიტინგები, ლექციები, იხსნებოდა სამკითხველოები და წარმოებდა კომუნისტური პარტიის რიგებში მუსლიმთა გაწევრიანება. (ბარამიძე, 2008:48-57)

შეიძლება ითქვას, რომ საბჭოთა ხელისუფლება ისლამური რელიგიის მიმართ გარკვეულ დათმობებს მუსლიმთა მხარდასაჭერად მხოლოდ საწყის ეტაპზე ახორციელებდა. მალევე დაიწყო მუსლიმთა ლიდერებისა და რელიგიური ცენტრების განადგურებაზე ზრუნვა. მაგალითისთვის, 1919 წლისათვის აჭარში მოქმედებდა 158 მეჩეთი; სასულიერო პირთა რაოდენობა 317 აღწევდა, 1932 წელს მეჩეთების რიცხვი 132-მდე შემცირდა, ხოლონ 1935-1939 წლებში დაიკეტა ყველა მეჩეთი. ასევე, 1929-1930 წლების მონაცემებით, აჭარაში მოქმედებდა სასულიერო პირთა მოსამ-

ზადებელი 5 სპეციალური მედრესე; 1929-1930 წლებში -172 მედრესე 7000 მოსწავლით. 1926 წლის შემდეგ სასწავლო პროგრამიდან ამოიღეს საღვთო რჯული, ხოლო 1929 წელს საგანგებო დეკრეტით შემოღებული იქნა საყოველთაო სავალდებულო სწავლება და აიკრძალა რელიგიური სასწავლებლების ფუნქციონირება. 1930-იანი წლების ბოლოს აჭარაში ყველა მოქმედი მედრესე გაუქმდა. ასევე გაუუქმებიათ შარიათის სასამართლოები. (ანდრიაშვილი,1984:44-54)

საყურადღებოა, რომ საჭოთა რეჟიმის მიერ განხორციელებულმა ანტირელიგიურმა პოლიტიკამ რაღაც მხრივ დადებითი შედეგი გამოიღო-მათ მეჩეთები კი არ დაანგრიეს, არამედ საწყობებად, სკოლებად, სამხედრო საავადმყოფოებად, კინოსეანსების ჩასატარებლად თუ მაღაზიებად გამოიყენეს. ჯამეების იერსახის შენარჩუნება მათივე უგულებელყოფის გზით მოხერხდა. (კლდიაშვილი,ისლამის გამოძახილი მაღალმთიან აჭარაში-მეჩეთები და ნაქარგები)

სწორედ ასეთ პირობებში, რელიგიური სოციალიზაციის ფუნქცია, რომელიც ადრე მეჩეთსა და სასულიერო პირებს ეკისრებოდათ, დიდწილად ოჯახმა იტვირთა. სწორედ ოჯახი იქცა იმ ადგილად, სადაც ინახებოდა რელიგიური მეხსიერება, ფარულად სრულდებოდა ისლამური წეს-ჩვეულებები, ოჯახის საშუალებით ხდებოდა ზეპირი ტრადიციების გადაცემა. მოკლედ, საბჭოთა ათეისტური პოლიტიკის პირობებში სწორედ ოჯახი წარმოადგენდა კულტურული და რელიგიური იდენტობის სივრცეს. ოჯახის უხუცესი წევრები, ბებია-ბაბუები ასრულებდნენ განსაკუთრებულ როლს, რადგან მათ საბჭოთა ეპოქამდე უშუალოდ ჰქონდათ მიღებული რელიგიური გამოცდილება. სწორედ უფროსი თაობის მიერ ხდებოდა ბავშვების რელიგიური აღზრდა. ისინი ბავშვებს აცნობდნენ ისლამურ ტრადიციებს, უხსნიდნენ რელიგიური რიტუალების მნიშვნელობას. ასე რომ, სწორედ მათი საშუალებით ხდებოდა რელიგიური მეხსიერების შენარჩუნება. ფაქტობრივად, რელიგია საზოგადოებრივი სივრციდან კერ-

ძო სივრცეში გადავიდა, სადაც ფარულად სრულდებოდა მარხვა, ლოცვა, ყურანის ცალკეული სურების კითხვა, გარდაცვლილთა მოხსენიება, ტრადიციული წეს-ჩვეულებების დაცვა.

საბჭოთა საქართველოში, ხალხს, ვისაც ადგილობრივი მოსახლეობა ხოჯას უწო -დებდა, ზეპირი გადმოცემით ჰქონდა ცოდნა ისლამური რიტუალების, ლოცვების და სხვა რელიგიური ტრადიციების შესახებ. ასეთი ხოჯა, როგორც წესი, ოფიციალურად მუშაობდა სკოლაში, კოლემეურნეობაში და ა.შ. მხოლოდ მუსლიმებმა იცოდნენ, რომ ის, ამავე დროს, ხოჯა იყო. ხულოში იხსენებენ ბევრ ისტორიას იმის შესახებ, როგორ მოდიოდა საბჭოთა მოხელე მოულოდნელად სახლში იმ ადამიანთან, ვინც ხოჯად იყო მიჩნეული, რათა შეემოწმებინა, ლოცულობდა თუ არა კონკრეტულ დროს, ან მარხვის პერიოდში წყალს თუ დალევდა. ამით მისი რელიგიურობის გამოაშკარავებას ცდილობდნენ. ასეთი ხოჯები ბავშვებს ჩუმად ასწავლიდნენ ლოცვებს. ამრიგად, ეს იყო ზეპირი ისლამი და ის საბჭოთა პერიოდში არ განვითარებულა, მაგრამ ხალხში ეს ფრაგმენტული და ზეპირი ცოდნა შენარჩუნდა. (ზვიადაძე, 2020:189) ზოგადად, ისლამური რელიგია შენარჩუნდა რელიგიური პრაქტიკის სახით, მაგრამ არა თეოლოგიით. როგორც ქრისტიანობის, ისე ისლამის საკრალურმა სივრცეებმა სალოცავიდან სახლში გადმოინაცვლეს და აჭარაშიც მიმდინარეობდა პროცესი, რასაც თამარ დრაგაძე „რელიგიის მოშინაურებას უწოდებს“ (ზვიადაძე, 2020:190)

უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ აჭარაში რელიგიური ტრადიციების მთავარ დამცველებად იქცნენ ქალები. აჭარულ ოჯახში დედა მხოლოდ დიასახლისი არ იყო. ის იყო კულტურული მეხსიერებისა და სულიერი მახასიათებლების მთავარი გადამცემი. სწორედ ქალები ასწავლიდნენ ბავშვებს რელიგიურ წესებს, გადასცემდნენ მორალურ ღირებულებებს და იცავდნენ რელიგიურ დღესასწაულებთან დაკავშირებულ ტრადიციებს.

საბჭოთა ხელისუფლება თავადაც განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა ქალებს. ეს შემთხვევითი არ იყო. საბჭოთა იდე-

ოლოგიის მიხედვით, ქალის „განთავისუფლება“ რელიგიური და ტრადიციული ნორმებისგან სოციალისტური მოდერნიზაციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაწილად განიხილებოდა. აჭარაში შეიქმნა ქალთა კომიტეტები და „მუსლიმ ქალთა სექციები“, რომლებიც მიზნად ისახავდა ქალების ჩართვას საზოგადოებრივ ცხოვრებაში და რელიგიური ტრადიციებისგან მათ დაშორებას. განსაკუთრებით სიმბოლური იყო ჩადრის საკითხი.

კულტურული რევოლუციის ნაწილს წარმოადგენდა ,,ჩადრის ახდის კამპანია“, რომელიც საბჭოტა ხელისუფლებამ მავნე გადმონაშთების წინააღმდეგ ბრძოლის ფარგლებში დაიწყო. ქალებისთვის ,,ჩადრის ახდა“ საბჭოთა მთავრობის უმთავრეს საზრუნავად იქცა. რა თქმა უნდა, ეს აჭარასაც შეეხო. ამ პროცესის წარმმართველები აქტივისტი ქალები გახდნენ, რომლებიც გადაგდებულ ჩადრს დემონსტრაციულად წვავდნენ, როგორც ,,ქალთა ჩაგვრისა და მონობის სიმბოლოს“. (გელოვანი, 2025:193)

აჭარაში ერთ-ერთი პირველი ქალი, რომელმაც ჩადრი საჯაროდ მოიხადა და სხვებსაც მოუწოდა, ყოფილა მუხთერ ბოლქვაძე. მართალია, აქტივისტი ქალები აქტიურად ჩაერთვნენ ამ პროცესში, მაგრამ აჭარის მოსახლეობის დიდი ნაწილი უკმაყოფილებას გამოთქვამდა ჩადრის ახდასთან დაკავშირებით და ამბობდა, რომ ისინი ჩადრის ქვეშ ნამუსს ინახავდნენ, რომ ჩადრის ახდას, სიკვდილი ერჩივნათ.(გელოვანი, 2025:197)

არასწორი იქნებოდა საბჭოთა პერიოდის ყველა აჭარელი ქალის წარმოდგენა მხოლოდ როგორც „ტრადიციის დამცველისა“ და ყველა საბჭოთა ინიციატივის წინააღმდეგ მყოფი პირისა. ქალთა გამოცდილება მრავალფეროვანი იყო. ზოგი ქალი

შესაძლოა მიესალმებოდა განათლებას, პროფესიულ საქმიანობასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართვას, მაშინ როცა სხვები ტრადიციული რელიგიური პრაქტიკის შენარჩუნებას ცდილობდნენ.

უნდა ითქვას, რომ აჭარაში ჩადრის ახდა უფრო მეტი მოწინააღმდეგე ჰყავდა, ვიდრე მომხრე. 1929 წელს ანტირელიგიური კამპანიის გამო დაწყებული უკმაყოფილება აჭარაში გადაიზარდა აჯანყებაში და მთელს მთიან აჭარას მოედო. ამბოხებულებმა მთავრობას წაუყენეს მოთხოვნები: უნდა აღდგენილიყო შარიათის სასამართლო, კვლავ გახსნილიყო მედრესეები, გოგონებს არ უნდა ევლოთ საბჭოთა სკოლაში, შეწყვეტილიყო რელიგიური დევნა, ჩადრის ახდის კამპანია და სხვ. აჯანყება რამდენიმე კვირაში ჩაახშეს. (თურმანიძე, 2012:54-64)

მართალია აჯანყება ჩაახშეს, მაგრამ ამ პროტესტმა აიძულა საბჭოთა ხელისუფლება უკან დაეხია. მათ აღიარეს აჭარის მიმართ დაშვებული შეცდომები და გააუქმეს საქართველოს კპ ცკ პრეზიდიუმის დადგენილება ჩადრის ახდის შესახებ, ასევე, მოსახლეობის მოთხოვნის საფუძველზე დაიშვა მუსლიმური სასულიერო სასწავლებლებიც და სხვ. (სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები: აჭარა, ტ.IV:177)

1929 წლის მოვლენებმა აჩვენა, რომ ქალის ჩაცმულობა მხოლოდ ტანსაცმლის საკითხად არ აღიქმებოდა. იგი რელიგიური, კულტურული და ოჯახური წესრიგის სიმბოლოდ იქცა. ამიტომ ქალის რელიგიური პრაქტიკის შეცვლა ავტომატურად ნიშნავდა ოჯახურ სივრცეში არსებული ტრადიციული წესრიგის ცვლილების მცდელობას.

ასევე უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ აჭარაში მუსლიმური რელიგიური იდენტობა მჭიდროდ იყო დაკავშირებული ქართულ ეთნიკურ იდენტობასთან. ოჯახი ორივე იდენტობის შენარჩუნებას ემსახურებოდა. აქაც მთავარ როლს ისევ ქალი თამაშობდა. თაობებს რელიგიურ ტრადიციებთან ერთად ქართული ენაც გადაეცემოდა. საერთოდ, უნდა ითქვას, რომ აჭარელმა ქალებმა დიდი როლი შეასრულეს წარსულ ბრძოლებში. ისინი იარაღით ხელში გამოდიოდნენ მტრის წინააღმდეგ. აჭარელ ქალებს ეკუთვნის დაუფასებელი ღვაწლი ჩვენი წარსული კულტურის შენახვა-შენარჩუნების საქმეში. მამაკაცების გათურქება თურქეთის ხელი-

სუფლებამ ენისა და ზნე-ჩვეულების მხრივ უფრო ადვილად მოახდინა, ვიდრე ქალებისა. ქართული ენის, ტრადიციების დაცვა უმთავრესად ქალებს ხვდათ წილად. ამ მდგომარეობას ისიც უწყობდა ხელს, რომ ქალები სახელმწიფო-საზოგადოებრივ საქმეში არ იყვნენ ჩაბმული. ეს და სხვა ფაქტორები გახდნენ მიზეზი იმისა, რომ აჭარაში არ იქნა ქართული ენა და ზნე-ჩვეულებები გადაგდებული ისე, როგორც სხვაგან. (ახვლედიანი,1944:115-116)

დასკვნის სახით შეიძლება ვთვათ, რომ საბჭოთა ეპოქაში აჭარის მუსლიმი მოსახლეობის რელიგიური იდენტობის შენარჩუნებაში გადამწყვეტი როლი შეასრულა ოჯახმა. მაშინ, როდესაც, სახელმწიფო ზღუდავდა რელიგიურ ინსტიტუტებს, ოჯახმა შეითავსა რელიგიური განათლების, ტრადიციების დაცვისა და კულტურული მეხსიერების გადაცემის ფუნქცია. სწორედ ოჯახური გარემოს საშუალებით მოხერხდა რელიგიური ღირებულებების შენარჩუნება. ამ პროცესმა მნიშვნელოვანად შეწყო ხელი 1990-იანი წლების შემდეგ რელიგიური ცხოვრების აღორძინებას აჭარაში, რადგან საზოგადოებას უკვე ჰქონდა ოჯახებში შენარჩუნებული რელიგიური გამოცდილება.

გამოყენებული ლიტერატურა:

ანდრიაშვილი რ., ისლამის დოგმატიკა და სოციალური მოძღვრება, თბილისი,1984;

ახვლედიანი ხარიტონ, ნარკვევი აჭარის ისტორიიდან (მე-16-19 სს) აჭარის სახ-ფო გამომცემლობა. ბათუმი 1944

ბარამიძე რ., ისლამი და მუსლიმები აჭარაში(ისტორიულ-ეთნოლოგიური და სოციო-კულტურული ასპექტები), ბათუმი, 2008

გელოვანი ნ. ისლამი და მუსლიმები საქართველოში (1918-1991): ისტორიული და რეგიონული კონტექსტი , 2025;

ზვიადაძე ს., აჭარის ხილული და უხილავი საზღვრები“ 2020;

თურმანიძე ო., ,,1929 წლის აჯანყება აჭარაში(საარქივო სამმართველოში დაცული დოკუმენტების მიხედვით)“, სამხრეთ-დასავლეთი საქართველო(ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია) 2012;

კლდიაშვილი ა., ისლამის გამოძახილი მაღალმთიან აჭარაში-მეჩეტები და ნაქარგები.

ოქროპირიძე შ., აჭარის ავტონომიის შექმნის ისტორიიდან, ბათუმი, 2001

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები: აჭარა, ტ.IV;

Ислам и советское государство. Сборник документов ,вып1, 13

Danièle Hervieu-Léger, Religion as a Chain of Memory (2000);

Hall, Stuart. “Cultural Identity and Diaspora.” In Identity: Community, Culture, Difference, edited by Jonathan Rutherford, 1990;

Luckmann, Thomas. The Invisible Religion: The Problem of Religion in Modern Society. New York: Macmillan, 1967;

Peek, Lori. “Becoming Muslim: The Development of a Religious Identity.” Sociology of Religion, 2005.

შინაარსი

ისტორია

ლევან ჯიქია, აკადემიკოს სიმონ ჯანაშიას გამოუქვეყნებელი ნაშრომი 3

თამაზ ფუტკარაძე, ნატო ქიქავა, ციცი ცინცაძე. „ოზეთის“ საქმიანობა საბჭოთა საქართველოში და აჭარაში 1930-იან წლებში: სოციალურ-ეკონომიკური ტრანსფორმაცია, აგრარიზაცია და იდეოლოგიური მობილიზაცია 13

ოთარ გოგოლიშვილი, ბათუმის ოლქის ადმინისტრაციული მოწყობა და მმართველობის სისტემა (1902-1913 წ.წ.) 43

ცირა მესხიშვილი, დავით ხასიდი, ჯვაროსნული ციხესიმაგრეები ლევანტში, როგორც სოციალურ-პოლიტიკური და ადმინისტრაციული კონტროლის ცენტრები (XII–XIII საუკუნეები)" 49

Vladylena SOKYRSKA, UKRAINE AND RUSSIA IN THE 1920s: INTERSTATE RELATIONS, POLITICAL PRACTICE, AND IMPERIAL LEGACY 51

მაია რურუა, საკავშირო გაერთიანება ,,სოიუზვნეშტრანსი“-ს ბათუმის კანტორის ფონდის (რ-425) 60

უჩა ოქროპირიძე, ანთიმოზ ივერიელის ცხოვრება და მოღვაწეობა საქართველოსა და რუმინეთში 69

ფრიდონ დავითაძე, ფისკალური მმართველობა და ადგილობრივი ძალაუფლება ოსმალურ აჭარაში: იმპერიული კონტროლის მექანიზმები XVIII საუკუნის ბოლოსა და XIX საუკუნის პირველ მეოთხედში 81

Fridon Davitadze, Fiscal Governance and Local Power in Ottoman Adjara: Mechanisms of Imperial Control from the Late Eighteenth Century to the First Quarter of the Nineteenth Century 81

გიორგი ბაციკაძე, ქართველი დეპუტატები რუსეთის იმპერიის მეოთხე სახელმწიფო სათათბიროში (1912-1917) 95

ასლან ლორთქიფანიძე, საქართველო საერთაშორისო პოლიტიკურ სისტემაში 112

არქეოლოგია

გურამ ჩხატარაშვილი, ობსიდიანის გამოყენება და გავრცელება ჭოროხის ხეობაში ნეოლითის ხანაში 119

ლიტერატურის ისტორია

მარიამ მარჯანიშვილი, პიროვნული და ეროვნული თავისუფლებისთვის მებრძოლი 141

ფრიდონ ქარდავა, ქვე-მკერდამდე თუ მკერდამდე? - ერთი საკამათო ცნების გაგებისათვის ,,ვეფხისტყაოსანში“ 151

ლელა შათირიშვილი ორბელიანების ოჯახი — ცოდნისა და განათლების კერა (ზაალ-ზოსიმე და სულხან-საბა) 159

წყაროთმცოდნეობა

ირინა გოგონაია, „კაის წყლის და ავის გამოცდისათვის“: წყლის ხარისხის განსაზღვრის საკითხები ქართულ ხელნაწერ წყაროებში (XV–XIX სს.) 163

რელიგიის ისტორია

ნანი გელოვანი, ისლამური განათლება და საბჭოთა სახელმწიფო (1940-1980-იანი წლები): სამხრეთ კავკასიის ისტორიული გამოცდილება 167

მერაბ მეგრელიშვილი, ნიკოლოზ მეგრელიშვილი, სალოცავი სახლები და რელიგიური სკოლები აჭარაში (XIX საუკუნის დასასრული XX საუკუნის დასაწყისი) 180

ნია კომახიძე, ილია ჭავჭავაძის „განდეგილის“ ფსიქოლოგიური და ასკეტურ-ღვთისმეტყველური პარადიგმები 189

ნათია კალანდაძე, ლომის კარის ეკლესია - ,,ძლიერი ლომისკარელი“ 198

ეთნოლოგია, კულტურის ისტორია

მ. ჯინჭარაძე, სერგო ქობულაძე - უდიდესი შემოქმედი და პედაგოგი 209

ქეთევან შარაშიძე, ქართული სამეფო სამოსი შუა საუკუნეებში.....215

ლანა დუმბაძე, ნინო გაბაიძე, ქრისტინა ირემაძე, ლიკა ვარშალომიძე, ქედის მუნიციპალიტეტის ეთნოგრაფიული მემკვიდრეობა: ტრადიციული არქიტექტურული ფორმები, ფუნქციური დანიშნულება და ტრანსფორმაცია 229

ეკა მაისურაძე, ოჯახის როლი რელიგიური იდენტობის შენარჩუნებაში საბჭოთა პერიოდის აჭარაში 244

დაიბეჭდა გამომცემლობა „უნივერსალში“

თბილისი, 0186, ა. პოლიტკოვსკაიას №4, ☎: 5(99) 17 22 30; 5(99) 33 52 02
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com